# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით    ფასი 1,50 ლარი    30 სექტემბერი 2011 №20(150)

68

1516
2011

თემურ ჩხეიძის თეატრი

93 წელი სამშობლოზე ფიქრით

დავით წერედიანის ჩანაწერები

ნობელიანტი ელფრიდე იელინეკი

პოეტი-ლაურეატი ბილი კოლინსი

სიმართლე აგრაფინა ჯაფარიძეზე

დიალოგი ანზორ ერქომაიშვილთან

საუკუნის ისტორია კომენტარებად

კონსერვატიზმის გაუხუნარი ხიბლი

იქ, სადაც ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა

ჯემალ ინჯიას სონეტების გვირგვინი

ელგუჯა თავბერიძის ლიტერატურული დეტექტივი



# წიგნის თარო


მიგელ დე უნამუნო


რეზო ჭეიშვილი
ახალი კურუ


მიგელ დე უნამუნო
ნისლი
...Plenitud de plenitudes y todo plenitud!


მარტენ პაჟი
როგორ გავხდი
იდიოტი


კომუნიზმის
შავი წიგნი
დანაშაული
ტერორი
რეპრესია


იოსებ ჟუმბურიძე
ჟურნალისტიკის
შესავლის
საკითხები


ოტია იოსელიანი


გიორგი კალანდაძე
ერთტომეული


ანა გავალდა
მინდა, ვიღაც
მელოდეს
სადღაც

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ფიქრი და განსჯა | 2 | დავით წერედიანი **ჩანაწერები** |
| ლიტერატურული დეტექტივი | 6 | ელგუჯა თავბერიძე **იდეალი?! ხა, ხა, ხა, ხა!!** |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 10 | ირმა რატიანი **„ექიებდე და პპოვებდე“** |
| პროზა | 11 | ირაკლი სამსონაძე **მცხეთური პური** |
| პოეზია | 20 | ჯემალ ინჯია **შრიალებს მუხა ყელქცეულში** (სონეტების გვირგვინი) |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 23 | **მე სიყვარულის მენაგვე ვარ** (ანდრე მიულერს ესაუბრება ელფრიდე იელინეკი) |
| დიალოგი | 28 | **კონსერვატიზმის გაუხუნარი ხიბლი** (ქეთევან შენგელიას ესაუბრება პაატა ჩხეიძე) |
| სად წაიყვან სადაურსა | 32 | ჯუმბერ ჯიშკარიანი **ოთხმოცდაცამეტი წელი საქართველოზე ფიქრით** (პეტრე ხვედელიძე) |
| წარსული მომავლისათვის | 35 | ივანე ამირხანაშვილი **საუკუნის ისტორია კომენტარებად** (დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა სამტომეული) |
| მარადი ხელოვნება | 37 | ეკა ბუჯიაშვილი **რასაც ზოგჯერ თაობებიც ვერ ახერხებენ** (შტრიხები ანზორ ერქომაიშვილის პორტრეტისათვის) |
| რეპორტაჟი | 42 | რიტა ბაინდურაშვილი **იქ, სადაც ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა...** (ოლესია თავაძის „სევდიანი ჩანაწერები“) |
| ელვარე და ლომფერი | 45 | გოჩა ჯაფარიძე **„აგრაფინა კისკისაო“** (თავგადასავალი ერთი ქართველი ქალისა) |
| კრიტიკა | 48 | როსტომ ჩხეიძე **თემურ ჩხეიძის თეატრი** (მინაწერები ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის აშიებზე) |
| ახალი წიგნები | 54 | დოდო ჭუმბურიძე **ქართულ-ბალტიური ათასწლოვანი ურთიერთობის მატიანე** (ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფია) |
| ჩანახატი | 57 | სოფო წულაია **ოთარ ჩხეიძის „გაცრილი სიტყვა“ და მტვრადგცეული რაინდი** |
| პოეზიის მერიდიანები | 58 | ბილი კოლინზი **გასეირნება ატლანტიკაზე და სხვა ლექსები** |
| უცხოური ნოველა | 60 | სტეფანო ბენი **უკანასკნელი ცრემლი** |
| | 62 | გაბრიელე რომანოლი **გზა მშვიდობისა, მისტერ ბლუ!** |
| მოზაიკა | 63 | **პორმუზი** |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა ტეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე
გარეკანზე: თამაში მზესთან
გია არაბულის კომპიუტერული გრაფიკა


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 ოქტომბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დავით წერედიანი

# ჩანაწერები

ორჯერ „თემა და ვარიაციები" გამოვაქვეყნე. ჩემდათავად წერილები მეგონა, თემატურად შეკრული. ყველამ ჩანაწერებად მომინათლა.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

დალაგებისთვისაც აღარ ვირჯები.

* * *

პოეზია უცნაური საქმიანობაა. არქაული გადმონაშთი.

პროზაიკოსები ხშირად შფოთავენ, ჩვენები არა, უფრო უცხოელები: — ცხოვრებაში ასე ვინ ლაპარაკობს!

ლევ ტოლსტოი, პოეზიის გარდა, ოპერასა და ბალეტსაც ერჩოდა: — არა, ასე ვინ ლაპარაკობს! ან ასე ვინ დადის!

თითქოს არარსებული პერსონაჟებისა და არმომხდარი ამბების გამოგონება სხვა რამ იყოს, არა ასეთივე უცნაური საქმიანობა.

სხვათა შორის, ვალში არც პოეტები რჩებიან. რომანის ჟანრზე პოლ ვალერის გავლა-გამოვლა ერთ რამედ ღირს. პროზაც ალბათ არქაული გადმონაშთია, — მითოსი, ზღაპარი. ოღონდ ერთმანეთზე რატომღაც ხშირ-ხშირად წყრებიან.

სერვანტესი „დონ კიხოტის" შესავალში, ბოლოკვეცილ ლექსში, არცთუ უსაფუძვლოდ გვარიგებს:

**შუშაბანდში ვინცა ცხოვ-**
**სხვის შუშაბანდს ქვებს ნუ უშ-**
**მოუფრთხილდეს თავის შუშ-**

ერთ-ერთი „გამზავებელი" ასე ამბობს: „მათი ზემოქმედების არე ბუნებრივად იყოფა. პროზა უფრო ინტერნაციონალურია, მსოფლიო მასშტაბით ბევრად მნიშვნელოვანი. პოეზია კი, რაც უფრო დიდია, მით უფრო მკაცრად არის თავის ენაში ჩაკეტილი. სამაგიეროდ, ნაციონალური ენის შიგნით პოეტების სახელს პროზაიკოსებისა ვერასოდეს უთანაბრდება, რადგან პოეზიის მომხიბვლელობა გაცილებით ღრმა ენობრივი შრეებიდან მოდის".

* * *

არაფრის მტკიცებას არ ვეპირები, ბევრი არავინ დამიჯერებს: ქართული რომანტიკული სკოლა სხვათა წამხედურობით მოგონილი ზღაპარია, ქვეყანაზე მსგავსი არაფერი არსებობს. ზოგადად რომანტიკულ ნაკადს, მეტ-ნაკლები ზომა-წონით, ყველა დროის ყველა მწერალთან შევხვდებით, მათ შორის ქართველ რომანტიკოსებთანაც.

* * *

დიდი ხნის წინანდელი ამბავია, გამომცემლობის კიბეზე ცნობილი პოეტი მხვდება. თუმცა ისეთი ცნობილიც არა, ასე ვთქვათ, ჯერ ისევ იბრძვის.

— შენი თარგმნილი ვიიონი წავიკითხე. წარმოიდგინე, მომეწონა, ადვილად მორგებია ქართულს. ისე ჩვენი გურამიშვილი სჯობია.

— მეც გურამიშვილი მირჩევნია, — ვეუბნები. მართლა ასეა, გურამიშვილი ყველასგან გამომერჩევა.

რატომღაც გაღიზიანდა, ალბათ წყენა რომ ვერ შემატყო. ვაღიარებ: იქით არასოდეს შემიქია.

— გირჩევნია კი არა, აქამდეც ვერ მისწვდება, — „აქამდე" ევფემიზმია, გასაგებია, რისი.

— რა იცი, მანდამდე შეიძლება კიდევაც მისწვდეს, — მეცინება, — ოღონდ მაგისთვის, მაინც უფრო ნაღდია, დედანი დედანს უნდა მიაზომო.

— არა, ვერ მისწვდება, — ამაყად ამთავრებს საუბარს და მიდის.

ეს შემთხვევა ასე თუ ისე გასაგებია, ჰგონია, გუნება წამიხდინა. მაგრამ როცა შალვა ნუცუბიძე ტელეეკრანიდან იტყვის: „მე მთელ მსოფლიოს დავუმტკიცებ, რომ რუსთაველი აა", ხელს თავზემოთ აიშვერს, „დანტე კიდევ ეე", ხელი იატაკისკენ მიაქვს, გაცილებით შემაღონებელი სიმპტომია. იმავე სნეულების სიმპტომია, მაგრამ გაცილებით შემაღონებელი.

არადა, თუ მაინცდამაინც, დედანი დედანს უნდა შეუტოლო. თან ისეთი გამოქნილი ქართულითა და იტალიურით, პოეზიის მთელი განსაწმენდელი რომ გაუვლია.

* * *

დანტესთან შეჯიბრში ქართველები მარტონი არა ვართ, როგორც თანდათან გაირკვა.

— შუა საუკუნეებში ხუთი პოეტი გვყავს, ხუთივე დანტეს სჯობია! — განწმატებით გვიმტკიცებს უნგრელი სტუმარი, რომელსაც უნგრეთის ევროპულობა მსუბუქად გაუტრიზავეს, ეტყობა, იცოდნენ, რასაც ეუბნებოდნენ. უნგრეთსაც თავისი გასაჭირი ჰქონია, ევროპაშია და ევროპად ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს.

მაგრამ რატომ აუცილებლად დანტე? მტრისას, თუ ვინმე აიჩემეს! ვთქვათ, რატომ ფირდოუსი არა? ანდა „ბჰაგავატგიტას" ავტორი? თუმცა „ფირდოუსს სჯობია", არ ჟღერს, უნიათოდ გაისმის. „ფირდოუსის ტოლია" — ეს კიდევ შეიძლება. დანტესთან — პირიქით, „ტოლი არისო," კოჭლ რითმასავითაა, როგორღაც არ გამოდის.

* * *

ოღონდ რუსთაველთან მიმართებაში აქ ერთი გულუბრყვილო ტენდენციაც ჭიატებს: მისი პოეტური სიღრმე, თურმე ნუ იტყვით, იმისდაკვალად მატულობს, სქოლასტიკური ფილოსოფიიდან, განსაკუთრებით ნეოპლატონიზმიდან, რაც მეტი პირველწყარო „აღმოჩნდება" დაქარაგმებული. ფილოსოფია რატომღაც პოეზიაზე მაღალ ჟანრად ესახებათ და, რაკი მთლად ლაღადაც ვერ კითხულობენ, სულ ცინცხალ-ცინცხალი ჭეშმარიტებებით ჰგონიათ დახუნძლული. ამიტომ ერის საამაყო პოეტს თუ ფილოსოფოსადაც გამოვაცხადებთ, პირდაპირ ცის მნათობებში ავიტანთ, მიწაზე ფეხს აღარ დავაკარებინებთ. თორემ მხოლოდ პოეზია — ეგ ხომ ბევრიც არაფერია, სხვებსაც ჰყავთ ეგეთები!

„ღვთაებრივ კომედიაში" თომა აქვინელის შეფარული ციტაციები, — როგორ გინდა ამდაგვარნი დააჯერო? — ღირსებად კი არა, ნაწარმოების ნაკლად არის შერაცხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27899

* * *

ყველა ქვეყნის პოეტები ხმაშეწყობით მოთქვამენ: სანუთრო ცრუა და ორპირი, მუხთალი და გაუტანელი. სიყმაწვილეში ალალად მეღიმებოდა ძველი მოტივის მიამიტურობაზე: რაო, არ იცოდნენ, რომ ადამიანი მოკვდავია, რომ დრო განუხრელად მიედინება?

მაგრამ, რაც ხანი გემატება, სულ უფრო ხშირად გაკითხავს უეცარი და უსიამო შეგრძნება, რომ იქ, მაღლა, სადღაც შორს, სათავეში, „გვიმუხანათეს", „გვეცრუვნენ", „მოგვალორეს", განზრახ და დაუნდობლად. თვალებთან ჭრელ-ჭრელი რიდემერდინი აგვიფრიალეს. თქვენ ჯერ არ გწვევიათ მსგავსი შეგრძნება?

* * *

ზოგჯერ კრიტიკოსები ქებით იტყვიან ხოლმე: ამა და ამ პოეტმა პროზასა და პოეზიას შორის განსხვავება წაშალა. არადა, ღრმა დაფიქრებაც არ სჭირდება: ლექსს მხოლოდ ის აძლევს არსებობის უფლებას, რაც მას პროზისაგან განასხვავებს. აქ მხოლოდ ფორმაზე არ არის ლაპარაკი, ყველა შემთხვევაში უნდა განსხვავდებოდეს.

* * *

ისე, კრიტიკოსობა ჩვენს პატარა ქვეყანაში უმძიმესი ულელია. ჩემი მწირი გამოცდილება მინდა გაგიზიაროთ. ერთხელ თამაზ ჩხენკელს საიუბილეო თარიღი მივულოცე, სულ გვერდნახევრიანი წერილი იყო. მის შემოქმედებაზე უყოყმანოდ მაღალი აზრისა ვარ, თან პიროვნულადაც გამორჩევით მიყვარდა.

საიუბილეო მილოცვაც რაღაა, ცუდს რას წარმოვიდგენდი, არადა, თავს ვაიუშველებელი დამატყდა. ერთი ახლობელი კაცი კიდევაც შემომწყრა, ჩემკენ აღარ იხედებოდა.

მაინც შევწუხდი, რაც უნდა იყოს... თავზე ხელი ავილე და ისეთი ქება ვუძღვენი, მეტისმეტი — რეტისრეტიო, რომ იტყვიან. გაგიგონია? არ იკმარა. უფრო ვრცლადო, კიდევ უფრო ვრცლადო... ახლა ამ ქებაზე წამოვიდა ქვა და ლორლი.

მაშინ დავიფიცე, ცოცხლებზე ხმა აღარ გამეღო. დღემდე ფიცს პირნათლად ვასრულებ, ოლონდ პრეზენტაციებში ხანგამოშვებით მაინც ვიხლართები. კაცმა საინტერესო წიგნი გამოსცა, ორი სიტყვა როგორ გინდა დაამადლო...

* * *

სპარსული სუფიზმისა ბევრი არაფერი გამეგება, ან უფრო სწორად, არაფრისგან არაფერი. რასაკვირველია, იქნებოდნენ ნამდვილი სუფისტი პოეტები, მაგრამ უმეტესად, ვფიქრობ, ვითარებას სულ სხვა სანადელი წარმართავდა.

სპარსული ლირიკის უმთავრესი თემა სატრფიალო ლამენტაციები იყო. ვირტუოზულ დონეზე იცოდნენ, „დამნვრისა" როგორ ჩაეხვიათ. გადიოდა ხანი, პოეტი ბერდებოდა, უკვე აღარ შეჰფეროდა სასიყვარულო მოთქმა-მუდარა, მაგ ამპლუაში თანდათან სასაცილო ხდებოდა. არადა, გულში ჩამწვდომი სიტყვები იცოდა, უნაზესი და უმკაცრესი ინტონაციების მთელი სიმდიდრე ხელის ერთ გაწვდენაზე ედო. რა უნდა ექნა? მსხვერპლად მიერთმია სიბერისთვის?

როგორც იყო და როგორც არა, თავი სუფისტად გამოაცხადა. ქალს რომ ვუმღერი, ნამდვილი ქალი არ გეგონოთ, უზენაესს ვუგალობ. უზენაესისა კი განსაკუთრებით შავი ხალები და დალალ-კავები მოსწონდა. და იხვეოდა და იხვეოდა ახალი და ახალი იგავმიუწვდომელი „დამნვრული".

ბრწყინვალე გამოსავალია. ლირიკული ზეაღსვლების წინაშე სიბერემ ცოტა ხნით უკან დაიხია.



დავით წერედიანი

* * *

ჩინური კლასიკური პოეზია სრულიად უნიკალური მოვლენა რომ არის, ვფიქრობ, დავას არ ექვემდებარება, მაგრამ როცა პირდაპირ ჩინურიდან გაკეთებული პწკარედები ვნახე, უზმნო-უმორფოლოგიო, თანაც ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე, მაინც სრულიად სხვა შთაბეჭდილებას შევაწყდი. თარგმანები მსგავს შეგრძნებას არ ბადებენ. ყველა ჩინური სიტყვა ერთმარცვლიანია და წინადადებაში ფორმას არასოდეს იცვლის, არც არავითარი ბრუნება, არც დროისა თუ პირის ნიშნები, ყველა მათგანი მხოლოდ შიშველი ძირია. სალექსო საზომი მარტივია, — ორ, სამ, ოთხსიტყვიანი სტრიქონი, უფრო იშვიათად ხუთსიტყვიანი, რომელიც ალბათ ჩვენი თოთხმეტმარცვლოვანის სიმძიმისაა, იმდენ ინფორმაციას იტევს.

იმის მისახვედრად, რა ჟღერა შეიძლება ჰქონდეს, ერთ-ერთი პწკარედი ჩემთვის გადმოვაჩიქორთულე. ენაზე ძალმომრეობის გარეშე ქართული სიტყვის გაერთმარცვლიანება და გასტატიკურება შეუძლებელი მგონია, ამდენად, წინასწარ ვიყავი შეგუებული, რომ, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარხუმრობა გამოვიდოდა.

მაგრამ, რაკი ჩანაწერები ზუსტად მაგდაგვარი საქმეებისთვისაა, ვბეჭდავ, რაც იყოს, იყოს. ორ კაცს თუ დააინტერესებს, სავსებით კმარა.

**ტბა ჩიტ ლელ**
**მზე ჩასვლ წინ**
**ჭვრეტ ძველ გზა**
**შენ მე ვინ**

**მზერ მთა მთა**
**კაც თვალ სველ**
**დღეს რომ სრულ**
**ორ ოც წელ**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ დამეთანხმებით, სულ სხვა სტრუქტურაა. ოცდაოთხი სიტყვა, ყველა ნიშნის მიხედვით, მისხალ-მისხალ აწონილი. მაინც რა ლექსი უნდა იყოს, ასეთი იწილო-ბიწილოც კი ბოლომდე რომ ვერ მოკლავს!

„მთებს გასცქერის თვალსევდიანი კაცი, რომელსაც დღეს შეუსრულდა ორმოცი წელი"...

* * *

კაფკას „პროცესზე" მინდა ორი სიტყვა დავწერო. არა, მის ახსნას არ ვეცდები, რთულზე რთული საქმეა. ვფიქრობ, შეუძლებელი. მე მხოლოდ ვარაუდი მინდა გამოვთქვა, სიუჟეტისათვის ბიძგი რას შეიძლებოდა მიეცა.

გემახსოვრებათ: კაცს ერთ ჩვეულებრივ დილას სასიკვდილო განაჩენს უცხადებენ, რისთვის, წარმოდგენა არა აქვს. უცხადებს არა ოფიციალური სასამართლო, არამედ რაღაც უცნაური დაწესებულება, რომელიც სადღაც მიყრუებულ გარეუბნებში, მიტოვებულ სხვენებზე თუ სხვა ამდაგვარ ადგილებში ფუნქციონირებს. არც არავინ აპატიმრებს, არც ვინმე რითიმე ზღუდავს. ცხოვრება ჩვეულებრივი რიგით მიედინება. ერთხელაც გარეუბანში გაიყვანენ და მოკლავენ. რისთვის, არ ეუბნებიან.

კაფკა, პროფესიით იურისტი, ორმაგი კანონის ტყვე იყო: ერთი — ებრაული თორა და მეორე — საერო კანონების კოდექსი. მისი მიდრეკილებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან საეჭვოდ მეჩვენება, ან ერთი, ან მეორე ამომწურავად სცოდნოდა. პირველი უჩინარი სამზადისი „ამომწურავად არცოდნიდან" იწყება.

სიუჟეტისათვის ბიძგი საიდან უნდა გაჩენილიყო: აღმოსავლეთ ევროპაში, ან იქნებ სხვაგანაც, სახელმწიფო სასამართლო ოფიციალურად ცნობდა ებრაული სასამართლოს მიერ თანამერჯულისათვის გამოტანილ განაჩენს. ოღონდ უკრძალავდა სასიკვდილო განაჩენის გამოტანას. ეს მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა იყო. მაგრამ ებრაულ სასამართლოს იშვიათ შემთხვევაში შეუთანხმებლად გამოჰქონდა ამგვარი განაჩენი და სიკვდილმისჯილს სადმე გარეუბანში მოკლულს იპოვიდნენ, ან სამუდამოდ ქრებოდა.

კაფკა ნერვებდაჭიმული კაცი იყო, ქენჯნებითა და კოშმარებით დატვირთული. ერთადერთი მცირე ნაპერწკალი და — „იქნებ ებრაული კანონის წინაშე რაღაცა შევცოდე, იქნებ დაუსწრებლად სიკვდილი მომესაჯა"? მხოლოდ ორი უძილო ღამეა საჭირო, ან არც კი, და სიუჟეტის იდეა ფეთქვას იწყებს.

კაფკამ თავისი წიგნიდან ებრაული მომენტი ამოკვეთა და სწორადაც მოიქცა: პირდაპირ ჰერმეტული კოშმარის წინაშე დაგვტოვა, მეტაფიზიკური კოშმარის წინაშე, არსაიდან რომ არ შემოევლება.

სხვა არაფერი ვიცი.

არც ის ვიცი, ძველს ხომ არ ვიმეორებ.

* * *

რა არის ფილოსოფიური ლირიკა, დღემდე ვერ გავიგე. მცოდნეც არავინ შემხვდა, კარგად განმიმარტოს. გაცვეთილ-გადაღეჭილი თემატიკა, ყოვლად ტრივიალური მედიტაციები. ყველანი ერთ თარგზე ჭრიან, ხალხური ანონიმებიცა და მსოფლიო ლირიკოსებიც, — რომ ცას ვერავინ გამოვეკერებით, რომ თვალის ერთი დახამხამებაა ეს ოხერი...

შემთხვევა არ მაგონდება, შიგ ფილოსოფიასთან თუნდაც ოდნავ მიახლოებული რამე ამომეკითხოს. თუ დროდადრო კარგი ლექსი გამოერევა, გასაგებია, — ყოვლად ტრივიალურ თემაზეც შეიძლება შედევრი დაიწეროს. ხაზგასმით ვითხოვ: რასაც ახლა ვიტყვი, დიდი პოეტების დაკნინების მცდელობად ნურავინ ჩამომართმევს, ერთეული შემთხვევა რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა...

ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას" და პოლ ვალერის „ზღვის სასაფლაო", ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი მშვენება, ქარგისა და სათქმელის მიხედვით თითქმის იდენტურნი არიან, ცხადია, მეტაფორისტიკას ცოტა ხნით განზე თუ გადავდებთ. დასკვნაც იგივეა, წინათქმულს არალოგიკურად რომ ებმის, არსაიდან რომ არ გამომდინარეობს — „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა"... — „ცხოვრება ვცადოთ, ქარი ადგა, ნუ ვზრახავთ ნურას"...

ქარგა კი ზუსტად ის არის, ყოველი დაკრძალვის შემდეგ რომ მოისმენ: — რას იზამ, ეს ყოფილა კაცის ცხოვრება... ვჭამთ, ვსვამთ, არ ივსება ჩვენი გასახეთქი მუცელი... ვწვალობთ, ვწვალობთ და ბოლოს არაფერი... ოთხი ფიცარი...

დასკვნაც შესაბამისია: — მაგრამ, ეჰ, სანამ ვართ, ვიყოთ... შეფასებებზე არ ვდავობ, ფილოსოფიურს რაზე ეძახიან, ეგ მიკვირს. არც პოეტური დიდაქტიკა და აფორიზმებია ფილოსოფიის სიახლოვეს, თუკი მაგასაც ლირიკად მივიჩნევთ.

* * *

დემნა შენგელაია შესანიშნავი მოქართულეა, გამჭრიახი თვალი აქვს, სიტყვისა და რიტმის იშვიათი გრძნობა, პოეტური ალღო. არადა, მისი პოპულარობა ლიტერატურულ წრეებს დიდადაც არ გასცდენია. ამბობენ, რომ უცხოელ მწერლებს ხშირ-ხშირად ესესხებოდა, მაგრამ ეგ არ იყო მიზეზი.

მიზეზი მისი უცნაური მონაცემი იყო, მთხრობელისათვის ერთობ წამგებიანი: სტატიკაში ძალიან კარგად წერდა, დინამიკაში კი... არ მინდა მკვეთრი ეპითეტი ვიხმარო... ნაკლებ დამაჯერებლად.

* * *

ჩვენს ახალ ლიტერატურაში იდეალური ეროვნული გმირის დახატვის ორად ორი ცდა ვიცი, — არსენა მარაბდელი და დათა თუთაშხია. ორივე ყაჩაღია.

კარგად რომ დაფიქრდები, მიხვდები, — სხვა არჩევანი არ არსებობს. დაპყრობილ ქვეყანაში თუ საზოგადოების წევრი ხარ, რაღაც ფორმით დამპყრობელს ემსახურები, სიყალბეში ფეხი გიდგას. რჩება ყაჩაღი და განდეგილი. განდეგილი დინამიკურ სიუჟეტს ძნელად გაპოვნინებს.

* * *

კეთილშობილი ყაჩაღის სახე ბევრგან გვხვდება, მაგრამ კავკასია სულ სხვაა. კავკასიაში ქურდი და ყაჩაღი ვაჟკაცის სინონიმია. ამბობენ, რომ სამეგრელოში მხოლოდ ცხენის ქურდობა ითვლებოდა სასახელო საქმედ.

ჰმ... როგორ გითხრათ... ცხენი ცხენად, მაგრამ არც ცხვარ-ძროხა იყო არასავაჟკაცოდ მიჩნეული. ფული და ოქროულობა თუ ვინმეს ებადა, ნიმბით შეიმოსებოდი.

მაინცდამაინც სამეგრელოზე არ ვამბობ, მთელი კავკასიის ამბავია, ამიერის და იმიერის. ზის მოხუცი მურზაყანი,

ცხოვრებაგამოვლილი კაცის კვალობაზე გვმოძღვრავს პატარებს, მე და ჩემს თანატოლ კირილეს. — რა საქმესაც მოეკიდები, — ამბობს, — უნდა გულით მოეკიდო. — მერე ნეკათითს კეცავს, ჩამოთვლას იწყებს, — თუ ქურდი ხარ, უნდა სახელიანი ქურდი იყო...

მე და კირილე სიცილით ვაწყდებით ერთმანეთს, — რალა მაინცდამაინც ქურდით დაიწყო!

მოხუც მურზაყანს უკვირს. ვერ ხვდება, რა გვიხარია. ადათის კაცია, კავკასიური ტრადიციების დამჭერი.

* * *

არსებობს „კონკრეტული პოეზია". დიდი ხანია არსებობს. ავტორი შვიდჯერ თუ ცხრაჯერ ჩამოწერს სიტყვას „არა" (შემხვედრია), ანდა სიტყვას „ესკალატორი" (ჯერ არ შემხვედრია), სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტით.

კარგი, შევთანხმდით რომ ეს პოეზიაა. მაგრამ ნაწარმოებს რა უნდა ვუწოდოთ?

შემოქმედების პროდუქტი? ავტორი თვითონაც არ მიიჩნევს, რომ ეს ლექსია. ადგა და მარტივად „ტექსტი" დაარქვა. ავტორი წერს ბელეტრისტიკულ ნაწარმოებს, სადაც არ არის არაფერი, რაც ოდნავ მაინც თხრობას მოგვაგონებდეს. ალებულია ათი ან თორმეტი ანდა, ვთქვათ, ოცდაერთი სასაუბრო ფრაზა და მათი კომბინაციებით ივსება ოცდახუთი, ორმოცდაათი, ორასი გვერდი.

ავტორი არ მიიჩნევს, რომ ეს არის მოთხრობა ან რომანი. ეს არის „ტექსტი". აქედან აკრიფა ძალა მაგ სიტყვამ, დღეს რომ ყველაფერს მოედო. „პეტერბურგი, როგორც ტექსტი", „პირამიდები, როგორც ტექსტი". ყველაფერი, რაც კაცის ტვინში იბეჭდება, თავისებურად, მართლაც, ტექსტია. ტექსტია და ტექსტი იყოს. ვთქვათ და რა? ტექსტია ჩიტის ნაფეხურებიც და „დავითიანიც" ტექსტია. რატომაც არა. მე ჩიტის ნაფეხურებიც ძალიან მომწონს. თოვლში განსაკუთრებით. მაგრამ ყოველივე ეს უფრო იმისთვის ხომ არ ხდება, რომ „დავითიანიც" ჩიტის ნაფეხურებად იქცეს, ფასი დაკარგოს?

* * *

ლიტერატურის ყველა ჟანრში ექსპერიმენტები მოგვიმრავლდა. კარგია ეს თუ ცუდია? არ ვიცი. აკაკი ბაქრაძემ მითხრა ერთხელ, თეატრის დირექტორად ყოფნისას:

— ექსპერიმენტებს წინაც არ ველობები, მაგრამ, სიმართლე გითხრა, არც გულზე მახატია. ჩვენში ექსპერიმენტი უცხოურის უთავბოლო მიბაძვას ჰქვია. ესმოდეთ მაინც, რა რისთვის კეთდება. ვიცი, რეტროგრადად მაცხადებენ, მლანძლავენ.

კეთილად იცინოდა, როგორც სჩვეოდა. არ ბრაზობდა...

* * *

ქართული გრამატიკული ნორმების მიმართ მაქვს რამდენიმე, ვფიქრობ, არცთუ უსაფუძვლო პრეტენზია. მათ შორის უმთავრესია მესამე ობიექტური პირის ნიშანი.

ეს ნიშანი დიდი ხნის მკვდარია. ათიოდე ზმნაა, სადაც მას ასე თუ ისე აქვს რაღაც ფუნქცია. სრულებით არაფერს ცვლის, დაიწერება „ჩანს" თუ „სჩანს". მხოლოდ ჩუქურთმაა და შესაბამისი სტატუსი უნდა მიენიჭოს, ანუ ამნისტია უნდა გამოვუცხადოთ. ზმნა გამუდმებით ერთი სერიიდან მეორეშია გადასამგზავრებელი, რომ ბოლოს რამდენიმე გრამატიკოსის მიერ სწორად მიჩნეული ფორმა რწყილივით დაიჭირო. ყველამ არ ვიცით ეს სერიები, ვინც ვიცით, დიდადაც ვერ გვაზღვევს. წესის მიხედვით, მაგალითად, უნდა ითქვას — „შეთქმულება გაცა, მამულები გაცა". ხალხს წერილის დაწერა ერცხვინება, აბიტურიენტები შიშით ცახცახებენ.

სვანურში პირის ეს ნიშანი დღესაც ცოცხალია და ხუთი წლის ბავშვს არ ეშლება. რაც მკვდარია, მკვდარია, ვერ გავაცოცხლებთ, რამდენიც უნდა ვიგრამატიკოკობზიკოსოთ.

სულ ვაპირებდი, ესა და სხვა მსგავსი საკითხები ვრცლად ჩამომეწერა, მაგრამ ქალბატონმა რუსუდან ზექალაშვილმა დამასწრო. თავის შესანიშნავ სტატიაში თითქმის ყველა მტკივნეული საკითხი ზუსტად მიმოიხილა.

რამდენადაც ვიცი, არავინ გამოხმაურებია.

ყურიც რომ შეებერტყათ!

* * *

ამ ჩანაწერს, სავსებით შესაძლებელია, „მივიწყებული ვერსია" ეწოდოს. ისე, მთლად ჩანაწერადაც არ ითქმის, შეკუმშული გადმონათხობია. სინოპტიკური სახარებები ჩვეული თანაზომიერებით ჰყვებიან საიდუმლო სერობის ამბავს. დიდხანს მხოლოდ იოანე ყოვნდება, წიგნის თითქმის მეხუთედს უთმობს.

ჰყვება დაწვრილებით და რამდენადმე სხვაგვარად. მეოთხე საუკუნის კაპადოკიელი ბერი, ზოსიმე განდრეკილი, მიიჩნევდა, რომ იოანემ რაღაც ისეთი იცის, რაც სხვა მახარებლებმა არ იციან. იცის, მაგრამ ვერ ამხელს.

— ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე, — ამბობს საიდუმლო სერობაზე მაცხოვარი... ყველანი შეძრწუნდებიან.

ინახად სხედან ანუ სუფრის გარშემო არიან შემოწოლილები, იოანეს თავი მაცხოვრის მკერდზე მიუყრდნია. პეტრე თვალით ანიშნებს იოანეს: „ჰკითხე"! და იოანე შემკრთალი ეკითხება: „ვინ, უფალო"?

იოანეს სახარებაში იესოს პასუხი ასეთია: „ის, ვისაც ახლა პურს მივაწვდი". სინოპტიკური სახარებები იესოს პასუხს განსხვავებულად ჰყვებიან: „ვისაც ახლა ხელი ჩემთან ერთად გობში აქვს ჩაყოფილი". პურის მიწოდება აშკარად უფრო აქტიური ქმედებაა. ზოსიმე კაპადოკიელის ვერსიაში, რომელსაც მივყვებით, ამას არცთუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება.

— წადი და დროით ქმენ, რაც საქმნელი გაქვს, — ეუბნება მაცხოვარი იუდას. იუდა მიდის.

და იყო ღამე, წერს იოანე.

ყველაფერი გასაგები და ნათელია. მაგრამ თურმე არა. სინამდვილეში, იუდასა და იოანეს მეტმა, ვერავინ ვერაფერი გაიგო. ჯერ იყო და იუდა მოისაკლისეს: „სად წავიდა"? მერე კი, როცა მაცხოვარი იქაობის მიტოვებასა და წასვლაზე ალაპარაკდება, ეჭვადაც ვერ მიმხვდარან, სად მიდის.

„სად, უფალო"? „სად, უფალო"? „სად, უფალო"?

„მეც შენთან ერთად წამოვალ, უფალო", ეუბნება პეტრე. „მე საცა მივდივარ, შენ იქ ჯერჯერობით ვერ წამოხვალ", მიუგებს იესო. პეტრე მაინც არ ცხრება, — „სულს დავდებ შენთვის"! და მაშინ იყო, იესომ რომ იფეთქა: „სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეტყვი, მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე"!

ერთგულებას უმტკიცებს, დროც უპოვია სამაგისოდ! მაშინ როდესაც ის სხვა... მაგრამ ჯერ განვაგრძოთ.

მოკლედ, ვერავინ ვერაფერს მიმხვდარა. მაშ ასე რად შეძრწუნდნენ? ხმის, ჟესტის, მიმიკის სიმძიმით იგრძნეს,

გვეუბნება ზოსიმე განდრეკილი, რომ რაღაცა ძალზე მნიშვნელოვანი ითქვა. მისი კომენტარის მიხედვით, პეტრემ იოანეს სულ სხვა რამ ანიშნა — „რა თქვა?" იოანე კი ვერ მიხვდა, რომ პეტრე ვერაფერს მიხვდა, და მოძღვარს ის ჰკითხა, რისი კითხვაც მართებული იყო.

ზოსიმე განდრეკილი აქ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის და აცხადებს, რომ ჩასწვდა, რასაც იოანე, სერობის ამბავთან შეყოვნებული, იდუმალ მიგვანიშნებს.

— ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე, — ამბობს იესო.

ზოსიმე კაპადოკიელი მოულოდნელ ლინგვისტურ ნიაღსვლას აკეთებს და ასკვნის, რომ ამ სიტყვებს ორმაგი გაგება აქვთ და რომ მეორე გაგება აქ გადამწყვეტია:

— ერთ-ერთმა თქვენგანმა უნდა გამცეს მე.

რადგან ცათა შინა ეს მისტერია უკვე აღსრულებულია და ახლა ქვეყანასა ზედა უნდა აღსრულდეს.

არჩევანი მხოლოდ იმათ შორის გაკეთდება, ვინც მიხვდა. ახსნა-განმარტების მიცემა აქ გამორიცხულია. ყველაფერი უნდა უსიტყვოდ იქმნას.

„ნუთუ მე, უფალო"? „ნუთუ მე, უფალო"? შეძრწუნებული ფიქრობს ერთიცა და მეორეც.

ერთიცა და მეორეც? თუ მხოლოდ ერთი მათგანი? ზოსიმე განდრეკილს ეჭვი აქვს, რომ იოანე უფრო მოგვიანებით ჩასწვდა ნათქვამის არსს. აკი იმწამს ჯერ კიდევ არ იცის, რომ ის დანარჩენები ვერაფერს მიხვდნენ და საიდუმლოს მფლობელია, სამი დღეცა და, ცოცხალთაგან ერთადერთი მფლობელი.

...და იყო ღამე, წერს იოანე, მაგრამ სერობის ამბავს ვერა და ვერ ეშვება.

ზოსიმე განდრეკილს აქვს კიდევ ერთი არგუმენტი, რომელზეც განსაკუთრებულ იმედს ამყარებს: იუდას კოცნა.

სინოპტიკური სახარებები მოგვითხრობენ, რომ იესოს შესაპყრობად მისულებს მაცხოვარი, როგორც ეს წინასწარ იყო შეთანხმებული, გამცემლის მიამბორებით უნდა ეცნოთ. იოანე საერთოდ გვერდს უვლის ამ ამბავს. მის ნაწერში ასეთი დიალოგი იმართება: „ვის ეძებთ"? „იესო ნაზარეველს". „იესო ნაზარეველი მე ვარ". და კიდევ: „მე ვარ იესო ნაზარეველი", იმეორებს. მაგ შემთხვევაში კოცნა, მართლაცდა, რაღა საჭიროა?

იოანე კოცნაზე სიტყვას არ ძრავს. რადგან მან იცის, ამბობს ზოსიმე განდრეკილი, რომ საკოცნელად იესო გადაიხარა. ამ კაცმა მას არა მხოლოდ ხორცი, სულიც შესწირა.

კაპადოკიის მღვდელმთავარმა განკვეთა ზოსიმე განდრეკილი, მაგრამ მძიმე მონანიების შემდეგ ეკლესიის წიაღში მაინც დააბრუნა. მისი ერესი ღვთისგმობად არ შეურაცხავს, რადგან არც ერთ საეკლესიო დოგმას არ ბღალავდა. მცირე წიგნი დაწერა, სადაც შეცთომილის ყველა არგუმენტი ნაცარტუტად აქცია. აქ მხოლოდ მის ერთ მსჯელობას დავიმოწმებ, რომელიც სხვებზე ორიგინალური მეჩვენა.

„საბრალობელო ზოსიმევ, ყველაფერი მართლაც ისე რომ მომხდარიყო, როგორც შენს უმნიფარ ჭკუა-გონებას მოსჩვენებია, გგონია, მაგით რამე შეიცვალა? უფალი ისეთს არაფერს დაგვავალებს, რისი შემძლენიც არა ვართ. რაკი ღალატი დაავალა, ღალატის შემძლე იყო, და რაკი ღალატის შემძლე იყო, მის სულში ეშმაკი ესახლა".

არადა, კომენტატორი წერს, რომ ეკლესიის დიდმა მამებმა ეგ საიდუმლო იმთავითვე იცოდნენ. მაგრამ თქმა არ ეგებოდა. მიზეზებსაც ჩამოთვლის, თუ რატომ.

ელგუჯა თავბერიძე

# იდეალი?!
# ხა, ხა, ხა, ხა!!

აკაკის ერთ-ერთი „ცხელ-ცხელი ამბები" „დროებაში" 1876 წლის 7 ივლისს დაიბეჭდა. მასში ჩართული მეორე ლექსის პირველი სტრიქონია — დიდხანს ვძებნე იდეალი, რომელსაც ზოგიერთ ხელნაწერში „სიცილი" და "სიცილის ლექსი" ჰქვია, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა, თუ ვის შეიძლება ეძლვნებოდეს და რა მოვლენა უნდა არეკლილიყო „ცხელ-ცხელ ამბებსა" და აქედან გამომდინარე ამ პოეტურ თხზულებაში.

აკაკის ნებისმიერი პუბლიცისტური წერილი ფრთიანი ფრაზით იწყება, ისეთით, ხელს რომ ჩაგჭიდებს, დაგაინტერესებს, ბოლომდე წაგაკითხებს თავს. ხშირად ფრთიანი ფრაზა ანდაზაა, რომელიც ძირითადი სათქმელის შინაარსსაც იტევს და პრელუდიის აზრობრივ სივრცესაც. ამ „ცხელ-ცხელი ამბების" დასაწყისშიც ანდაზაა მოხმობილი, მაგრამ სხვა შემთხვევებისგან იმით განსხვავებული, რომ თათრული ანდაზა თათრულივე ენაზეა და მერე მოადევნებს პოეტი მის ქართულ შესატყვისს, სხვა დროს პირდაპირ იტყოდა, ასეთი და ასეთი თათრული ანდაზააო, და გააგრძელებდა სათქმელს.

ანდაზის წაკითხვის მერე ორნაირი განწყობილება შეიძლება გაუჩნდეს კაცს. პირველი— არ უნდა აკეთებდეს მწერალი ამას შემთხვევით. საფიქრალია, ანდაზის ხმოვანებაში მჟღავნდებოდა მაშინდელ ქართველთათვის რაღაც ისეთი, რაზეც და ვისზეც იყო ლაპარაკი, და მეორე, ანდაზის თათრული ვარიანტი ენას მოგტეხს, „ბუტჰუნ დუნია მუჯიზალარ ილე დოლუდურ". თითქოს პუტუნი და ბუთჰუნი შეიძლება ხმოვანებით ერთმანეთს მიადარო და თავი ამით დაიმშვიდო, მაგრამ კონკრეტულად მაინც ვერავისზე და ვერაფერზე აიღებ გუმანს.

მთელი ქვეყანა საკვირველებითაა სავსეო, — ასეთი ყოფილა „ბუთჰუნ დუნია მუჯიზალარ ილე დოლუდურ" — ქართულად. საკვირველებისა რა მოგახსენოთ, ახირებულობით კი მართლაც სავსეა დუნიაო, — გვეუბნება აკაკი. საკვირველებას და ახირებულობას შემთხვევით არ აწყვილებს. მოთხრობილი ამბავი ახირებული კაცისგანაც საკვირველია და განსაცვიფრებელი.

საკვირველებისა და ახირებულობის ნიმუშად ქართველ სტუდენტთა და განათლებულთა ყოფა მიაჩნია. სვამს კითხვას — რა არის მიზეზი, რომ უცხოეთში სასწავლებლად წასულები, იქ სიცივით რომ ბაბანებენ, გული სითბოთი უხურთ, მამულზე ოხრავენ, დაბრუნდებიან, გარედან სიცხე მოუჭერთ, შიგნით ნესვივით გაგრილდებიან და ავიწყდებათ წინანდელი ოხვრანი და განზრახვები.

საზოგადო კანონია თუ კერძო?! საზოგადო ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ჩვენში საზოგადოდ ჩანს ამნაირი ვითარება, იქ გულზე ხელს იბრაგუნებენ, აქ გულზე ხელებდაწყობილი დაიარებიან — გვეუბნება მგოსანი და რჩევა-დარიგებას აძლევს მკითხველს:

ვინც იქ ყვირის, აქ იმის იმედი არ უნდა გვქონდესო, და აი, რატომ — ადამიანთა უმეტესობა ცხვარივით სხვას მიჰ-

ყვება, თვითონ ვერ მოქმედებს, სხვითაა გატაცებული და მისდევს მას, ის სხვა იქ, სადაც სუსხი და სიცივეა, ბლომადაა, ჩამოდიან ეს სხვებით გატაცებულნი საქართველოში და უმრავლესობა ძველი აზრებით შეპყრობილი ადამიანები ხვდებიან და ისინიც მათკენ მიიზიდებიან, იმათ კვალში ჩამდგარნი, ახლა ამათ კვალში დგებიან, მაშინ, ჩრდილოეთში მყოფნი, ქვეყანას რაღაცას რგებდნენ, ახლა ქვეყანაც ზარალობს და კაციც, რამეთუ ერთი რომ ვილაცის ფეხის ხმას აჰყვება, მეორეც მას მიბაძავს. მოკლედ, იქაც, აქაც უმრავლესობას ჩადგომოდნენ კვალში.

აკაკი ამ წერილში ახსენებს ერთ ფრაზას, რომელიც ქართველთა გენეტიკურ თვისებად შეიძლება მიიჩნიო: ჰოი, მამულო დალუპულოს პატრიოტობას მივეჩვიეო, — მართლაც და, თქმით და დაქადნებით, სიტყვით ბევრნი გაჰყვიროდნენ (გაჰყვირიან) მამულის დალუპვაზე, ქართველთა გადაგვარებაზე, საქმე საქმეზე მიდგებოდა (მიდგება) და ძველი აზრებით გატაცებულებს აედევნებოდნენ (აედევნებიან).

ჩ რ დ ი ლ ო ე თ შ ი მყოფი ახალგაზრდების ყვირილით ნათქვამს, რომ გავიგონებ, ანუ მათებურ ჰოი, მამულო დალუპულოს პატრიოტობას მოვისმენ, გულსევდიანად ავლილინდებიო — გვეუბნება და ამ გულსევდიან სიმღერასაც ამცნობს მკითხველს.



*დავით, გიორგი, ანეტა, სიმონ და ნიკო ღოღობერიძეები*

**მალე გნახავ შენ ლიახვო,**
**გეხვეოდეს კოლოები!**
**შიგ ბიჭები ბანაობდენ**
**და ტიტველა გოგოები.**

არ ვიცი, ხალხურია თუ აკაკისაა ეს ლექსი. ლიახვი დამდორდება, დადგება, საკოლოე გუბედ იქცევა, შიგ ბიჭები და გოგოები დაიწყებენ ბანაობას, ლოდიდან ლოდზე მსწრაფლად მოღრიალე მდინარეში ბანაობა ძნელიცაა და არასასურველიც. ჩრდილოეთში, — ღრიალა, აქ დაგუბებულ მდინარეს ჰგავდა ქართველ სტუდენტთა ყოფიერება.

და კიდევ: იშვიათია აკაკის წერილი, სადაც რაიმეს გამოთვლა მომხდარიყოს, მკითხველის დასარწმუნებლად ავტორს რიცხვებისათვის მიემართოს. აქ ერთგვარ გამოანგარიშებას ახდენს, ასიდან რა რაოდენობა როგორი იქნებაო, — სვამს კითხვას და პასუხობს: ასიდან ათი სულ უხეირო, უმნიშვნელო და გლახაკია, ოცი-მავნებელი, ხუთი კარგი და ქვეყნისათვის გამოსადეგი, დარჩენილი სამოცდახუთი „იქეთ-აქეთ", არც ავია, არც კარგი. სავალალო ყოფიდან გამოსავალსაც სახავს. სამოცდახუთს უნდა ჩავავლოთ ყურში ხელი, მაგრამ ეს ნაწილი ადამიანებისა ყოველთვის უმრავლესობას მიელტვიან და, რადგან ასეთი ოცი ანუ ის ნაწილია, რომელიც მავნებელია, სამოცდახუთიც მათ ეტმასნება და ვლებულობთ ოთხმოცდახუთსო.

გამოდის, მთელი საზოგადოების ამოდენა ნაწილი მამულისთვის სავნოს მდომი და მკეთებელი ყოფილა. მაგრამ ესაა რიცხობრივი გამოხატულება სინამდვილისა, ის, რაც რიცხვით არ გამოითქმის, ზნეობრივი ძალაა, ძალა, რომელსაც ათასების მიმხრობა შეუძლია.

რიცხობრივ დაყოფას ასეთ შეგონებას მოადევნებს: ზნეობითი ძალა ლობიოს შეჭამანდი არაა, უცებ ამოლესო და შესვლიპო, მისი თესლი გვიან ამოდის, მაგრამ ამოდის. ოპოზიცია, როგორც სათვალავი, ერთით იწყება, მერე ათასებად იქცევა.

მკითხველს ანუგეშებს: იქნებ იფიქრო, ასიდან ხუთი თუ ზრუნავს ქვეყანაზე, დალუპული ყოფილა საქმეო, უნდა ვირწმუნოთ, ხუთი მალე ათად იქცევა, ათი ოცად და ასე შემდეგო.

უკვე მივადექით „ცხელ-ცხელი ამბების" ჩვენთვის საინტერესო ადგილს.

ახალთაობაში განხეთქილება მოხდა, რაც ბევრს აწუხებს, მაგრამ პირიქით, ეს კარგიაო, — გვეუბნება.

ასი კაციდან ხუთი ყოფილა მამულის გულშემატკივარი და ის ხუთიც თუ დაცალკევდა, დანაწილ-ნაწილდა, რატომ უნდა ყოფილიყო კარგი, ჯერ ისიც რა იყო და დანიაწებული რაღა იქნებოდა?!

ყველას, ვინც ახალგაზრდა იყო, საზოგადოება ახალთაობელად რაცხდა, არადა, მათში ბევრი იყვნენ ისეთები, რომლებიც სულ არ ეთანხმებოდნენ მამულზე დამწუხრებულთა სურვილებსა და მისწრაფებებს:

„დღეს კი, როდესაც ეს ახალთაობაც რამდენიმე ბანაკად გაიყო, რასაკვირველია, ისინი ერთმანეთს მოხდიან პირბადეს და თვითეულ მათგანს გამოააშკარავებენ".

რა განხეთქილებას გულისხმობს?!. ვის ვისთვის უნდა ჩამოეხსნა პირბადე და გამოეაშკარავებინა?

მაინც რა მოხდა ისეთი, 1876 წელს ან მანამდე რამდენიმე წლით ადრე, რომ ახალთაობელნი დაიყვნენ და სხვადასხვა ბანაკად დაიშალნენ?!

თვალშისაცემი არაფერი მომხდარა. აბა, აკაკი რას გულისხმობს და რა დაყოფა-დანაწევრებაზე ლაპარაკობს?!.

„ცხელ-ცხელ ამბებში" გამოხატული გულისტკივილის გასაღები იმავე წელს, იმავე თვეში, უფრო ზუსტად, სამი დღით ადრე, 4 ივლისს, ისევ „დროებაში" დაბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის წერილი „უმიზნო პარტიობა" გვგონია.

1876 წელი თავადაზნაურთა წინამძღოლების არჩევნების წელი იყო. სწორედ ამ ამბებს ეხება ნიკო ნიკოლაძე და

ააშკარავებს ძმები ღოღობერიძეების პოზიციას, რომლებიც ახლა უკვე ალმა მიუყვებოდნენ რიონს.

ნესტორ წერეთელი კარგი მარშალი იყო თუ ცუდი, სასარგებლო თუ სავნო, საზოგადო თუ საპირადო საქმეებს აკეთებდა, ეს არ გახლდათ მთავარი, დიდი ნიკო ააშკარავებდა გიორგისა და მისი ძმების პოზიციას, თორმეტი წლის წინათ დასანახავად რომ ვერ იტანდნენ ამ კაცს და ახალთაობის სახელით ებრძოდნენ, ახლა რა მეტამორფოზა განიცადაო.

არც ნესტორი, არც ალექსანდრე, არც თეიმურაზი იკლავდნენ საქვეყნოსთვის თავს. ისინი, ერთდროულად, გამოსადეგნიც და გამოუდეგარნიც იყვნენ, თუ საზოგადო რაიმეს გავაკეთებინებდით, მათთან ერთად გავივლიდით რამდენიმე ნაბიჯს, თუ არადა, დავშორდებოდით, — წერდა ნიკო.

საინტერესო მოსაზრებაა: ერთიც, მეორეც, მესამეც თითქმის ერთნაირნი იყვნენ, მოიმოქმედებდნენ სასიკეთოს, ახალთაობელნი მხარს დაუჭერდნენ, თუ არადა, ისინი თავისი, ესენი კიდევ თავისი გზით წავიდოდნენ.

ხანდახან შეიყრებოდნენ. იშვიათი იყო ეს შეხვედრა, მაგრამ იყო.

არც ნესტორი და ნესტორამდელი მარშლები ეგუებოდნენ ამათ, არც ესენი იმათ.

ღოღობერიძეები ადრე მოღალატედ და მტრად აცხადებდნენ ნესტორთან ახლოს მდგომ ყველა კაცს.

ესენი დაუახლოვდებოდნენ, დაშორდებოდნენ იმისდა მიხედვით, რამდენად საზოგადო საქმეს აკეთებდნენ. ღოღობერიძეები ლანძღავდნენ, ქვეყნის დამაქცევარი კაცის გვერდით რად დგახართო.

ჰოდა, ნესტორ წერეთელი ადრე ქვეყანას აქცევდა, ახლა რატომ იქცა ნამდვილ სამარშლო კაცად, გუშინწინ ცუდი, გუშინ რამ შეცვალა, თუ პატიოსანი ხალხი ხართ, ამიხსენით?! — ეკითხებოდა ღოღობერიძეებს.

ან ადრე ტყუოდით, ან ახლა, ან ადრე ღალატობდით საქვეყნო საქმეს, ან ახლაო;

ღოღობერიძეებს ბუზს ადარებდა, კოფოზე შემომჯდარი, მისი ჭკუით, კამეჩს ურმის ზიდვაში რომ ეხმარებოდა. გიორგი და მისი ძმებიც, თუ დაინახავდნენ, რომ ვინმე გაიმარჯვებს, მის წინ დაიწყებდნენ ბზუილს, ფრენას, ფრთების ფათქუნს, ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, ჩვენ რომ არა, ვერ გაიმარჯვებდიო.

ნიკო ნიკოლაძეს ამის მიზეზად ძმათა ღოღობერიძეთა სისუსტე, ნაკლები ავტორიტეტი მიაჩნდა. ამნაირები ვილაცას უნდა მიეტმასნონ, იმის დაკრულს აუწყონ ფეხი, დაინახეს, ნესტორი გაიმარჯვებდა, იმწამსვე შეურიგდნენ თორმეტი წლის მტერს.

კიდევ ერთი საგულისხმო შედარება ნიკო ნიკოლაძისა:

აკაკი წერეთელზე მოძულებული მტერი არავინ ჰყავთ ღოღობერიძეებსო, — წერდა. მართლაც ასე იყო. აკაკი ვერც ღოღობერიძეებს, ვერც მოგვარე ნესტორს იტანდა, რამეთუ არცერთი, არც მეორე იყო გაჩენილი საზოგადო საქმეების საკეთებლად.

აკაკის მარშლად ირჩევენ, რომ ვინმემ თქვას, ღოღობერიძეები არ დაიჯერებენო,— ამბობდა ნიკო, რამეთუ ასეთი მიამიტები არ არიან, იციან, აკაკისთვის მარშლობა და მითუმეტეს, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისათვის დაქვემდებარება, ქვეყნის ღალატს ნიშნავს და მეტს არაფერს, მაგრამ სავსებით შეიძლება ირწმუნონ, აკაკის ბანკის მმართველად ირჩევენო. ჰოდა, თუ ირწმუნებენ, ბესარიონ ღოღობერიძეს მიწას მიაყრიან, დედამიწაზე მომხდარ ყველა უბედურებას მას დააბრალებენ, გალანძღავენ, გათათხავენ და აკაკის ჩაეხუტებიან, მის წინ დაიწყებენ გუნდრუკის კმევას.

მტერი არა ჰყავთ, არც მოყვარე, მათთვის გამარჯვების პოტენციის მატარებელი კაცი მოყვარეა, დამარცხებისა — მტერი.

ესენი დაუახლოვდებოდნენ, დაშორდებოდნენ იმისდა მიხედვით, რამდენად საზოგადო საქმეს აკეთებდნენ. ღოღობერიძეები ლანძღავდნენ, ქვეყნის დამაქცევარი კაცის გვერდით რად დგახართო.

ეშინიათ დამარცხების, რადგან რაიმე პრინციპს კი არ ერთგულებენ (ასეთი კაცი დასაფასებელი იყო ნიკოსთვის), არამედ იმათ, ვინც უნდა გაიმარჯვოს.

ნესტორი ღოღობერიძეთა დახმარების გარეშეც გაიმარჯვებდა, მაგრამ იმათ ხომ უნდოდათ გამარჯვებულის გვერდით მდგარიყვნენ, რაღაცას გამორჩენოდნენ, სათავისოდ განეწყოთ. ამიტომ კიცხავდნენ იმათ, ვინც არ იყო ნესტორიანელი.

ნესტორი იმარჯვებდა და იმარჯვებდა.

„ცხელ-ცხელ ამბებში" ჩართული ფეიქრის არაკშიც გიორგი ღოღობერიძე იგულისხმება. ორნი ძმანი იყვნენ. ერთი — ფეიქარი, მეორე — ქურდი. პირველს ძლივს გაჰქონდა თავი, მეორე მდიდრულად ცხოვრობდა.

შესჩივლა ფეიქარს ცოლმა.

— სჯობს ფეიქრობას შეეშვა, ძმასავით ქურდობა დაიწყო, ხომ ხედავ, როგორ გამდიდრდა და გალაღდაო.

— არა, ჩემო ცოლო, ქურდობა ცუდი საქმეა, ადრე თუ გვიან გამჟღავნდება, ვის შერჩენია, მე რომ შემრჩეს — დაღუნა თავი და დაწყებული საქმე გააგრძელა.

ცოლმა ერთი-ორი დღე ითმინა და ისევ შესჩივლა ქმარს:

— სტყუი, შენს ძმას უბატონოდ ხმას არავინ ცემს.

ფეიქარმა გააგდ-გამოაგდო მაქო და წაიღიღინა:

— ჯერ არ შეუტყვიათო, ჯერ არ შეუტყვიათო.

რამდენიმე დღის მერე ისევ დაიწუწუნა ცოლმა.

— ბალღები შიმშილით გვიკვდება, ჩემმა მაზლმა სიმდიდრე სად წაიღოს, არ იცის, ბატონი გახდა, ბატონი, მივალ ვეტყვი, გვერდით დაგიყენოს.

ფეიქარმა ისევ გააგდ-გამოაგდო მაქო და წაუმღერა:

— ჯერ არ შეუტყვიათო, ჯერ არ შეუტყვიათო.

მეორე დილას აქლოშინებული მივარდა ქმართან და კი არ უთხრა, დაუყვირა:

— მაზლი დაიჭირეს, სახლობა აიკლეს.

ფეიქარმა ისევ გააგდ-გამოაგდო მაქო და თავდახრილმა ჩაიმღერა:

— უკვე შეუტყვიათო, უკვე შეუტყვიათო.

ბუნებრივია, შემთხვევით არ იხსენებს აკაკი ამ არაკს. უნდა ვიფიქროთ, რაღაც მოხდა, ისეთი დამალული ამბავი გამჟღავნდა, რომელზეც ადრეც წინასწარმეტყველებდა.

დაფარულ-დამალულის გამჟღავნება გიორგი ღოღობერიძის განესტორიანელება იყო.

ის და ძმანი მისნი ჯერ მტრობდნენ, მერე გულში იხუტებოდნენ ნესტორსა და ნესტორიანელებს. ამას უნდა გულისხმობდეს დიდხანს იდეალის ძებნა და ცხოვრების სარკეში თვალთმაქცობის ჩასახვა:

**დიდხანს ვძებნე იდეალი.**
**მაგრამ არსად მონახა!**
**დღეს ავალე ყველას თვალი**
**და ვიცინი: ხა, ხა, ხა, ხა!**
**ჩემი ცხოვრების სარკეში**
**თვალთმაქცობა ჩაისახა!**
**რა იმედი! რის ნუგეში!**
**მეცინება: ხა, ხა, ხა, ხა!**

გიორგი ღოლობერიძის საქციელი მართლაც თვალთმაქცობა იყო. რუსეთიდან რომ დაბრუნდა, სამართლიანობის დასამკვიდრებლად, სიკეთის გასაბატონებლად, ძველის გასახლებლად უნდა ვიბრძოლოო, მაგრამ „გადუბრუნდა გული, სასაცილოდ ხა, ხა, ხა, ხა!“

მომდევნო სტროფი უფრო მეტად გვაფიქრებინებს, რომ ეს ლექსი გიორგი ღოლობერიძეს ეძღვნება:

**მოიშალა რა ფაფხური**
**ცხოვრება რომ შეილახა,**
**მტერს დაუწყო სამსახური**
**და შემსცინის: ხა, ხა, ხა, ხა!**

ყველაფერში უცნაური კაცი იყო გიორგი ღოლობერიძე, — წერენ თანამედროვენი,- იმის გარდა ულვაშს არავინ იპარსავდაო.

შალვა დადიანს აკაკის „ბუტიაობა“ დაუდგამს და სცენაზე ქმარი ულვაშოდ გამოუყვანია. როცა მსახიობს უთქვამს, შემირცხვეს ულვაშიო, — დაუხედავს და არ ჰქონდა, ამტყდარა ხარხარი, აკაკისაც ბევრი უცინია. შალვასთვის უთქვამს: ულვაშო კაცმა, მაგალითად, გიორგი ღოლობერიძემაც, შეიძლება ილაპარაკოს ულვაშის შეურცხვენლობაზეო.

ულვაშო გიორგი ჯერ მტრობდა, მერე მეგობრობდა წვერულვაშიან ნესტორ წერეთელს.

ბარემ სერგეი მესხისეული დახასიათებაც გავიხსენოთ გიორგი ღოლობერიძისა და მისი ძმისა. იმ სტატიას „ხელით ნაწერი პორტრეტები“ ჰქვია. ხელით ნაწერიცაა, ნაძერწიც, მიზანში მოხვედრილი, ალიკვალი ნამდვილისა.

ახალგაზრდათა პარტიის მოთავე გახდა ჩამოსვლისთანავე, იმ პარტიას იმერეთში წვეროსნებს ეძახიან, ამის სახეზე წვერულვაში არავის უნახავსო.

ქოსა არ იყო, იპარსავდა.

— ჩამრგვალებული, ჩასქელებული, ხმა ჩაწვრილებული, ჩადისკანტებული, მუდამ თვალებს აპაჭუნებს, ფართო, ერთნახევარი შუბლი და ნახევარი ცხვირი. მიხვრამოხვრით ქენტიმენი, ხასიათით და გარეგანი შეხედულებით სიმპათიური კაცი.

ქალებს ძალიან მოსწონთო, ალბათ იმათი სიმპათიაც დაეხმარებოდა ნესტორის მომხრეების მოძებნაში: ცოლები ქმრებს აიძულებდნენ, გასათხოვრები სასიძოებს დაითანხმებდნენ.

ნიკო ნიკოლაძე იგონებს: დასავლეთ საქართველოში პირველად მამაჩემმა შემოიტანა გემით საქონელიო, გიორგიზე ამბობდნენ, პერანგებს ოდესაში გზავნის გასარეცხადო. იმას, ნაღდად ვიცით, გემით შემოჰქონდა, ამას, საფიქრალია გემით გაჰქონდა, იმას ახლები მოჰქონდა, ამას ნახმარი გასარეცხად მიჰქონდა.

ღმერთს ქალების კავალრად, სპექტაკლებისა და ბალების გასამართად გაუჩენია, ეს კიდევ პარტიის მეთაური გახდაო, მეთაური და თანაც იმერეთშიო, იმ მხარეში, რომელზეც ზედგამოჭრილია ნათქვამი: სოფელი ვენახ უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო.

პარტიის გამეთაურების მერე ერეოდა და ერეოდა მარშლის არჩევნებში, მოწინააღმდეგე რომც არ ყოფილიყო, გამოძებნიდა.

სამი წელი ძინავს, დაიწყება მარშლის არჩევნები და გამოიღვიძებს, — არ მალავდა ირონიას სერგეი მესხი.

ძინავს სამი წელი, გამოიღვიძებს არჩევნების დროს, მაგრამ ასე გამოღვიძებული არასდროს გვინახავსო — 1876 წლის არჩევნებზე ამბობდა პორტრეტების ავტორი, მოკლედ, ქვეტექსტით გიორგის განესტორიანელებას გულისხმობდა.

სამი წელი ძინავს, დაიწყება არჩევნები და არც დღე ძინავს, არც ღამე, დადის, უფრო დარბის, ფეხით, ფაეტონით, დაფართიფურობს, ფაცურობს, ეძებს, პოულობს, უპოვნელსაც აღმოაჩენს, სააზნაურო სახლს დღეში თხუთმეტჯერ შემოურბენს, თითქოს იქაც ვინმეს ეძებდეს, ღელავს, შფოთავს, ვერ ისვენებს.

ლაპარაკობს ცოტას და მღელვარებით, ხელების მტვრევით იტყვის ათ სიტყვასო.

ერთი მშობლებისაგან იშვიათად ნახავთ ისეთ განსხვავებულ შვილებს ნიკო და გიორგი რომაა: პირველი გულგახსნილია, მეორე — გულჩახვეული, ის — პირში მთქმელი, ეს თავის აზრის დამმარხველი, წვერგაპარსული, კეთილი და დარდიმანდი, წვეროსანი, — ეგოისტი, მეწვრილმანე, ერთი — ფანტაზიორი და მღელვარე, მეორე — ცოცხალი ძეგლი, ნერვი რომ არ აქვს საერთოდ, ან თუ აქვს, არ უთრთის.

გიორგი იცინის გულგახსნილად, მართალი სიცილით, ნიკო გაცინებული არავის უნახავს, სამაგიეროდ იღიმის, უღიმის იმას, ვინც უნდა გაიმარჯვოს. ორ სიტყვას არ გადააბამს ერთიმეორეს, სიტყვით არ გამოვა, გვერდით მდგომს ან მსხდომს შეაგულიანებს. გვერდით ყოველთვის გიორგი უზის, დააწყებინებს საუბარს, მერე გაჩერებას მოუნდომებს და საწყალ გიორგის კალთები სულ ჩამოხეული აქვსო.

გიორგი ქალებს უყვართ, ნიკო — არა; პირველი მომხრეებს არ ემდურის, მეორე ჩინ-მედლებით დაიმშვენებს მკერდსო.

გიორგიმ იპოვა იდეალი, მისი იდეალი ნიკოს იდეალადაც იქცა.

აკაკი ლექსის ბოლო ორ სტროფში ირონიასაც არაორაზროვნად ამჟღავნებს:

**ადრე დასცინოდა ტუზებს,**
**დღეს თვით დაულია ხახა,**
**და უსაქმოდ ჰყლაპავს ბუზებს**
**და იცინის: ხა, ხა, ხა, ხა!**
**კაცი იყოს, გინდა ქალი,**
**ჩვენში ყველა არის გლახა,**
**და რად ვსძებნოთ იდეალი?**
**სჯობს, ვიცინოთ: ხა, ხა, ხა, ხა!**

იმდენი დაწერა ღოლობერიძეებზე, ნესტორზე, არჩევნებზე, კონკრეტული ადრესატი არც ლექსში გამხილა, არც „ცხელ-ცხელ ამბებში“.

ისედაც ყველანი ხვდებოდნენ.

ჩვენ ვითომ რატომ ვერ უნდა მივხვედრილიყავით?!

ირმა რატიანი

# „ეძიებდე და ჰპოვებდე“



**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა გეშინია ხვალინდელი დღის.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ საქართველოში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— უფალთან თანხმობა.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— დონ კიხოტი, თავადი მიშკინი, თეიმურაზ ხევისთავი.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— რენუარი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— შოპენი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— პასუხისმგებლობის გრძნობას, გულწრფელობას, სამართლიანობას, კეთილშობილებას, ინტელექტს.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ერთგულებას, სათნოებას, ინტელექტს.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მიმზიდველი?**

— სიყვარული.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— კითხვა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ამაზე არასდროს მიფიქრია.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— მიზანდასახულობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— თანადგომის უნარს.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ხანდახან მეტისმეტად მომთხოვნი ვარ.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— როცა მშვიდად ხარ.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ახლობელი ადამიანის გასაჭირი, ქვეყნის გასაჭირი, იმ საქმის გასაჭირი, რომელსაც ვემსახურები.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ალბათ, მეტად დამთმენი და მიმტევებელი.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— მუქი მწვანე.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ვარდი.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბელურა.

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— გალაკტიონი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მიხეილ ჯავახიშვილი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ყაზბეგის პერსონაჟი ქალები.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ყოველი ადამიანი, ვისაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, სხვისი წამოყენება და ტკივილის შემსუბუქება შეუძლია.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან წამებული.

**— საყვარელი სახელი?**

— არ მაქვს ასეთი ამორჩეული სახელი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ტყუილს.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— სტალინი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— დიდგორის ბრძოლა.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— 50-იანი წლების ეკონომიკური რეფორმა იაპონიაში.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

ხატვა.

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— კეთილი სახელით.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— გაწონასწორებული.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყენარებლობას იმსახურებენ?**

— უნდა ვიყოთ შემწყნარებლები.

**— თქვენი დევიზი?**

— ეძიებდე და ჰპოვებდე.

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— რომ არ ვყოფილვარ ამპარტავანი.

ირაკლი სამსონაძე

# მცხეთური პური

იმედა ბაგარმა სატვირთო მანქანის კარი გამოაღო, ნამწვი ნკიპურტით მოისროლა და XI არმიის ჯარისკაცი მოაგონდა, ვინც ტუჩის მიწვამდე დასულ წეკოს განსაკუთრებული ოსტატობით მოიქცევდა ხოლმე ცერა და საჩვენებელ თითებს შორის, გადააწიტებდა, ნამწვს იგივე მიმართულებით სტყორცნიდა, შემდეგ კი კვლავაც გადააწიტებდა, რათა გაეგო, მოსროლილმა ნამწვმა გადაასწრო თუ ნაწიტმა. უცნაური, დაუოკებელი სურვილი მოეძალა, სწორედ ამგვარი რამ ჩაედინა, მაგრამ იცოდა, იქით, სადღაც, რითაც მზერის მიმართვა ემძიმებოდა, თავის ბიძაშვილებს, გურგენ და ზოსიმე მაჭუტაძეებს აყრიდნენ მიწას წითელარმიელები; ამიტომ თავი შეიკავა. 1921 წელს, საქართველოს ანექსიის დღეებში გაიცნო. კარგად გაცრილი ფქვილივით თეთრ ჯარისკაცს თავის ფიქრში „ლორისდინგაც“ შეარქვა იმედამ, რადგან ერთი ბეწო, ზეაპრეხილი ცხვირი, მიუხედავად სიგამხდრისა, მაინც ამსგავსებდა ლორისდინგიანს. ეს არაფერი, XI არმიის ჯარისკაცები „ლორისდინგაზე“ ნაკლებად არ აწიტებდნენ და წეკოსაც არანაკლები ოსტატობით იქცევდნენ ცერა და საჩვენებელ თითებს შორის. ამით ვერ დაამახსოვრებდა თავს, სხვა რამით დაამახსოვრა, რადგან ჯარისკაცმა მართლაც გულწრფელი სიალალით ჰკითხა იმედას:

— გამაგებინე, ძმობილო, სად არის ქართული პროლეტარიატი, სად არის ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რად არ გვეგებებიან სიხარულით, ჩვენ ხომ მათ გასათავისუფლებლად ვღვრით სისხლს?!

ნოე ჟორდანიას მთავრობის გაქცევის შემდეგ ქართული მილიციის კაპიტნის, იმედა ბაგარის ოცკაციანმა რაზმმა წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალა და სისხლის დაუღვრელად დაყარა იარაღი; ამიტომაც მოსჭრა „სისხლის“ ხსენებამ იმედას ყური; იფიქრა, დამცინის ეს ლაწირაკიო, მაგრამ „ლორისდინგას“ გამომეტყველებაში ირონიის ნასახიც ვერ მოიხელთა და თავისთვის დაასკვნა: „უბრალოდ იდიოტია“. იდიოტობით დაიმახსოვრა კიდეც.

დამოუკიდებლობის სამწლიანი, უცაბედად წვეული და ასევე უცებ დაკარგული ხანა ძირითადად სხვადასხვა ევროპული დელეგაციების პატივსაცემად მოწყობილ მარშირებებში და აღლუმებში გაიპარა. იმედას არაერთხელ უგრძვნია, რომ სწორედ მათთან — ინგლისელ, გერმანელ, ფრანგ სამხედრო თუ სამოქალაქო პირებთან მარშირებისას ახსენდებოდა ლასლო. იმედასთვის ლასლო ევროპაში ჩატოვებული მეორე იმედა ბაგარი იყო; იგივე იმედას სხეულით, სახით, გამომეტყველებით, ხმით, ფიქრებით მოხვედრილი ევროპის რომელიღაც ნერტილში, იქვე აფეთქებული ნაღმზე, იქაურ მიწაში ჩატოვებული, ნაფლეთებად ჩარჩენილი. პირველმა მსოფლიო ომმა დააშორიშორა ტყუპები. მამის უკვალოდ გაქრობის შემდეგ გიმნაზიიდან საარტილერიო სასწავლებელში გადაინაცვლეს. ორივეს არტილერიის ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა, მაგრამ სხვადასხვა ნაწილში მსახურობდნენ, ლასლოს ნაწილი ომში გაიწვიეს, იმედასი ზურგში დატოვეს, ეს იგივე წილის ყრა იყო ბედისწერისგან; მაშინ საუბარიც შედგა ძმებს შორის.

— მე წავალ შენს მაგივრად, — უთხრა ტყუპისცალს იმედამ, — ვინ რას გაიგებს, გაჭრილი ვაშლივით ვგავართ ერთმანეთს; მეკუთვნის კიდეც, პირმშო მე ვარ!

ლასლომ გაუღიმა ძმას, შემდეგ თქვა:

— ის არ გეყოფა, პირმშოობა რომ წამართვი; თან, ისიც საკითხავია, ვინ არის ჭეშმარიტი პირმშო; არ დაგავიწყდეს, ბებიაქალს ჩემს მაჯაზე გადაუკრავს წითელი ძაფი.

მაშინ სხვა იყო, მაშინდელი იმედაც სხვა იყო, ლასლო კი ომში წავიდა; იქ, სადღაც, ევროპის რომელიღაც ნერტილში აფეთქდა ნაღმზე და იქვე ჩარჩა. ადგილსამყოფელიც არ იცოდა ძმისა, არ უმხელდნენ, რათა ლასლოს სამხედრო ნაწილის გადაადგილება არ გამჟღავნებულიყო. ევროპაში აფეთქდა და მორჩა; მაგრამ მთავარი სხვაა — აფეთქდა ისეთი, როგორებიც მაშინ იყვნენ — გაცილებით უკეთესები, გაცილებით სუფთები, გულადები, ანთებულები გმირობისთვის, რაღაც განსაკუთრებულისთვის, ახლა კი ისე გამოვიდა, თითქოს ლასლოსთან ერთად იმედა ბაგარის საუკეთესო ნაწილიც აფეთქდა ნაღმზე; დარჩა მეორე იმედა — ის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ქართულ მილიციაში გადაინაცვლა და აღლუმებსა და მარშირებებში გაატარა სამი წელი; ის იმედა ბაგარი დარჩა, ვინც წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალა და იარაღი დაყარა; ის იმედა ბაგარი დარჩა, ვინც ლოიალობა გამოუცხადა დამპყრობელს, სერგო ორჯონიკიძეს ეახლა და თავისი სამსახური შესთავაზა საბჭოთა მილიციაში; ის იმედა ბაგარი დარჩა, ვინც, რაღა თქმა უნდა, მიითბო ამხანაგმა სერგომ, ხოლო აპრილის იმ ნესტიან დღეს წარჩინებული გვარის თერთმეტი წარმომადგენლის, მათ შორის თავისი ორი ბიძაშვილის, გურგენ და ზოსიმე მაჭუტაძეების დახვრეტა უბრძანა. იმედა ბაგარმა იფიქრა კიდეც მაშინ: „რატომ თერთმეტი? აა, ჰო, უარი თუ ვთქვი, მეთორმეტე მე ვიქნები“. შემზარავი თვისება აქვს ღალატს, სიცოცხლის სახელით მოქმედებს. იმედამ თავისი პატარა გოგონა და თავისი ცოლი, მანია გაიხსენა, მათი სახელით, მათ გამო გადადგა ეს ნაბიჯი. უყვარდა ცოლი, ძალიან უყვარდა, აკი ბავშვსაც ცოლის სახელი დაარქვა და ისიც კარგად ახსოვს, თუ რა უთხრა მშობიარობის შემდეგ:

— მეორეც რომ გოგო გაჩნდეს, იმასაც მანიას დავარქმევ, მესამესაც, ყველას, სანამ ბიჭს არ გამიჩენ.

ჰო, მაგრამ უნდოდა თუ არა, მათაც ხვევდა დიდ ცოდვაში; თუმცა, ალბათ, სილაჩრით გადადგა მაინც ეს ნაბიჯი; უპირველეს ყოვლისა სილაჩრით, რადგან ის — მამაცი, ანთებული, თავგანწირული იმედა ბაგარი ლასლო ბაგართან ერთად აფეთქდა ევროპის რომელიღაც ნერტილში ნაღმზე; ხოლო აქეთ დარჩენილმა იმედა ბაგარმა დახვრეტის ბრძანება გასცა, შემდეგ თავის თანაშემწეს, იაკინთე მაწკავას გადააბარა ცხედრების დამარხვა, სატვირთო მანქანისკენ წამოვიდა, ჩაჯდა მანქანაში, რამდენიმე ღრმა, გულში გამოთუთქული ნაფაზით ჩაწვა პაპიროსი, ნამწვი კი სწორედ ისე მოისროლა ნკიპურტით, როგორც ამას XI არმიის „ლორისდინგა“ ჯარისკაცი აკეთებდა; ესაა, რომ გადაწიტების უფლება აღარ მიუცია თავისთვის.

იმედა ბაგარმა თავისი წარსული დახვრიტა ახლახან. თუმცა, ერთია კონკრეტული კაცის წარსული, მეორე — ობიექტური რეალობა, რაც ეპოქებს აცალკევებს; მკვეთ-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №19

რი, მკაფიო ნიშნით ჰყოფს ძველსა და ახალს. ის უზარმაზარი სივრცე, რასაც ადრე რუსეთის იმპერია ერქვა, გალეშილი გოლიათივით ამოყირავდა, სქელ ყინულს დაჰკრა კეფა, ერთხანს კომაში იყო, გონს მოსვლის შემდეგ კი სრულიად გაუგებარ, თავისთვისაც უცნობ ენაზე დაიწყო მეტყველება. იმპერიის მოზრდილ, ყველაზე არსებით ნაწილში ბოლშევიკების ძალაუფლება დამყარდა. გამოიკვეთა პირველი ბელადის სახე — მონგოლოიდურად წვრილთვალა, სიმელოტით შუბლგადახსნილი, ჩია ტანის ულიანოვ-ლენინი, ღარიბ-ღატაკთათვის ყველაზე მაცდური ლოზუნგით — „ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს!" გამოეცხადა ღარიბ-ღატაკთა დაოსებულ მასებს, უკიდურესად გააბოროტა ბრბო და როგორც კი ოდნავ მოიდგა სული, ახალი იმპერიის შესაქმნელად ღარიბ-ღატაკთა ურდოები დაძრა.

საიდანაც იმედა ბაგარის ამბის თხრობა დავიწყეთ, ლენინი უკვე მკვდარია; წარმოშობით ქართველმა, იოსებ ჯუღაშვილმა, მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, ახალი იმპერიის ნაშიმშილარი, ამღვრეული მზერა ძველი იმპერიის დაკარგულ ტერიტორიებს გადააწვდინა და ნერწყვდინარი ლაშიც ჩამოსწია, საიდანაც შეყვითლებული, საზარელი ეშვის ერთი-მეოთხედი გამოაჩინა ჯერჯერობით. სტალინის ხელში საბჭოთა იმპერია ძველს ხომ დაიბრუნებს, ახალსაც ბევრს მიითვლის, მაგრამ ყველაზე საოცარი რამ იმპერიის მესამე მმართველობაში მოხდება — ის გაწლიკული, ღორისდინგა ჯარისკაცი, ვისაც ისე სჯეროდა მუშურ-გლეხური სამოთხისა, რომ ანექსირებულ ქვეყანაში კითხვაც კი დასვა, რატომ არ უხარიათ ჩვენი დანახვა ქართველ პროლეტარებსო, ნიკიტა ხრუშჩოვი აღმოჩნდება; ის ნიკიტა, კუბის სანაპიროსთან საბჭოურ სამხედრო გემებს რომ გაგზავნის, გაეროს ტრიბუნაზე კი საკუთარ ფეხსაცმელს ააბრახუნებს. აი, ეს ამბები იწყებოდა, უფრო სწორად, დაწყებულიყო უკვე, ამაში მოყოლილი იმედა ბაგარისთვის ადრე თუ გვიან არჩევანის გაკეთების დრო რომ დადგებოდა, ამის მიხვედრას რა დიდი გამჭრიახობა სჭირდებოდა; ჰოდა, მუშურ-გლეხურმა სამოთხემ, პროლეტარიატის დიქტატურამ, ორ კბილს შორის გამოტარებულმა ნაწიტმა, წკიპურტით მოსროლილმა ნამწვმა, სერგო ორჯონიკიძის მსუყე ულვაშმა თუ სიკვდილის შიშმა იმედასთვის განა მარტო წარსულთან მისაბრუნებელი ხიდი ჩატეხა, ერთი ეპოქიდან მეორე, სრულიად განსხვავებულ ეპოქაში გადმოსტყორცნა, სადაც ბაგარმა მარჯვენა ხელი ასწია, დასახვრეტებს მზერა აარიდა, მახლობელი სერისკენ გაიხედა, ხმა მოიბჯინა ყელში, შემდეგ კი მოკლე, ერთსიტყვიანი ბრძანებით აქამდე მშვიდი, გაზაფხულის ნესტით გაჟინჟლული გარემო მჭახედ გააყრუა.

— იმედა! — მოესმა, — იმედა! — იაკინთე მანწკავა რაღაცას ანიშნებდა, შეშფოთება ეხატა მოსუქებულ სახეზე, აქეთ მოიჩქაროდა, მისკენ. მანქანიდან ჩამოვიდა, ავტომობილი დაინახა, იცნო — სერგო ორჯონიკიძის ავტომობილი იყო.

მოვიდა ამხანაგი სერგო. თქვა ამხანაგმა სერგომ:

— ამხანაგებო, პროლეტარიატის მტრებს სიკვდილი! უკვე დამარხეთ, ამხანაგებო?!

იმედა ბაგარმა მოახსენა ამხანაგ სერგოს:

— ამხანაგო სერგო, რევკომის გადაწყვეტილება შესრულებულია!

— ამოთხარეთ, ამხანაგებო! — თქვა ამხანაგმა სერგომ, — დაე, კინოოპერატორმა გადაიღოს, როგორ ვუსწორდებით მტრულად განწყობილი კლასის უკანასკნელ ნაშიერებს. კინო მძლავრი პროპაგანდისტული იარაღია, ამხანაგებო!

მიმართა იმედა ბაგარმა თავის თანაშემწეს, იაკინთე მანწკავას:

— ამხანაგო იაკინთე, შეასრულე ბრძანება!

წავიდა ამხანაგი იაკინთე ბრძანების შესასრულებლად და მიმართა ჯარისკაცებს:

— პროლეტარიატის ჯარისკაცებო, ამოთხარეთ!

პროლეტარიატის ჯარისკაცებს უკვე ამოევსოთ სამარე, მისწვდნენ ნიჩბებს და შეუდგნენ ამოთხრას, ხოლო იაკინთე მანწკავა სერგო ორჯონიკიძესთან და იმედა ბაგართან დაბრუნდა.

ამხანაგმა სერგომ თვალი შეავლო წითელარმიელებს, შემდეგ თქვა:

— ამასობაში გავაბოლოთ, ამხანაგებო! — და ამხანაგებთან — ბაგართან და მანწკავასთან ერთად გააბოლა პაპიროსი, თანაც მახლობელ ტერიტორიას აკვირდებოდა მუყაითი მზერით, სოციალისტური სამშობლოს აღმშენებლობის გეგმებს სახავდა მჩქეფარე, მოუსვენარ თავის არსებაში, დროდადრო კი შთამბეჭდავი ულვაშის წვერსაც იწიწკნიდა მცირედ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ამხანაგი სერგო ერთობ ნერვიული ამხანაგი იყო და თქვა ამხანაგმა სერგომ:

— ამხანაგებო, მიკვირს და გამკვირვებია, რატომ არ სახლობს აქ ხალხი, შესანიშნავი ტერიტორიაა!

— დიახ, ამხანაგო სერგო, — თქვა ამხანაგმა მანწკავამ, — ზედგამოჭრილი ადგილია ახალი, სოციალისტური დაბა-დასახლებისთვის!

ამხანაგმა სერგომ მოიწონა ამხანაგი მანწკავას მყისიერი რეაქცია, რაც თავის დაქნევით გამოხატა კიდეც, ხოლო ამხანაგმა ბაგარმა თავისთვის შენიშნა, რომ ამხანაგ მანწკავას სწორედ ისე შეეჩურთა ფარაჯის მეორე და მესამე ღილს შორის ხელის მტევანი, როგორც ამხანაგ სერგოს სჩვეოდა ხოლმე; შეაწუხა ასეთმა დაუფარავმა, გაცხადებულმა პირმოთნეობამ თავისი ხელქვეითისა, ისიც აღნიშნა გონებაში, რომ ამხანაგი მანწკავას მოსუქებულ ლოყებს შორის მოქცეული, ჩამოჭრილი, ბულალტრული ულვაში მიძინებულ, უზარმაზარ ნეხვის ბუზს აგონებდა და გულისრევის მსუბუქმა ტალღამ ჩახველება აიძულა. ამხანაგმა სერგომ ამხანაგი ბაგარის ჩახველება ცნობად მიიღო, თანხმობის დასტურად მიიჩნია და ამხანაგი ბაგარისკენაც დააქნია რამდენჯერმე თავი, შემდეგ ფარაჯის მეორე და მესამე ღილს შორის შეჩურთული ხელის მტევანი გამოჩურთა, პირში გაჩრილ პაპიროსთან მიიტანა, პაპიროსი ორ თითს შორის მოიქცია, ნაფაზი დაარტყა, პაპიროსი პირიდან გამოიღო, ერთხანს აღნიშნულ ტერიტორიას მიუთვალთვალა, პაპიროსი ისევ პირს მიუბრუნა, ხელი კი ამჯერად ფარაჯის ჯიბეში ჩაიყო.

ფარაჯის ჯიბეში ჩაიყო ხელი ამხანაგმა მანწკავამაც.

მოვიდა კინოოპერატორი თუნუქის მრგვალ ყუთში მოთავსებული კინოფირებით, მოჰყვა კინოოპერატორს აწოწილი, გრძელცხვირა ახალგაზრდა წითელარმიელი ფეხიანი კინოაპარატითა და გასანათებელი მოწყობილობით, თქვა კინოოპერატორმა:

— ამხანაგებო, ახლა გადაგიღებთ, ორ წუთში! — შემდეგ აწოწილ წითელარმიელს მიუბრუნდა და უთხრა: — უკაცრავად, თქვენი სახელი?

— ნიკოლოზი, კოლია! — თქვა წითელარმიელმა.

— კოლია, გეთაყვა, აი, იქ დავაყენოთ განათება! — მიუთითა კინოოპერატორმა კოლიას.

კოლია წავიდა, ხოლო ამხანაგმა ბაგარმა თავისთვის აღნიშნა, რომ სიტყვა „გეთაყვა" უცხოდ და მარტოსულად გაისმა ამ სივრცეში. დააყენა ახალგაზრდა წითელარმიელმა მითითებულ ალაგას განათება და თქვა:

— განათება მზადაა, ამხანაგო კინოოპერატორო!

კინოოპერატორს იმდენად უყვარდა თავისი საქმე, რომ ვერც კი წარმოედგინა, როგორ არსებობდა სამყარო ძმები ლუმიერების გენიალურ აღმოჩენამდე; თუმცა, უნდა ითქვას, მხოლოდ რამდენიმე მელოდრამატული ჟანრის ფილმის და რამდენიმე აღლუმის გადაღებაში მიეღო მონაწილეობა, საბჭოთა სინამდვილეში უმუშევარი დარჩენილიყო და ამის გამო დღენიადაგ სწუხდა და ვაებდა; და აი, უეცრად შეატყობინეს, რომ სოციალისტური სამშობლოს სოციალისტურ არქივს მისი სამსახური დასჭირდა. გაიხარა კინოოპერატორმა, ესტუმრა არქივს და თქვა:

— მოვედი, ამხანაგებო, მიმსახურეთ!

მიუგეს არქივში სოციალისტურმა მუშაკებმა:

— ყოჩაღ! წადი ახლა შენ ამხანაგ სერგოსთან, დანარჩენს ის გეტყვის!

— კეთილი, ამხანაგებო, — თქვა კინოოპერატორმა, — მაგრამ გამნათებელი მჭირდება; ჯამაგირიც საინტერესოა, მაპატიეთ-და...

— ჯამაგირსაც მოგცემთ, ფარაჯასაც, წითელარმიელის ქუდსაც და ჩექმებსაც, გამნათებლად კი წითელარმიელ ჯარისკაცს გამოგაყოლებთ, მეტი რა ვქნათ, ამხანაგო?!

— დიდი მადლობა, ამხანაგებო, მეტი არაფერი მჭირდება, თქვა კინოოპერატორმა, ჩაიბარა ფარაჯა და ჩექმები, მაგრამ ქუდი ვერ მოირგო, რადგან მოზრდილი თავი ჰქონდა.

— არაუშავს, ამხანაგებო, ნუ შეწუხდებით, კეპს დავიხურავ ბოლოს და ბოლოს, — დაამშვიდა სოციალისტური სამშობლოს სოციალისტური არქივის მუშაკები კინოოპერატორმა, მაგრამ მუშაკებმა შორს დაიჭირეს კინოოპერატორის წინადადება და თქვეს:

— როგორ შეიძლება, ამხანაგო, მახნოს რაზმელივით ხომ არ გაგიშვებთ ამხანაგ სერგოსთან, — გამოუძებნეს მოზრდილი ქუდი, აახლეს ეს აწონილი ახალგაზრდა წითელარმიელი ნიკოლოზი, იგივე კოლია და გაისტუმრეს ამხანაგ სერგოსთან.

ამხანაგმა სერგომ დაინახა თუ არა კინოოპერატორი, თქვა:

— წავედით, ამხანაგებო, საქმე არ იცდის!

და წამოვიდნენ. ახლა კინოოპერატორი ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან ჰქონდა მუდმივი სამსახური, ჯამაგირი და პერსპექტივა სოციალისტურ სამშობლოში; ყოველივე ამ სიკეთეს ამხანაგ სერგოს აწერდა, ამიტომაც ცდილობდა, კინოსაოპერატორო საქმის რთული, იდუმალებით აღსავსე ბუნება წარმოეჩინა ყოველმხრივ. დროდადრო გამოხედავდა ამხანაგ სერგოს და აშკარად მის გასაგონად შეუძახებდა ხოლმე წითელარმიელ კოლიას: „ასე კი არა, კოლია, ისე დააყენე განათება!" „აქ კი არა, კოლია, იქით მიუშვირე, იქით ადგება ჩრდილი" და ა.შ. თუმცა, ალბათ, გასაგებიცაა კინოოპერატორის მძაფრი ვნებანი გადასაღებ მოედანზე, მას ხომ თავის ცხოვრებაში პირველად უნდა აღებეჭდა კინემატოგრაფიულ ფირზე ამხანაგი სერგოს და ამხანაგ სერგოსთან მყოფი მნიშვნელოვანი ამხანაგების — ბაგარისა და მანწკავას სახეები. გაასრულა საქმე კინოოპერატორმა და თქვა:

— ამხანაგო სერგო, მე მზად ვარ, დავიწყოთ!

ამხანაგმა სერგომ სამარესთან მომუშავე პროლეტარიატის ჯარისკაცებს გახედა, მხრები აიჩეჩა და თქვა:

— ჯერ არ ამოუთხრიათ; როცა ამოთხრიან, მაშინ!

კინოოპერატორმაც მიაქცია ყურადღება ნიჩბებით მომუშავე წითელარმიელებს, მაგრამ ბოლომდე ვერ გაერკვა მოცემულ საკითხში, ამიტომაც ისევ მიმართა კითხვით ამხანაგ სერგოს:

— უკაცრავად, ვის ამოთხრიან?

ამხანაგმა სერგომ გამჭოლი მზერა დაასო კინოოპერატორის გამხდარ, ნაყვავილარ, უმუშევრობით გატანჯულ სახეს; იქამდე უცქირა, სანამ კინოოპერატორს რატომღაც არ შერცხვა რაღაცის; ამის შემდეგ კი მსწრაფლ განმარტა:

— ვის ამოთხრიან, ამხანაგო-და, იმას ამოთხრიან, ვისაც სოციალისტურმა სამშობლომ დამსახურებული განაჩენი გამოუტანა!

— ააა!.. — თქვა უმისამართოდ კინოოპერატორმა, — ააა, — გაიმეორა უფრო ჩავარდნილი ხმით და ამხანაგი სერგოს ქორული მზერა რომ აერიდებინა, მესამედ მეტი დაბეჯითებით თქვა: — ააა! — გავიგეო, ანუ: მივხვდიო. ხოლო ამხანაგი სერგო ვერ დააკმაყოფილა მესამედ ნათქვამმა „ააა"-მ, ამიტომ მკაცრად ჩაეძია კინოოპერატორს:

— ამხანაგო, რომელმა ამხანაგებმა გამოგაგზავნეს ჩემთან?!

— ამხანაგებმა ამან და ამან, სოციალისტური სამშობლოს სოციალისტური არქივიდან, — მოჰყვა კინოოპერატორი გაუგებარ ლუღლუღს: — მე მხოლოდ განათება მაინტერესებს, იქ გავანათოთ თუ აქ გავანათოთ, რადგან იქ სხვა ჩრდილია და მოგეხსენებათ, აქ...

— იქ გაანათეთ, ამხანაგო! — მოკლედ მოსჭრა ამხანაგმა სერგომ და სამარესთან მომუშავე პროლეტარიატის ჯარისკაცებისკენ გაიშვირა თითი.

— ააა, — ერთხელაც თქვა კინოოპერატორმა, — ახლა ყველაფერი გასაგებია, წავიდეთ, ამხანაგო კოლია, თურმე იქ უნდა გავანათოთ!

წავიდნენ კინოოპერატორი და წითელარმიელი კოლია, მივიდნენ ამოთხრილ სამარესთან, კინოოპერატორს თვალი გაექცა სამარის ფსკერისკენ და ახლახან დახვრეტილის უსიცოცხლო სახე დაინახა; ტანი არ უჩანდა მიცვალებულს, მიწიდან ამოცქერილი სახე კი განსაკუთრებით საგრძნობს ხდიდა ამ სიტუაციის არაერთგვაროვნებასა და დრამატიზმს; ჰოდა, იფიქრა კინოოპერატორმა: „ვაი! ვაი-მე!" — პირი მოარიდა მცვალებულის სახეს და რატომღაც შემდეგი სიტყვებით შეუძახა თავს: „გამაგრდი, ამხანაგო, გამაგრდი! პროფესიონალი ხარ ბოლოს და ბოლოს, ამ თვალით შეხედე, ამხანაგო, ამ თვალით" — და ძალაუნებურად დახუჭა თვალები, შემდეგ კი მოუნდა ვილაცისთვის კეთილი სიტყვა ეთქვა, ამიტომაც მიმართა წითელარმიელ კოლიას გამორჩეული კეთილგანწყობით:

— კოლია, გენაცვალე, თუ შეიძლება, განათება დავაყენოთ, აი, იქ! — და თითი გაიშვირა.

წავიდა წითელარმიელი კოლია და უმალ აღასრულა კინოოპერატორის მორიდებული მითითება.

სამარეში პროლეტარიატის ორი ჯარისკაცი ჩახტა. მხრებსა და ფეხებში დასწვდნენ ცხედარს, ამოზიდეს და სამარის პირთან მდგომ სხვა ორ ჯარისკაცს გადასცეს;

ამათ, თავის მხრივ, მცირედ შეაქანეს ცხედარი და სამის თვლაზე მოისროლეს.

— ბუგ! — გამოსცა ცხედარმა ყრუ, დახშული ხმა, მინაზე დახეთქებისას.

დაინახა ამხანაგმა სერგომ, რომ ცხედრების ამოთრევას შეუდგნენ პროლეტარიატის ჯარისკაცები და თქვა:

— დავიძრათ, ამხანაგებო, სადაცაა დაიწყებს გადაღებას!

იაკინთე მანწკავა მზადყოფნით შეხვდა ამხანაგი სერგოს წინადადებას. იმედა ბაგარს არ შეიძლება სცოდნოდა მამამისის, კონსტანტინე ბაგარის დაუწერელი ანდერძის შესახებ, მაგრამ გუმანით, ტანით, მთელი არსებით იაზრა, რომ სახე უნდა დაემალა როგორმე, ამიტომაც ჩამოიწია თვალებთან ჩეკისტის კეპი. გააბიჯეს. მიდიოდნენ მწყობრად, საქმიანად. აკი აქამდეც ითქვა, რომ აპრილის ღრუბლიანი, გრილი დღე იყო; იგრძნობოდა ნესტი და სევდა, რომელიც ღრუბლიან ამინდს ახლავს ხოლმე თან; გაშორდნენ თუ არა სატვირთო მანქანას და იქვე მდგარ ეულ ხეს, როგორლაც დაცარიელდა, გამოყრუვდა ეს ალაგი, ხის ტოტზე შემომჯდარმა ჭილყვავმა მოიწყინა, მიხვდა თანაც, რომ აუცილებლად იწვიმებდა და სამარისკენ მიმავალ სამ მამაკაცს ზურგში მიაყოლა:

— ყვა! ყვა! ყვა!

— „შენი დედაც...“ — უხმოდ შეუკურთხა ჭილყვავს იმედა ბაგარმა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია, უკანაც არ მოუხედავს.

სამარეში მომუშავე ორი ჯარისკაცი პროლეტარიატის სხვა ორმა ჯარისკაცმა ჩაანაცვლა, რადგან ცხედრების ამოწევა ერთობ შრომატევადი სამუშაოა და დიდ ძალისხმევას თხოულობს. იმ სხვა, ორმა ჯარისკაცმა სამარეში ჩახტომამდე შენიშნა, რომ ამხანაგი სერგო და მისი თანმხლები ამხანაგები — ბაგარი და მანწკავა უახლოვდებოდნენ სამარეს, ამიტომ გაათმაგებული ენერგიით სწვდნენ მხრებსა და ფეხებში მორიგ ცხედარს და სამარესთან მდგომ ჯარისკაცებს ყოჩაღად ააწოდეს. სამარის პირას ახლახან ჩანაცვლებულმა წითელარმიელებმაც გაიათმაგეს მონდომება, ცხედარი ჯერ მარჯვნივ შეაქანეს, თანხმიერად თქვეს: — ერთი! მერე მარცხნივ გამოაქანეს, ამჯერადაც თანხვედრაში თქვეს — ორი! — შემდეგ ძალუმად გაიქნიეს და სამის თვლაზე ხელებიც გაუშვეს; მონდომებამ და ენერგიამ თავისი შედეგი გამოიღო, ასეთი ძალით გადასროლილი ცხედარი სხვა ცხედრებს გადასცდა და მინაზე დანარცხებისას მეტად მძიმე, გულსმოსახვედრად დახშული, ყრუ ხმა გამოსცა:

— ბუუგ!

იმედა ბაგარს მოეჩვენა, რომ მინა გაიბზარა ოდნავ, შემდეგ მომცრო გორად ახორხლილ რამდენიმე ცხედარს შეხედა, ვერც ზოსიმე შენიშნა, ვერც გურგენი და უალრესად მკრეხელური ფიქრი შეუჩნდა ტვინში: „ჯერ ზოსიმე თუ ჯერ გურგენი? ჯერ გურგენს ამოათრევენ, თუ ჯერ ზოსიმეს, თუ...“ — თავი გააქნია; არა, არ ეშვებოდა ეს ფიქრი, კინოოპერატორზე გადაიტანა მზერა.

კინოოპერატორს განზე მიექცია ნაყვავილარი სახე.

— ბუგ! — გაისმა.

— „ქურციკიძე“, — იფიქრა ბაგარმა, — „ზემოიმერელი აზნაური“, — შემდეგ ამხანაგ სერგოზე იფიქრა: „ესეც ხომ აზნაურია, რატომ?! სწორედაც იმიტომ“, — დაასკვნა იქვე. ახალი დრო ახალ კაცს თხოულობდა და ახალი კაცის ხელით ძველს ანადგურებდა. უცნაურია, მსხვერპლი ერთხელ კვდება, ჯალათი იმდენჯერ, რამდენ მსხვერპლსაც გამოუყვანს წირვას; იქნებ ყველაზე დიდ მსხვერპლს ჯალათი იღებს, მაგრამ მაინც რამდენი მიმდევარი და მოსურნე ჰყავს ამ საქმეს. „ახალ დროებას ახალი ბაგარი სჭირდება“, — იფიქრა იმედა ბაგარმა მამამისისგან დამოუკიდებლად, მისდაწილად; ეს კი, ალბათ, ერთგვარ ჯიშზე მიანიშნებდა უკვე; საერთო გენეტიკურ მახასიათებელზე, რომელიც ამ გვარის კაცებს დაჰყოლოდათ ბუნებისგან. არადა, ვერასდროს წარმოიდგენდა ასეთი თუ იყო; ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ დაიჯერებდა, რომ ეს კაცი თვითონაა. „იქნებ ლასლოც ასეთი გამხდარიყო აქ?!“ — იფიქრა ისევ, — „არა, შეუძლებელია, ლასლო ლექსებს წერდა; ლასლო სხვა იყო; ლასლო ქაქუცას შეფიცულთა რაზმში ჩაეწერებოდა, ლასლო იბრძოლებდა; ის კი, იმედა ბაგარი, მართლაც უნიშნოდ დანიშნული აღმოჩნდა, ლაჩარი აღმოჩნდა, მკვლელი და ჯალათი, შემგუებელი, პილწი, ვინც საკუთარი ხელით დახვრიტა თავისი წარსული; იმედა ბაგარი ქურდიც აღმოჩნდა, რადგან დედის მუცელშივე მოჰპარა ლასლოს პირმშოობა; თუმცა, პირმშოობა რა ბედენაა, რაღაც გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე პირმშოობის მადლის მოპარვაა; მან, იმედამ, ლასლოც მოკლა, როცა გურგენის და ზოსიმეს მკვლელობას მოაწერა ხელი; ჰო, მოკლა, დაამთავრა, თავის თავთან ერთად დაამთავრა თავისი ტყუპისცალიც“. და აქ, უეცრად, სულ სხვა აზრს მოეპოტინა იმედა ბაგარი: „იქნებ, სულაც ლასლომ უღალატა მას, ჰო, ლასლომ, წავიდა სადღაც ევროპაში, აფეთქდა ნაღმზე, ის კი დატოვა მარტო“.

— იდიოტიზმი, არანაკლებ მკრეხელური აზრი, მაგრამ რაღაც ხელმოსაჭიდს, გამამართლებელს ეძებდა გაფაციცებული გონებით; „ადამიანი ასეა მოწყობილი, ადამიანი ასეა მოწყობილი“ — იფიქრა ისევ და კვლავაც იფიქრა: „რას ნიშნავს, ადამიანი ასეა მოწყობილი?!“

— ბუგ! — გაისმა. არ გაუხედავს; ახლა, ამწამს, გაჟეჟილს გატეხილი ამჯობინა; აზრი არ ჰქონდა თავისმართლებას — იცოდა; ისიც იცოდა, რომ სხვის ნებას კი არ დაჰყვა, სადღაც, გულდაგულ გადამალული თავისი ნამდვილი არსი გამოქექა და ის იფარა ფარად. ძაღლი მრავალგვარია, თუმც ერთი საერთო სახელი აქვს ყველას — ძაღლი. ადრე თუ გვიან ზოგი მაძებრის თვისებას ამჟღავნებს, ზოგი — მოდარაჯის, ზოგი — გამწევი ძალაა, ზოგიც — ქუჩის ძაღლი. მასაც აღმოაჩნდა ჯიში; მართალია, აქამდე ვერ ხვდებოდა რა ჯიშისა იყო, მაგრამ ახლა — ხვდება; არა, კი არ ხვდება, იცის!

— ბუგ! — გაისმა.

ცალ თვალში გავლილი ტყვია. სახე სისხლში. სისხლზე აწეპებული შავი მიწა. „ზოსიმე...“ — იცნო. „საკონტროლო ტყვია ცალ თვალში დაუხლია, მაგის...“ — გულში შეუკურთხა პროლეტარიატის უცნობ ჯარისკაცს ბაგარმა. სისხლზე აკრული მიწა ტალახად ქცეულიყო ზოსიმეს სახეზე. „ჩემი ბავშვობა“, — იფიქრა, — „კიდევ კარგი, ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი არ წერიან ცოცხლებში“, — იფიქრა. და იქვე იფიქრა: „რას ნიშნავს ახლა „კიდევ კარგი“?! — შემდეგ, აღარაფერი რომ არ ეფიქრა, კინოოპერატორს გახედა.

კინოოპერატორი მახლობელი სერისკენ იცქირებოდა.

„თვალს არიდებს“, — იფიქრა ბაგარმა.

— ბუგ! — გაისმა.

„გურგენი...“ — იფიქრა, — „ჯერ ზოსიმე, მერე გურგენი; არადა, გურგენი უფროსი იყო“; — არ ეშვებოდა მართლაც რომ იდიოტური ფიქრი, და იცოდა, რომ იდიოტური ფიქრი უტრიალებს თავში, ტვინს უბურღავს, შიგ მიძვრება

წვეტიანი სიჯიუტით და ისევ რომ არ ეფიქრა, ანგარიშმიუცემლად გაიხედა გამნათებლისკენ. გრძელცხვირა წითელარმიელი კოლია თხელ ბაგეს იჭამდა ზედა კბილით და მონუსხული მისჩერებოდა ცხედრებს. „აი, ვინ არის ახალი დროის კაცი, მე კი მხოლოდ თავის გადარჩენისთვის ვჯახირობ“, — იფიქრა იმედამ.

— ბუგ! — გაისმა.

აღარ გაუხედავს გვამებისკენ.

— ბუგ!

ფქვილით სავსე ტომარა გამოსცემს, ალბათ, ამ ხმას“, — იფიქრა ბაგარმა, ძალაუნებურად კვლავ წამოუტივტივდა მეხსიერებაში XI არმიის ჯარისკაცი, ვისი არც სახელი იცოდა, არც გვარი; ახსოვდა კია, რომ კარგად გაცრილი ფქვილივით თეთრი იყო, შორს ანიტებდა და ისიც ახსოვდა, რომ „ლორისდინგა“ შეარქვა თავისთვის.

ამხანაგმა სერგომ წითელარმიელის წოწოლა, წითელვარსკვლავიანი ქუდი მოიხადა; სქელ, შავ თმაში, რომელიც შუბლიდან უკან გადაეგრუზა ლომის ფაფარივით, ენერგიულად შეიცურა ხელი და თქვა:

— დავიწყოთ, ამხანაგებო!

როგორც ჩანს, კინოოპერატორს ყველაზე მეტად სწორედ დაწყება აშინებდა; მაგრამ აშინებდა ისიც, რომ შიში შეემჩნეოდა და ამხანაგი სერგოს მზარდ უკმაყოფილებას დაიმსახურებდა; ამიტომაც რაღაცნაირი თავაწყვეტილი, ბუნებაში არარსებული ზეიმურობით მიუდგა საქმეს, ერთობ დაბზრიალდა და იგივე ზეიმურობის გამოსახატავად უნინდელი, წარსულს მობარებული სიტყვები და გამოთქმები წამოეკიდა ცნობიერებაში; განსაკუთრებით მოიწევდა ისეთი გამოთქმა, როგორიცაა: „ბატონებო, გთხოვთ!“ წამოსცდა კიდეც — „ბა“, მაგრამ უმალ იაზრა, რა უადგილო იქნებოდა ახლა წარსულის სანაგვიდან გამოჭიატებული ამ სიტყვის სახალხოდ გამომზეურება, ამიტომ „ბა“-ს პირი მოუკუმა, „ტ“ კბილთან შეიცივა და რადგანაც ესოდენ ზეალმატებულად წამოსროლილი „ბა“-ს ამარა დარჩენილი, საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა, დაბნეულად მიმოიხედა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვის შემცბარი ღიმილი შერჩა ბაგეზე.

— რაშია საქმე, ამხანაგო? არ დავიწყოთ?! — ჯიქურ ჩააცქერდა ამხანაგი სერგო კინოოპერატორს, იფიქრა თანაც ამხანაგმა სერგომ: „ვინ გამომიგზავნეს სოციალისტური არქივიდან უპასუხისმგებლო მუშაკებმა; დასახსნელია ყველა, ეს გაშტერებული კინოოპერატორი კი კარგა მაგრად შემოსალაწუნებელი“, — და თვალით მოხაზა კიდეც კინოოპერატორის ნაყვავილარ, გალეულ სახეზე კონკრეტულად შემოსალაწუნებელი ალაგი, მაგრამ მალე გადაიტანა მზერა კინოოპერატორის თავზე და კვლავაც იფიქრა: „თავში, თავში, იმ გარიგვინებულ-გასიებულ თავში ერთი მუშტი და მორჩა!“



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

თუმცა, კინოოპერატორი არსებითად ჩასწვდა ამხანაგი სერგოს ფიქრს, თავი გამოიყოჩალა და შესაშური სიმხნევით თქვა:

— დავიწყოთ, ამხანაგო სერგო!

დაიწყეს:

ამხანაგი სერგო და მისი თანმხლები ამხანაგები — ბაგარი და მანწკავა სოციალისტური სამშობლოს მტრებისთვის გათხრილ სამარეს ჩასცქერიან, იკვეთება ამხანაგი მანწკავას კამერისკენ გამოქცეული მზერა, ამხანაგი ბაგარის სახე არ ჩანს; მაგრამ ჩანს, რომ ამხანაგი სერგო კმაყოფილია შესრულებული სამუშაოთი; ამხანაგი სერგო თავს აქნევს, უთითებს სამარისკენ, მას აშკარად მოსწონს გაჭრილი სამარის სიღრმეც და სიფართეც; ამხანაგი სერგო იღიმება ხოლმე, როცა კარგად შესრულებულ სამუშაოს იბარებს, იღიმება და თავს აქნევს, რაც ნიშნავს, რომ:

— კარგია, კარგი! ამხანაგ სერგოს შესცქერის ამხანაგი მანწკავა და როცა ამხანაგი სერგო თავს აქნევს, თავს აქნევს ამხანაგი მანწკავაც, მაგრამ ამხანაგი ბაგარის სახე არ ჩანს, რადგან ამხანაგი ბაგარი სამარის ფსკერს ჩასცქერის და იქ რაღაცას იკვლევს. მოშორებით მოჩანს სოციალისტური სამშობლოს მტრების ცხედრები, ვისთვისაც გაითხარა ეს სამარე. — კარგია, კარგი! — ისევ აქნევს თავს ამხანაგი სერგო. ამ დროს კამერა ფართო პლანით ასახავს ამხანაგი სერგოს სახეს — უპეებთან ჩრდილი, ულვაში, იღიმება, კმაყოფილია, თვალებში ანცი სიშლეგე, თავზე წითელარმიელის წოწოლა ქუდი წითელი ვარსკვლავით, თავს აქნევს კმაყოფილების ნიშნად, ოდნავ ტრიალდება, ამხანაგი სერგოს ყური არ ჩანს, ისევ ტრიალდება, ამხანაგი სერგოს კეფა, მიემართება ცხედრებისკენ, ამხანაგ სერგოს მიყვებიან თანმხლები ამხანაგები — ბაგარი და მანწკავა; გვამებისკენ მიმავალ გზაზე ამხანაგი მანწკავა პროფილში აბრუნებს თავს და რაღაცას უხსნის ამხანაგ სერგოს; ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვხედავთ ამხანაგ მანწკავას, თუმცა, ვერცერთხელ ვერ დავინახეთ ამხანაგი ბაგარის სახე.

— „სტოპ!“ სდექ! — კარგია, ამხანაგებო!

— რას ნიშნავს სდექ, ამხანაგო?! — იკითხა ამხანაგმა სერგომ.

— განათება უნდა გადავიტანოთ, ამხანაგო სერგო! — პატაკი ჩააბარა ამხანაგ სერგოს გამოყოჩალებულმა კინოოპერატორმა, რადგან საქმის სიყვარულმა თავისი სასიკეთო შედეგი გამოიღო. ახლა კინოოპერატორი თავფეხიანად იყო ჩართული კინოსაოპერატორო საქმიანობაში.

— კეთილი, ამხანაგო! გადაიტანეთ! — მოეწონა ამხანაგ სერგოს კინოოპერატორის საქმიანი მიდგომა საკითხთან და თანმხლებ ამხანაგებს მიმართა:

— ამასობაში გავაბოლოთ, ამხანაგებო!

გააბოლეს; ხოლო აწოწილმა, ახალგაზრდა წითელარმიელმა კოლიამ მსწრაფლ გადაიტანა განათება გვამებთან ახლოს და კინოოპერატორს გამოსძახა:

— ასეე, ამხანაგო კინოოპერატორო?!

— ასე! — დაუდასტურა კინოოპერატორმა და თავისმხრივ გასძახა ამხანაგ სერგოს და მის თანმხლებ ამხანაგებს:

— დავიწყოთ, ამხანაგო სერგო?!

— მოვწევთ პაპიროსს და მერე! — თავის თავზე მეტისმეტი პასუხისმგებლობა იტვირთა ამხანაგმა მანწკავამ, რამაც ამხანაგი სერგოს ჯეროვანი ყურადღება მიიპყრო და უთხრა ამხანაგმა სერგომ ამხანაგ მანწკავას:

— რა ინიციატივიანი ამხანაგი ყოფილხართ თქვენ, ამხანაგო მანწკავა!..

ამის შემდეგ ამხანაგმა მანწკავამ შარდის შეუკავებლობის აშკარა ნიშნები მოიხელთა საზარდულის მიდამოებში, დიდი ძალისხმევით შეიკავა თავი და თქვა:

— ბოდიში, ამხანაგო სერგო!

— ინიციატივისთვის ბოდიშს არ იხდიან, ამხანაგო, დაიმახსოვრე!.. — თქვა ამხანაგმა სერგომ, ამხანაგი მანწკავა დიდ საფიქრალში დატოვა ამ ზოგადი ფრაზით და კინოოპერატორს გასძახა:

— დაიწყე, ამხანაგო, იყოს პაპიროსით, ბუნებრივ, შინაურულ ვითარებაში!

კინოოპერატორმა დაიწყო:

ამხანაგი სერგო თანმხლებ ამხანაგებთან — ბაგართან და მანწკავასთან პაპიროსს აბოლებს, თანაც გვამებისკენ უთითებს ზემოაღნიშნულ ამხანაგებს: — სოციალისტური სამშობლოს მტრები, მიხრწნილი კლასის ტიპიური წარმომადგენლები, დაიმსახურეს, — რაც მიიღეს! — ა.შ. — ამის ამოკითხვა ცხადად და გასაგებად შეიძლება ამხანაგი სერგოს აქტიური მოქმედებებიდან და მიმიკიდან, — ხელს რამდენჯერმე იშვერს გვამებისკენ, აქნევს თავს, იღიმება, ისევ თავს აქნევს, ხელს იშვერს გვამებისკენ. იგივე ანცი სიშლეგე ამხანაგი სერგოს თვალებში, იგივე ჩაშავებული ქუთუთოები, მსუყე ულვაში, რომელიც ლაპარაკისას განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას. კარგად ჩანს ამხანაგი მანწკავას სერიოზული გამომეტყველება; იგი მძაფრი ყურადღებით უსმენს ამხანაგ სერგოს; შეიძლება ითქვას, მის თითოეულ სიტყვას ყლაპავს და ღრმად იბეჭდავს ტვინში. ამხანაგი მანწკავას მსუქანი ლოყები, ამხანაგი მანწკავას ბულალტრული ულვაში! საკმარისია, გადავიდეთ შემდეგ ამხანაგზე. ამხანაგი მანწკავასგან განსხვავებით, არ ჩანს ამხანაგი ბაგარის სახე; ჩანს მხოლოდ ჩეკისტის კეპი, ნიკაპი და ხშირი კვამლი, რომელსაც თავჩახრილი ამხანაგი ბაგარი პირიდან და ცხვირის ნესტოებიდან უშვებს. ყურადღება! — ამხანაგი სერგო წითელარმიელის ქუდს იხდის, თმას ისწორებს, კამერისკენ იცქირება, გარდიგარდმო აქნევს თავს, ქუდს იხურავს და გვამებისკენ იშვერს თითს. როგორც ჩანს, ამხანაგი სერგო ძალიან უკმაყოფილოა დახვრეტილი ამხანაგებით, თუ შეიძლება, ამხანაგები ეწოდოს მიხრწნილი, მომაკვდავი კლასის სათანადოდ დასჯილ წარმომადგენლებს. ამხანაგი სერგო შორიდან ეპატიჟება კინოოპერატორს, რათა მან სწორედაც ისინი, — სათანადოდ დასჯილები აღნუსხოს კინემატოგრაფიულ ფირზე. ოციდან ორმოც წლამდე მამაკაცები. თერთმეტნი. ერთად. ახორხლილები. ვილაცის ფეხი ვილაცის ხელთან. თავი — თავთან. სისხლი. მიწა. მკაფიოდ ჩანს ნატყვიარი მკერდში. ხიშტით მიყენებული ჭრილობა ყელის არეში. ყველაზე მკაფიოდ მაინც სიმკვდარე ჩანს. დასასრული. წერტილი. ვეღარასოდეს ვეღარ გატოკდებიან. მორჩა. სიმკვდარის მომცრო გორა. ვილაცის ფეხი ვილაცის ხელთან. თავი — თავთან. ახორხლილი ერთად სიმკვდარე. კადრში სიცოცხლე შემოაქვს ამხანაგ სერგოს. ამხანაგი სერგო გვამებთან მიდის, აქეთ გაიარა, იქით გაიარა, პაპიროსი მოისროლა, ვილაცას უხმობს ხელით. მოდიან პროლეტარიატის ახალგაზრდა, პირტიტველა ჯარისკაცები. ამხანაგი სერგო განმარტებით და აღმზრდელობით საუბარს ატარებს პროლეტარიატის პირტიტველა ჯარისკაცებთან. მოშორებით მოჩანს ამხანაგი მანწკავა ბულალტრული ულვაშით, ხოლო ამხანაგი ბაგარი საერთოდ აღარ ჩანს კადრში. სამაგიეროდ წითელარმიელი კოლია შეუერთდა პროლეტარიატის ჯარისკაცებს, ისიც ცხოველი ინტერესით უსმენს ამხანაგ სერგოს. არაა გასაკვირი, რადგან ცხადად და ნათლად გამოჩნდა, რომ დახვრეტილებში არაა სიცოცხლე, სიცოცხლე ამხანაგ სერგოშია, სიცოცხლესთან ერთად კი მომავლის პერსპექტივა იგრძნობა ამხანაგი სერგოს აქტიურ ქმედებასა და მიმიკაში, ხოლო გვამებში სრული სიმკვდარეა და უპერსპექტივობა — პლუს — დანაშაულიც, რაღა თქმა უნდა; რადგან ისინი დაისაჯნენ და ასე დაისჯება ყველა, ვინც სოციალისტური სამშობლოს მოთხოვნებსა და ფეხის ხმას არ აჰყვება. აი, მომავლის ადამიანები — ენერგიული ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებიც ბრძოლებში გამობრძმედილი უფროსი ამხანაგი სერგოს გარემოცვაში ბედნიერად და დაცულად გრძნობენ თავს.

შევჩერდეთ ამაზე.

— „სტოპ!" სდექ! კარგია!

— კეთილი, ამხანაგო კინოოპერატორო — თქვა ამხანაგმა სერგომ — ახლა ჩვენ ვაჩვენეთ, თუ როგორ უსწორდება სოციალისტური სამშობლო მტრებსა და ჯაშუშებს; მოდი, ბარემ, ისიც ვაჩვენოთ, რის აშენებას ვაპირებთ სოციალისტურ სამშობლოში. დავიძრათ, ამხანაგებო!

იმედა ბაგარმა იფიქრა, რომ მორჩა, დამთავრდა მისი ტანჯვა, წავიდოდა ამხანაგი სერგო და ისიც გაეცლებოდა აქაურობას, შინ მივიდოდა, მანიასთან, კალთაში ჩაუდებდა თავს და დიდხანს, დიდხანს იქნებოდა ასე, მაგრამ ამხანაგმა სერგომ თქვა:

— ამხანაგო, ჩემთან წამოხვალ! — და ხელი დააბჯინა იმედას მხარზე, შემდეგ იაკინთე მანწკავას გადახედა და ისევ თქვა:

— ხოლო შენ, ინიციატივიანო ამხანაგო, დარჩი და სოციალისტური სამშობლოს მტრების დაკრძალვას უხელმძღვანელე!

იაკინთე მანწკავამ იფიქრა: „რა იქნება, დროზე წავიდეს, რათა მოვფსა!" — მაგრამ ამხანაგი სერგო ჩაციებით მისჩერებოდა კვლავაც, ხოლო გონებაში წამოტივტივებულმა სიტყვამ „მოვფსა", საზარელი ბგერათშეთანხმებით „ფს" იმდენი მოახერხა, რომ ამხანაგ მანწკავას მცირედ გაეპარა კიდეც და ამან შეჟრჟანტელებული, შიგნიდან შეცხელებული აღტკინებით ამოაძახებინა:

— არის, ამხანაგო სერგო! — და იდგა ასე, საფეთქელთან მიბჯენილი გაშლილი ხელით, სანამ ამხანაგი სერგო ათვალიერებდა ზევიდან ქვევით და პირიქით; ხოლო როცა ზემდგომი ამხანაგი ავტომობილისკენ გაეშურა, ამხანაგმა მანწკავამ ერთხელ და საბოლოოდ ვეღარ მოთოკა თავი, გაუშვა გასაშვები, და ურცხვი, უწმაწური ნეტარებით აღივსო პირველჩაღვრილი შარდის სითბოთი და განთავისუფლების შეგრძ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

27899

ნებით; იქვე იაზრა, რომ გრძელი ფარაჯით დაიფარავს შარვლის სისველეს, რომ შინმისული დიდი ქვაბით გააცხელებინებს ცოლს წყალს, რომ ცხელი წყლით ჩამოიბანს შარდს, რომლის სუნი უკვე ეცა, ეფეთა ცხვირში და იქვე ისიც იგრძნო, სითბო სიცივემ რომ შეცვალა და გალიზიანდა მეტისმეტად და გამოსძახა პროლეტარიატის ჯარისკაცებს:

— ჩაყარეთ ისევ, მე მაგათი... — და ავი მზერა გააყოლა ავტომობილთან მიახლოებულ ამხანაგ სერგოს და მის თანმხლებ ამხანაგებს — ბაგარს, კინოოპერატორსა და ახალგაზრდა კოლიას, რომელიც გასანათებელ მოწყობილობას მიათრევდა ცალი ხელით, მეორით — ფეხიან კამერას.

მრგვალ ყუთში მოთავსებული ფირები კინოოპერატორს მიჰქონდა.

* * *

— მანია!

მანია. მანია. რატომ ცვლის მანია ზეწარს? რატომ მატრიალებენ?! შინ ვარ?! ჰო, შინ, მაგრამ რატომ?!

— მანია!

— ჩუუ! ჩუუ!

რატომ?!

— ჩუუ! უუუ... ჰო, შინ. მიხეილის ქუჩაზე. საკმარისია. კარგია. სიჩუმე. ჩუუ. უუუ. მშვიდია — უუუ. ლასლოიე-ლესიე! ლასლოიე-ლესიე! დასცინიან. უცხო სახელია, არავის ქვია. ქვია-ქვიანი. სოფელი. გურგენი ორი წლით უფროსი. ყველაზე პატარა — ზოსიმე. ყველა ერთად დასცინის ლასლოს, მეც დავცინი — ლასლოიე-ლესიე! ლასლოიე!ლესიე! მთვარეული ლესიე! პატარა ლასლო გაწვდილი ხელებით — ნინ. ვუცქერ. მეშინია. გადიამ გამაფრთხილა — არ გააღვიძო! მიდის, ლასლო მიდის! ჩქარა, გადიასთან! — გადია, გადია, ლასლო მიდის! ჩუუ! უუუ! მშვიდია — უუუ. ჩუუ! სიჩუმე. მძიმე სიჩუმე. ახლა დამიძახებენ გურგენი და ზოსიმე: — მკვლელო! მკვლელო! არა. სიჩუმე. რატომ არ მეძახიან: — მკვლელო! მკვლელო! იმედი არა აქვთ! დგანან — ელიან, ვამბობ, ისვრიან, სერზე — ჩრდილი. რა ხდება, იაკინთე, იქ? იაკინთე — ნეხვის ბუზი საულვაშეზე — სად? იქ, — სერზე, იაკინთე! მწყრები, ალბათ, ააა! ააა! კინოოპერატორი, ნაყვავილარი სახე, გამხდარი. — ააა! ააა! ის კი, ამხანაგი სერგო კინოოპერატორს, — ამხანაგო, რომელმა ამხანაგებმა გამოგაგზავნეს ჩემთან? კინოოპერატორი — ამხანაგებმა ამან და ამან, ამხანაგო სერგო! აწოწილი წითელარმიელი კოლია გრძელი ცხვირით. წითელარმიელები თხრიან. ამოთხარეს. ზოსიმეს თვალში ჩაჭედებული ტყვია. საკონტროლო გასროლა. სისხლმა მინა მიიკრა და უფრო შავად; — სისხლი და მინა ზოსიმეს სახეზე, შავად. ვინ ჩააჭედა ტყვია თვალში?! რატომ მაინცდამაინც თვალში, დამიზნებით?! მე არ მიბრძანებია თვალში, დამიზნებით! მე არ მიფიქრია თვალში, დამიზნებით! ზოსიმე, — პატარა ზოსიმე, საჩვენებელ თითს ატრიალებს და ისიც დასცინის — ლასლოიე-ლესიე! ლასლოიე-ლესიე! მთვარეული-ლესიე! ლასლო ხელებგაწვდილი მიდის. გადია, გადია, ლასლო მიდის! ჩუუ! მაგრამ მიდის! მიდის. წავიდა. სად? ომში. მე უნდა წავიდე ომში, პირმშო მე ვარ! ილიმება, როგორ ილიმება, როგორ ტკივილამდე ილიმება ჩემი სახე, რომელიც ლასლოსია. — ისიც გეყოფა, პირმშოობა რომ წამართვი; თანაც არ დაგავიწყდეს, ბებიაქალმა მე გადამაბა მაჯაზე წითელი ძაფი. აბა, მე ვინ ვარ?! უნიშნოდ დანიშნულო! უნიშნოდ დანიშნულო! დამცინიან, ლასლო, გურგენი, ზოსიმე დამცინიან, პატარა ზოსიმე საჩვენებელ თითს მიტრიალებს:

— უნიშნოდ დანიშნულო, უნიშნოდ დანიშნულო! მე — უნიშნოდ დანიშნული; ლასლო ევროპაში — ნაღმზე! მე — ნაღმზე. როგორ დაიფლითა ჩემი სხეული, როგორ, როგორ ერთბაშად დაიფლითა ჩემი სხეული, რომელიც ლასლოსია! აფეთქდა და მორჩა. ევროპაში აფეთქდა. სად — უცნობია, სამხედრო საიდუმლოებაა. გეხვეწებით, ძალიან გეხვეწებით, მითხარით, სად აფეთქდა ჩემი სხეული, რომელიც ლასლოსია, სად?! არ ვიცით; არა, ვიცით, მაგრამ გამხელა არ შეგვიძლია, სად აფეთქდა შენი სხეული, რომელიც ლასლოსია! მაშინ ის მაინც მითხარით, სად აფეთქდა ლასლოს სხეული, რომელიც ჩემია, სად?! ლასლოს სხეული შენი არაა, ლასლო მთვარეული იყო, შენ — არა! მართალია, ლასლო მთვარეული იყო; სავსემთვარეობის შიში — ლასლო ადგება ძილში, წავა. წავიდა. აფეთქდა. იქნებ იქაც სავსემთვარეობისას ადგა ღამით, წავიდა მარტო, აფეთქდა. მთვარეულები ვერ გრძნობენ, სად არის დამალული ნაღმი; მთვარეულები მხოლოდ მიდიან სადღაც და ლექსებს წერენ ხშირად და მიდიან, სადღაც. წავიდა, აფეთქდა, დავრჩი. მე — მარტო. მარტო ძნელია. მარტო — შიშია. მანია. ჩემი მანია. ერთმანეთს მიკედლებულები მე და მანია. მანია საფუნთუშეში. სიფრიფანა. ალბათ დედა ასეთი იყო — სიფრიფანა. მანიასთვის ხაშხაშმოყრილი ფუნთუშა უნდა მეყიდა. ვიყიდე? ვიყიდე?!

— მანია! მანია!

— ჩუუ! ჩუუ!

კარგია. აქ არის მანია. მე ვარ მანიასთან. მოვედი აქ, მიხეილის ქუჩაზე. არა, პლეხანოვის, უნდა დავიმახსოვრო — პლეხანოვის. მამამ სახლი იყიდა მიხეილის ქუჩაზე. მე და ლასლო მიხეილის ქუჩაზე, ჩვენს სახლში ვცხოვრობდით. ახლა მე და მანია ვცხოვრობთ იმავე სახლის ორ ოთახში, პლეხანოვის ქუჩაზე.

— მანია!

— ჰოო, ჩუუ!

აქ არის. მეც აქ ვარ. კარგია. მე და ლასლო მიხეილის ქუჩაზე, ჩვენს სახლში, რომელიც მამამ იყიდა. ლასლო მიდის. ლასლო სულ სადღაც მიდის. არა. ლასლო მოვიდა. გაფითრებული ლასლო ამბობს: — პოეტი მოკლეს! იის?! ჰო, ის! ამზადებდნენ, რამდენ ხანს ამზადებდნენ. მოკლეს, გზაზე! სად?! გავრბივართ ქუჩაში. ქუჩაში ბევრი ხალხი. მე და ლასლო გვერდიგვერდ. როგორ აერთიანებს ხალხს პოეტის სისხლი. როგორ კრავს ხალხს პოეტის მკვლელობა. აწეპებს ერთმანეთს. პოეტის დაღვრილი სისხლი ხალხს კრავს. ტყემ მოისხა ფოთოლი, ტყემ მოისხა ფოთოლი, ტყემ მოისხა ფოთოლი, მამულო, მამულო, ბაღში ვაზი-ობოლი, ბაღში ვაზი-ობოლი; მამულო, მამულო, საყვარელო მამულო, ტყემ მოისხა ფოთოლი. „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!" — მეორე პოეტი; ჰო, ფურთხის ღირსი ხარ, იმედა! იმედა, რატომ არ შეგაფურთხეს ზოსიმემ და გურგენმა, იმედა?! ძალა არ ეყოთ?! ვერ მოგაწვდენდნენ?! უბრალოდ გადაეფურთხებინათ, ხომ მიხვდებოდი, რომ შენ მოგაწიტეს?! კი. კი. კი. მაგრამ სად არის იმედა?! იმედა ომში წავიდა, იქ აფეთქდა. ნაღმზე. კი. კი — აფეთქდა. მე ვიცი, იმედა აფეთქდა, ლასლო კი არა; აბა, ლასლო რაღა იქნა? არ ვიცი, არაფერი ვიცი, წავიდა სადღაც, სულ მიდიოდა სადღაც, ძილშიც მიდიოდა — მე კი მეშინოდა, რომ მიდის და რაღაცას დაიშავებს. გაიშვერდა ხელებს და მიდიოდა. ჰოდა, წავიდა. კი. კი. კი. სად წავიდა — უცნობია, სამხედრო საი-

დუმლოებაა. მაშინ, ქუჩაში გვერდიგვერდ! მაშინ პოეტი მოკლეს და ქუჩები გაივსო ხალხით. პოეტის მკვლელობა აკეთილშობილებს. პოეტი მსხვერპლადაა დაბადებული; თუკი მართლა პოეტია ან ტყვიით უნდა მოიკლას, ან სიტყვით. სიტყვაც ისვრის. სიტყვასაც ესროდნენ და ტყვიაც ესროლეს, მერე ხალხით გაივსო ქალაქი და ყველა ტრიბუნიდან მისი ლექსები ისმოდა: ტყემ მოისხა ფოთოლი, ტყემ მოისხა ფოთოლი. ერთი ტრიბუნიდან გაისმა მხოლოდ: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“ მე და ლასლოს შეგვრცხვა, მე და ლასლოს ძალიან შეგვრცხვა. მე და ლასლო ერთად ვიყავით მაშინ. ლასლოც წერდა ლექსებს, იმიტომ, რომ ლასლო მთვარეული იყო, მე არ ვიყავი მთვარეული, მე — უნიშნოდ დანიშნული, ლასლო — მთვარეული. ლასლოიე-ლესიე, ზოსიმე, პატარა ზოსიმეც კი უტრიალებს თითს, — ლასლოიე-ლესიე, ლასლოიე-ლესიე! გურგენი იცინის; — ძაღლს ქვიებია ჩოლობარგში ლესიე! ზოსიმე, პატარა ზოსიმე იცინის: — აი, ძაღლი კი არა, მთვარეულია, ბიძია! — ლასლოიე-ლესიე, ლასლოიე-ლესიე. გადია, საყვარელი გადია სწუხს, ლასლოს იკრავს მკერდში და გვიტატანებს: „თქვენს თავს დასცინეთ, თქვენ! როგორი სახე მაქვს, როცა მწყინს რაღაც, როგორი ჯიბრიანი გამოხედვა აქვს ჩემს სახეს, რომელიც ლასლოსია. მე მიკრავს გადია მკერდში, მე ვიცქირები იქიდან აქეთ. გადია, საყვარელი ჩემი გადია. დედა. ნიგოითის ეკლესიის ეზოშია დედა. დედის სუნი არ ვიცი; გადიას მკერდიდან ცხელი ოხშივარის სუნი მოდის. როგორ მენატრება, როგორ, როგორ, როგორ მენატრება, რაღაც! ცხელი ოხშივარის სუნი. მშობლიური. მძაფრი. მამა. მორჩა მამა. გაქრა მამა. მამა — შავი ჩოხა, შავი წვერი. მამა ეზოში შემოდის მძიმედ. მამა მნიშვნელოვანია, მაგრამ მამა გაქრა. მამის მოდარაჯე თვალი. ისიც გაქრა. მამას არასდროს ჰქონდა დრო და ამიტომაც იყო ასე მნიშვნელოვანი და მერე გაქრა. პირველი ცნობა — პირველი ელდა. თბილისში, მიხეილის ქუჩაზე, ჩვენს სახლში ბიძაჩემი შალვა, გურგენი და ზოსიმე ერთად. მამა გაქრა. ლასლო გაქრა. გაქრა გურგენი, ზოსიმე — გაქრა. გადიაც გაქრა, ყველა გაქრა, მაგრამ ყველაზე ადრე დედა გაქრა. არა, დედა ნიგოითშია, ეკლესიის ეზოში, ეკლესიის ეზოში სიმშვიდეა; საფლავთან სიმშვიდე მეგულება, საფლავთან სიმშვიდე ჯერ კიდე მაქვს; იქ კარგია, წავალ. იქ უნდა წავიდე, ნიგოითში. მანია, ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად ნიგოითში, მანია!

— მანია! მანია!

— ჩუუ! ჩუმად!

— აქ ხარ?!

— ჰო, ჩუუ!

უუ... როგორ ამბობს — უუ... მშვიდად. თითქოს პატარა მანია ვიყო. პატარა მანია, თეთრი. დაიბადა. რა დავარქვათ? რა უნდა დავარქვათ, მანია. იცინის. მანია მე მქვია. მაშინ მარიამი. იცინის. მარიამიც მე მქვია. რა მნიშვნელობა აქვს, მეორე რომ გოგო დაიბადოს, იმასაც მანიას დავარქმევ, მესამესაც, ყველას, სანამ ბიჭს არ გამიჩენ. იცინის. ელოდება. მალე. მალე კიდე ერთი ბაგარი. რა დავარქვა? კონსტანტინე. არა. მამა ჟანდარმერიის გენერალი იყო, საშიშია. ახლა სხვა დროა. ახლა სერგო უნდა დავარქვა. სერგი. არა — სერგო; ამხანაგი სერგო. კინოოპერატორი. წითელარმიელი — კოლია. ლასლოს დავარქმევ. არა. ლასლო უარესია, ვერავინ გაიგებს და დამიჭერენ. თანაც ლასლო წავიდა. ლასლო სულ მიდიოდა სადღაც. არა, იმედა წავიდა, იმედა აფეთქდა ევროპაში ნაღმზე, მეორე იმედა აქ არის, შინ, მიხეილის ქუჩაზე, მესამე იმედა არქივშია, კინემატოგრაფიულ ფირზე. ამოთხარეთ, ამხანაგებო, ამოთხარეს. ზოსიმეს თვალში ჩაჭედებული ტყვია. სად არის ზოსიმეს თვალი? ტყვიამ გაგლიჯა ზოსიმეს თვალი; დატოვა დიდი ღრმული; სისხლი და მიწა, რომელიც სისხლმა მიიწეპა შავად. ამხანაგო, ჩემთან წამოხვალ! ამხანაგი სერგოს ხელი ჩემს მხარზე. მივდივარ. მივდივარ. სად? ავჭალაში. „აქ, ამხანაგებო, მძლავრი ელექტროსადგური აშენდება!“ გადაიღე, ამხანაგო! იღებს. წავიდეთ ახლა, მანიასთან მინდა. ვინ — მანიასთან? ჩემს მანიასთან. მანიასთან — არა, ლენტის გაჭრაზე. ლენტის გაჭრაზე?! ჰო, ლენტის გაჭრაზე! სოციალისტური სამშობლოს სოციალისტურ სკვერში! წავიდეთ ლენტის გაჭრაზე. ამხანაგ სერგოს მაკრატელი ბალიშზე! — მოითმინეთ, მოითმინეთ, განათება უნდა დავაყენო! დააყენე, ამხანაგო, განათება, როდემდე გელოდო? განათება დაყენებულია, ამხანაგო სერგო, დაიწყეთ! დავიწყო?! დაიწყეთ, დაიწყეთ! მაკრატელი — კრიჭ, კრიჭ! გაჭრილია. ტაში, ამხანაგებო! ტაშიიი, ტაშიი! მანიასთან, ახლა მანიასთან, ახლა ხომ შეიძლება ჩემს მანიასთან?! ახლა მუშათა მიტინგზე, ამხანაგებო, დავიძრათ! მივდივართ. მუშები — ვაშაა! მუშები — ვაშაა! მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციები, — ვაშაა! ამხანაგი სერგო აღარ აქნევს ხელებს, ამხანაგი სერგო აღარ ამბობს მგზნებარე სიტყვას, ჰოდა, მე მანიასთან, გემუდარებით, მანიასთან! ვისთან?! მანიასთან — რა, ცუდად ვარ ძალიან, გამიშვით მანიასთან! არა, ამხანაგო, დღეს ბევრი საქმე გავაკეთეთ, გეპატიჟებით საბჭოთა მილიციის ახალგახსნილ სასადილოში, იქ კარგ ბორშჩს აკეთებს მზარეული. მზარეული ჩემი სიდედრია, მე — მანიასთან! მაგრამ ვერ ვამბობ — მანიასთან, მაგრამ ვერ ვიტყვი — მანიასთან, ამიტომ ბორშჩი. წითელი. თეთრი არაჟანი კუნძულებად. ცოტა არაყიც არ გვაწყენდა, ამხანაგებო! ხი, ხი, ხი! ხა, ხა, ხა! განსაკუთრებით წითელარმიელ კოლიას უხარია. მე ვიცი — მცდის. ამხანაგი სერგო — მცდის. ყველაფერი ჩემთვის მოიგონა. აქამდე ვუძლებდი, ახლა არაყი უნდა დავლიო და ისევ გავუძლო, იმიტომ, რომ მცდის ეს დამპალი, მცდის. ვინ თქვა დამპალი? მე არ მითქვამს დამპალი! მე ვთქვი, რომ სასადილოში დამპალი კომბოსტოს სუნია. არა. დამპალის არა, — მინდოდა მეთქვა, მოთუშულის. არაყი ჩაის ჭიქებში. რატომ ჩაის ჭიქებში?! დალევა არ შეიძლება, ამხანაგებო, აქ, ვითომ წყალია! ოხ, შენიი... არაყზე ვიფიქრე. გაუმარჯოს სოციალისტურ სამშობლოს! არაყი — ხახაში. მძიმედ. ზანტად. ჩავიდა. ბორშჩი. ხვრიპ. ხვრიპ. კარგია. ცხელია, კარგია ბორშჩი, მიყვარს რუსული ბორშჩი, ამხანაგებო! კი, გმადლობთ, კარგია! პური უხდება ამას ჭვავის, ამხანაგებო! პური — შავი. რატომ აქვს ნაცნობი ფერი?! სისხლი — ტალახი. ზოსიმეს თვალთან ჩაჭედებული ტყვიისგან ღრმული, ზოსიმეს ნახევარ სახეზე სისხლი-მიწა-ტალახი, ერთად! ზოსიმეს თვალთან ჩაჭედებული ტყვიისგან ღრმული; ცარიელი, ბნელი ღრმული და კიდევ სისხლი-მიწა-ტალახი ერთად პურივით, ჭვავის პურივით ნოტიო, მუქი, შედედებული სისხლისგან და მიწისგან მუქი, შავი, ჭვავის პურივით შავი, ნოტიო. პური! მიირთვი, ამხანაგო, პური; დაგათრობს არაყი! არა, გმადლობთ, არ ვჭამ ჭვავის პურს! იცინის; ის, იცინის, ამხანაგი სერგო იცინის, მაგრამ იცინის ვითომ, ვითომ, ეჭვიანი თვალები დაცოცავენ, მკაცრად, დაკვირვებით ჩემზე დაცოცავენ, მისი პირი ამბობს: — არ გცოდნია, ამხანაგო, ბორშჩს ჭვავის პური

უხდება! დაასხი პროლეტარიატის ახალგაზრდა ჯარისკაცო! კოლიას დიდი ცხვირი. ოპერატორის დიდი თავი და ნაყვავილარი სახე. გამხდარი კოლია თხელი ტუჩებით. გამხდარი კოლიას კლანჭებივით თითები ბოთლზე. ის გასძახის, — დარიუშა! დარია მიხაილოვნა, აბა, მოგვხედე! ჩემი სიდედრი მოდის, მოფაშფაშებს, ნაფოფოდიარი მოფაშფაშებს. ნაფოფოდიარი ჩემი სიმამრის, გაკრეჭილი დიაკვნის, ტიმოთე კვაჭაძის ცოლია. ტიმოთე კვაჭაძე გალეული კაცია, ნაფოფოდიარი კი მოფოფინებს, მათი ხუთი შვილი — უფროსი მანია, მერე ფეოდოსია, მერე ვალენტინა, მერე ზინაიდა, ბოლოს კონსტანტინე. კონსტანტინე მამას ერქვა. სად არის მამა? გაქრა. დედაც გაქრა. ლასლოც; გადიაც; სიმშვიდეც გაქრა ეკლესიის ეზოში. გურგენი და ზოსიმეც გაქრნენ. არა, არ გაქრნენ, იქ, მინაში, თბილისის მახლობლად. უნდა დავიმახსოვრო ის ადგილი. აუცილებლად. სამერმისოდ. იქ ჭილყვავი იყო. ყვა! ყვა! ყვა! შენი დედაც!.. იქ ხე იყო განმარტოებით. ხე და მახლობლად სერი. სერზე ჩრდილი წამოიშალა. ვინ მითხრა — მწყრები?! იაკინთე მანწკავა — მსუქანი ლოყები, ბულალტრული ულვაში; უზარმაზარი ნეხვის ბუზი საულვაშეზე. გულისრევა — ვახველებ. ბუგ! — ხმა, — ბუგ! — ხმა — ბუგ! მინაზე დახეთქებული ცხედრები და ფქვილით სავსე ტომრები ერთ ხმას გამოსცემენ. ფქვილი თეთრია, იმ ჯარისკაცივით. ნიტ — გადაანიტა, წკიპურტით წეკოს ნამწვი, ისევ გადაანიტა — ნიტ! ფქვილი — თეთრია, ჭვავის — მოსერო. არა, ვერ შევჭამ, ამხანაგო სერგო, სულ ტყუილია ხვეწნა, ამხანაგო სერგო; იქ, ამხანაგო სერგო, იმ ჭვავის პურში ზოსიმეს სისხლიანი თვალია ჩაყოლილი, ამხანაგო სერგო! დარიუშა მოვიდა. მკოცნის. ფოფინებს: ხომ გემრიელად შეექცევით, ამხანაგებო?! გარჯა არ დამიკლია! დარიას მსუქანი ლოყა. მანიჩკა ხომ კარგად არის? მანიჩკა?! — უკვირს იმას, ამხანაგ სერგოს, — თქვენ რა, იცნობთ ერთმანეთს?! — ჩემი სიძეა, ამხანაგო სერგო! — იცინის დარია, იცინის, რატომ იცინიან ასე ნაფოფოდიარი მზარეულები? — სიძე?! არ ვიცოდი! — ამბობს ის, ამხანაგი სერგო. ვითომ არ იცოდა, ვითომ, ვითომ, ვითომ არყის დალევასაც ერიდება, ვითომ, ვითომ, მაგრამ ამბობს, რომ არ იცოდა და ესე იგი ისე უნდა მოვიქცე, ვითომ მართლა არ იცოდა. ვთვრები?! ვთვრები. არ შეიძლება. რატომ ვილიმები ახლა. არ შეიძლება. — „მერედა, ვერ ასწავლე შენს სიძეს, რომ ბორშჩს ჭვავის პური უხდება?!“ — იცინის ის, ამხანაგი სერგო, — სალა მოგვიტანე, დარიუშა, ჩემთვის რომ გაქვს გადანახული! — უცინის, უცინის, ვითომ უცინის. — ახლავე, ამხანაგებო, ახლავე! — მიფოფინებს ნაფოფოდიარი, ის კი ჭიქას, ის, ამხანაგი სერგო ჭიქას, მაღლა. — გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ძლევამოსილ კავშირს, ამხანაგებო! გაუმარჯოს, გაუმარჯოს, უნდა დავლიო, არ შეიძლება, — არ დავლიო! არაყი ხახაში. მძიმე. ბლანტი. გულის კოვზთან ყლუპ, მაღლა. არა. არ შეიძლება, ქვემოთ. წავიდა. ბორშჩი — ხვრიპ, ხვრიპ, — გაციებულა. არა, — სხვაა, ბორშჩის გემო არა აქვს ამ ბორშჩს. ბულიონის. რაღაცის ბულიონის. მანია!

— მანია! მანია!

— ჩუუ, სიყვარულო, დახვრიპე! ჩუუ...

უუუ... როგორ ამბობს — უუუ... რაღაც მეღვრება. მანია ხელსახოცით ჩემს ტუჩზე. გმადლობთ, მანია.

— მანია!

— კარგი, სიყვარულო, კარგი, ჩუუ!

ჩუუ... ჩუუ... ელოდება. მანიას მუცელი. ლასლოს დავარქმევ. არა. ვერ გაიგებენ, არ შეიძლება; კონსტანტინე — მითუმეტეს. ამხანაგმა სერგომ ყველაფერი იცის. ინგლისელი საზღვაო ოფიცერი თეთრი მუნდირით, ფრანგი ოფიცერი — თეთრი ქუდი, წვრილი ულვაში. გერმანელი ოფიცერი — თვალზე მონოკლი. მაკვირდებიან, მე ცხენზე, ჩქ-ჩქ-ჩქ! ტანი გამართულად უნდა მეჭიროს, თორემ უნიშნოდ დანიშნულს დამიძახებენ. უნიშნოდ დანიშნულოო! უნიშნოდ დანიშნულოოო! ზოსიმეს გამოწვდილი თითი ჩემსკენ. მწყინს. უნიშნოდ დანიშნულოოო! — ლასლო და გურგენი. სამივენი დამცინიან. მწყინს. მწყინს. რატომ? — არ ვიცი, მაგრამ სამივე ერთად, მე — ცალკე და მწყინს! გადია! გადია! გადიას მკერდში სათუთი ოხშივარი. ცხელი. მშობლიური. გადია იმათ უტატანებს და მიხარია, გადია ახლა ჩემს მხარესაა და მიხარია. ამ ღამით სავსემთვარეობაა, ყურადღებით უნდა ვიყოთ, ხომ იცი! — მეუბნება გადია. ჰო, ვიცი, ვიცი. ამ ღამით ლასლო გაივლის მძინარე. როგორია ჩემი სახე, როცა მძინავს და მივდივარ სადღაც; როგორია ჩემი სახე, როცა მძინარე მივდივარ სადღაც; რა ფიქრებია ის ჩემი ფიქრები, რაც მაიძულებს მძინარემ გავიარო; სად წამიყვანეს ჩემმა ფიქრებმა, რომელიც ლასლოს ფიქრები იყო, სად?! მანია, მიშველე, მანია, ახლა ავფეთქდები, მანია!

— ჩუუ, ჩუუ...

— ჰო, აქა ხარ, კარგია, იყავი აქ!

— აქა ვარ, დამშვიდდი, ჩუუ...

ჩუუ... ჰო, ჩუუ... მოფოფინებს, პირმცინარე ნაფოფოდიარი მოფოფინებს თეფშით. არაყი — ხახაში. ხვრიპ, ხვრიპ. — კარგი გაძლება გქონია, ამხანაგო ბაგარო, უპუროდ სვამ და დაგვათრე ყველა! — თან იცინის, ვითომ იცინის, ვითომ, ვითომ, მისი ეჭვიანი თვალები კი დაცოცავენ, დაცოცავენ, ჩემზე


**ჟურნალი „ხელეური“ აცხადებს კონკურსს რევაზ ინანიშვილის პრემიის მოსაპოვებლად**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ავტორს. კონკურსის მიზანია ნიჭიერ ავტორთა წარმოჩენა.

მონაწილეებმა კომპიუტერზე აწყობილი პროზაული ნაწარმოები (არაუმეტეს 6 გვერდისა) უნდა გამოაგზავნონ ჟურნალ „ხელეურის“ ინტერნეტ-ფოსტაზე არაუგვიანეს 20 ნოემბრისა.

**გამარჯვებულებს გადაეცემათ:**

I ადგილი — 500 ლარი
II ადგილი — 300 ლარი
III ადგილი — 150 ლარი

შედეგები შეჯამდება 15 დეკემბრისათვის. გამარჯვებული ნამუშევრები გამოქვეყნდება ჟურნალ „ხელეურში.“

ნაწარმოებები გამოგზავნეთ ჟურნალ „ხელეურის“ იმეილზე xeleuri@mail.ru:

გამოგზავნეთ ორი ფაილი. ერთი ფაილით იგზავნება ნაწარმოები და დევიზი, ხოლო მეორე ფაილში უნდა ჩაიწეროს თქვენი დევიზი, სახელი და გვარი, ტელეფონი, მისამართი და ნაწარმოების სათაური.

**საკონტაქტო ტელეფონი: 551 00 50 58**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცოცავენ. იმის თვალებიც დაცოცავენ, იმ გრძელცხვირა კოლიასი. რატომ დაცოცავენ, რატომ?! — უკაცრავად, — ამბობს კოლია, — ბოდიში, არ ვიცოდი თუ ბაგარი ბრძანდებოდით, დედაჩემისგან გამიგია ეს გვარი, მგონი ნათესავები უნდა ვიყოთ. ნათესავები?! — დიახ, დიახ! — და დაიწყო ჩამოთვლა გვარების, დიდხანს, დიდხანს, — ის კი უსმენს, ის, ამხანაგი სერგო; არაა?! — მეკითხება კოლია, ჩვენ სოფელ გორნაფლეთიდან ვართ, არც ეს სოფელი გეცნობათ? არ მეცნობა და რა ვქნა, მაგრამ ისაა ახლა მნიშვნელოვანი, ის, ამხანაგი სერგო რას იტყვის, იის და ამბობს: — მეგონა, მეტისმეტად ცისფერსისხლიანი იყავი, ამხანაგო ბაგარო; მგონი, გლეხის წითელი სისხლიც გირევია, არაა?! დიახ! ალბათ! უნდა გავიკითხო! დიახ, უბრალოდ ვერ ვიხსენებ ახლა... დიახ, ამხანაგო სერგო, ალბათ. — გილოცავ წინასწარ, კარგად გაიკითხე, ამხანაგო, კარგად! — რატომ მითხრა ასე ჩაციებით. უნდა გავიკითხო, უნდა; რატომ — ასე ჩაციებით. ჭვავის პურზე შემოდებულ სალას მანვდის თავისი ხელით. უნდა შევჭამო როგორმე, უნდა; არ შეიძლება, თავისი ხელით მომაწოდა, არ შეიძლება. არაყი — ხახაში, გულისრევა ქვემოდან. სალა — ხახაში, ზემოდან პური, ჭვავის, შავი, შედედებული სისხლი — შავი, შედედებულ, შავ სისხლზე აკრული მიწა — შავი; პური ჩემს ხახაში — შავი; შავ პურში რაღაც ნოტიო, სველი, ზოსიმეს თვალი-სველია-კბილზე! სისხლიანი, სველი, შავი, კბილიდან კბილზე ზოსიმეს თვალი! ჰააუუ!

— მანია! მანია!

გული ყელთან უცემდა, — ჩქარ-ჩქარა, გამალებით. ნაცნობი დარაბები, მრგვალი მაგიდა, მაგიდის იქით მდებარე ტახტიდან რაღაც შეიშმუშნა, ამოძრავდა. სიმამრის გალეული, შეყვითლებული სახე გამოჩნდა.

— დიდება უფალს, — თქვა ტიმოთე კვაჭაძემ, თუმცა იქვე მიირტყა პირთან ხელის ზურგი და გაუღიმა.

— რა მოხდა? — ჰკითხა სიმამრს.

— დარიას სასადილოში გივახშმიათ, დაგილევიათ ცოტა, მერე გული წაგივიდა, ბოდავდი წუხელ.

— ვინ მომიყვანა? — ჰკითხა ისევ. გული ჯერ კიდევ სწრაფად ძგერდა, მაგრამ იცოდა უკვე, რომ შინაა და მალე დამშვიდდება.

ტიმოთემ თავი გადააქნია.

— წითელარმიელი იყო ვიღაც, კოლიაო; ჩეკისტიც ახლდა, იმას არ უთქვამს სახელი. მანია შეგვიშინდა ძალიან.

„მცდიდა, მცდიდა, ის დამპალი და ჰა..." — იფიქრა ბაგარმა, ზუსტად იცოდა, რომ შეგნებულად წაიყვანა თან ორჯონიკიძემ, ბოლომდე გამოსცადა, არყის დალევაც ამიტომ მოიგონა, ისიც გამოცდა იყო.

— მანია სად არის?

— ბავშვი წაუყვანა დედამისს, მერე ექიმთანაც გამოვივლიო, მოვა საცაა. რა მოხდა მაინც, გაწყინა რამემ?!

— ჰო, ალბათ... — მიუგო ყასიდად, გულსგარეთ. ან რა უნდა ეპასუხა სანახევროდ გამოჩერჩეტებული ნადიაკვნარისათვის, რა აეხსნა?! ოცდათხუთმეტი წლის ასაკში წარსული ჩუჩასავით ჩამოიჭრა თავისი ხელით; ჰოდა, მძიმე ოპერაცია გამოდგა, როგორც ჩანს. „რაღაცას მოვიფიქრებ", — შეუძახა თავს. „ბოლოს და ბოლოს მოვინამლე ვითომ, ვინ არ მოწამლულა; ასეც ვიტყვი!" გულისძგერა თანდათან დაუმშვიდდა. ახლა უკვე აცრილი იყო. იცოდა — გაუძლებდა. მანიას მუცელზე მიადებდა ცოტა ხნით თავს და გაუძლებდა. მანიას გაბერილი მუცელი გაახსენდა, მერე გაეღიმა.



ჯემალ ინჯია

# შრიალებს მუხა ყელქცეულში

## (სონეტების გვირგვინი)

*ოთარ ჩხეიძის შესანდობარი*

1

ობლის კვერივით გამოუცხვა გვიან ყისმათი.
მაგრამ მანამდე?! — არც თუ ისე მშვიდი ამბავი.
სოფელი. სახლი. დედასპურით სავსე ამბარი.
ყველაფერია — ტკბილი თაფლი, ცხარე წიწმატი.

თანაც როგორი ვაჟკაცები! უკვირს, ვინც მათი
შეიცნო გარჯა ამ სახნისით, ამ სკით, ამ ბარით.
არ ჩაჰქრობია თავისუფალ სულს აქ ლამპარი,
გაბრწყინებული ილიას თუ ვაჟას ციტატით.

არ მოსწყინდებათ აქ მშობელი ქვეყნის თაყვანი,
იციან, როდის ამოუშვან ქვევრიდან ქარვა
და ვის რამდენ ხანს ატარებდნენ ხელში აყვანილს.

შრიალებს მუხა ყელქცეულში. ქართველმა ქალმა
იმ მუხის ჩრდილში დაურწია ვისაც აკვანი,
მისი კალამი კლასიკოსის ითვლება კალმად.

2

მისი კალამი კლასიკოსის ითვლება კალმად,
ვინც გვიან ჩასწვდა თუ რას ერქვა კაბდო და ფარცხი.
ბლის ქერქისაგან თუ რად იყო ნაქნარი სარცხი,
სავლე რად იქცა პავლედ, როგორც სალამი ქალმად.

ბავშვი გაექცა „სამეულის" ჩეკისტურ ქამანდს.
მამულიშვილთა აჯანყებამ იწვნია მარცხი.
ახლა იმ ამბის გახსენება, იქნება, არც ღირს,
მაგრამ ყურებში ტრაგიკული ჟღრიალებს გამა.

ნიჩაბი ჰქონდათ. ნიჩბით უნდა დამარხო მკვდარი,
სამარე უნდა ამოილოს ამასთან ბარმა.
მამა-ბიძები დაუხოცეს. რად გინდა ბარი,

როცა ცხედრებს არ აღირსებენ მშობლიურ პარმაღს.
დღეს კაცს, რომელიც უმკვდრო ჭირისუფალი არის
უმშვენებს ფართო შუბლს პირველთა სამკობი პალმა.

3

უმშვენებს ფართო შუბლს პირველთა სამკობი პალმა.
სწორედ ამ შუბლში იშვა აზრი — არც თუ რიალით —
რომ ყელქცეულში გააკეთოს მემორიალი, —
სიმბოლურ ნიშზე იპარპალოს კელაპტრის ალმა.

შევარჩევთ თემის ხეობაში ქვა-ლოდებს. მალმალ
გვიქრება ძრავა — ადგილია ერთობ ღრიანი.
წვიმა იწყება და მოგვესმა კიდეც ღრიალი,
ასობით კლდემ რომ ამოუშვა ხორხიდან სალმა.

ჩვენ ვხალისობდით. განა გვექცა გულები ლოდად.
კლდის სხვა ლოდები გადავტვირთეთ სოფლად სისწრაფით.
(ერთი თბილისში ალანიას დავადგით ნოდარს).

აღსდგა წამებულ წინაპართა ხსოვნა მზის ნათლივ
და ეს აღდგომა არ ეგონოს არავის მოდა —
ჭამა მშიერმა სამართალმა პური ღვთის მადლით.

4

ჭამა მშიერმა სამართალმა პური ღვთის მადლით
და ჩვენს მიწაზე ვერ შემოდგა ნაბიჯი ფრიცმა,
თორემ ქართველი ულმერთონი, ჩვენები, ვფიცავ
ყველა საფიცრით, რაც არსებობს მაღალ ღმრთისადმი,

რომ მოგვიკლავდნენ ძვირფას ოთარს. ორნი მის ადგილ-
სამყოფელს მიწყივ სდარაჯობდნენ, პარტიამ ვისაც
ჩუმად, ქურდულად, დაუსწრებლად და ფურთხის ღირსად
გამოუტანა განაჩენი სულის დგმისათვის.

მე წლების შემდგომ გამომიტყდა ორიდან ერთი:
„გადავრჩი ცოდვას. არც კი ვიცი, როგორ ვიზამდი..."
ჩვენს ხელობასთან ახლოს იდგა (არ გვინდა მეტი),

არც ასტრონომი ბრძანდებოდა, არც ნუმიზმატი.
მოდით და ისევ დავუბრუნდეთ მასპინძელს კეთილს,
ვის სავანეშიც არ უჩნდება მუხას ხის მატლი.

5

ვის სავანეშიც არ უჩნდება მუხას ხის მატლი,
„ქართლის ცხოვრებას" შექმნის იგი ახალს, მხატვრულად.
შეეძინება ქალიშვილი თვალებზხატულა
და ვაჟი — ტოლებს რომ დაჩაგრავს ჭკუის სისხარტით.

მათ ბალში სტვენით არ ელღებათ ფრთოსნებს ნისკარტი.
ეს არის ნაღდი ხელოვნება, არა ხალტურა.
შეჰქმენ შედევრი! შემძლებელი არა ხარ თუ რა?!
ათიე ღამე და „ბურუსით" ამოცისკარდი.

ფილოსოფიურს შეეჭიდე სოფლად ტრიადას
და, როცა თავი მოგაბეზროს ჭიგომ თუ სარმა,
თქვი — რა და როგორ არტისტულად გადატრიალდა,

თან დააყოლე — ძმამ ძმას როგორ გამოსდო სარმა.
არ ასცდენიხარ თბილისიდან გორის ლიანდაგს,
ის ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე სტენდალის პარმა.

6

ის ძვირფასია ჩემთვის ვიდრე სტენდალის პარმა.
აქ მრავალ ქუჩას ნატერფალი ატყვია შენი.
აქ ბევრ ქვაზე დევს, რაოდენი სიკეთეც ჰქმენი,
როგორც სივრცეში განფენილი ხილული კარმა.

შენ „დედა-ენამ" გაგზარდა და „ბუნების კარმა"
და ენაწყლიან წიგნებს წერდი ტკბილ-მწარე წვენით.

ჩანს, რომ უწყოდი საიდუმლო ლაზარე ენის
(ხსენება მთხოვა იმ ოთხი დღის უკვდავმა მკვდარმა).

მარტო გორული სკოლა რად ღირს — მთელი თაობა?!
ვინც კი შემოვრჩით, არ ვივიწყებთ აღმზრდელის ამაგს.
რა შეხვედრები, რა ხადილი, რა ბურთაობა...

მოსაგონარი სხვა რამ უფრო ძვირფასი არ მაქვს.
შრიალი გააქვს ქართულ მუხას (განა ბაობაბს),
შეხვალ ეზოში, კაცს იხილავ არც ისე ჭარმაგს.

7

შეხვალ ეზოში, კაცს იხილავ არც ისე ჭარმაგს,
ვისაც სულ აჩნდა კაცთმოყვარე გულზე ჭრილობა.
მუნჯი ვისივით შეცდენილი ქვეყნის შვილობა
კიდევ კარგი, რომ არ წაილო საფლავში ჯავრად.

ხომ მოუნია თავისუფალ გამზირზე ჩავლამ,
თეთრი დათვისგან ხომ მოესწრო ხუნდაყრილობას,
თუმცა ამ აყრას უეჭველი უნდა პირობა,
რომ მამულს აღარ შეგვიწუხებს ხიშტი თუ ჩალმა.

მიწაა ღმერთი! — სთქვა ოთარმა თედორეს პირით,
„გამოცხადებით" შეახსენა ამ ღმერთს ის მარტი,
რომ უყურებდა ბარბარუსულ ბანდების ჯირითს.

ცხენს არ შეკაზმავს, თუმცა მთქმელი გახლავთ ის მართლის.
ვერ შეუცვალა მუხანათმა საწუთრომ ნირი.
მის მტილში ატამს გულაბი ცვლის, ძუძუს თხილს
ზღმარტლი.

8

მის მტილში ატამს გულაბი ცვლის, ძუძუს თხილს ზღმარტლი.
შრიალებს მუხა და ხის ძირში მჯდარ ოთხ სუფრისმტეს
არ გვესაქმება — სად როგორი ქარი უქრის ტევრს.
ზედაშეს ვწირავთ გერის წმინდა გიორგის — მარტვილს.

ოთარს უჭირავს, რა თქმა უნდა, სადავე მართვის,
მისგან მოისმის სულ მამული, სულ გზა, სულ ქრისტე.
გვისურათხატებს ახლო წარსულს იმ შვლის ნუკრის ტყედ,
სადაც შვილის წინ ჰკლავენ მშობელს. ვაჰ, ჭკუას მარტივს!

მერე ერთ-ორ ლექსს დავაბოდებთ თამადის თხოვნით,
„კეისრისადმი" ერთგულების ფიცს ვინც ვიძლევით.
არ გაჰქრე, როგორც შარშანდელი დეკემბრის თოვლი,

ვაჟკაცის ფიცო, მშვენიერო, დაცვის სიძნელით.
დაისი დგება თრობასავით და თავის მოვლილს
მიმოგატარებს ედემივით ბაღს მასპინძელი.

9

მიმოგატარებს ედემივით ბაღს მასპინძელი,
სვანურ ქუდში აქვს თავი — მამას აუვსო დოქი,
მერე — წინაპრებს, რომ იცდიდნენ გამშრალი კოკით.
შრიალებს მუხა სასახლის წინ, მუხა ძირძველი.

ამ ოჯახს ხშირად სტუმრობს კაცი, წიგნის მკინძველი,
ამ ბუნებისთვის შორიდანაც ჩამოდის ზოგი.

ასმევს, აპურებს და თავადურს დაუგებს ლოგინს —
როგორც მასპინძელს ეკადრება — მუდამ ფხიზელი.

ხდება — სტუმარი ფეხს რალაცას დაადგამ ლელთან.
ო, შიშნაჭამო ქალაქელო, ხათაბალა ხარ.
დიასახლისი, ანკარამ თუ მოგგვარა ელდა,

წყალში გაგიხსნის ერთი-ორ წვეთ კატაბალახას.
ხოლო ოთარი, პროფესორო, ბატონო ელდარ,
თავს შემოგავლებს შემოდგომის ქართლის ბარაქას.

### 10

თავს შემოგავლებს შემოდგომის ქართლის ბარაქას.
ეს კერა სოფელს გასაჭირში აძლევდა ყუათს.
აქ სალოსსაც კი ეგულვოდა ხმიადის ყუა,
გაიკითხავდნენ ხალხს, ვინც იქცა დროის ზვარაკად.

დაავანებდნენ შრომის ნაყოფს ხვალის მარაგად,
არასმქონეებს იშვიათად ეტყოდნენ უარს.
ამ სახლის მკვიდრებს ხომ ჰკითხავდა სოფელი ჭკუას? —
ერთმა ეს ჭკუა რომანებად გადმოალაგა.

აქ გალაკტიონს ახსენებენ — „ცვრიან ბალახზე..."
აქ პურთან ერთად ოდითგანვე ცოდნას იძენენ.
აქ ლოცულობდნენ ჩუმად ვიდრე ტაბუ არ ახსნეს

იმ სიწმინდეებს, რომ ალვრიდნენ სისხლს ჩხეიძენი.
შედი ვენახში... კარგი არის ხილი არაყზე,
მერე კი თავი იმ ვენახის ატმად იგრძენი.

### 11

მერე კი თავი იმ ვენახის ატმად იგრძენი,
რომ უგალობდა კურთხეული დემეტრე მეფე.
შემდეგ სურათებს გადავიღებთ, ვიმარჯვებ მე „ფედს" —
არ იწუნება აპარატი „ფედ"-ი სიძველით.

ბოროტი შურით, კეისარო, ვერ დაიძლევი.
რომ შურთ, დიდ მწერლებს პატარები უნიჭოდ ჰყეფენ.
ოთარის ქართულს იწუნებენ, სტილსა და ელფერს
კრიტიკოსებად გადაცმული თათქარიძენი.

ის კი მიარღვევს ტევრს წიქარა ხარის მძლე ქედით,
ხშირად გადადის ბეწვის ხიდზეც. ღმერთმა არა ქნას,
ეს შემართება გაუნელდეს სულით ზნეკეთილს.

შენ ვერ დაგთრგუნავს ავ კაცთა თუ ქალთა მარაქა!
საქართველო კი არც ბირმაა, არც უზბეკეთი,
შენგან რომ ითხოვს მოფერების ხარკს და არაქათს.

### 12

შენგან რომ ითხოვს მოფერების ხარკს და არაქათს —
სამაჩაბლოა, აფხაზეთი, ჭარ-ბელაქანი...
ჩვენს რუკას შავად რად დააჩნდა ჭარბი ლაქანი,
ნუთუ პატრონი ამ ქვეყანას მართლა არა ჰყავს?!

ბირკის მინდორი გადაიქცა ერთ დიდ ბარაკად,
შემოსეულ მტერს ვერ ამოვდეთ კარგად ლაგამი.
ოთარმა გვითხრა: მოჰყვება „თეთრ დათვს" ბალაგანი.
მოეთრა დათვი და მართლაც აქ დაიბანაკა.

ვინ გკითხა საქმე სააფხაზო თუ საოსონი?!
ჩამოჰკრავს ზარი, შენ აქედან რომ დაიძვრები.
ავად გიელავს მონღოლური თვალთა ფოსონი.

შენ ბუნაგში ხარ, ჩვენ სახლებში რატომ გვიძვრები?!
შავეთი ხომ არ მოდის?! ზეცა, როგორც ოზონით
დრო-ჟამი დენთით იმუხტება, მე კი — იმ ბრძენით.

### 13

დრო-ჟამი დენთით იმუხტება, მე კი — იმ ბრძენით,
ოსტატის ხელით, ვინც ძერწავდა ლეკოს, იტრიელს...
კითხულობ... და გრძნობ, კარი როგორ შემოგიმტვრიეს
„ტროიკელებმა", რომ ისვრიან ნაგანს მიბრჯენით.

დაადევნებდნენ „კეისარსაც" მსტოვარს მიჩენილს
(მსტოვარიც ითრევს ფეხს, შენ ფეხი თუ აითრიე).
მუხა ებრძვის ფითრს! და რამდენი ჰყავდა ფითრი ერს —
ბინის, ფულის და ორდენისთვის მოჩალიჩენი.

ნაძირალები ნაძირალებს კარგად უხდიან,
ის კი სვლას მათი ნაბიჯებით ვერ და არ აყვა.
ნამუსის ქუდი მას თავიდან არ მოუხდია,

წუთისოფელი სპეტაკი მხცით მოივარაყა.
რა ვქნათ თუ ხან სტილს ჰპარავენ, რაც
მწერლის მუხტია,
ვამაყობ და მის კვალს ვატარებ სულში არაკად.

### 14

ვამაყობ და მის კვალს ვატარებ სულში არაკად,
ოთარ ჩხეიძეს სიყვარულით ვხმობდით „კეისრად".
თამაშ-თამაშით კი არ წერდა — სისხლით! მე ის რას
გამიმხელდა, რომ კვებავდა ბევრ კირკიტ არაკაცს.

მახსოვს საყვარელ დედასთან რომ მალაპარაკა —
დიდედა ნატო აგიწერდათ დონს და რეინსაც.
მისმა განსწავლამ გამაოცა, ვფიცავ დღეის მადლს,
გეგონებოდა, რომ მოევლო ალაბამა ქალს.

ქართული ფუტკრის ზუზუნისთვის ყურის მიჩვევას
მირჩევდა თუნდაც ჩემი ყოფის სიახლისათვის.
როგორც მკითხველმა ქალბატონმა, ცხადად მიჩვენა

პატივისცემა ჩვენი ჟურნალ „ლიახვისადმი".
მის ძეს კი, ვისაც მაშინაც და ახლაც ვთვლი ჩვენად,
ობლის კვერივით გამოუცხვა გვიან ყისმათი.

### 15

ობლის კვერივით გამოუცხვა გვიან ყისმათი.
მისი კალამი კლასიკოსის ითვლება კალმად.
უმშვენებს ფართო შუბლს პირველთა სამკობი პალმა —
ჭამა მშიერმა სამართალმა პური ღვთის მადლით.

ვის სავანეშიც არ უჩნდება მუხას ხის მატლი,
ის ძვირფასია ჩემთვის ვიდრე სტენდალის პარმა.
შეხვალ ეზოში, კაცს იხილავ არც ისე ჭარმაგს,
მის მტილში ატამს გულაბი ცვლის, ძუძუს თხილს
ზლმარტლი.

მიმოგატარებს ედემივით ბაღს მასპინძელი,
თავს შემოგავლებს შემოდგომის ქართლის ბარაქას.
მერე კი თავი იმ ვენახის ატმად იგრძენი,
შენგან რომ ითხოვს მოფერების ხარკს და არაქათს.
დრო-ჟამი დენთით იმუხტება, მე კი იმ ბრძენით
ვამაყობ და მის კვალს ვატარებ სულში არაკად.



# მე სიყვარულის მენაგვე ვარ

*

### ანდრე მიულერს ესაუბრება ელფრიდე იელინეკი

*თარგმანს ვუძღვნი ანდრე მიულერის ხსოვნას, რომელიც ახლახან, 65 წლისა კიბოთი გარდაიცვალა*

**— ის იყო შეიტყვეთ, ნობელის პრემია მიიღეთ განაცხადეთ, ამას არ ვიმსახურებდიო. თუ სხვებიც ამასვე იტყვიან, ეს გულს გატკენთ.**

— სრულიად დარწმუნებული ვარ, პეტერ ჰანდკეს უფრო ეკუთვნოდა, ცოცხალ კლასიკოსს.

**— დიახ, მაგრამ სხვები შენს წინააღმდეგ არაფერს ამბობენ.**

— არა! ეს ისევეა, თუ საპყარი ხარ და სავარძელში ზიხარ, არავის აქვს უფლება ერთი სიტყვაც დაძრას, მაგრამ შენთვის ნებადართულია. მე უფლება მაქვს ამის თქმისა. სხვებს — არა!

**— ვატიკანი იმაზე აღელდა, რომ ერთმა, როგორც თქვენ გეძახიან, ნიჰილისტმა ნევროტიკმა ნობელის პრემია მიიღო.**

— ამან ყველაზე მეტად მატკინა გული, რადგანაც ვატიკანი მაინც სუსტებსა და ავადმყოფებს უნდა გამოსარჩლებოდა. მას უნდა ეთქვა, თავი დაანებეთ ამ საბრალო ქალს, მას სხვაგვარად არ შეუძლია, მშვენიერია, რომ პრემია მოიპოვა, თუნდაც ნიჰილისტური იყოს, რასაც წერს. ვატიკანს მაინც უნდა დაეცვა ტვირთმძიმენი და განაწყენებულნი.

**— გულმოწყალებისგან...**

— დიახ, ეს ყოვლად არაქრისტიანული საქციელია ვატიკანისგან.

**— მარსელ რაიხ — რანიკმა დაწერა, რომ თქვენ ძალზე ძვირფასი ქალბატონი ხართ, მაგრამ კარგი წიგნი არ გამოგივიდათ.**

— უდიდესი დამცირებაა, თქვა, ის არის ერთი შთამბეჭდავი და მისაბაძი ქალი, მაგრამ წერა სწორედაც რომ არ შეუძლიაო. ეს უპატივცემულობაა. ასე ძნელია ცხოვრება, რადგან მე თვითონაც თავს უკვე საკმარისად ვიმცირებ.

**— უფლება ამის უარყოფისა მხოლოდ თქვენზეა.**

— დიახ, მართლაც, არ მსურს, ეს სხვამ გააკეთოს. მე მიყვარს ნაღების ტორტი, რასაც მე თავს ვესვრი, და არა, ასე ვთქვათ, გადაგდებულისა და დაბინძურებულის მეორეჯერ სახეში მიღება, თუმცა, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ეს უსამართლო ბრალდებაა. რადგან, დიახაც, ყველას შეუძლია ის თქვას და დაწეროს ჩემზე, რაც მოეპრიანება.

**— მწერალმა მარტინ მოსებახმა თქვენ დასავლური ნახევარსფეროს ყველაზე სულელი ადამიანი გიწოდათ.**

— ეს მე მამხიარულებს, რადგანაც მან მართალი სიტყვა თქვა. სინამდვილეში სწორედაც სულელი ვარ. ეგაა, მას არ შეეძლო ეს სცოდნოდა, რადგანაც არ მიცნობს. ბავშვის ბაგეები აუწყებენ ჭეშმარიტებას.

**— თუ ვინმე ჭკვიანს დაგიძახებთ...**

— მე ეს არ მჯერა. ვიცი, რომ ჭკვიანი არ ვარ. მაგალითად, თქვენ შეგეძლოთ ჩემთან არ გეკამათათ, რადგან მე საკმარისად ინტელიგენტი არ ვარ საიმისოდ, ერთი შეხედულება ბოლომდე გავიაზრო. ცოტა ხნის წინათ ტელევიზიამ ფილოსოფიურ დისკუსიაზე მიმიწვია. ვუპასუხე: ვწუხვარ, პურივით სულელი ვარ-მეთქი. მე ეს არ შემიძლია.

**— ამას სიცილით ამბობთ.**

— დიახ, მაგრამ ჩემი სიცილი სინამდვილეში მუდარაა. ცხოველები გაჩვენებენ კბილებს, რადგან ისინი მადლს ითხოვენ.

**— ეს თქვენთვის აკრძალული რჩება. რაც მეტად დაიმცირებთ თავს საჯაროდ, მით უფრო დაუნდობლად იქნებით გაკრიტიკებული.**

— დიახ, შეგიძლიათ ეს ამიხსნათ?

**— შევეცდები — ზოგი ვერ იტანს იმას, რომ თქვენ ყველაფერს მიაღწიეთ, რასაც შესაძლებელია მიაღწიო, და მაინც არ გიხარიათ.**

— ეს უკვე სხვებმაც მითხრეს.

**— გაზეთის კოლუმნისტი ფრანც იოსებ ვაგნერი წერდა „ბილდ-ცაითუნგში“: აიღეთ თქვენი ჯილდოს ფული, მიეცით თერაპევტებს და გაბედნიერდებით!**

— ერთ მილიონ ევროს ნამდვილად არ მივცემ თერაპევტებს. სიამოვნებით ვიყიდი ერთ ხელ იაპონურ სამოსს.

**— სხვა გაზეთებში კანდიდატები დასახელდნენ, რომელთაც ნობელის პრემია შესაძლოა უფრო მეტად დაიმსახურეს: დორის ლესინგი, ჯოის კეროლ ოუტსი, ფილიპ როთი...**

— დიახ, მაგრამ არაფერი მომიმოქმედებია იმისთვის, რომ მაინცდამაინც მე მომნიჭებოდა თვითონ ხომ არ მიმიკუთვნებია საკუთარი თავისთვის?!.

**— პოეტმა ფრიდერიკე მაიროკერმა უპასუხა კითხვაზე, თქვენთვის მოლოცვა თუ სურდა: ასე უანგარო მე არ ვარო.**

— მე ეს მაკვირვებს. გულით გავიხარებდი, თუ ის მიიღებდა, რადგანაც მე ვიფიქრებდი, მადლობა ღმერთს, მე

*** პირველად გამოქვეყნდა შვეიცარიის მსოფლიო კვირაში 2004 წლის 2 დეკემბერს.**

არ მომენიჭა-მეთქი. დიახაც, ვიცი, რამდენიმე წელია ერთ ასეთ ფურცელზე ვწერივარ და, ყოველდღე ჰანდკეს ჯანმრთელობისთვის ვლოცულობდი. ვლოცულობდი, რომ არ მომკვდარიყო, ან ავად გამხდარიყო, ანდა ისევ რაღაც სისულელეები ეთქვა სერბიაზე.

**— ეს მართლა ასე ცუდია, საქვეყნოდ ცნობილი, უმაღლესი ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდე?**

— ერთი მხრივ, თავს ვგრძნობ ნამდვილად პატივდებულად. დიახ, ეს მეწაღესაც გაეხარდებოდა, თუ მის მსახურებას აღიარებდნენ. სხვა მხრივ, ეს ჩემთვის ტვირთია, რადგანაც მსურს, ჩემი სიმშვიდე მქონდეს. ზოგჯერ არავის ვენდობი, შინაურსაც კი. საზოგადო გადაადგილების საშუალება მჭირდება, რადგან მანქანა არ მყავს. ახლა აღარ შემიძლია უ-ბანით მგზავრობა, რადგან ვერ ვიტან, დავალებული იყო.ვგრძნობ ყოველგვარ ყურადღებაში პოზიტიურსაც, როგორც დაშავებულ სხეულს. მე ყავის სახლშიც აღარ შემიძლია წასვლა.

**— თუ სიმშვიდე გსურდათ, ვინ დაგიშალათ ინტერვიუ არ მოგეცათ და ტელევიზიაშიც არ გამოჩენილიყავით?**

— მართალია. თავს ოდნავ გავუფრთხილდი. ძალიან ხშირად ვთამაშობ არაცნობიერი მორჩილების რეფლექსიდან, რომელიც ექსტრემ ავტორიტეტი დედისგან გამომიმუშავდა. მე ვსაუბრობ, დიახ, მასთანაც.



ანდრე მიულერი

**— დედაშენი ოთხი წლის წინათ გარდაიცვალა.**

— დიახ, ყოველ დღე მიხარია, რომ მკვდარია. 97 წლისა იყო და საბოლოოდ სულ გაგიჟდა. პარანოია, რომელიც მას მალულად ყოველთვის ჰქონდა, სრულიად შეწყდა. სჯეროდა, ჩემი ქმარი სამკაულებს ჰპარავდა. შინ შემოსვლის ნებას არ რთავდა. ეს იყო ავადმყოფური შიში. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სულ ბავშვი ვიყავი, ყველას, ვინც მომწონდა, ჩემი წრიდან აძევებდა.

**— რომანში „პიანისტი“ აღწერთ ნევროტულ ურთიერთობას დედასთან. თქვენ იმავე სახლში ცხოვრობდით. წერა იყო თქვენი თავშესაფარი.**

— წერა იყო ჩემი სამაშველო ნავი, მაგრამ ამან ვერ გამათავისუფლა. მხეცივით ვიყავი, ამ ქალზე ადრეული ბავშვობიდანვე მიჯაჭვული. მას სრული ძალაუფლება ჰქონდა ჩემზე. მისმა სიკვდილმა ზოგი რამ შეცვალა, მაგრამ ჯანმრთელი მე ვერ გავხდი. შიში იქნება უფრო დიდი, ნაცვლად — პატარის.

**— რომელი შიში?**

— არის ერთი სპეციალური ფორმა აგორაფობიის, რომელიც შეწყდება, თუ მე ადამიანთა მასა დამინახავს. ჩემი გოგოობისას, ერთ წელიწადს შინიდან არ გამოვსულვარ. ჯერ ისევ ბავშვი პაციენტი ვიყავი და, როგორც გიჟი, ოთახში წინ და უკან დავრბოდი, თავით კედელს ვეჯახებოდი. ჩემმა მაშინდელმა ფსიქოლოგმა თქვა, ამ გზით იმ იძულების მოშორება სურს, რომლის ქვეშაც ვიმყოფებოდი. ეს არ ყოფილა ლამაზი თვალსაზრისი.

**— განიკურნეთ?**

— ასე დღესაც ვიქცევი ზოგჯერ, მაგრამ არც ისე ექსტრემალურად. კედლებს აღარ ვეხეთქები. ეს არის, თითქოს ჩემში რაღაც ბობოქრობდეს, დღემდე რისხვაა ის, რაც მაწერინებს. წერა ჩემთვის დიახაც მტანჯველი აქტია. ერთი სახე აღშფოთების. მე არ ვარ ის ვიღაც, რომელიც, როგორც თომას მანი, ყოველ თეზისს ხვეწს და რანდავს, მე ვანაკუწებ, რასაც მივწვდები. ასე მიდის ორი, სამი საათი, შემდეგ ვეშვები ბურთივით, რომელსაც ნემსს ურჭობენ.

**— შეგიძლიათ საძილე აბის გარეშე დაიძინოთ?**

— არა, ღმერთმანი, ვალიუმის გარეშე არაფერი გამომდის. ჩემი დეკორაცია ვალიუმი, ანტიდეპრესანტი და ბეტაბლოკერია. მხოლოდ პიესა „ბამბილანდი“ დავწერე ერთხელ ნარკოცხელების ქვეშ.

**— წერაც ვერ გაბედნიერებთ.**

— არა, ვერაფერი მაბედნიერებს. მხოლოდ ზოგჯერ ვვარდები წერისას ისეთ ყოფაში, სადაც მთლად ცნობას არ ვარ. ეს არის, ასე ვთქვათ, ტრანსის ერთი სახეობა, როგორც ორგაზმის დროს. მაგრამ ისიც ვიცი, ეს როგორ წარმოიშობა. საბოლოოდ ყველაფერი შრომაა, თვით სიყვარულიც კი.

**— სიყვარული?**

— დიახ, სიყვარულიც, ისე, როგორც მე მას აღვწერ. რაღაც სხვა, ვიდრე ღრმა, ძლიერი გრძნობების აღწერა.ეს ჩემთან რაღაც მანქანურია. მე ამას ზედაპირისკენ ვექაჩები.

**— იხსენებთ თქვენს პირველ სასიყვარულო კავშირს?**

— დიახ, ნამდვილად. ასე მიხრწნილი ჯერ არ ვარ, ამას რომ არ ვიხსენებდე.მაგრამ ამაზე არ მსურს საუბარი.

**— მშვენიერი უკეთესია შენთვის შეინახო.**

— ეს ასეა. ჩემი კრეატიულობა მოდის ნეგატიურიდან. მე არ შემიძლია, რაიმე პოზიტიური აღვწერო. მაგრამ, რა თქმა უნდა, მეც მქონია ძალზე დიდი ვნებათაღელვანი ცხოვრებაში.

**— ბედნიერების მომენტები?**

— რა თქმა უნდა! მე ხომ არაადამიანი არ ვარ. მე ერთი ძალიან გულთბილი და სიყვარულის შემძლე ადამიანი ვარ, მაგრამ ამაზე არ ვწერ. ვწერ დამანგრეველზე, მაგრამ ეს მხოლოდ მე შემიძლია, რადგან ვიცნობ სხვასაც. ხალხი კვნესის თავის რომანტიკულ განცდებზე, თუ მზე ჩავა მალორკაზე. მაგრამ ვინ შეასრულებს ჭუჭყიან სამუშაოს? ეს მე უნდა ვაკეთო. მე გამომაქვს გრძნობების ჭუჭყი გარეთ. ეს არის ჩემი ამოცანა. მე ვარ ლიტერატურაში ნანგრევების გაწმენდაზე მომუშავე ქალი. მე ვარ ქალი ნაგვის ყუთით. მე სიყვარულის მენაგვე ვარ.

**— ერთი სხვა მოტივი თქვენი ნაწერებისა, როგორც თქვენს ადრეულ ინტერვიუში ამბობდით, შურისძიებაა. თქვენს რომანში „მკვდრების შვილები“ ყველანი უნდა მოკვდნენ, ვისაც ცხოვრებით გახარება შეუძლია.**

— ყველა,რომელთაც ცხოვრება შეუძლია,დიახ, და თუ ისინი უკვე მკვდრები არიან, ვკლავ მეორეჯერ,ორმაგად უკეთესად გამოვა.

**— საწერ მაგიდასთან თქვენ მკვლელი ხართ.**

— სწორედაც, რადგან ეს ნამდვილ ცხოვრებაში არ გამოდის. საწერ მაგიდასთან ვეომები ადამიანებს, რომელთაც ეს ჩვეულებრივ ყოფაში, რაც მე მშურს, მოხერხებულად გააკეთეს და ცხოვრებით ტკბობა შეუძლიათ. აქ, საფუძველში სრულიად ტოტალიტარული ვარ. მე ვამბობ, რომ მას შემდეგ, რაც ნაციზმი აქ დაასახლეს, არავის აქვს უფლება მშვიდად და ბედნიერად იცხოვროს.



ელფრიდე იელინეკი

**— მამაშენი ებრაელი იყო.**

— დიახ, მან ნაციონალ-სოციალიზმი ტანჯვა-გაჭირვებით გადაიტანა, ის დედაჩემის ქმრობამ დაიცვა. დედაც არ ყოფილა წმინდა არიელი: ერთი პაპა ებრაელი ჰყავდა, მაგრამ შეძლო არიელობის გაყალბებული ცნობა შეექმნა. როცა აიძულებდნენ, მამაჩემს გაშორებოდა, მან ეს უარყო. ამ შემთხვევაში გმირულად მოიქცა.

**— მან მამათქვენი გადაარჩინა.**

— დიახ, მაგრამ 49 ნათესავი მამის მხრიდან ნაციზმის დროს დაიღუპა. ერთხელ დათვალა და ამის შესახებ ჩემი ბიძაშვილი მომიყვა. მე დღემდე ვხედავ გვამების მთას, რომელიც იპოვა,როცა მოკავშირეები საკონცენტრაციო ბანაკებში მივიდნენ. ომის შემდეგ მამაჩემი ჩემთან ერთად (მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი) კინოში წავიდა, სადაც ამ ყველაფერს დოკუმენტურ ფილმებად აჩვენებდნენ. ისინი გადიოდა კინოში, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ბავშვებისთვის განკუთვნილი. დამბლადაცემულივით ვიყავი შეძრწუნებისგან.

**— საშინელებამ მოგგვარათ სიძულვილი.**

— დიახ.

**— თუ თქვენ ეს გამოგივათ...**

— მაშინ თავი მე თვითონაც უნდა მძულდეს. ეს კი საერთოდ არ მშველის. სიძულვილი ჩემი მოტორია. არ უნდა მძულდეს, იქნებოდა ჩემთვის დასვენება.მაგრამ ეს დასვენება ჩემთვის აშკარად არ შექმნილა.

**— ოდესმე რეალურად გიფიქრია, თავი მოგეკლა?**

— არა, სასაცილოა, სინამდვილეში ეს იქნებოდა ლოგიკური დასკვნა ჩემი თვითდამცირებისა, თუმცა შემდეგ ებღაუჭებიან ერთი ბეწო სიცოცხლესაც, კიბოთი ავადმყოფისა არ იყოს, რომელიც ბოლო სტადიაშიც, ყოველდღე სიცოცხლეს ებღაუჭება და სიკვდილი არ სურს.

**— როგორ წარმოგიდგენია შენი სიბერე?**

— საშინლად! სიბერის წინაშე პანიკური შიში მაქვს იმ დროიდან,რაც დედაჩემის დაუძლურების პროცესი გადავიტანე. ასე რომ, სანამ ეს პროცესი გამიღრმავდება, ვიმედოვნებ, თავის მოკვლას შევძლებ. უნდა ვიცნობდე ექიმს, რომელიც ერთში დამეხმარება. რადგან ეს მე მხოლოდ ტაბლეტებით შემეძლება — ფაქიზად. თავის ჩამოხრჩობა არ შემიძლია, ეს აბებით უნდა მოხდეს,და რომ არაფერი დაშავდეს, ვაშლის მუსში შეურიო.

**— აჰ!**

— დიახ, და წინასწარ, დამატებით, ვალიუმიც ჩაყლაპო.

**— შენ საშიში ხარ. არ შემიძლია თქვენთან პროფესიულად ინტერვიუს გავუძლვე.**

— მე განგაიარაღეთ თქვენ...

**— დიახ.**

— რადგანაც ხედავთ, რომ მე ნამდვილად უმწეო ვარ.

**— დიახ, და მე არ შემიძლია დაგეხმაროთ.**

— არავის შეუძლია დამეხმაროს. მაგრამ თქვენთან სიამოვნებით ვსაუბრობ. ეგაა, ისე დაცლილი ვარ მომენტალურად. თქვენ ხედავთ ახლა, ვილაც როგორ ეცემა, ვინც დიდი ხანია არცერთი ადამიანური საზოგადოებისგან მიტოვებული არ ყოფილა.

**— მეც არაქათგამოცლილი ვარ.**

— დიახ, ცუდია. თუ თქვენც ასევე დაეცემით, კარგია.

**— არსებობს კიდევ რაიმე სურვილი, რომელსაც თქვენ სიამოვნებით აისრულებდით?**

— დიახ, მოგზაურობა. მაგალითად, სიგიჟემდე გამახარებდა ნიუ-იორკში გაფრენა. მსურს, ვიდრე მოვკვდები, ღრუბლების ამოფრქვევა ვნახო.მაგრამ ეს არ გამოვა ჩემი ავადმყოფობის გამო. თუ თვითმფრინავიდან ჩამოვალ და იმ სიჩქარესა და ხმაურს, იმ რიტმს გამოვცდი, რომელიც იქ ბატონობს, ადგილზევე მკვდარი დავეცემი.

**— გული ამიჩუყეთ.**

— დიახ. მეც ასე მგონია, რომ გულისამაჩუყებელი ვარ ჩემი სიმორცხვით. დიდი პრეტენზიები არ გამაჩნია ცხოვრებასთან. უკვე ბედნიერი ვარ, თუკი ტელევიზორში ერთი ძველი ფილმის შეხედვა შემიძლია. დიახაც, დამოკიდებული ვარ ტელევიზორზე, რადგანაც კინოში წასვლა არ შემიძლია.

**— ერთხელაც არა?**

— არა, რადგანაც იქ კარებია, რომლებიც იკეტება, დაბნელდება და თავს ჩაკეტილად ვიგრძნობ, თუმცა ვიცი, რომ ყოველ წუთს შემიძლია გაქცევა.

**— ლიტერატურის კრიტიკოსმა ირის რადიშმა ამასწინათ „დროში“ შენიშნა, რომ თქვენ თქვენს მსოფლხედვას მხოლოდ ტელევიზორიდან იქმნით.**

— ქალბატონი რადიში მე არ მიცნობს. არც მე ვიცნობ მას. მაგრამ, რათქმაუნდა, თავის მსოფლმხედველობას ისიც ტელევიზორიდან იქმნის, თუმც ეს არ იცის. განსხ-

ვავება ესაა. თუ კამერის წინ თავის ლამაზ ფეხებს ერთმანეთზე გადადებს, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ეს რომელიღაც ფილმში ნახა. დიახაც, არაფერი არსებობს ავთენტური. რასაც დღეს სინამდვილეღ ვიღებთ, ტელევიზორის სინამდვილეა. ამაზე ვწერ.

**— ირის რადიშს სურს, ციტატა წარმავალ, მრავლისმთქმელ სამყაროზე კარის წინ როგორღაც ამოიკითხოს.**

— დიახ, რადგან ვერ სწვდება, რომ ცხოვრებასაც მასთან ერთად იღებს, თუკი შინ რჩება. გულისამრევად მიმაჩნია, თუ იტყვიან, რომ ჩემი ლიტერატურა არ არის მსოფლიოს შემცველი, იქ არ არის შინაარსები, ფიგურები.რადგან ლიტერატურა მაინც, ჯოისიდან ანდა ბეკეტიდან, ბევრად შორსაა. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ ვიღაც ამბებს მოჰყვება. პირადად მე სიამოვნებით ვკითხულობ დეტექტივებს, მაგრამ ამასთან შემიძლია სხვა შევთავაზო. დღეს ისევ სურთ რეალისტური,წვნიანი მოთხრობები. ვინც ჩემსავით ენით მუშაობს და პირად საქმეებს ექიმივით სიმპტომატიკით აგნებს, ანდა ფლოსტის ჭიასავით რეალობაში თუ აციმციმდება, სასაცილო ფორმით სოციალური კლიშეები რომ გამოააშკარაოს, ეს არ ჩაითვლება. ეს განადგურდება.

**— რადგანაც იუმორი არ ესმით.**

— საზღვარგარეთ ეს ესმით. ჩემი ცხოვრების სტრატეგიაა, რომ გერმანიაში ებრაელები ამოწყვიტეს და ეს ებრაული ბიოტოპი, ეს ხუმრობა, რომელიც მამისგან გადმომეცა, აქ მეტად აღარ არსებობს. რასაც ირონიით ვამბობ, აქ დიდი ძრწოლით იღებენ. ირონია გერმანელებს არ ესმით. ფრაუ რადიშსაც არა.

**— შვედურმა აკადემიამ ნობელის პრემიის შენთვის მონიჭება სხვა გარემოებებთან ერთად იმითაც დაასაბუთა, რომ თქვენ აღგიქვამენ, როგორც საზოგადოების შეუდრეკელ კრიტიკოსს — ქალის სიღარიბის აღწერისთვის, სამყაროში ცხოვრების მოთხოვნით, ის მასში სტერეოტიპული სურათებით დაიფარება.**

— დიახ, კაცთა სურათებით.

**— ქალის სურათი, ამბობთ თქვენ, კაცებისგანაა განსაზღვრული.**

— დიახ, ჩვენ, ქალები, ყველა, მამრობით შეფასებებს უნდა შევესაბამოთ. და ვისაც თვითდამკვიდრება სურს, ამას აღწევს არა რომელიმე სახის წარმატებით, არამედ იძულებულნი არიან სხეულის ბაზარზე გადაიტყორცნონ. წინათ ხშირად მიხუმრია, ნობელიანტია თუ 16 წლის მოსწავლე, სულერთია, კაცები დაუსტვენენ, ან მიაძახებენ მსუქანა, ძროხაო. ახლა მე თვითონ ვარ ნობელიანტი, მაგრამ ეს არ ამაღლებს ჩემს ფასს კაცების თვალში,უფრო კი — პირიქით. მათთვის საშინელი მონსტრი გავხდი.

**— ჩემთვის არა.**

— შენ გამონაკლისი ხარ. პირველი ინტერვიუსას რაღაც მითხარით, რაზეც ახლაც ხშირად ვფიქრობ. სახელდობრ, ცხოვრება რომ არ შეეძლოთ, მარტო ქალების პრობლემა არაა, ცხოვრების უუნარონი კაცებიც შეიძლება იყვნენო.

**— კაფკა,რობერტ ვალზერი...**

— დიახ, ამაში თქვენ, სხვათა შორის, მართალი ხართ.

**— როგორც ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი, კაცად უფრო მძიმე იქნებოდით, რადგან, თქვენ, როგორც არაფემინისტს, დაჩაგრულ ქალებთან გაიგივება შეგიძლიათ.**

— მართალია. კაცი რომ ვყოფილიყავი, შესაძლოა დიდი ხნის წინათ მომეკლა თავი. სხვა მხრივ, როგორც კაცი, ნობელის პრემიით განცხრომას მივეცემოდი. კაცს უფრო მომხიბლავს ხდის წარმატება. დიახაც, არა ვარ ფემინისტი, რადგანაც კაცებს ვებრძვი, რომლებიც ქალებზე ძალადობენ და პატივს პყრიან, ეს რომ წინააღმდეგობრივია, ცხადია. მე ფემინისტი ვარ, რადგანაც ეს დამთრგუნველი, ფალოსურ და ფალოკრატულ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ქალს იმორჩილებს, ყველაფერს მოედო. ეს მონობა კაცის შემფასებლური განაჩენის წინაშე, ჩემთვის მარად ნარცისული დაავადებაა.

**— დღეს კაცებსაც ქალები განსჯიან.**

— კარგი, მე შემიძლია ვთქვა, რომ კაცი კუდსუსტია, ისეთი სასაცილო კაცუნა, როგორიც ჩვენი ბუნდესკანცლერი შუზელი ან იორგ ჰაიდერია, რომელიც ასევე პატარა და გაბერილია. მაგრამ ეს არ ითვლება. კაცს ყოველთვის აქვს ძალა განსაზღვრისა, რაც ლამაზია.

**— ეს რა, არ შეიცვალა? რეკლამაში სულ უფრო ხშირად ჩანან ახალგაზრდა, დაკუნთული, ბრტყელმუცელა კაცები, რომელთაც აშკარად სურთ, ქალებს მოეწონონ.**

— არა, რადგან ესენი არიან კაცები კაცებისთვის. კაცის მშვენიერების იდეალიც თვით მისგან იქნება განსაზღვრული. მოდელის სფეროში ყველაფერი მაინც უხალისოა და დახშული.

**— მე ვწონი ახლა, გითხრა თუ არა,რომ თქვენ ლამაზი ქალი ხართ.**

— ცხადია, მე ეს მახარებს, მაგრამ მართალი არ არის.არა ვარ ლამაზი. დიდი ცხვირი მაქვს, ვიწროდმდგარი თვალები. თუმცა კი ჩემი სახე სახასიათოა. ნიკოლ კიდმანი ლამაზია.ქალის იდეალი, რომელსაც უმეტესი ფილმსტარი აღიარებს, ძალიან მიახლოებულია ბავშვის სქემასთან (დიდი თვალები, პატარა ნესტოები, გაფუებული ტუჩები, გულის ფორმის ბაკები)

**— ყველა მაინც არ მიიჩნევს ამას ლამაზად.**

— დიახ, თქვენ იშვიათი გემოვნება აქვთ.

**— თუმცა უარყოფთ, გარეგნობის მიხედვით შეგაფასონ, მუდამ საგანგებოდ ხართ შეღებილი და ჩაცმული.**

— ეს სტილიზებაა და, რა თქმა უნდა, აღვიძებს ცნობისმოყვარეობას. ალბათ ამაზე უარი უნდა მეთქვა, მაგრამ ნეტავი რატომ?

**— პირველ საუბარში თქვენ არ გამორიცხეთ პლასტიკური ქირურგიით დახმარება.**

— ამას დღესაც არ გამოვრიცხავ, ჯერ კი არ მჭირდება, მაგრამ ოდესმე გადმომეკიდება თვალის უპეები გარეთ (ორივე ხელით ჭიმავს ქუთუთოებს ზევით და ახლა ჩინელს ჰგავს). ასე ხომ მაინც უფრო ლამაზია?

**— ასე საერთოდ ვეღარ გცნობ.**

— დიახაც, შემიძლია, დაფა ჩამოვიკიდო, სადაც ენერება, რომ ეს მე ვარ.

**— ვფიქრობდი, ვერ იტანთ, თუ ვინმე შემოგხედავთ.**

— ეს ჭეშმარიტებაა. მაშასადამე, სამწუხარო იქნებოდა ფულის გამო. პირველად რომ ერთმანეთს შევხვდით, ვიყავი რაღაც-რაღაცებით უფრო ახალგაზრდა და მსურდა კიდევ მეთამაშა სხეულის ბაზრით.ეს მეტად აღარ მსურს.

**— მაშინ ამბობდით, სიამოვნებით გავხდებოდი ლესბოსელიო.**

— ეს სასიამოვნო იქნებოდა.

**— სიამოვნებით მოძებნიდით სექსუალურ მეგობარს.**

— დიახ, ეს ადვილად შემეძლო, რადგან ლესბურ კავშირში ასაკი და გარეგნობა არც ისე მნიშვნელოვანია. ქალების საზოგადოებაში თავს უკეთ ვგრძნობ.კაცებისგან მუქარა მოდის. შიში მეუფლება მათ წინაშე.

**— ალისა შვარცერმა დაასკვნა, ქალს შეუძლია ჰომოსექსუალობასა და ჰეტეროსექსუალობას შორის თავისუფლად გადაწყვიტოსო. ის ფიქრობს, ეს არ არის წინასწარგანსაზღვრულიო.**

— კარგი იქნებოდა.

**— ის სთავაზობს მდედრულ ჰომოსექსუალობას, როგორც სტრატეგიულ აქტს, კაცებზე დამოკიდებულნი რომ არ გახდეთ.**

— ეს ჩემთვის სრულიად ახალია. ამას ჰქვია, რომ შემეძლოს ახლა, ამ წამსვე ლესბოსელი გავხდე?

**— დიახ, თუ ეს გსურთ.**

— ასე არ არის, რადგან მე ნამდვილად ვიცი ამ ნდომის ძალა. ეს ბევრად უფრო ძლიერია,ვიდრე რომელიმე ლტოლვა. მე მაინც არ შემიძლია,ერთი რომელიმე ვნება ვაიძულო.

**— შეგეძლო ასკეტურად გეცხოვრა.**

— დიახ, ცხადია, მე ეს შემიძლია. ლტოლვები გტოვებენ, ასე თუ ისე, ასაკთან ერთად. მე — ნამდვილად, ყველას არა. მათ, რომელთაც ვნებები არ ტოვებენ, ძალიან ვუთანაგრძნობ. არიან ქალები, რომელთაც კაცები ცუდად ექცევიან სიბერეში. მათ მძიმე ცხოვრება აქვთ. მაგრამ მე ასე არა ვარ, მადლობა ღმერთს. მე სიამოვნებით ვარ მარტო.

**— მიუხედავად იმისა რომ, 30 წლიდან ბედნიერ ქორწინებაში იმყოფებით.**

— დიახ, მაგრამ ეს არის ნორმალური ქორწინება.

**— თქვენ ცხოვრობთ ვენაში. თქვენი ქმარი — მიუნხენში. მას ხანდახან სტუმრობთ...**

— ჩემი ქმარი უმძიმესი სასჯელით დამემუქრა, თუ მასზე რამეს ვიტყვი. იგი გაურბის საზოგადოებას.

**— ვიმოწმებ ფრაზას ჩვენი პირველი ინტერვიუდან: ის ექსტრემალურად მარტოსულია. ლამის აუტიზმამდე.**

— დიახ, ჩვენ ერთმანეთს კარგად ვეთვისებით.

**— ამბობდით რომ, ბავშვის ყოლას ყოველთვის ერიდებოდით, რადგან არ გინდოდათ, უდანაშაულო არსება თქვენი ნევროზებით დაგეტვირთათ.**

— დიახ, ვერიდებოდი. საბედნიეროდ, ეს ჩემთვის თემა აღარ არის. ახლახან ვიყავი რენტგენზე. მანამდე ექიმმა უნდა გკითხოს ორსულობაზე, რადგან ნაყოფი შეიძლება დაზიანდეს. გამეცინა და ვუთხარი: დიახაც, ამას ჩემში დავატარებ. ასე რომ, დედა მე აღარ შემიძლია გავხდე. ეს ერთადერთი შემთხვევა, რითაც ქალები კაცებს აღემატებიან, თავისუფალი ნებით უარვყავი, თუმცა ვნატრობ მოწესრიგებულ, ჩვეულებრივ ოჯახს. მე მსურს ვიყო, როგორც სხვა, მაგრამ მე ეს არ ვარ.

**— იმით უნდა დაკმაყოფილდეთ, რომ რაღაც განსაკუთრებული ხართ.**

— ეს არ შემიძლია. მე ვუთანაგრძნობ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას ერგებიან,როგორც უმრავლესობა, რომელთაც მე არ ვეკუთვნი, და ესეც უნდა დავძინო, რომ ამის გამო არანაირ სიამაყეს არ ვგრძნობ, ვფიცავ, პატიოსანი სიტყვაა!

**— ეს დიახაც კარგია!**

— ეს უნდა დამიჯეროთ.

**— არ მსურს, თქვენგან თქვენი უბედურება ავილო. ერთი შეგნებული სიმტკიცე დაეჭვებაში, — წერს ალბერ კამიუ თავის დღიურში, — შობს საბოლოო სიხარულს.**

— ჩემთვის — არა!

**— მოთმინება უნდა გქონდეს.**

— ალბათ, მე ისევ უნდა მემკურნალა.მე ხომ რამდენიმე თერაპიას უკვე ვატარებ ჩემში. თუ ფსიქიატრს ჩემს ახლოს ვიპოვიდი, უფრო გამიადვილდებოდა, რადგან არც ისე შორს დამჭირდებოდა წასვლა. შემეძლო მეფიქრა, რომ ქცევათა თერაპია მრგებს. მე მავარჯიშებდნენ, როგორც ძაღლს, რადგან ადამიანი ცხოველია. ჩემს ფსიქიატრს ყოველდღე, საღამოობით, ხუთ თეატრში ანდა კინოში უნდა შევეგდე, და თუ მაინც სხვა რამ მენდომებოდა, მაგრად დავეჭირე და ეთქვა: არა, შენ აქ უნდა იჯდე!

**— ეს არ არის თქვენი სიტუაცია.**

— მაინც! მე მჭირდება აღზრდა, მკაცრი მწვრთნელი. მაშინ, ალბათ, ცოტა უკეთესად ვიმოქმედებდი, როგორც მანქანა, რომელიც შეაკეთეს. იმითაც მოხარული ვიქნებოდი, თუ შინიდან შიშის გარეშე გასვლა შემეძლებოდა. ეს ჩემთვის წინსვლა იქნებოდა.

**— თქვენ დიდხანს იყავით ავსტრიის კომუნისტური პარტიის წევრი. თქვენმა პოლიტიკურმა ყოფამ თქვენ სიმტკიცე მოგცათ.**

— დიახ,მაგრამ ამანაც უკვე ჩაიარა.

**— 1991 წელს პარტიიდან გამოხვედით.**

— მსურდა, ვიდრე რომელიმე ჯგუფს შევუერთდებოდი ეგრეთწოდებულ პატარა ხალხის დასახმარებლად, რაღაც მელონა ამ უკონტროლო კაპიტალის წინააღმდეგ, ის ხომ ყველაფერს თქვლეფდა. მინდოდა პოლიტიკაში ცოტა მელვაწა, მაგრამ არა მხოლოდ ასე ელეგანტურად, საწერი მაგიდიდან, არამედ კონკრეტულად.

**— არ გამოგივიდათ.**

— არანაირად! კაპიტალიზმმა მთელ ხაზზე გაიმარჯვა. ჩემი ბრძოლა უაზრო იყო, როგორც უმეტესად ხდება ცხოვრებაში.

**— წერაც?**

— წერაც. რასაც დღეს წერით ჯერ კიდევ ვესწრაფი, გაძლებაა. ვიდრე ვწერ, თავს ვისვრი ჩემიდან გარეთ. რადგან, როგორც კი ჩემს იდენტობას გავაცნობიერებ, მკვდარი ვარ. არ მსურს, თავის გაცნობა. მე ვცხოვრობ მეორე ხელიდან, მაგრამ არ ვჩივი. ცხოვრების გარეთ ვარ, ეს ჩემი ავადმყოფობაა, თვითონ დავაშავე. ჩემი თვითსიძულვილი მოდის ყოველ დღე. ვიცი, რომ წერით ვერაფერს შევცვლი, მაგრამ სხვა რა უნდა ვაკეთო, სხვა არაფერი შემიძლია. წერა ჩემი კურთხევაა, რადგან სახლის დატოვება არ მიხდება. მწერალი რომ არ ვყოფილიყავი, სოციალპენსიონერი ვიქნებოდი.

**გერმანულიდან თარგმნა**
**ხათუნა პატაშურმა**

იყო დრო, როდესაც კონსერვატიზმი დანაშაულებრივ მოვლენად იყო შერაცხული. მას შემდეგ რალაც სასიკეთოდ შეიცვალა ამ მსოფლმხედველობის შეფასებისას, მთლად ასე მკაცრადაც აღარ განისჯება, მაგრამ მაინც დამცირებულია და მის ხსენებას ყოველთვის დაჰკრავს დრომოჭმულობის, ყავლგასულობის ელფერი. ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, თუკი გვსურს მომაკვდინებელ სტერეოტიპთა ტყვეობაში არ ვიმყოფებოდეთ და სრულუფლებიანი მონაწილენი ვიყოთ დასავლური აზროვნებისა, რომლის მრავალფეროვან ნაკადებშიც კონსერვატიზმი მკვეთრადაა გამოხატული და დღესდღეობით სულაც ხელახალ აღორძინებას განიცდის.

ამ თვალსაზრისით ქართულ სინამდვილეში დასაფასებელია მეცნიერისა და მთარგმნელის პაატა ჩხეიძის მიზანსწრაფული გარჯა, დაამკვიდროს კონსერვატიზმის ჭეშმარიტი სახე, და ქართველ კონსერვატორთა ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად ჩვენს ენობრივ სივრცეში შემოზიდოს დასავლელ მოაზროვნეთა თვალსაჩინო ქმნილებანი. მკითხველს ახსოვს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი ორიგინალური სტატიების ციკლი და თარგმანის ნიმუშები, ეს უკვე როსტომ ჩხეიძესთან ერთად, ვისთან თანამშრომლობითაც შეიქმნა წიგნი „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე" (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2011). მსმენელს კი ახსოვს მისი საჯარო ლექციები და რადიოგამოსვლები საპატრიარქოს არხზე, ქეთევან შენგელიას გადაცემებში. იმ სამი დიალოგიდან დასაბეჭდად შევარჩიეთ მეორე და მესამე გადაცემა, მითუმეტეს, რომ მათი ლიტერატურული ვერსიების მომზადებისას თითქმის არავითარი ჩასწორება არ გახდა საჭირო, მხოლოდ მარჯვე ფორმა მოეძებნა.

# კონსერვატიზმის გაუხუნარი ხიბლი

*

### ქეთევან შენგელიას ესაუბრება პაატა ჩხეიძე

## ვიდრე მთავარზე გადავიდოდეთ

**— ბატონო პაატა, მინდა საუბარი დავიწყოთ იმით, რომ მიმდინარე კულტურულ-ლიტერატურული პროცესები არ არის ხოლმე ჩვენთვის მეორეული. ამ რამდენიმე ხნის წინათ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. როდესაც ასეთი დონის მწერალს ეხება რაიმე ფაქტი, რა თემაზეც უნდა ვსაუბრობდეთ, მაინც ყოველთვის მნიშვნელოვანია მისი სახელის შემოტანა მსჯელობაში. ამიტომ იქნებ ამ საკითხზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვით. როგორ ჩატარდა კონფერენცია?**

— ჩვენს თემასთან ასევე ახლოსაა საქართველოს პატრიარქის მოღვაწეობა, რადგან მან შეძლო ერთიან განცდაში შეეერთებინა წარსული, აწმყო და მომავალი და ამ გზაზე შეეყენებინა მთელი ერი. ეს ისეთი რამაა, რისი შეფასებაც შეუძლებელია.

რაც შეეხება კონფერენციას, ის მწერლის დაბადების 90-ე წლისთავს მიეძღვნა და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარდა. კონფერენციაზე არაერთ საინტერესო თემაზე გაიმართა მსჯელობა, კერძოდ: ოთარ ჩხეიძის სტილზე, მის ადგილზე ქართულ ლიტერატურაში, იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა მან XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე, როგორი გაჭირვება და დევნა გამოიარა.

აღსანიშნავია, რომ ჭეშმარიტი კრიტიკოსები თავის დროზეც აფასებდნენ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებასა და ღვაწლს, მაგრამ კონფერენციამ წარმოაჩინა, რომ ქართული კრიტიკა დღესაც მაღალ დონეზე დგას. როცა ამ მწერალზე ვსაუბრობთ, მთლიანად უნდა შეფასდეს XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურა, რადგან ოთარ ჩხეიძე მისი სისხლხორცეული ნაწილი იყო... და წინამძღოლიც.

**— კონფერენციას მეც ვესწრებოდი. თქვენი მოხსენება ეხებოდა ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი, მის ბიოგრაფიულ რომანს „იტალიური დღიურები ბაირონისა"...**

— პარადოქსია, რომ იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გარკვეულ ინტერესს იჩენდა ბაირონისადმი და წიგნიც მიუძღვნა მის შემოქმედებას. მსოფლმხედველობრივად ისინი ახლოს არ იყვნენ, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს ესმოდა ბაირონის მნიშვნელობა არამარტო იმ თვალსაზრისით, რომ იგი ჩაგრულ ერებს ესარჩლებოდა — ბერძნების მხარდამხარ იბრძოდა კიდეც მათი თავისუფლებისათვის — ბაირონი ხედავდა, თუ როგორ ძლიერდებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება ინგლისში და წინასწარ ჭვრეტდა, რა ზიანს მოუტანდა ეს მის ქვეყანას. ამ თვალსაზრისით, ინგლისს ძალიან დიდი მოღვაწეები ჰყავდა, რომლებმაც ინგლისში კონსტიტუციონალიზმი გადაარჩინეს...

**— ოთარ ჩხეიძე ხომ თვითონაც აპირებდა ფუნდამენტური პოლიტიკური ნაშრომის შექმნას ამ თემაზე...**

— ერთი ნაწილი გამოაქვეყნა კიდეც 1990 წელს — „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის". მან ქართულ საზოგადოებას მიმართა და უთხრა, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა წასულიყო კონსტიტუციური მონარქიის გზით. გარდა ამისა, იგი გამოვიდა ე.წ. სთეითიზმის წინააღმდეგ, რაც სწორედ სახელმწიფო და ცენტრალური ხელისუფლების მეტისმეტ გაძლიერებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევას გულისხმობს. ოთარ ჩხეიძე მიიჩნევდა, რომ როგორც კი სახელმწიფო ამ წერტილს მიაღწევს, იწყება მისი დაშლა და განადგურება...

**— ასეთი მნიშვნელოვანი თემების წამოწევა ნიშანდობლივია მისი შემოქმედებისათვის. იგი ჩემი მასწავლებელიც იყო და მინდა ორიოდე შტრიხით გავიხსენო ბატონი ოთარი, თუ როგორ მუშაობდა იგი სტუდენტებთან. წლების წინათ, როცა ჩვენს ჯგუფში შემოვიდა, ოცი წლის გოგო-ბიჭები ვუკითხავდით ჩვენ-ჩვენს ნააზრევს და არ მეგონა, ამხელა მწერალი ასე გულისყურით თუ მოგვისმენდა და დაგვარიგებდა კიდეც. მახსოვს, როგორი სერიოზული იყო ჩვენთან ურთიერთობაში. ის საქართველოს მომავალსაც უფრთხილდებოდა, გვასწავლიდა, გვისმენდა, ჩვენ გვერდით იდგა კაცი, რომელიც ახალ მწერლობას ქმნიდა.**

ახლა კი თემა, რომლის გამოც აქ მოგიწვიეთ:

* დიალოგი პირველი

## ზღუდე ანუ მთავარი

**— ბატონო პაატა, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება კონსერვატიზმით? მომისმენია თქვენი საჯარო გამოსვლები ამ თემაზე და მინდა გითხრათ, რომ საკითხები, რომლებსაც შეხებიხართ, რაღაცნაირად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. ამიტომაც მგონია, რომ თქვენი ნარკვევების გარეშე ბევრი რამ დააკლდებოდა თანამედროვე კულტურულ სივრცეს.**

— თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ მოესწარით იმ ავბედით ხანას — კომუნიზმს, და გახსოვთ ალბათ, რომ მაშინაც იყო დადებითი და უარყოფითი სიტყვები, მაგალითად: კომუნიზმი გახლდათ პოზიტიური სიტყვა და დავობდნენ არა იმაზე, თუ რა იყო კომუნიზმი, არამედ — ვინ იყო ნამდვილი კომუნისტი და ვინ არა.

დღეს ვითარება შეიცვალა. კომუნისტურ პარტიას პოზიტიურად აღარავინ იხსენიებს, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში შემოვიდა ტაბუირებული სიტყვები, როგორიცაა ლიბერალიზმი და დემოკრატია. ორივე ცალსახად — ესეც ახალი ტერმინია — პოზიტიური სიტყვაა და მათზე რაიმე საწინააღმდეგოს თქმა მიღებული არ არის...

**— მეტიც, ცუდ ტონადაც ითვლება...**

— სამაგიეროდ, ისევ უარყოფითი კონტექსტით გაისმის სიტყვები: „კონსერვატიზმი" — რომელიც რაღაც გარდასულს, მოძველებულს, ადამჟამის დროინდელს ნიშნავს — და „რეაქციული". ცნობილი თანამედროვე ლიტერატორი ვერჯილ ნემოიანუ ამბობს, რომ მსოფლიოს ყველა დიდი მწერალი იყო რეაქციონერი. ისინი იყვნენ რეაქციონერები ზღვარგადასული პროგრესის მიმართ, რათა როგორმე გადაერჩინათ ლამაზი, მშვენიერი, გადაერჩინათ ფილოსოფია, ლიტერატურა და კულტურა.

სწორედ ამის გამო დავინტერესდი კონსერვატული მსოფლმხედველობით, რომელიც წარმოიშვა როგორც რეაქცია ფრანგული რევოლუციის მიმართ, წარმოიშვა ინგლისში, და მისი მამამთავარი იყო დიდი ინგლისელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ედმუნდ ბერკი.

**— იქნებ გვითხრათ, რა არის კონსერვატიზმი თანამედროვე გაგებით?**

— XX საუკუნის ფილოსოფოსი მაიკლ ოუკშოთი ამბობდა, რომ კონსერვატიზმი ნიშნავს ამჯობინო შეჩვეული უცნობს, ნაცადი — უცდელს, ფაქტი — რაღაც გამოუცნობსა და იდუმალს, ნამდვილი — შესაძლებელს, დასაზღვრული — დაუსაზღვრელს, ახლოს მყოფი — შორეულს, საკმარისი — გადაჭარბებულს... კონსერვატიზმი არ არის პოლიტიკური დოქტრინა, ეს იდეაა და ადამიანური განწყობა ცხოვრებაში...

**— რაც მოვისმინეთ, ამის მიხედვით არცთუ საშიში რამ ყოფილა და თუ კარგად გამოიკვლევენ, ნეგატიურიც აღარ აღმოჩნდება ეს ცნება თავისი მნიშვნელობით...**

— დღეს ამ ცნების, საერთოდ, კონსერვატული მსოფლმხედველობის შემოტანა და გამორჩევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მეტისმეტად რადიკალურად გადავიხარეთ ლიბერალური დემოკრატიისა და პროგრესიზმისაკენ — ხაზს ვუსვამ: პროგრესიზმისაკენ — რაც მიმართულებაა პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეტისმეტად რომ შემოიჭრა და ტოტალურად მოიცვა ჩვენი ყოფა. კონსერვატიზმი ამ შემთხვევაში ზღუდეა ყოველივე იმის წინააღმდეგ, პროგრესიზმს რომ მოაქვს. კონსერვატიზმი რეაქციაა მის წინააღმდეგ, კონსერვატიზმი რეაქციაა თუნდაც რაციონალიზმის წინააღმდეგ, რაც ასევე პოზიტიურ სიტყვად იქცა. არადა, რა არის რაციონალიზმი? ეს არის ყურადღების გადატანა მხოლოდ და მხოლოდ გონებაზე, თანაც ადამიანურ გონებაზე, და არა მარადიულ გონზე. რაციონალიზმი ხაზგასმაა იმისა, რომ თეორიული და ტექნიკური ცოდნა მთავარია და წარმმართველი. ასევე, რაციონალიზმი ეყრდნობა ფაქტებსა და რიცხვებს, სტატისტიკას. ამის საპირისპიროდ, კონსერვატიზმი ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას, წინაპართა ადათებრივ გამოცდილებას — მამა-პაპათაგან რომ გადმოგვცემია.



*პაატა ჩხეიძე*

ალბათ მიგიქცევიათ ყურადღება: პატრიარქის ქადაგებებში საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ გამუდმებითაა გამოკვეთილი იმ ცოდნის მნიშვნელობა, რაც სწორედ გამოცდილებითაა შეძენილი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

## სამი უბედურება ერთი ნიშნით

**— საინტერესოა, რა სტადიაშია დღეს კონსერვატიზმი?**

— შესაძლოა ცოტა ზედმეტი მომივიდეს იმ თვალსაზრისით, რომ გავაბრაზო ჩემი ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც ამ იდეებს არცთუ კარგად ეწყობიან, მაგრამ... ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დღეს სამი მთავარი უბედურებაა, რომლებსაც კონსერვატიზმი ეწინააღმდეგება. ესენია: უპირველეს ყოვლისა, სნობიზმი. აი, გავიდეთ ქუჩაში და ვნახოთ წარწერები მაღაზიებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრებულია უცხოური ტერმინოლოგია...

**— იქამდე, რომ საბურთალოზე ერთ-ერთ მაღაზიას აქვს წარწერა, რომელზეც ქართულ ასოს მახვილი აქვს, რაც ჩვენი დამწერლობისთვის სრულიად უცხო რამაა... და როცა ამას აკეთებს ქართველი კაცი და რეაქცია არავის აქვს, მტკივნეულია, თუ მთლად სავალალო არა...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სნობიზმის გამოვლინებაა ესეც. ხანდახან ვხუმრობ ხოლმე — და გადაჭარბებად მითვლიან — თავის დროზე უილიამ თეკერეიმ, ვინც ბევრი არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ, თავისი „ამაოების ბაზარი“ ქართველებზე დაწერა-მეთქი. სნობიზმი ჩვენში შემოიტანა გლობალიზმმა, რაც ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოვლენაა, მთელ მსოფლიოს რომ ემუქრება.

**— დღეს გლობალიზმის სიკეთეებზეც ბევრს საუბრობენ...**

— დიახ, მაგრამ არ საუბრობენ იმ უბედურებაზე, რომელიც მას მოაქვს. ჩვენ ვამბობთ, გლობალიზმს კარი არ უნდა ჩავუკეტოთო, მაგრამ არც ასე ფართოდ გაღება და შიშვლად გავარდნაა აუცილებელი. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ის, მივიღოთ, ოღონდ საკუთარ ქურაში გამოვაწრთოთ და საკუთარი ყალიბი შევქმნათ მისთვის. ისეთმა დიდმა მოაზროვნემ, როგორიც ამერიკას ჰყავდა XX საუკუნეში, სემუელ ჰანტინგტონმა, თავისი სიცოცხლის ბოლოს დაწერა ანტიგლობალისტური წიგნი „ვინ ვართ ჩვენ“ — და ამერიკული ტრადიციების დაკარგვა გამოიგლოვა...

**— მითუმეტეს მტკივნეული უნდა იყოს ეს საკითხი საქართველოსათვის — ამხელა ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქვეყნისთვის...**

— რა თქმა უნდა... გავაგრძელებ ჩამოთვლას და გეტყვით, რომ მეორე უბედურება, რომელიც ერშია, ეგალიტარიზმია. ის ფრანგული სიტყვიდან მომდინარეობს და თანასწორობას ნიშნავს. თანასწორობაც განმანათლებლების, რუსოსა და სხვათა მიერ შემოტანილი ტერმინია — იდეა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება გამოცდილებას, ქრისტიანობიდან რომ შეგვითვისებია და წინაპართაგან ანდერძად გადმოგვცემია. შეუძლებელია ყველა ადამიანი იყოს თანასწორი, ან თუნდაც ყველა ერთნაირ დამოკიდებულებას იმსახურებდეს. თანასწორნი ვართ მხოლოდ ღვთის წინაშე... და ზნეობრივად. ჩვენთვის ეს თანასწორობა სატყუარაა, ისევე როგორც კომუნისტებმა გაათანასწორეს ყველაფერი...

**— ხელოვნურად...**

— დიახ, ხელოვნურად და ამ სატყუარით გონებას გვიბნელებენ...

**— მიუხედავად ამისა, ამ ფონზე მაინც ამოიზრდებიან (ან ამოზრდიან) ხოლმე ხელოვნურ ლიდერებს...**

— ცოტა მოგვიანებით კონსერვატიზმის ნიშნებს ჩამოვთვლი და ვნახავთ, რომ სწორედ ასე ხელოვნურად ამოიზრდებიან ხოლმე დემაგოგები და დიქტატორები მაშინ, როცა ხალხს ატყუებ ფსევდოდემოკრატიული იდეებით, ოღონდ ჯერ მინდა დავასრულო და გითხრათ, თუ რა არის მესამე დიდი უბედურება, რომელსაც ასევე პოზიტიურად გვაწვდიან — სეკულარიზმი.

თავის დროზე ეს ტერმინი შემოიტანა ინგლისელმა ულრთომ და ათეისტმა, ვინმე ჰოლიოუკმა და გულისხმობს იმას, რომ სამოქალაქო ცხოვრება და ეკლესია გაყოფილი უნდა იყოს ერთმანეთისგან. ესეც ერთ-ერთი უბედურებაა — როცა რელიგიას ადამიანებს ჩამოაშორებ და გამუდმებით უქადაგებ, რომ ეკლესია თავის ადგილას უნდა იყოს — სადღაც განყენებულად და ადამიანები სამოქალაქო სეკულარულ ცხოვრებაში ცალკე უნდა იდგნენ. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სულაც არ ვართ სეკულარულები, რადგან არსებობს კანონი, რომელიც გამოყოფს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ეს არის კონკორდატის კანონი, რომელიც იდება სამოციქულო ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის და მისი მიღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ისევ და ისევ ჩვენი პატრიარქისა. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, როგორ ხდება პრეზიდენტის ინაუგურაცია — იგი ბიბლიას ადებს ხელს და იფიცებს ღვთისა და ერის წინაშე. აქედან გამომდინარე, ჩვენ სრულებითაც არ ვართ სეკულარული სახელმწიფო და სრულებითაც არაა საჭირო ამის ხაზგასმა. სეკულარიზმი არ არის სამოქალაქო საზოგადოების დაცვა ეკლესიის ზეგავლენისგან. ის სწორედ ათეიზმს, ულმერთობასა და უზნეობას ქადაგებს, თუკი ზნეობას მისი საერთო, დიდი კონტექსტით განვიხილავთ, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ეთიკურ ნორმებს, არამედ მთელ გამოცდილებას — ტრადიციულს, სარწმუნოებრივს, საუკუნოებრივს...

აი, ამ სამი უბედურების ფონზე აუცილებლად გვჭირდება კონსერვატული მსოფლმხედველობის, კონსერვატული იდეისა და განწყობის (შესაძლოა ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში სწორი ტერმინი არ იყოს, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაში რომ არ აერიოს ვინმეს) დისპოზიცია გარემოსა და მოვლენებისადმი.

## აქ ასარჩევიც არაფერია

**— მგონია, რომ ნებისმიერ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, ადამიანი საკუთარ კულტურასა და ტრადიციებს ეყრდნობოდეს, თავისი ფესვიდან იყოს ამოზრდილი. ის თავისუფლებაც კი, სხვადასხვა ტერმინის სახით რომ გვევლინება, ხშირად არასწორადაა გაგებული, რადგან, ჩემი აზრით, თავისუფლება იმდენად დიდი რამაა, თავისი არსით არ შეიძლება უზნეო იყოს. თავისუფალიცაა და დიადიც ადამიანი, როცა თავის ფესვზე დგას.**

— თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა. მასზე მსჯელობა ახლა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ აღვნიშნოთ, როგორია თავისუფლების გაგება კონსერვატული და ლიბერალური მსოფლმხედველობებით. კონსერვატორს სწამს, რომ თავისუფლება არის ადამიანის ცხოვრება ტრადიციის, ადათისა და რელიგიის ჩარჩოში, იმ წესრიგში, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე გივლია. როცა ამ თავისუფლებიდან გადიხარ, ინგრევი, ზნეობრივად ნადგურდები და ხდები მონა ვნებისა; იკარგები როგორც ადამიანი, როგორც ღვთის მიერ შექმნილი განსაკუთრებული მოვლენა.

რაც შეეხება რადიკალურ-ლიბერალურ განსაზღვრებას, ის ეყრდნობა არჩევანის თავისუფლებას და გეუბნება, რომ გაქვს უამრავი უფლება და შეგიძლია აირჩიო — ვთქვათ, იყო მართლმადიდებელი თუ იეღოველი, ტრადიციების მიმდევარი თუ თავისუფალ იდეებს გამოდევნებული — უბრალოდ, არ უნდა დაარღვიო კანონი. სხვა შემთხვევაში თავისუფალი ხარ რელიგიური და ზნეობრივი ჩარჩოებისაგან. აი, ამ ორ თავისუფლებას შორის უნდა ავირჩიოთ დღეს... და მგონია, რომ აქ ასარჩევი არაფერია — ერთი არის თავის უფლება, რომელშიც სიტყვა უფალი გვესმის, მეორე კი — დაღუპვის გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას ეყრდნობა და რას არ ენდობა კონსერვატიზმი

**— ბატონო პაატა, საუბრისას თქვენ კონსერვატიზმის კრიტერიუმების ჩამოთვლას შეგვპირდით. ეს უთუოდ საინტერესოა და საჭიროც მის არსში უკეთ ჩასანვდომად...**

— კონსერვატიზმს, უპირველეს ყოვლისა, სწამს, რომ ღვთის ნება მართავს, როგორც საზოგადოებას, ასევე სინდისს; ღვთის ნება ქედავს მარადიულ ჯაჭვს სიმართლისა და მოვალეობისა, დიდსა და მცირეს, წარსულსა და მომავალს რომ აკავშირებს.

კონსერვატიზმს სწამს, რომ პოლიტიკური პრობლემების საფუძველი უნდა იყოს რელიგიური და ზნეობრივი საკითხები და პოლიტიკა უნდა იყოს ხელოვნება ბუნებაზე მაღლა მდგომი სამართლიანობის წვდომისა და გამოყენებისა.

კონსერვატიზმს სწამს, რომ სიყვარული ტრადიციული ყოფის ნაყოფიერი მრავალფეროვნებისა და იდუმალებისა მთავარია, განსხვავებით რადიკალური სისტემების, ასევე XIX-XX საუკუნეში წარმოშობილ სექტათა გამთანაბრებელი, უტილიტარული, ვიწრო ერთფეროვნებისაგან.

კონსერვატორმა იცის, რომ ცივილიზებულ საზოგადოებას სჭირდება წესრიგი და კლასები. ჩვენ უკლასო საზოგადოებიდან მოვდივართ და ვიცით, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი თანასწორობა ზნეობრივი თანასწორობაა.

საზოგადოებას ასევე აუცილებლად სჭირდება წინამძღოლი და თუ ის არ გვეყოლება, ბუნებრივ განსხვავებას ადამიანებს შორის მოვსპობთ, აუცილებლად დიქტატორი მოვა და ამ ვაკუუმს შეავსებს.

კონსერვატორს სწამს, რომ საკუთრება და თავისუფლება განუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს და ეკონომიკურ გათანასწორებას არავითარ შემთხვევაში არ მოაქვს ეკონომიკური პროგრესი. როგორც კი კერძო მფლობელობიდან საკუთრებას გამოვგლეჯთ, თავისუფლება მაშინვე გაქრება.

კონსერვატორი ეყრდნობა ადათს და არ ენდობა სოფისტებსა და წვრილმანანგარიშიან ხალხს. მან იცის, რომ კაცმა ზღვარი უნდა დაუდოს თავის მადასა და ნებას, რადგან ადამიანს მართავს უფრო გრძნობა, ვიდრე გონება. ტრადიცია და ჯანსალი წეს-ჩვეულებანი, ადათები და რელიგია კი აოკებს ადამიანის ანარქიულ იმპულსებს.

კონსერვატორმა იცის, რომ ცვლილება და რეფორმა არ არის ერთი და იგივე... და რომ ცვლილებანი ხშირად პროგრესის ჩირაღდანს კი არა, ყოვლისმშთანთქმელ ხანძარს ემსგავსება. რა თქმა უნდა, საზოგადოება უნდა გარდაიქმნას, მაგრამ აუჩქარებელი ცვლილება — როგორც, ვთქვათ, ადამიანის სხეული განახლდება მუდმივად — მოასწავებს მის კონსერვატულობას. წინდახედულება შესაბამისი იარაღია ცვლილებისათვის, საზოგადოებრივი მოღვაწე კი სოციალურ ძალთა რეალური ტენდენციების წინასწარი შეცნობით გამოიცდება.

აი, ასეთია კონსერვატიზმის ძირითადი მახასიათებლები. ჟან-ჟაკ რუსოს დროიდან კი შემოდის რადიკალურ-ლიბერალური მსოფლმხედველობა, რომელიც ქადაგებს დაუსაზღვრელ პროგრესს — რომ განათლება და პოზიტიური კანონმდებლობა შეძლებს ადამიანი გარდაქმნას და ღმერთს გაუთანაბროს.

მათ სძულთ ტრადიციები. რადიკალ-ლიბერალისტებისათვის მატერიალური დეტერმინიზმი არის გზა სოციალური კეთილდღეობისკენ და მათთვის ეს უფრო სანდოა, ვიდრე წინაპართა გამოცდილება. საყოველთაო რელიგიას ურჩევნიათ ცალკეულ ჯგუფებს პატარ-პატარა რელიგიები ჰქონდეთ...

**— ცოტათი ხომ არ ჰგავს ეს ცნობილ, თითქმის ფაშისტურ ტერმინს „გათიშე და იბატონე"?**

— ტრადიციასთან და საყოველთაო რელიგიასთან ბრძოლა სწორედ გათიშვით, მსოფლმხედველობის დანაწევრებით უნდა მოახერხო, სხვაგვარად მიზანს ვერ მიაღწევ.

რადიკალურ ლიბერალიზმს აქვს თავისი თვალსაზრისი სახელმწიფოს რაობის შესახებ — განმანათლებლური და რუსოისტული თვალსაზრისით, ეს არის სამოქალაქო ხელშეკრულება. ამას თავის დროზე ედმუნდ ბერკი გამოეხმაურა და თქვა, რომ სახელმწიფო ხელშეკრულებაა — არა დღევანდელ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის, არამედ დიადი ხელშეკრულება, რომელიც აერთიანებს გარდაცვლილებს, ცოცხლებს და ჯერ არ დაბადებულებს. ამგვარ მრწამსს გააფთრებით ებრძვის ყველანაირი რადიკალიზმი და სწორედ ამის დაცვა უხდება კონსერვატიზმს.

## როგორი ამინდი იქნება ხვალ

**— ბატონო პაატა, დღეს როგორი ამინდი უდგას მსოფლიოში კონსერვატიზმს?**

— არცთუ კარგი. ახლა ლიბერალური დემოკრატიის ეპოქაა. თუმცა ამ პროცესებისას ამერიკასა და დასავლეთში ძლიერდება სწორედ კონსერვატული მმართველობა და ნელ-ნელა ძალას ხელთ იგდებს ხალხი, რომელიც უბრუნდება თავის ფესვებს.ჩვენ ორგვარ სახელმწიფოზე ვსაუბრობდით — არა პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი ნიშნით — შეიძლება იყოს ნომოკრატია — წესსა და კანონზე დაფუძნებული სახელმწიფო, და ტელეოკრატია — აბსტრაქტულ მიზანზე (აი, კომუნიზმი რომ იყო) ორიენტირებული სახელმწიფო. ამ ყველაფერს, დავიწყებას ტრადიციისა და ადათისა, ადამიანისათვის ყოველგვარი უბედურება მოაქვს.

**— არიან ერები, რომლებსაც დიდი კულტურა და ისტორია არ გააჩნიათ და ისინი იბრძვიან, რომ ეს ყველაფერი შექმნან — მითებში, თქმულებებსა თუ ლეგენდებში... მაგრამ როცა ქვეყანა მართლაც შორიდან მოდის და ათასწლეულებში აქვს გადგმული ფესვი, რატომ უნდა ცდილობდეს მის გაქრობას?!**

— იცით, წარსული ყველას სჭირდება — დემაგოგებსაც და ზღვარდაუდებელი პროგრესის მომხრეებსაც, სჭირდებათ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. კონსერვატიზმისთვის წარსული აწმყოსა და მომავლისაგან განყენებულად არ არსებობს. ამ ერთიანობის განცდას ქადაგებს ჩვენი წინაპრების ფილოსოფია, კულტურა, მწერლობა, რელიგია...

მე დასავლურ კულტურაში ვეძიე ის, რასაც ჩემი წინაპრები, მამა-ბიძები გვასწავლიდნენ; დასავლურ კულტურაში ვეძიე ის მონათესავე ფასეულობანი, ყოველდღიურად რომ გვიქადაგებს უწმიდესი და უნეტარესი ილია II...

**— და ამ ფასეულობებზე, ამ თემებზე საუბარი განსაკუთრებით საჭიროა დღეს ქართული კულტურული სივრცისათვის. წარსული, აწმყო და მომავალი ჩვენთვისაც ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს. იმ ფესვიდან უნდა ამოიზარდოს ყველაფერი, რაზეც თქვენ დღეს საუბრობდით, იმ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს მომავალი, წინაპრებმა რომ დაგვიტოვეს და გაგვინოყივრეს.**

ჯუმბერ ჯიშკარიანი

# ოთხმოცდაცამეტი წელი საქართველოზე ფიქრით

**2010 წლის 18 ოქტომბერს, სამების ტაძრის წმინდა თალებქვეშ, გაიმართა ამერიკაში დროებით მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ჟურნალისტის ციცინო ჯერვალიძის წიგნის წარდგინება.**

**„პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით", — ასე ჰქვია ამ დიდებულ წიგნს, რომელიც ქართველ ემიგრანტთა — ლევან ზურაბიშვილისა და პეტრე ხვედელიძის — მეგობრობას ეძღვნება. მის წარდგენას უამრავი ხალხი დაესწრო.**

**წიგნის მთელი ტირაჟი უსასყიდლოდ მიიღო საზოგადოებამ: დაე, ეს იყოს ჩემი მოკრძალებული საჩუქარი თანამემამულეებისადმი შორეული ამერიკიდან, — გახმიანდა საღამოზე ავტორის სურვილი.**

**იმ დღეს პარიზიდან საგანგებოდ ჩამობრძანდა ლევან ზურაბიშვილის მეუღლე ქ-ნი ზეინაბ კედია. მან დიდი მადლობა გადაიხადა სამშობლოსათვის დამაშვრალ მამულიშვილთა ღვაწლის დაფასებისათვის.**

2011 წლის 25 ივნისს, ჟურნალისტმა და მეცნიერმა ბ-ნმა ივანე ჯაფარიძემ საავტორო პროგრამაში „ჩვენი საგანძური", გადაცემა მიუძღვნა ამერიკაში მცხოვრებ ქართული ემიგრაციის უხუცეს წევრს, სრულიად განსაკუთრებულ პიროვნებას, ბ-ნ პეტრე ხვედელიძეს, რომელსაც ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანმდგომთა საკრებულოს თავმჯდომარემ, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა „უფლის რჩეული" უწოდა.

გადაცემაში მონაწილეობდნენ: ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბ-ნი როსტომ ჩხეიძე, წიგნის — „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" — რედაქტორი, ფრანგული ენის სპეციალისტი, ჟურნალისტი სოფიკო ჯერვალიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

* * *

2008 წლის 25 ივნისს, ამერიკის სხვადასხვა შტატსა და ქალაქში მცხოვრებმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა ბატონ პეტრეს დაბადებიდან 90 წლისთავი მივულოცეთ:

— „ძვირფასო ბ-ნო პეტრე! ქართული ენის ლექსიკა უმდიდრესი და უმშვენიერესია დედამიწაზე, მაგრამ ამჯერად ამაოდ დავშვრით — საჭირო სიტყვები ვერ ვიპოვნეთ, აგვეწერა თქვენი ღვაწლი და პიროვნული ხიბლი... თუმცა განა შესაძლოა აღწერო წყაროს წყლის სიკეთე? მას ხომ არც სუნი აქვს, არც გემო და არც ფერი, მაგრამ სწორედ ისაა ყოველივეს საწყისი დედამიწაზე, სიცოცხლის მიმნიჭებელი, რომლის ჭეშმარიტ ფასს ვერანაირი ამქვეყნიური განძი ვერ გადაწონის...

ასეთ ანკარა წყაროსთვალს გადარებთ ძვირფასო ბ-ნო პეტრე, რომელიც ჩუმად, უხმაუროდ, დაუშრეტლად ამოედინება დედამიწის გულიდან, უხვად გასცემს მაცოცხლებელ სითხეს, თავად კი არაფერს ითხოვს", — ვწერდით მაშინ მისალოც ბარათში...

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, წლები ბ-ნ პეტრეს ვერას აკლებს. იგი კვლავ ჭაბუკური გატაცებით მუშაობს მემუარებზე; ამავე დროს ყველაფრის საქმის კურსშია: იცის, რა ხდება მსოფლიოსა თუ მის სათაყვანო სამშობლოში. ბევრ სახელოვან პოლიტიკოსს შეშურდება მისეული ალღო და ანალიზის სიღრმე, ან კი რა გასაკვირია — იგი ხომ თვრამეტი წელი მუშაობდა „ამერიკის ხმაში" და მსოფლიო პოლიტიკის შუაგულში ტრიალებდა... ბ-ნ პეტრეზე იმდენი სათქმელი დამიგროვდა, საათობით შემიძლია საუბარი, მისი პიროვნული კეთილშობილება, ნებისმიერ დეტალში მჟღავნდება.

**კაცად მაშინ ხარ საქები,**
**თუ ეს წესი წესად დარგე:**
**ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე —**
**აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?!.**

დიდი ილიას ეს შეგონება, ასე მგონია, სწორედ პეტრე ხვედელიძეზეა...

ვაშინგტონში, სამხედრო ჰოსპიტალში ერაყში დაჭრილი ორი ქართველი ჯარისკაცი მოათავსეს. მათ კიდურების ამპუტაცია დასჭირდათ. ბატონმა პეტრემ, როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, მოსაკითხით დატვირთული უმალ ჰოსპიტალში გაჩნდა. საათობით ეჯდა სასთუმალთან ახალგაზრდებს, ესაუბრებოდა, ამხნევებდა...

ამას წინათ კი ბ-ნმა პეტრემ ერთი შემთხვევა მიამბო, რომლის უპასუხოდ დატოვება დაუშვებლად მიმაჩნია:

— ერთი მეგობარი მყავდა, გვარად ბრუმბახი, — მიყვება ბ-ნი პეტრე, — ქალ-ვაჟი ჰყავდა. 70-იან წლებში მის ქალიშვილს ლინდას, რეკომენდაცია გავუწიე და „National Geographic"-ში დაიწყო მუშაობა. ძალიან კმაყოფილი იყო. მას შემდეგ ამ ჟურნალის მკითხველი გავხდი. ამიტომ, როგორც მუდმივ კლიენტს, ხშირად მიგზავნიდნენ სხვადასხვა გამოცემათა რეკლამებს. მაშინაც, როცა წიგნი „მსოფლიოს ხალხები" („Book of Peoples of the World") შემომთავაზეს, სიამოვნებით გამოვიწერე და სულმოუთქმელად ველოდი მის გამოსვლას. მაინტერესებდა, რას წერდნენ ჩვენი ქვეყნის შესახებ, მაგრამ რომ გადავშალე, მიკვირს, გული არ გამისკდა! ამ ოთხასგვერდიან წიგნში ერთი სტრიქონიც არ იყო ჩემს სამშობლოზე, თითქოს საქართველო არც არსებულა!

მეორე დღესვე მივედი გეოგრაფიულ საზოგადოებაში და მტკიცე პროტესტი გამოვთქვი, წიგნიც მივუბრუნე და რედაქტორთან შეხვედრაც მოვითხოვე, მაგრამ დამემალა.

ამის შესახებ ლინდას ვუამბე. ძალიან შეწუხდა. ეტყობა, მანაც მიიტანა ამბავი რედაქტორებთან და... მომიბოდიშეს. სამწუხაროა, რომ ასეთი გამოხდომები ხშირად პა-

სუხგაუცემელი რჩება, — თქვა მან.

გამოცემაზე წარმოდგენა რომ მქონოდა, ბ-ნ პეტრეს ვთხოვე წიგნის გარეკანის, შესავალი წერილისა და კავკასიის რეგიონის ქსეროასლი გამოეგზავნა.

— წიგნს გამოგიგზავნით! — მტკიცედ მითხრა მან.

მართლაც, რამდენიმე დღის წინათ, ვაშინგტონიდან მივიღე (ბ-ნი პეტრეს გამოგზავნილი) წიგნი „მსოფლიოს ხალხები („Book of Peoples of the World"), ავტოგრაფით: — „ამ წიგნს ვთავაზობ ჩემს მეგობრებს, რათა გაეცნონ 96-ე და 97-ე გვერდებზე დაბეჭდილ უხამსობას. პატივისცემით პეტრე ხვედელიძე, ვაშინგტონი, 6 მაისი, 2011 წელი".




ხელთ მაქვს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული, ბრწყინვალე, ფერადი ილუსტრაციებით დამშვენებული წიგნი, თუმცა, ყველაფერი რაც ბრჭყვიალებს (სწორედ რომ ბრჭყვიალებს და არა ბრწყინავს), ოქრო როდია! მინდა, ეს წიგნი ბ-ნ როსტომ ჩხეიძეს გადავცე გასაცნობად, რომ შემდეგ ერთობლივად შევიმუშაოთ საკადრისი პასუხი ისტორიის გამყალბებელთათვის.

წიგნთან ერთად მივიღე, ბ-ნი პეტრესადმი გამომცემლობიდან გამოგზავნილი ბარათიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„ბ-ნო პეტრე ხვედელიძე! გწერთ 4 იანვარს თქვენს მიერ გამოთქმული საჩივრის პასუხად, როდესაც „National Geographic"-ის საზოგადოების მისაღებში დააბრუნეთ თქვენი კუთვნილი წიგნი მსოფლიო ხალხთა შესახებ. ჩემთვის გასაგებია, თქვენი გულისტკივილი, რომ ქართველები ვერ მოხვდნენ მსოფლიოს ხუთიათასი ეთნიკური ჯგუფიდან შერჩეულ ორასოცდაორს შორის. მე ვესაუბრე წიგნის გამომცემლებს, მათ კი შემახსენეს, რა სირთულეებს უკავშირდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ერთ-ერთმა მთხოვა, თქვენთვის შემეხსენებინა წიგნის შესავალ ნაწილში უეიდ დევისის (Wade Davis) მიერ გამოთქმული აზრი:

*„ჩვენ შევეცადეთ ამ წიგნში მოგვეწოდებინა მსოფლიო კულტურათა წარმომადგენლობითი ნიმუშები, შერჩეული ყოველი კონტინენტისა და ცხოვრების წესჩვეულების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი არა მარტო ადამიანთა ექსპერიმენტის ბრწყინვალებისა და საოცრების აღსანიშნავად გაკეთდა, არამედ იმ იმედით, რომ ყურადღება გაგვემახვილებინა შედარებით დიდ თემებზე. ყველა ეს, ისევე, როგორც ათასობით სხვა კულტურა, რომელთათვის ადგილი შეიძლებოდა გამონახულიყო ამ წიგნში შესატანად, შეადგენს ინტელექტუალურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებისეულ ქსელს, რომელსაც მოიცავს დედამიწა და თითოეული ნაწილი, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია პლანეტის კეთილდღეობისათვის, როგორც ცხოვრების ბიოლოგიური ქსელი, რომელსაც ბიოსფეროს სახელით ვიცნობთ".*

ქართველ ერს ასევე თავისუფლად შეეძლო დაეკავებინა ღირსეული და საინტერესო ადგილი ამ წიგნში. ჩვენ უბრალოდ მოგვიწია რთული არჩევანის გაკეთება. გულწრფელად ვწუხვართ იმ მძიმე გრძნობების გამო, რაც განიცადეთ და რაც გამოიწვია როგორც თქვენი, ასევე სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გამოტოვებამ, რომლებიც აუცილებლობის გამო წიგნში ვერ მოხვდა.

პატივისცემით,

**სუზან ტაილერ ჰიჩკოკი**

*საგამომცემლო*

*პროექტების მენეჯერი*

მასალა კავკასიაზე 96-ე გვერდზე იწყება. კავკასიას, ისევე, როგორც წიგნში დასტამბულ ყოველ რეგიონს, ახლავს „გობი" (თავკიდური ტექსტი), სადაც ვკითხულობთ: „კავკასიის რეგიონი ორ ძირითად ქვერეგიონადაა გაყოფილი — ჩრდილო კავკასია რუსეთს ეკუთვნის და სამხრეთი კავკასია, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მოიცავს. აქ ტოპოგრაფიას განსაზღვრავს 750 მილის სიგრძის ქედი, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან და ყუბანის სათავეებიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე, რომელიც კასპიის ზღვაშია შეჭრილი. ათასწლეულთა მანძილზე ეს მთები მოიაზრებოდა საზღვრად ევროპასა და აზიას შორის. ეს ის მთებია, სადაც ძველი ბერძნული მითის თანახმად, ზევსმა პრომეთე მიაჯაჭვა. ეს იყო სასჯელი, რომ პრომეთემ ადამიანებს ცეცხლი უბოძა.

რეგიონი ასრულებდა კარიბჭის ფუნქციას და ხსენებულ ორ რეგიონს ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა.

ამ ტერიტორიების პოლიტიკური, კულტურული და ლინგვისტური სურათი, მათ შორის გამავალი შიშისმომგვრელი მთიანი ზოლის არსებობის მიუხედავად, ვაჭრობისა და მოგზაურობის გავლენის შედეგად, მუდმივად იცვლიდა სახეს" — წერს რეგიონის შესავლის ავტორი.

მე არ ვიცი, რა კრიტერიუმებით შეარჩიეს გამომცემლებმა კავკასიის რეგიონიდან ოთხი სუბიექტი — სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩეჩნეთი და ინგუშეთი?! მიმაჩნია, რომ მსგავსი საცნობარო დანიშნულების ნაშრომის შედგენისას, პირველ რიგში, ამოსავალი უნდა იყოს იმის გათვალისწინება, თუ რით გაამდიდრა ამა თუ იმ ერმა მსოფლიო კულტურის საგანძური. წიგნის გამომცემლებს უცოდინრობას ვერ დასწამებ. ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოება 1888 წელს შეიქმნა და ერთ-ერთი ყველაზე დიდი არასამთავრობო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა მსოფლიოში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ამერიკულზე მთელი მეოთხედი საუკუნით ადრე, 1850 წელს დაარსდა. მართალია, ჩვენი საზოგადოება ამერიკულივით მდიდარი არაა, მაგრამ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას დღემდე კეთილსინდისიერად ეწევა. ეს ისე, ცნობისათვის.

„National Geographic" ერთ-ერთი საინტერესო და დიდტირაჟიანი ჟურნალია მსოფლიოში. საზოგადოებას აქვს ტელე- და რადიოპროგრამები, იღებენ ფილმებს, გამოსცემენ

წიგნებს. სხვადასხვა დროს საზოგადოებამ რვა ათასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა დააფინანსა.

გავიხსენებ იმასაც, რომ რამდენიმე წლის წინათ „National Geographic"-ში დაიბეჭდა საინტერესო მასალა „ძმანისელ ადამიანზე". ეს იყო ინტერვიუ მეცნიერებათა დოქტორ დავით ლორთქიფანიძესთან.

ერთი სიტყვით, შეუძლებელია გამომცემლებმა არ იცოდნენ, რომ ქართველები კავკასიის მკვიდრი ერია და ქართული ცივილიზაციის ფესვები ათასწლეულთა სიღრმეებიდან მოდის; რომ ქართველურ ტომთა უძველესი სახელმწიფოები ასურულ და ურარტულ წარწერებში იხსენიება; რომ სამხრეთ კავკასია, ქართველთა სამშობლო — წინა აზიის ნაწილია, სადაც კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი დაირწა; აქ ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებას.

გამოჩენილი გენეტიკოსისა და გეოგრაფის, თანამედროვე სელექციის მეცნიერული საფუძვლების, კულტურულ მცენარეთა წარმოშობის მსოფლიო ცენტრებისა და მათი გეოგრაფიული გავრცელების შესახებ მოძღვრების შემქმნელის, საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკოლოზ ვავილოვის შრომების მიხედვით, საქართველოში აღწერილია დედამიწაზე არსებულ ხორბლის უძველეს სახეობათა ნახევარზე მეტი. რაჭაში დღემდე შემორჩენილია მახა და ზანდური, რომელთა შესახებ ყოველმა ქართველმა იცის.

ბიბლიის თანახმად, მევენახეობის სამშობლო კავკასიაა; ხოლო კავკასიაში საქართველოს ყოველთვის პრიორიტეტული ადგილი ეკავა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში, სადაც კულტურული ვაზის ხუთასზე მეტი ჯიშია აღწერილი.

საგულისხმოა, რომ სიტყვა „ღვინო" მსოფლიოს მრავალ ენაში, მათ შორის წიგნის გამომცემელთა მშობლიურ, ინგლისურ ენაშიც, ქართულიდანაა შესული.

თუნდაც ამ ორი ფაქტის მიჩქმალვაც საკმარისია წიგნის შემდგენელთა მიუკერძოებლობაში დასაეჭვებლად.

უძველესი ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთისა და ბერძენთა პირველი მეფის, ჰელიოსის შვილი აიეტი ოქროს საწმისს ფლობდა, რომელიც მისმა ასულმა მედეამ იაზონს გადასცა. მედეას სახელიდან წარმოსდგება სიტყვა „მედიცინა". მასვე უკავშირდება სხვადასხვა დაავადებათა განკურნება, წამლების მომზადება, სამკურნალო მცენარეთა მოშენება და მათი თვისებების შესწავლა (ჰეკატეს ბაღი). ამიტომაც ბერძენი და რომაელი კლასიკოსები — დიოსკორიდე, ჰორაციუსი, პლინიუსი, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვები, მიუთითებენ საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეებზე, მათ მოქმედებაზე, დამზადების ტექნოლოგიაზე და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი კ. შპრენგელი თავის ხუთტომიან „მსოფლიო მედიცინის ისტორიას" კოლხური მედიცინით იწყებს.

თუნდაც ეს ერთი ფაქტიც საკმარისია, მსოფლიოს ხალხთა შესახებ წიგნის მიუკერძოებელ, კეთილსინდისიერ შემდგენელს გონება გაუნათდეს და „ბევრი წვალება აღარ დასჭირდეს", მაგრამ რას იზამ, ზოგის ბამბაც ჩხრიალებს, ზოგისა — კაკალიც არა...

ეტყობა, ესეც ჩვენი ბედისწერაა...

უძველეს საუკუნეებში ქართული კულტურის უდიდეს მიღწევებთან ერთად, ქართველმა ერმა განსაკუთრებულ შემოქმედებით აღმავლობას შუა საუკუნეებში, ოქროს ხანის პერიოდში მიაღწია. მაშინ შეიქმნა ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის, ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური ფერწერის, საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის არქიტექტურის ძეგლები, საგალობლები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"...

სამწუხაროდ, ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წიგნის მთავარი რედაქტორის უეიდ დევისის „მაღალი" ყურადღებისათვის.

საგამომცემლო პროექტის მენეჯერი სიუზენ ტაილერ ჰიჩკოკი გვამშვიდებს, რომ „ქართველ ხალხს თავისუფლად შეეძლო ღირსეული და საინტერესო ადგილი დაეკავებინა ამ წიგნში. ჩვენ უბრალოდ, რთული არჩევანის გაკეთება მოგვიხდაო". ქალბატონი ჰიჩკოკი უნდა დავამშვიდოთ, — ქართველ ერს მათი შუამავლობის გარეშეც ეკავა და უკავია ღირსეული ადგილი ამ ცოდვილ მიწაზე, მაგრამ რა ეშველებათ მათ, ვინც ასე ულირსად მოიქცა და სცადა მსოფლიო რუკიდან გაექრო ოთხიათასზე მეტი წლის ისტორიის მქონე ერი?!. მაგრამ ეს მათი პრობლემაა. რას ვიზამთ! როგორც ჩანს, მავანთათვის ზნეობრივი ნორმები როდია გადამწყვეტი. სამაგიეროდ, ასე უფრო ადვილია ცხოვრება.

წერილში ქალბატონი სიუზენი გვაყვედრის — რთული არჩევანის გაკეთება მოგვიხდაო. ვნახოთ რა არჩევანი დასჭირდათ წიგნის პატივცემულ შემდგენლებს...

წიგნში „Book of Peoples of the World" ხალხები დაჯგუფებულია დიდი რეგიონების მიხედვით: აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ოკეანეთი, ევროპა, ჩრდილო ამერიკა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა.

რადგან კავკასია აზიის რეგიონშია განხილული, მე მხოლოდ აზიის იმ ხალხებს ჩამოგითვლით, რომლებიც წიგნის შემდგენლებმა, თურმე, „დიდი წვალებით" გამოარჩიეს იმ 5000 ეთნიკური ჯგუფიდან, რომელთა შორის საქართველო ვერ მოხვდა

აზია დაყოფილია ხუთ სეგმენტად — ცენტრალური აზია, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.

მაშ ასე! აზიის რეგიონში სომხებისა და აზერბაიჯანელების გარდა შევიდნენ: უზბეკები, თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები, კორეელები, იაპონელები, ტიბეტელები, მონღოლები, ვიეტნამელები, ქხმერებიტამილები, სინხალები, პენჯაბელები, ნეპალელები, გუჯარეთელები, ბენგალელები, იაკუტები, ტუველები, ნენცები, ევენკები, კორიაკები, ჩუქჩები...

დაბეჯითებით ვამტკიცებ, წიგნის „მსოფლიოს ხალხები" შემდგენლები ტენედენციურად მოიქცნენ! არ ვიცი, ვისი ზეგავლენით, ვისი დაკვეთით ან რის ფასად, მაგრამ მათი ტენდენციურობა ფაქტია!

მძიმე ბრალდებაა! მაგრამ, საბედნიეროდ, ამის დასაბუთების საშუალება თვითონვე მომცეს...

ძვირფასო მკითხველო, გთხოვ, გაიხსენო, რას წერდა წიგნის შემდგენელი 96-ე გვერდზე თავში — კავკასია: „ათასწლეულთა მანძილზე, კავკასიის მთები მოიაზრებოდა სასაზღვრო ზოლად ევროპასა და აზიას შორის. ეს ის მთებია, სადაც ძველი ბერძნული მითის თანახმად, ზევსმა პრომეთე მიაჯაჭვა. ეს იყო სასჯელი იმისათვის, რომ პრომეთემ ადამიანებს ცეცხლი უბოძა".

ევრიკა!

## სად წაიყვან სადაურსა

თურმე წიგნის შემდგენლები კარგად იცნობენ ჰომეროსის თხზულებას. კარგად იციან კოლხეთში, აიეტის სამეფოში არგონავტთა მოგზაურობის შესახებ; ასევე, აპოლონ როდოსელის მიერ აღწერილი არგონავტების მოგზაურობის ამბები, მითი ზევსისა და კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეს შესახებ!

აპოლონ როდოსელი, ესქილე, სტრაბონი, არიანე თუ სხვები, პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად, ერთხმად, კავკასიის ქედს მიუთითებენ.

არადა, წიგნის შემდგენლების მიერ „კავკასიაში" აღწერილ არც სომხებს, არც აზერბაიჯანელებს, ევროპააზიის წყალგამყოფ კავკასიონის ქედთან არავითარი გეოგრაფიული შეხება არ გააჩნიათ! არც პრომეთე-ამირანის მითთან აქვთ რაიმე კავშირი...

სამაგიეროდ, 96-ე გვერდზე მოხმობილი მითი ზევსისა და პრომეთეს შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ კოლხეთს, ანუ საქართველოს უკავშირდება! იმ საქართველოს, რომელიც წიგნის შემდგენლებმა, დავით კოპერფილდივით, თვალის დაუხამხამებლად „გააქრეს"... იმ ერს, რომელიც მსოფლიოში არსებულ თოთხმეტ ანბანთა შორის ერთ-ერთის შემქმნელია! თანაც ყველაზე სრულყოფილისა! ამის დასაბუთებაც ძალიან ადვილია.

როგორც ცნობილია, ანბანური დამწერლობა იმდენად უფრო სრულყოფილად ითვლება, რამდენადაც თითოეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესაბამება სათანადო ბგერას (ფონემას). ამ მხრივ, ქართული ანბანი მართლაც ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოში!

კომენტარი თქვენთვის მომინდვია!

წერილს კი ამერიკის რიგით მესამე პრეზიდენტის სიტყვებით დავასრულებ: „სული მიშფოთავს ჩემი ქვეყნის გამო, როდესაც გავიფიქრებ, რომ ღმერთი სამართლიანია", — წერდა ტომას ჯეფერსონი.

თქვენ კი, ძვირფასო ბ-ნო პეტრე, ათასი მადლობა, რომ ეს წიგნი გამოგვიგზავნეთ; იქნებ ამან მაინც აგვაფორიაქოს, დაგვაფიქროს, გამოგვაფხიზლოს, თორემ დრო ულმობლად მიქრის და თუ ასე გავაგრძელებთ, არა მარტო ისტორიას დავკარგავთ, საერთოდ, ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდებით...

მავანნი და მავანნი, ჩვენი გულარხეინობითა და მიმტევებლობით გათამამებულნი კი ხან რუსთაველს წაართმევენ ხელს, ხან ფიროსმანს, ხან ჯვარსა და ხანაც მთელ ტაო-კლარჯეთს...

გმადლობთ, ბ-ნო პეტრე! ხომ ხედავთ, როგორ გვეიმედებით!

დიდხანს უნდა იყოთ ჯანმრთელად და შემართებით!

თქვენ სჭირდებით საქართველოს!

დაბადების დღეს გილოცავთ, გაგიმარჯოთ, მრავალჟამიერ!

## ნარსული მომავლისათვის

ივანე ამირხანაშვილი

# საუკუნის ისტორია კომენტარებად

რამდენიმე წლის წინათ, ავტობუსით მგზავრობისას, ჩემდა უნებურად სტუდენტების საუბარს შევესწარი. სასწავლო წლის დასაწყისი იყო. სექტემბერი. როგორც ჩანდა, მათთან შესულიყო რომელიღაც ლექტორი, რომელიც გამომდგარა „ჭკვიანი", „სერიოზული", „კაცური კაცი". პირველი შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ყმაწვილები სახოტბო ეპითეტებს არ იშურებდნენ და, ეტყობოდათ, ამაყობდნენ კიდეც, რომ ბედმა კარგ ლექტორს შეახვედრათ, მაგრამ, რად გინდა, სახელს არ ამბობდნენ, არადა ერთი სული მქონდა გამეგო, ვინ იყო ის ბედნიერი, ვინც ამხელა თაყვანისცემის ღირსი გამხდარიყო.

ისეთი დრო მოვიდა, გვინდა-არ გვინდა, სულ ცუდზე ვფიქრობთ, ცუდის მეტს ვერაფერს ვამჩნევთ, ცუდის მეტი არაფერი ესმის ჩვენს ყურებს. ამ დროს ესენი სიკეთის ნოტზე აწყობილან, ადამიანზე კარგს ამბობენ, აქებენ, ხოტბას ასხამენ.

„ნეტავ ვინ არის, ნეტავ ვინ არის?" — ვფიქრობ ჩემთვის და მხოლოდ ჩასვლის წინ მომესმა: „თამაზ ჯოლოგუა"!..

სტუდენტები არასოდეს ცდებიან ლექტორის შეფასებაში. თითქმის არასოდეს. როგორი ადამიანური ღირსებებითაც უნდა გამოირჩეოდე, გმირთაგმირიც რომ იყო, რკინას რომ კვნეტდე და მთებს აბურთავებდე, თუ პროფესიონალი არა ხარ, თუ ინტელექტი არ გიმაგრებს ზურგს, არ შეგიყვარებენ, მოძღვრად არ გაღიარებენ, არ მოგისმენენ.

დიდხანს ველოდი ამ წიგნის მესამე ტომს: „საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი; მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის", რომლის გამოცემა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ წამოიწყო თოთხმეტი წლის წინათ.

როგორც კი წიგნი გადავშალე, მაშინვე ავტობუსის ეპიზოდი გამახსენდა. ეს ხომ თამაზ ჯოლოგუას შრომაა, მისი განსაკუთრებული გარჯის შედეგი, დასტური სტუდენტური ალღოს უცთომელობისა.

მესამე ტომი. გრანდიოზული შრომის დასასრული. შეკრული წრე. მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ენციკლოპედიური პროფილი. შეიძლება უკეთესიც გვინახავს, მაგრამ ასეთი ტიპის, ასეთი ხასიათის შრომა ქართულ ფილოლოგიაში არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, არ მახსენდება გამოცემა, რომელიც მსგავსი მასშტაბით წარმოადგენდეს ერთი კონკრეტული პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მარტო კომენტარებში მოცემულია ორი ათასამდე პირისა თუ სახელის ამომწურავი დახასიათება. თითოეული მინისტატია ეტიუდის ფორმით არის დაწერილი, ასე გგონია, მხატვრული ნაწარმოების ფრაგმენტს კითხულობ. კომენტარი, როგორც სქოლიო, ისე ეფექტურად არის გამოყენებული, პეტერ კორნელსაც შეშურდება, არასწორხაზოვანი წერის ამ ფლაგმანს.

ერთი სიტყვით, შენ წინაშეა ინფორმაციის ოკეანე, რომელშიც შეგიძლია თავისუფლად და უშიშრად შეხვი-

დე, რადგან აქვეა კეთილისმსურველი პოსეიდონი – ავტორი ნინისა.

სატიტულო ფურცლის ცნობა წესისამებრ ნეიტრალურია: შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ.

ერთი შეხედვით, აქ განსაკუთრებული თითქოს არაფერია, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდი შრომა უნდა გაეწია იმისათვის, რომ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების პრესაში, კრებულებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის, ლიტერატურისა და კინოს, თეატრისა და მუსიკის მუზეუმების ფონდებში, სახელმწიფო არქივში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებსა თუ სხვა წყაროებში დაეძებნა და მოეპოვებინა ის მრავალფეროვანი მასალა, რაც სამტომეულშია თავმოყრილი.




კომენტარებს სულ ხუთასი გვერდი უკავია, ერთ მოზრდილ ტომზე მეტი დაიკავა კვლევის შედეგებმა, რომლებშიც ბევრი რამ დაზუსტებული, გასწორებული და განახლებულია.

პერსონალიების ლაკონიური, არსობრივი დახასიათებით იხატება მთელი ეპოქა თავისი კანონზომიერებებით, შემთხვევითობებითა და ცდუნებებით.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა და მოწამეობრივი აღსასრული განჭვრეტილია ეპოქის ჭრილში. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა თითოეულ გვერდზე, თითოეულ სტატიაში, თითოეულ სტრიქონში.

დიმიტრი ყიფიანის ისტორიული ფიგურა წარმოდგენილია სავსებით ობიექტურად – არა როგორც იდეალი და საკულტო ფენომენი, არამედ როგორც რეალური, ნამდვილი, ჭეშმარიტებას მიახლოებული მოვლენა.

ეს სტილია, თამაზ ჯოლოგუას სამეცნიერო კვლევის სტილი – ობიექტური ხედვა, რაციონალური ანალიზი, მაქსიმალური სიახლოვე წყაროებთან და რეალისტური დასკვნა.

ცოდვა გამხელილი სჯობს. ბოლო დროს ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში შეინიშნება რაღაც ირაციონალისტური, ემოციური მანერის მოძალება, რაც კარგს არაფერს უქადის ჩვენს მეცნიერებას. თანდათან იჩქმალება ემპირიული მასალის პრიორიტეტი, წინა პლანზე მოიწევს სქემა, სტერეოტიპი, წინასწარ აღებული იდეა და მისი ხორცშესხმის ამაო მცდელობანი, რომლის საბოლოო ნავსაყუდელი ინფანტილიზმის ჩიხია.

თამაზ ჯოლოგუას, როგორც მეცნიერის, მსოფლმხედველობას გამოკვეთილი ანტიირაციონალიზმი ახასიათებს და ამითაც არის მისი ოპუსები საინტერესო და, რაც მთავარია, სანდო. არცერთი თეზა დოკუმენტური წყაროების გარეშე, არცერთი დასკვნა რეალური კონტექსტის გარეშე, არცერთი დებულება რაციონალური ანალიზის გარეშე.

ზოგჯერ რა უცნაურია სიტყვა და მისი გზანი.

1887 წლის 8 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზე აკაკი წერეთელმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილოდ მოკავშირევ, ჩვენო დიდებულო მოძღვარო!"

„საშვილიშვილოდ მოკავშირევ". ამას შემჩნევა უნდოდა. თამაზ ჯოლოგუამ შეამჩნია, სათაურად გამოიტანა და დაამკვიდრა კიდეც ერთ ბედნიერ სინტაგმად.

აკაკის, ცხადია, სასხვათაშორისოდ არ გამოუყენებია ეს სიტყვათშეთანხმება. არის მასში რაღაც, რაც მემკვიდრეობითობის, ტრადიციულობის, საკულტო თაყვანისცემის შინაარსზე დაგვაფიქრებს.

„მოკავშირე". ფართოა მისი კონოტაციური ველი. მეტადრე ძველთაობელთათვის. „მოკავშირე რესპუბლიკები"... „საბჭოთა კავშირი"... „კავშირი გულთა შორის"...

ერთ დროს ტოტალიტარიზმის საყრდენი ტერმინი უცებ თბილ, რწმენისა და სასოების აღმნიშვნელ სიტყვად იქცა.

ისეთი მეტაფორფოზაა, ძალაუნებურად დაგაფიქრებს და, ღმერთმა უწყის, საით წაგიყვანს.

მოკავშირე... მოკავშირე.. მოკავშირე...

დიმიტრი ყიფიანი — ქართული სულის მარადიული, საშვილიშვილო მოკავშირე.

ისე მიგვიჩვია ამ სიტყვამ, ვინც კი გავიგეთ, როდის შემოგვთავაზა ახალი, არცთუ აპოკრიფული ვარიანტი: თამაზ ჯოლოგუა — დიმიტრი ყიფიანის საშვილიშვილო მოკავშირე.

რატომაც არა. თამაზმა დაიმსახურა. კიდევ არაერთი ვიცი, ვინც ალალად იმსახურებს ამ პატივს. ზოგს წიგნი აქვს დიდ წინაპარზე შექმნილი, ზოგს სტატია, ზოგს გამოკვლევა, ზოგს ნახატი, ზოგს იდეა, რომელიც განხორციელებას ელოდება. მოკავშირეებად ვიგულვებდი წიგნის რედაქტორს, როსტომ ჩხეიძეს, მხატვარს, კარლო ფაჩულიას და, რაღა თქმა უნდა, გამომცემლობებს: „ლომისს", „ზეკარსა" და „ნეკერს", რომლებმაც გამოსცეს თამაზ ჯოლოგუას შრომის პირველი, მეორე და მესამე ტომები.

ისევ ავტობუსი და სტუდენტები მახსენდება...

ეკა ბუჯიაშვილი

# რასაც ზოგჯერ თაობებიც ვერ ახერხებენ

*

## შტრიხები ანზორ ერქომაიშვილის პორტრეტისათვის

მივიწყებული წარსულიდან გამოიხმო და გააცოცხლა... და ამით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ სიმღერას.

მსოფლიო არქივებში მოიძია, თანამედროვე ხმისჩამწერი ტექნიკის საშუალებით აღადგინა, ფირფიტებისა და კომპაქტური დისკების სახით გამოსცა, აღადგინა და დაამკვიდრა ანსამბლ „რუსთავის" რეპერტუარშიც, რითაც დავიწყებას გამოსტაცა ხელიდან და ახალი სიცოცხლე შესძინა წარსულს.

ორმოცი წელი შეალია ამ საქმეს ანზორ ერქომაიშვილმა.

ნაბიჯ-ნაბიჯ, მარცვალ-მარცვალ აგროვა ქვეყნიერების გზებზე, სულ ახლახან კი ეს მრავალწლიანი ნაშრომი კატალოგების სახით მომზადდა და უნიკალური გამოცემები შეიძინა ქართული სულიერი მემკვიდრეობის საგანძურმა.

ამ ყველაფრის შესახებ ახლა ბატონი **ანზორ ერქომაიშვილი** და გამოცემათა რედაქტორი **ვახტანგ როდონაია** მოგვითხრობენ:

* * *

„ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში" — ასე ჰქვია კატალოგს, რომელიც შედგენილია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოძიებული ფონოჩანაწერებისა და მათ ირგვლივ არსებული მასალების საფუძველზე. აქ შეტანილია XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოშვებული გრამოფონის ფირფიტებისა და მათი მატრიცების ნომრები, სიმღერების დასახელება და შემსრულებელთა გვარები, ჩანაწერის თარიღები, საარქივო კარტოთეკათა ნომრები, აგრეთვე უცხოეთის არქივებისა და სხვა სიძველეთასაცავების მისამართები, სადაც ინახება ეს ფონოჩანაწერები.

კატალოგში ასევე შევიდა პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილთა ფრაგმენტები, რომლებიც გვაცნობენ პირველი ქართული გრამფირფიტების მოძიებისა და აღდგენის ისტორიას. გამოცემაში გაერთიანდა ცნობები თბილისის, რიგის, სანკტ-პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის, რუსეთის ფონოდოკუმენტების სახელმწიფო არქივის, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის, ლონდონის ბიბლიოთეკის ხმოვანი არქივის, ბერლინისა და ვენის ფონოგრამარქივების კატალოგებსა და კარტოთეკებში მოძიებულ მასალათა შესახებ.

„ქართული ხალხური სიმღერა. პირველი ფონოჩანაწერები" (1901-1914) კი მოიცავს ოთხ კომპაქტდისკს ძველი ფონოჩანაწერებით და ნარკვევს, ქართველი ხალხის დიდ სულიერ მონაპოვარს — ხალხურ სიმღერას რომ ეძღვნება და ქრისტიანობამდელი ხანიდან მოყოლებული აგვიწერს მის ფესვებს, ძველ ტექსტებში მიმობნეულ ისტორიულ მასალას, ცალკეულ მუსიკალურ ტერმინებსა თუ საერთოდ, ქართული მრავალხმიანი მუსიკის განვითარების გზას, როგორც სისხლხორცეულ ნაწილს უძველესი კულტურისა, რომელსაც არც ერთხმოვანება სჩვევია, არც ერთფეროვნება და არც ერთსახოვნება — აქ ფერიც, ბგერაცა და ფორმაც ერთიან ჰარმონიას ქმნის.

ამიტომაცაა, რომ ქართული სიმღერის შრეები, ქართული პოლიფონიის ფენომენი ამ ნარკვევში ერის კულტურის, ტრადიციების, რელიგიის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის... საერთოდ ქართული ხელოვნების წიაღიდან იხსნება და არც ის არის შემთხვევითი, რომ გიორგი ჩუბინაშვილი ფიტარეთის ტაძრის მხატვრული ანალიზისას დროდადრო მუსიკალურ ტერმინებსაც მოიხმობს. მისი თქმით, ტაძრის ჩუქურთმებზე მომუშავე ოსტატთაგან ერთს ნახაზის სიზუსტე — აკადემიური, კლასიკური ფორმები უფრო ხიბლავს, მეორეს კი —მოდერნისტული — „თავისებური ფიორიტურები", რაც ამჯერად ტაძრის დეკორში ფრაგმენტების მოულოდნელ ჩართვას გულისხმობს...

რაც შეეხება კატალოგისთვის დართულ კომპაქტდისკებს:

— ტეტრადისკონში ჩართული 99 ქართული ხალხური სიმღერა „გრამოფონისა" და სხვა უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში გაწეული მუშაობის სრულ სურათს ვერ შექმნის — სიძველეთა საცავებში უთუოდ სხვა ფონოჩანაწერებიც ინახება. ამას ბოლო ხანების მონაპოვარიც ადასტურებს. ანთოლოგიაზე მუშაობა უკვე დამთავრებული გვქონდა, როცა უცხოეთიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა კომპანია „პატეს" მიერ ჩაწერილი ოთხი ქართული ხალხური სიმღერა (ალიფაშა, ხასანბეგურა, ცოლი გამიდიდგულდა, ქართული მგზავრული), რომელთა შემსრულებლებიც ჯერჯერობით უცნობია.

იმედია, ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნების საგანძური მომავალში ახალი უნიკალური ნიმუშებით შეივსება. საბედნიეროდ, ქართულ სიმღერას მეგობრები მთელ მსოფლიოში ჰყავს. ამ კატალოგებში კი ძალიან ბევრი რამ არის მის შესახებ, თავისი ფოტომასალითა და ცნობებით. ტექსტზე ბატონმა ვახტანგმა იმუშავა. ნახეთ, როგორი კოლოსალური შრომა აქვს ჩადებული...

— ყველაფერს ნუ დაუჯერებთ, — ამბობს ბატონი ვახტანგი, — თორემ საუბრის ბოლოს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თვითონ არაფერი გაუკეთებია.

ანზორ ერქომაიშვილმა ამ თემაზე საერთოდ რომ არაფერი თქვას, ქართულმა საზოგადოებრიობამ ისედაც კარგად იცის მისი ღვაწლის შესახებ. ანსამბლ „რუსთავის" სახელი კი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მთელმა მსოფლიომ შეიყვარა. სწორედ „რუსთავის" დიდი საქმეების შესახებ გვიამბობს მესამე კატალოგი, თუმცა ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი იმას მოგითხრობთ, როგორ იწყებოდა ეს ორმოცწლიანი გზა.

* * *

თავიდან არ უფიქრია, რომ რაღაც გრანდიოზულ საქმეს ჰკიდებდა ხელს. უბრალოდ, გადაწყვიტა, ძველ სიმღერებს შევაგროვებო.

გადაწყვიტა კი იმიტომ, რომ ოჯახში ჰქონდათ უნიკალური ფირფიტები, ბაბუა ინახავდა და კარგა გვარიანადაც

შეგროვილიყო. გრამოფონიც ჰქონდათ ერთი. 1907 წელს ბაბუასთვის მამამისს — გიგო ერქომაიშვილს უჩუქებია, იმ გიგო ერქომაიშვილს, სოფელ მაკვანეთში მომღერალთა გუნდი რომ ჰყავდა. 1907 წელს ახალშექმნილ სტუდია „თბილისში“ 49 გურულის სიმღერა რომ ჩაუწერიათ ფირმა „გრამოფონისთვის“ და პატივისცემის ნიშნად გრამოფონი უჩუქებიათ მისთვის. გიგოს კი თავისი შვილისთვის, არტემისთვის უსახსოვრია. ჰოდა, ბაბუაც, იმხანად ცნობილი ლოტბარი, ძველ ჩანაწერებს რომ უსმენდა, ამ სიმღერების ფონზე ჩაუვლია ანზორ ერქომაიშვილის ბავშვობას.

ახლა რომ იხსენებს, ელიმება, ელიმება... აგონდება, როგორ ეშინოდა ამ უცნაური მანქანის — ეგონა ჭინკები ისხდნენ შიგნით და ისინი გამოსცემდნენ ხმას. ბაბუას კი თავისთვის ელიმებოდა, შვილიშვილს უხსნიდა, უყვებოდა, ვინ რას მღეროდა, როგორ მღეროდა... მარტო გურული კი არა, ყველა კუთხის სიმღერა იცოდა და თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ შვილიშვილს უკვე სრული წარმოდგენა ჰქონდა ქართულ ფოლკლორულ მუსიკაზე.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ეს ფირფიტები შეაგროვა, თბილისში წამოიღო და თავის პროფესორს შალვა ასლანიშვილსა და გივი ლორთქიფანიძეს მოასმენინა. მათ ძალიან მოიწონეს და უთხრეს: იქნებ გააგრძელო მოძიება, ოღონდ მთავარი ეს არ არის, ძირი უნდა მოიკვლიო მათი, საიდან მოდის თითოეულიო.

ასე შეუდგა ძიებას.

ჯერ — თბილისში, მერე კი მთელი საქართველო მოიარა, ბევრი თავისითაც გამოეხმაურა და კარგი კოლექცია შეაგროვა, ოღონდ... იმდენად იყო გაცვეთილი და დაზიანებული, მათი აღდგენა მაშინ წარმოუდგენელი ეჩვენებოდა, არადა, უნიკალური ჩანაწერები ჰქონდა ხელთ.

მერე ქართული სიმღერის კვალს მსოფლიოს სხვადასხვა არქივშიც გაჰყვა. ეს მაშინ ძალიან რთული იყო. მანამდე ძირითადად რუსეთში — მოსკოვსა და ლენინგრადში ეძებდა მასალებს. სწორედ იქ უთქვამთ ლონდონში არსებული მრავალმხრივ საინტერესო არქივის შესახებ... და „რუსთავის“ ერთ-ერთი გასტროლისას ამ ქალაქში რომ მოხვდა, ლონდონის ბიბლიოთეკასაც მიაკითხა.

— ლონდონური ფონომასალა საუცხოოდ არის დაცული. როგორც ჩანს, ფირფიტებისა და კატალოგების თითო ასლი (შეიძლება მეტიც) ფირმა „გრამოფონს“ ლონდონში ჩაჰქონდა და თავის არქივში ინახავდა. ასე მოაღწია ჩვენამდე 100 წლის წინათ ჩაწერილმა სიმღერებმა. თუ გავითვალისწინებთ იმჟამინდელი ხმის ჩაწერის ტექნიკურ შესაძლებლობებს და იმას, რომ მაშინ სრულიად ახალ ჩანაწერებსაც კი სპეციფიკური ბუნებრივი შიშინი ახლდა, შეიძლება ითქვას, რომ ფირფიტები შესანიშნავადაა შენახული. მომღერალთა ხმები კარგად ისმის. ხმის აღმდგენი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით ამ ხმების გასუფთავება და გაძლიერება არა გვგონია მიზანშეწონილი იყოს. ეს დაახლოებით იგივეა, ძველისძველი ფრესკის ფერადოვანი გამა ზეთის საღებავებით გავაცოცხლოთ. ჩვენი აზრით, აჯობებს XX საუკუნის დასაწყისის ფონოჩანაწერებს თავიანთი ხმოვანება და განუმეორებელი სურნელი შევუნარჩუნდეთ.

საკვლევი და მოსაძიებელი კი კიდევ ბევრია. მთავარია, რომ ბატონი ანზორის ძალისხმევით ფასდაუდებელი მასალა შეგროვდა, თაობებმა რომ უნდა შეისწავლონ და შეინახონ, არადა...

— თავიდან არც მიფიქრია, რომ რაღაც გრანდიოზულ საქმეს ვკიდებდი ხელს, არც ის მიფიქრია, ამდენ წელიწადს და ამხელა შრომას თუ შევალევდი ამ ყველაფერს, მთელი ცხოვრება კი გასულა...

* * *

— იმხანად წავიკითხე შალვა კაშმაძის წიგნი „ვანო სარაჯიშვილი“. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მახსოვს სანდრო მირიანაშვილს ვკითხე:

— როგორი მომღერალი იყო-მეთქი?

— პატარა ვიყავი, მამამ მის კონცერტზე რომ წამიყვანა. ქალებს გული მისდიოდათ, ისეთ ეფექტს ახდენდაო.

— ბატონო სანდრო, დღევანდელი მომღერლებისგან ვის შეადარებდით-მეთქი? ჩაფიქრდა და... — არავისო, — მითხრა, — ერთადერთი ზურაბ ანჯაფარიძეს აქვს ის ხიბლი, შეუძლია თითოეულ მსმენელს სულში ჩაუძვრეს. აი, ეს ხიბლი ჰქონდა ვანო სარაჯიშვილსაც — ყველას ეგონა, მისთვის მღეროდაო.

ასე დაიწყო ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების ძებნა. მერე ამან თუ აფიქრებინა, ერთი დედას ლევანაც მომასმენინაო. „რუსთავის“ ერთ-ერთი გასტროლისას მიაკითხა კრასნოგორსკის არქივს, დიდხანს იმუშავა, მეორედაც ჩავიდა, მაგრამ 30-იანი წლების ჩანაწერებზე ძველი ვერაფერი აღმოაჩინა.

მერე არქივის ახალგაზრდა თანამშრომლის დახმარებით სარდაფში უპოვია ერთი ძველი ყუთი მუყაოს კატალოგებით. ათვალიერებს დამტვერილ ჩანაწერებს და... უცებ: „Застольная песня Бабилодзе“. ეს ხომ გიორგი ბაბილოძეა, ცნობილი მომღერალი მაკვანეთიდან, თავისუფლად რომ შეეძლო ემღერა მაღალი რეგისტრის გამყინავი ხმაც და, თუ საჭირო იყო, ბანიც ეთქვა. ისევ აგრძელებს ძებნას და... „Д. Левана“ — ეს ნამდვილად დედას ლევანაა — ლევან ასაბაშვილი, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი... „И. Сараджев. „Урмули“ — აი, ვანო სარაჯიშვილიც...

— მახსოვს, კინაღამ ცუდად გავხდი, რომ ვიპოვე. მათი აღდგენა გრძელი ისტორიაა ძალიან. თანხების გარდა დიდი ძალისხმევაც სჭირდებოდა. როგორც იქნა მოხერხდა. ცოცხალი ხმა რომ მოვისმინე ვანო სარაჯიშვილის, უბედნიერესი ვიყავი. მოგვიანებით დედას ლევანას ხმაც აღვადგინეთ. ჩავრთე და... გავარდა ხმა, წავიდა, წავიდა, აფრინდა სადღაც... შემოვარდნენ გვერდით საააპარატოდან. იყო იქ ერთი მოხუცი კაცი, დიიიდი სპეციალისტი — ლენინის ხმის აღდგენას რომ ანდობდნენ, აი, ისეთი დიდი — მომვარდა და მკითხა:

— ვინ არის, რა ხმა აქვსო?!

— ხალხურ სიმღერებს მღერის-მეთქი, — ავუხსენი.

— ნებისმიერი ოპერის მომღერალი ინატრებდა... აბა, კიდევ მომასმენინეო, — მთხოვა. მოვასმენინე.

— ჩაწერისას დაახლოებით ერთი მეტრით უკან დაუყენებიათ, ბალანსი რომ არ დარღვეულიყო სხვა მომღერლებთანო.

ზაქარია ფალიაშვილისთვის აკი გაუფუჭებია კიდეც აპარატი — 1909 წელს მის ჩასაწერად რომ ჩავიდა შილდაში, ჩაწერისას იმხელა ხმაზე შემოუძახია სიმღერა, მემბრანა დაუზიანებია.

ვანო სარაჯიშვილზე გიამბობდით...

პირველად რომ გამოსცეს მისი სიმღერები, ბატონ ანზორს ნოდარ ანდღულაძისთვის მიუტანია, მას კი ჩუმად, უკომენტაროდ მოუსმენია, მერე კი უთხოვია:

— ახლა კინოსტუდიაში მივდივარ, საღამოს არ დაგეზაროს, მოდიო.

მივიდა და რას ხედავს — მოუყვანია ბატონ ნოდარს მთელი ვოკალის კათედრა და ეუბნება:

— ანზორმა ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერი ჩამოგვიტანა ლონდონიდან, უნდა მოგასმენინოთ, პირველი პირიაო.

მერე შეკრებილებს მოასმენინა იმხანად ლა-სკალაში ჩასული ყველა ის მომღერალი, ვინც ბელკანტოს გადიოდა და იკითხა: — რას იტყვით ამ მომღერლებისა და ვანო სარაჯიშვილის შედარებაზე?

— გაცილებით მაღლა დგასო, — უპასუხიათ ერთხმად, — ერთ ყალბ ბგერას ვერ იპოვიო; რამოდენა ოსტატი ყოფილაო; როგორი ხმის ტემბრია, რამხელა გრძნობა, მუსიკალური აზროვნება, ტექნიკაო... – გაოგნებულიყო ყველა.

მერე კიდევ ერთხელ რომ მოუნია ევროპაში ჩასვლა ბატონ ანზორს, „რუსთავის" გასტროლებიდან აღებული ჰონორარით ახალი ჩანაწერები შეუძენია, ჩამოუტანია და ახლა ის გამოუცია.

— ცოტა შიშინი კი დასდევს, მაგრამ... დრო და ტექნიკა წინ მიდის და ალბათ წლების მერე ამ შიშინსაც ისე მოაშორებენ, სრულყოფილი ჩანაწერი გვექნება. მე მასალა დავდე. მომავალმა თაობამ კი თავისი საქმე იცის. აქ არის ვანო სარაჯიშვილი; კომპანია „პატეს" ფონოჩანაწერებში აღმოვაჩინე ფილიმონ ქორიძე, უდიდესი ბანი, რომელიც 1872 წელს დონ ბაზილიოსა და ფილიპის პარტიას მღეროდა ლა-სკალაში. იქვე ვიპოვნე იოსებ ტომაშევიჩის ჩანაწერი — ახალციხელი კაცი იყო, გვარი ჰქონდა პოლონური, თორემ თვითონ რუსულიც არ იცოდა ხეირიანად. დიდებული მომღერალი. 1906 წლიდან მღეროდა მეტროპოლიტენ ოპერაში. აქ არის ასევე — ია კარგარეთელი; ნატო გაბუნია მღერის ორ ბაიათს; ვასო აბაშიძე კითხულობს ლექსს, აკაკი წერეთელი კითხულობს „განთიადს"... კარგი დისკი გამოვიდა. სამწუხაროდ, არ გაუკეთდა სათანადო რეკლამა და არ იციან საქართველოში მის შესახებ. მე და ვახტანგმა საჩუქრებად დავარიგეთ, არადა, სიმბოლურ ფასად მაინც რომ გაყიდულიყო... თუ რამ თანხა შემოვიდოდა, ისევ ამ საქმეს მოვახმარდით.

* * *

იყო ასეთი დროც.

ყველაფერ ქართულს, ეროვნულს, ამრეზით უყურებდნენ.

არა, არც შეუხედავი ბიჭები ყოფილან, არც ცუდები, მაგრამ... ქართულ სიმღერას რომ დაიწყებდნენ სუფრასთან, გოგონები ცხვირს აიბზუებდნენ ხოლმე:

— ახლა კიდევ ქართული ხალხური მუსიკაო...

დღესდღეობით კი ვითარება შეიცვალა, ბატონი ანზორის თქმით, საკმაოდ მომრავლდა ახალგაზრდული ანსამბლები, რაც ძალიან ახარებს.

— კრიტიკას არ მოვყვები, არის ხარვეზები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდები დაინტერესდნენ ხალხური მუსიკით.

„მართვეს" უდიდესი დამსახურება აქვს ამ საქმეში. 35 წლის განმავლობაში რამდენიმე ათასმა ბავშვმა გაიარა ეს სკოლა. ცუდი დროების გამოვლა მოუწია ამ ანსამბლს. 60-იან წლებში სირცხვილად ითვლებოდა ქართული სიმღერა. მახსოვს, 1962 წელი იყო, ვაკის პარკში ვიმღერეთ ხალხური სიმღერა და სტვენა დაგვიწყეს. ესტრადა ახალი შემოსულია, უცხოური მუსიკისა და ჯაზის გარდა არ სწამთ არაფერი. გამოგვყარეს სცენიდან — სხვა სახელი ამას არ ერქვა. პატარა ბავშვივით ტიროდა თემურ ქევხიშვილი და გომარ სიხარულიძე ამშვიდებდა.



ანზორ ერქომაიშვილი

მერე „გორდელამ" შემოაბრუნა ეს ყველაფერი. თანდათანობით მოიკიდა ფეხი. ჯერ კონცერტზე თეატრალები მოვიდნენ, იმის შემდეგზე — სამხატვრო აკადემიიდან... მოდიოდნენ და მოდიოდნენ... მერე უკვე ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ. „მართვემ" კი, ჩემი აზრით, ყველაზე მეტი გააკეთა ახალ თაობაში ქართული სიმღერის სიყვარულის ჩასანერგად. მახსოვს, ამ ანსამბლის ჩამოსაყალიბებლად მე და ნათელა ჯიღაური სკოლებში რომ დავდიოდით ბავშვების შესარჩევად, 1500 მოსწავლე მოვისმინეთ და არცერთმა არ გამოთქვა სურვილი ხალხური სიმღერის შესწავლისა.

დღეს კი, ბატონი ანზორის აზრით, განწყობილება სრულიად შეიცვალა. ოღონდ გული იმაზე სწყდება, რომ ამ ყველაფერმა რეგიონებიდან დედაქალაქში გადმოინაცვლა. არადა, ყოველთვის, ყველა დროსა და ეპოქაში სოფელი ინახავდა ქართულსა და ეროვნულს, ფოლკლორსაც, ტრადიციებთან ერთად, სოფელი ინარჩუნებდა. მომღერალს იქ დიდი დაფასება ჰქონდა, ლამის საზოგადო მოღვაწედ მიიჩნევდნენ. ცოლს რომ ირთავდა კაცი, სიმღერა თუ იცისო? — პირველად ამას იკითხავდა სასიმამრო... და თუ იცოდა, დიდი ღირსება იყო.

შიგნით დუღდა, შიგნით იხარშებოდა ეს ყველაფერი, შიგნით იქმნებოდა იმპროვიზაციები, რადგან, შემსრულებელთან ერთად, კომპოზიტორიც იყო თითოეული მათგანი.

— ვერცერთი მუსიკოსი ვერ გაუძლებს ისეთ იმპროვიზაციას, სამუელ ჩავლეიშვილი რომ ქმნიდა. მარტო „წამოკრული" 50-ჯერ იმღერა და 50-ჯერვე სხვადასხვანაირად.

დასანანია, დღეს რომ იკარგება ეს ყველაფერი. შეიძლება ამის გაცოცხლება და აღდგენა, პატარა დაინტერესებასაც თუ გაუჩენ იქაურ კაცს, რადგან დღეს უჭირს სოფელს, სხვა საზრუნავი და საფიქრალი აქვს, შეიცვალა გლეხის ყოფა და სიმღერისთვის აღარავის სცალია, მაგრამ არ კეთდება — სტიქიურადაა მიშვებული პროცესი.

იუნესკოს დაფინანსებით ათ-ათკაციანი ახალგაზრდების ჯგუფი გავუშვით რეგიონებში უხუცესებთან ლოტბარების მოსამზადებლად. ვიდრე ჯერ კიდევ არიან ჩვენ გვერდით ეს ადამიანები, ვიდრე კიდევ შეიძლება ძველი ქართული სიმღერების სწავლა და გადარჩენა, მანამდე უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი. ის ლოტბარები დღესაც მუშაობენ. და ამას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ... მარტო იუნესკოს კი არა, უწინარესად შენი ქვეყნის საზრუნავი და პრიორიტეტი უნდა იყოს ყველაფერი ეროვნულის გადარჩენა. კი, ქართული ფოლკლორის ცენტრიც არსებობს, მაგრამ...

ეს სხვა თემაა, ამაზე სხვა დროს იყოს.

* * *

**ანზორ ერქომაიშვილი:**

— ახალი სახელებიც გამოჩნდნენ ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლებს შორის. აი, მაგალითად, გიორგი გაბუნია — ასეთი მოკრიმანჭულე დიდი ხანია აღარ გვყოლია, ანსამბლ „ბასიანის“ წევრია.

ახლახან საფრანგეთში იყო „ბასიანი“. კარგ საქმეს აკეთებდა. მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკოლოგები ქართული პოლიფონიის შესახებ ლექციებს კითხულობდნენ, „ბასიანი“ კი, სანიმუშოდ, კონცერტებს მართავდა. დიდი გამოხმაურება და წარმატებები მოჰყვა ამ ყველაფერს. შარშან ვაშინგტონში, ლინკოლნცენტრში ჰქონდათ გამოსვლა ასეთი სახელწოდებით: „ბახი და ქართული პოლიფონია“. ეს რომ სხვას გაეკეთებინა, ალბათ რა ამბავი ატყდებოდა, აქ კი, სამწუხაროდ, არავითარი რეზონანსი არ მოჰყოლია. მე, რა თქმა უნდა, ვცდილობ ამ ყველაფრის პოპულარიზაციას, მაგრამ... რადიოსა და ტელევიზიაში ასეთ თემაზე ორიოდე წუთს თუ დაგითმობენ.

**ვახტანგ როდონაია:**

— უბედურება ისაა, რომ ეს მარტო მუსიკის პრობლემა არ არის, საერთოდ, გემოვნება ნადგურდება — დაქვეითებას ვინლა ჩივის, ნადგურდება. შემოგვიგდეს ფრაზა: გემოვნებაზე არ დავობენო და... არადა, გემოვნებაზე დავობენ თუ დავობენ, და ჩვენ თუ არ ვიდავებთ, „კარგად“ გვქონია საქმე...

მართალია ბატონი ანზორი, სოფელს ეჭირა ქართული ტრადიციაც, ფოლკლორიც, ადათიც... ქალაქს სიმღერა ყოველთვის უჭირდა, ახლა კი, გარემოებათა გამო, ქალაქმა ისწავლა და სოფელს უბრუნებს. ამ პროცესში კი ის თავდაპირველი მუხტი, ალქმა და მადლი იკარგება...

**ანზორ ერქომაიშვილი:**

— დაიკარგა ის, როცა გლეხი ყოველდღიურ ყოფაში ასრულებდა სიმღერებს. ახლა ყველაფერი სცენაზე გადმოიტანეს. კი ბატონო, პოპულარიზაციისთვის ესეც საჭიროა, და აუცილებელიც, მაგრამ სცენაზე გადმოტანილი ვერასოდეს შეცვლის იმას, რასაც სოფელი თავის ყოველდღიურობაში ინახავდა.

**ვახტანგ როდონაია:**

— „შავი შაშვი“ ავიღოთ — არტემ ერქომაიშვილი და მისი ორი ძმა რომ ასრულებდნენ, ამაზე დიდი ოსტატობა ვეღარც კი წარმომიდგენია. მათ ხომ არც კონსერვატორია ჰქონდათ გავლილი, არც რაიმე მუსიკალური სკოლა თუ აკადემია. ეს ყველაფერი თანდაყოლილია, ბუნებრივია, გენეტიკური... ურთულეს ხმებს მღეროდნენ უმაღლეს დონეზე. რატომ, იცით? გემოვნება არ ღალატობდათ, თაობებმა გამოიარეს მათ წინ ისეთმა, გემოვნება რომ ჰქონდათ. ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი დაიბეჭდა თქვენს ჟურნალში, იქ ამოვიკითხე, რომ ჟან-პოლ რიხტერი გემოვნებას ესთეტიკურ ზნეობას უწოდებს. ხალხს ჰგონია, ეს განყენებული ჭვრეტაა, არადა, საფუძველთა საფუძველია. თუ არაფერი გელამაზება და გემშვენიერება, თუ შენი ეროვნულის ყადრი არ იცი, სოციალურად ხარ ძალიან სახიფათო. უგემოვნო კაცს კონსტიტუციით და კანონით ვერ დაუპირისპირდები, მაგრამ სასიკეთოს რომ არაფერს გააკეთებ ქვეყნისთვის, ესეც ცხადია. უგემოვნო კაცისაა 1917 წლის რევოლუცია. დედას ლევანა კი კანონებს რომ არღვევს — წამოუვლის რაღაც — გაგაჟრიალებს და ფიქრობ: ღმერთო, დიდებულო, რეებს სჩადის ეს კაცი, საიდან მოდის ასეთი შთაგონება! სულ გგონია, ცაში იყურება, არადა, მიწაზე დგას — თანაც როგორ მყარად — კახელი კაცია და ქართულ მიწაში აქვს ფესვი...

აი, ეს მადლი იკარგება და ამაზე გვწყდება გული...

* * *

ერთხელ ბაბუასთვის უკითხავს:

— რამდენი ვარიანტი არსებობს ამა და ამ სიმღერისო?

— რამდენი კარგი მომღერალიცააო, — უპასუხია მას.

აი, ასეთ კარგ მომღერლებს იხსენებს ახლა ბატონი ანზორი:

— იმხანად სოსო ჩხაიძე იღებდა ფილმს „შვიდკაცა“, რომელიც ვერ დაასრულა. სცენარი დაიწერა ჩემი მოგონების მიხედვით — ბაბუას შესახებ. ფილმში ყველა უხუცესი გურული მომღერალი მონაწილეობდა, მათ შორის ესოფე აფშილავაც. კურიოზის მოყოლა ვთხოვე ბატონ ესოფეს და მიამბო ასეთი რამ:

— ახალგაზრდა ვარ ძალიან, ცა ქუდად არ მიმაჩნია... და კი მგონია, რომ კარგად ვიცი სიმღერა. აკეთიდან ვიყავით ჩვენ და ასათიანები გვყავდა თავადები. ყველგან მამღერებდნენ ხოლმე. ერთხელაც ყურდღელზე ვარ სანადიროდ. დამაწია კაცი ასათიანის ქალმა: სამუელ ჩავლეიშვილი ჩამობრძანდა და მევიდესო. ვარლამ სიმონიშვილსა და ბესარიონ ინწკირველთან ერთად ჩამოსულიყო — შეკრებილიყო გურიაში ცნობილი და შეუცვლელი ტრიო.

მივედი. თბილად შემხვდნენ. ვფიქრობ გულში: ერთი გამამღერა აქ, რო გავაკვირვო ესენი ყველა-მეთქი.

— ხომ არ გვემღერაო? — სამუელმა, — რას იმღერებო? — მომიბრუნდა.

— რასაც ინებებთ-მეთქი.

— რომელ ხმას იმღერებო?

— რომელიც გენებოთ-მეთქი, — ახალგაზრდა ვარ, ჩემი მგონია ეს ქვეყანა.

— კაი ბატონოო, — და დეიწყო.

დეიწყო და გავყევი მეორე ხმით, ბანს ვარლამ სიმონიშვილი ამბობს. პირველი მუხლი ჩავათავეთ. ცა ხომ ქუდად არ მიმაჩნია და თავსაც ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. აგერ, მოლივლივებს პირველი ხმა, იქიდან ბანი ფუნდამენტად მომყვება, მე კი შუაში მივდი-მოვდივარ. მგონია ჩავამთავრე და... დეიწყო მეორე მუხლი სამუელმა. რომ დაჰკრა და წევიდა, ჯერ მერცხალივით აფრინდა მაღლა, მერე დოუკუნჭულა დაბლა, ერთხანს გავყევი, მერე დევიბენი, აღარ ვიცოდი, საით წევიდა აი მერცხალი. ბანი იქიდან გამოჰყვა, საცხა გვიძლებში გაძვრა, მერე იქიდან გამევიდა, ზევით წევიდა... სულ დევიბენი კაცი... იქით ვეცი, აქეთ ვეცი, ველარ ვიპოვე გასავალი და... გადავვარდი.

მივატოვე ხმა.

გავჩუმდი...

იგენმა ცოტა ხანს იმღერეს და რო ვერ გოვუკვლიე თავი, გაჩუმდნენ...

და იკივლა უცებ ასათიანის ქალმა:

— რა ქენი, ბიჭო, რაფერ დამალე სიმღერაო?

სამუელმა კი:

— რა უჭირს მერე, ქალბატონო, სიმღერა დაშალა, სახელმწიფო ხო არაო.

— ასეთი გამოცდა იცოდნენ მაშინ, — ამბობს ბატონი ანზორი, — სხვათა შორის, ჩემს თავზე ვიწვნიე ერთხელ:

თბილისში ვარ. 18 წლის ვიქნები. ვასილ მახარაძე იყო ჩვენი მასწავლებელი, გუნდი ჰყავდა, რომელშიც ცნობილი მომღერლები მღეროდნენ, ნამდვილი ბობოლები ქართული ხალხური მუსიკის.

პირველი შესვენებაა. დავდივარ და შევყურებ ამ ადამიანებს გაოგნებული — ბაბუასგან ლეგენდები მსმენია მათ შესახებ, ახლა კი პირისპირ ვხედავ.

დგას ერთი ტანმორჩილი კაცი, თეოფილე ლომთათიძე, განთქმული მოკრიმანჭულე, ჯოხზე დაყრდნობილი. მიმიყვანა ვასილ მახარაძემ.

— ეს არტემის ბადიშიაო, — ეუბნება.

შემომხედა. ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— არტემის ხარ, ბიჭო, შენ? — მკითხა და... დაჰკრა უცებ კრიმანჭული, თოკივით გამოფსკვნა სადღაც, დაახვია, დაახვია... ღმერთო მიშველე, რას შვება ეს კაცი! აჰყვა ვასილ მახარაძე. მივხვდი, „ალიფაშას" მღერიან. გამოვეკიდე ბანით. ფრთხილად ვარ. ვიცი, შეიძლება გადამჩეხონ სადმე. იმპროვიზაციის თავი სად მაქვს, მთავარია გავუძლო ბოლომდე...

ვიმღერე, ჩავამთავრე ბაბუას ნასწავლი ილეთებით. მომითათუნა მხარზე ხელი:

— კი ყოფილხარ შენ არტემის ბადიშიო.

დიდი შეფასება იყო ეს ჩემთვის.

* * *

ასეთ საინტერესო ამბებს ბატონ ანზორი თავის მოგონებათა წიგნშიც მოგვითხრობს — წიგნში, რომელიც სრულფასოვან დოკუმენტურ პროზად წარმოგვიდგება და თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, იმ თვალსაზრისითაც ფასეულია, რომ მას წერს კაცი, რომელსაც ქართული საზოგადოებრიობა ღირსეულ და ზნეობრივ პიროვნებად მიიჩნევს.

— პროზაიკოსობაზე პრეტენზია არ მაქვს, — ამბობს ბატონი ანზორი, — უბრალოდ, რაც ხანში შევდივარ, ბევრი საგულისხმო რამ დამიგროვდა. უამრავი ქვეყანა მომივლია, არაერთ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ. ვწერ იმას, რაც მინახავს და განმიცდია. პროზაა თუ არა, არ ვიცი — ამაზე არც მიფიქრია — მაგრამ ერთი ამოსუნთქვით რომ ვწერ, და შეულამაზებლად, ეს ვიცი.

სამაგიეროდ სხვას უფიქრია ამ ყველაფერზე, როსტომ ჩხეიძეს უფიქრია და საჯაროდაც დაუდასტურებია თავისი პასუხი ჯერ კიდევ 90-იან წლებში, პირველი არხის დილის გადაცემა „ალიონის" ლიტერატურულ მიმოხილვაში:

— ბატონი ანზორის თხზულებები მემუარული ჩანაწერები კი არა, გამოკვეთილი დოკუმენტური პროზაა, და იგი მწერალიც არანაკლები რანგისაა, ვიდრე მომღერალიო.

რაც შეეხება ქართველი კაცის ღირსებას:

— ბაბუამ იცოდა თქმა... ბაბუას სახელის წარმოჩენას ადრე ვერიდებოდი — მერიდებოდა და იმიტომ, მაგრამ რაც წლები მემატება, მის ტოლ კაცს ვერ ვხედავ, არა მხოლოდ სიმღერაში — 2000 მარტო საგალობელი იცოდა, ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა, არაჩვეულებრივი ლოტბარი იყო — ზნეობითაც სანიმუშო გახლდათ. ჰოდა, იმას ვამბობდი, ბაბუამ იცოდა თქმა-მეთქი:

— კაცი კაცად უნდა ვარგოდეს, მერე ექნება სიმღერას ფასიო.

ეს სულ მახსოვს და ვცდილობ, ისეთი არაფერი ჩავიდინო, მას რომ არ მოეწონებოდა. მივდივარ და მივყვები ჩემს საქმეს. აგერ, „რუსთავი" უკვე 43 წლისა ხდება წელს. მოვიარეთ მთელი მსოფლიო, 70-ზე მეტი ქვეყანა. გამოვედით ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში... და რაც მთავარია, „რუსთავმა" მოახერხა 700-ზე მეტი სიმღერის ჩაწერა, რომლებიც ჯერ ფირფიტებისა და კასეტების, ახლა კი კომპაქტდისკების სახით გამოიცა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყიდება.

შარშან კი გამოვეცით კრებული, რომელშიც 160 სიმღერა შევიდა. გარდა ამისა, აქ არის შეხვედრები გამოჩენილ პიროვნებებთან, რას წერს უცხოეთის პრესა „რუსთავის" შესახებ და ქართველ მოღვაწეთა აზრი ამ ანსამბლზე. გადავწყვიტეთ 300-სიმღერიანი დისკიც გამოვცეთ. ახლა მიმდინარეობს იმ სიმღერების აღდგენა-ჩაწერა, რომლებსაც ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობს საზოგადოება. 250-ზე მეტი შევაგროვეთ, წლის ბოლოსთვის ალბათ დავასრულებთ, თუკი სპონსორს მოვძებნით.

„რუსთავის" ყველაზე დიდი დამსახურება კი მაინც ის მგონია, რომ ქართულ სიმღერას ყველაზე დიდი პოპულარიზაცია გაუწია მაშინ, როცა რკინის ფარდა გაიხსნა. მერე იყო „ჩაკრულო" რომ გაუშვეს „კოსმოსში", უამრავი უცხოელი ეთნომუსიკოლოგიც მერე დაიძრა საქართველოსკენ და ახლა უკვე სიმპოზიუმებზე კითხულობენ ლექციებს ჩვენი პოლიფონიის შესახებ.

არადა, 70-იანი წლებიდან 90-იანის ჩათვლით, „რუსთავი" იყო ერთადერთი ანსამბლი, რომელიც უცხოეთში გადიოდა და ქართული ხალხური მუსიკაც გაჰქონდა.

დღეს კი... ვითარება შეიცვალა.

რაკი ახალგაზრდები ასე დაინტერესდნენ ეროვნული მუსიკით, ვფიქრობ, რომ ქართული ხალხური სიმღერა სანდო ხელშია. ფოლკლორისტთა საინტერესო თაობაც წამოვიდა, ძალიან მონადინებულები არიან და მხარში გვიდგანანო, — ამბობს ბატონი ანზორი.

ეს — დღეს.

ანზორ ერქომაიშვილმა კი, ანსამბლ „რუსთავთან" ერთად, ქართული ხალხური სიმღერა მძიმე ეპოქაში გამოატარა, შეინახა, გადაარჩინა და თაობებს გადასცა. ამიტომაც იყო, რომ ერის სულიერმა მოძღვარმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მის ღვაწლს დიდი შეფასება მისცა და ამ ანსამბლს საიუბილეო თარიღი ასე მიულოცა:

„რუსთავის" მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული ხალხური მუსიკისა და სიმღერის ისტორიისა. რომ არა ეს კოლექტივი და უშუალოდ ბატონი ანზორ ერქომაიშვილის შრომა, ჩვენი მუსიკალური ფოლკლორი ასეთ მაღალ დონეზე არ იქნებოდა. უნიკალური ჩანაწერების მოძიება და გამოცემა, საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი სასიმღერო თავისებურებების წარმოჩენა და შენარჩუნება, არსებული საგანძურის მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია „რუსთავის" სახელს უკავშირდება.

ბატონმა ანზორმა მარტომ შეძლო ისეთი საქმის გაკეთება, რასაც ზოგჯერ თაობები ვერ ახერხებენ".

რიტა ბაინდურაშვილი

# იქ, სადაც ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა...

ოპტიმიზმით სავსე „სევდიანი ჩანაწერები" მოზაიკური პრინციპით მინიატურების თავმოყრით აგებულ რომანს ემსგავსება, რომანს — ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის, მოწყვეტილ ფესვებთან დაბრუნების, შეურყვნელ პირველყოფილებასთან ცივილიზაციის დაპირისპირების, გულისა და უგულობის, სიკეთისა და სისასტიკის შესახებ. მისი გმირები ჩიტები არიან, რომლებსაც ბავშვები ესვრიან კენჭებს, ადამიანებს შეჩვეული გველები, რომლებსაც ეს ადამიანები თავს უჩეჩქვავენ, სიცოცხლისათვის მებრძოლი თევზები — ლამაზი, ჯიშიანი დიასახლისის დანას რომ ვერაფრით გადაურჩებიან, კოდალები — ოდა-სახლების გამოხრას რომ არ ანებებენ ჭიალუებს და კიდევ ბევრნი — ყველანი, ვინც და რაც სამყაროს მშვენიერებას და სრულყოფილებას ქმნის, მაგრამ კაცთა დაუნდობლობასა და გულგრილობას ეწირება. ეს ოლესია თავაძის სამყაროა, სიტყვაში, ნახატში, ფერში, განცდაში გამოსახული, ისეთი უბრალო და უშუალო, როგორიც მხოლოდ მას შეიძლებოდა შეექმნა. ამ უბრალოებაში არის რაღაც ისეთი, რასაც ჩვეულებრიობის მიღმა მივყავართ და არაჩვეულებრივს, უცნაურს, გამოუთქმელს გვაზიარებს — აღნიშნულია წიგნისათვის წამძღვარებულ მცირე ანოტაციაში: ავტორი თითქოს სინამდვილის ნამსხვრევებს აგროვებს და ცდილობს შეაკოწიწოს, აღადგინოს, გაამთლიანოს სამყაროს დარღვეული ჰარმონიაო.

ამ ჰარმონიის შეცნობაა ოლესია თავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების კრედოც. ქალაქის რიტმსა და გულგრილობას გარიდებული, ბუნებაში, ხის ოდა-სახლში განმარტოებული, სულაც არა გრძნობს თავს მარტოსულად: თუ ღამით სხვენზე თაგვების ხრაგუნი არ გაძინებს, დილით კოდალას კაკუნი, დღისით ჩექმაში ხვლიკი გიძვრება, თავზე სინდიოფალების ოჯახი გადაგიფრენს, სახლში ჭრიჭინა დაჭრიჭინებს, მაგიდაზე ჭიანჭველები დაცოცავენ და ხილი რომ ხილია, იმასაც ვერ მოწყვეტ — იქაც ჭია-მატლი დაგხვდება, აბა, რა მარტოობააო, ამბობს... თავისი ეზო-კარმიდამოდან დანახულ სამყაროს ისეთი სიყვარულითა და მხატვრულობით აღწერს, რომ წამიერად მკითხველსაც მოგინდება ეს გაუთავებელი ორომტრიალი მიატოვო, ნახვიდე იქ, სადაც ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა, ციცინათელები შემოგანათებენ, ქორი შემოწმებით გადაგიფრენს და კიდევ ათასი ვინმე გესტუმრება... ეს ყველაფერი ეზოდან გაუსვლელად, და ეზოდან თუ გახვედი, ხომ მთელი ქვეყანა შენია. სწორედ ეს სამყაროა ის განსაკუთრებული ხიბლი და მადლი, მის შემოქმედებას საოცარ თვითმყოფადობას და განუმეორებლობას რომ ანიჭებს. ამ ყველაფერს კი ოლესია თავაძე სიტყვაში როდი გამოსახავს მხოლოდ. იგი პროფესიონალი მხატვარია, ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი. მისი გრაფიკული ნამუშევრები ამშვენებს „სევდიან ჩანაწერებსაც", რომლებიც ისეთივე სისადავით, სიფაქიზითა და სახვითი ოსტატობით გამოირჩევა, როგორც მისი სიტყვა. სამყაროს ავტორისეული ხედვა სხვადასხვა ფორმით გადმოცემული ერთი მთლიანობაა, რომელთან საზიარებლად „ჩვენი მწერლობის" სალონში მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ.

სევდიანი ჩანაწერების პრეზენტაციაზე, რომელიც ავტორის პირველი კრებულია ქართულ ენაზე გამოსული (მინიატურები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჩვენი მწერლობა", „ქართული მწერლობა" და „ცხელი შოკოლადი"), როსტომ ჩხეიძემ ბრძანა:

— ნიჭის ეს მრავალმხრივი გამოხატულება არის ძიება, სწრაფვა სრული ჰარმონიისაკენ ბუნებასა და ადამიანს შორის, პირველსაწყისსა და ცივილიზაციას შორის, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამყაროს მშვენიერების, სრულყოფილების განცდა. უშუალო და ორიგინალური თხრობით ავტორი ტიპოლოგიურად რეზო ინანიშვილს ემსგავსება, თუმცა სტილისტურად სრულიად განსხვავებული მწერალია. პროფესიონალი მხატვარი პროზის პალიტრით გვესაუბრება და ნიჭის ეს მრავალმხრივობა გვახარებს. ჩვენი ცხოვრების გულისგულიდან ოსტატურად ამოღებული სურათხატებით ავტორი ჭეშმარიტად მშვენიერ ბელეტრისტულ ნარატივს ქმნის.

სევდიანი ჩანაწერების ლიტერატურულ-მხატვრულ ღირსებებზე პრეზენტაციაზე ვრცელი და საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები **ნანა კუცია** და **ნინო ვახანია.**

* * *

**ნანა კუციას** გამოსვლის მოკლე ვერსია თვითონვე ჰგავს კრიტიკულ-ესთეტიკურ მინიატურასა თუ ეტიუდს:

„სევდიანი ჩანაწერების" ავტორი ქალია, მშვენიერი — „სისხლჭარბი ვიტალურობისაგან" ბედნიერად დაზღვეული, მკრთალი, ნატიფი, დახვეწილი სახით, ფიქრიანი მზერით; „ბეჭდების თვლებს ქარში რომ კარგავს", თან მხატვარი — აბა, სილისფერს, ხავსისფერსა და ნისლისფერს ვინ შეაზავებდა ასეთი ნაღვლიანი ოსტატობით ნეონის მჭახე საუკუნეში?!

ისეთი ქალი, ხავერდსა და მაქმანსაც რომ მოიმყუდროვებს, მოიხდენს, და რეზინის უსახურ ჩექმასა და ბრეზენტის საწვიმარსაც, ნაწვიმარზე რომ ნისლების სანახავად გაისეირნოს (სწორედ რომ გაისეირნოს — ნება-ნება, მშვიდად, „ბედნიერი მფლობელის" (რეზო ინანიშვილის სიტყვათშეთანხმებაა) ბედნიერივე გარინდებით).

ქალი, რომლის მზერასაც ათბობს განგის ნაპირზე ნაყიდი მძივის საიდუმლოც — „ზოგ ქვას შუქი გაუდიოდა" — რობაქიძის უკვდავი მეტაფორისა არ იყოს, „თვალი ჩასულა მტევანშიო", სულს კი — ფრომისეული, თუ ვაჟასეული, თუ ჩოხელისეული, თუ ყოველი საღმრთოდ მოაზროვნის, ბრძენი გულის ტანჯული მფლობელის მრწამსი — ***„ეთიკა სიცოცხლის წინაშე კრძალვის."***

„ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველას ენა აქვს, თვითეული მახლობელიაო", ვაჟას აზრს დაიმოწმებს *მიხეილ კვესელავა „პოეტურ ინტეგრალებში."*

ოლესია თავაძის მრწამსიც იგივეა, იმავე მაღალი დარდითაა ნაქსოვი მისი ნატიფი სული.

სხვანაირი, „სულის ქალია", და არა — „ზორბა, სქელქუსლა, ფრჩხილებმაგარი" დედაკაცი. ვერასოდეს დაასრესს მინას სოფლის სახლში შემოსრიალებულ, გზააბნეულ, დამფრთხალ ხვლიკს, ვერც „ეშხიანი გამეტებით" დაჰკრავს დანის მძიმე ტარს ერთადერთ ცოცხალ თევზს, ჩქარ-ჩქარა რომ აფჩენს პირს, მომაკვდავი, გამოფატვრისას, ვერასოდეს, რადგან ისეთი ყოფითი საქმიანობისასაც კი, როგორიც სადილის მომზადებაა, ახსოვს *საიდუმლო*, მხოლოდ „მცირედ რჩეულთათვის" განდობილი — რომ „ყოველთვის მოინახება ერთი უფრო არათევზი, უფრო ცოცხალი."

„ჩვენი მწერლობის", „ქართული მწერლობის", „ცხელი შოკოლადის" ლიტერატურული დამატების პუბლიკაციე-

ბიდან უკვე მიყვარდა ოლესია თავაძე, იდუმალი ნაღვლით გალიცლიცებული, დიდი ტკივილით დაყურსული მისი პანია ტექსტები, რომელთა ჟანრი, ერთდროულად, კლასიკურ მინიატურასაც მოგვაგონებს, ბოდლერისეულ „ლექსებსაც პროზად“, ეტიუდებსაც, ციდა ნოველებსაც (ჟანრი მაინც ლიტერატურული პირობითობაა — სათქმელი მუდამ თვითონ ამოიყოლებს ფორმას).

თუ ჟურნალებიდან გადმოღვრილი შთაბეჭდილებები ულამაზეს, მაინც ცალკეულ ანამცვრევებად დააჩნდა სულს, „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ ძალისხმევით უკვე წიგნი გვეწყალობა, „სასასთუმლე“, ხშირად ჩასამყუდროებელი, სულისმოსათქმელი, ნაღვლიანი და შუქიანი — ერთდროულად.

ოლესია თავაძის მინიატურების (თუ ნოველების, თუ ეტიუდების) კითხვისას არ გტოვებს დამთრგუნველი სიმძიმისა და მჭვირვალე სიმსუბუქის ოქსიმორონული განცდა — სიმძიმისა იმიტომ, რომ უფლისგან სახლად ნაწყალობევი სამოთხე გავიუცხოვეთ, წუთისოფელი გავიჯოჯოხეთეთ, სიმსუბუქისა კი იმიტომ, რომ არსებობს სხვა „სამართალი მართალი“, სხვა სამკვიდრო, სადაც სულ სხვა სასწორზე აიწონება აქაური სულთქმაც და ცრემლიც („სევდიანი ჩანაწერების“ მეორე ნაწილს ავტორი ვენედიქტ ეროფეევის დიდებულ სტრიქონს წარუმძღვარებს: «На *тех* весах вздох и слеза перевесят расчет и умысел»).


*ოლესია თავაძე*

ოლესია თავაძე თითქოს დღესაც სამოთხისეულ სიმყუდროვეში მკვიდრობს, გულზე მიმრქმელს, სახელმრქმეველს ამადაც აკითხავენ უგულო თუ დაბნეულ მონადირეთაგან მიტოვებული მწევრები, სურიკატებივით ამართულები სევდიანად ელოდებიან ლუკმას და სითბოს, კიდევ — ჩიტები — სარკმლის რაფაზე პურის ნამცეცებს, მტრედები, წერილები რომ მიმოაქვთ წყნეთსა და თბილისს შორის ინტერნეტის ფორიაქა საუკუნეში, ნაცრისფერი, გაბურძგნული ჩოჩორი, ჩამონაყარ ვაშლსა და მირთმეულ პურს რომ ახრამუნებდა, ეული შველი, აჩრდილივით ჩუმი, მფრთხალად გარინდული, „ყოველი სული ცხოველი“ — დიდ სინათლეს რომ მოიყოლებდნენ და მერე, გაქრობისას, უსაზმნო ტკივილს ტოვებდნენ გულში... ვილაც იტყოდა, სასხვათაშორისოდ თითქოს, მოუკლავთო...

„ნეტავი, არ იყოს მართალიო“ — ისეთი გასაგებია ნატვრაა, ისეთი გულისმომწყვლელი!

და მაინც, დიდი, უსაზმნო ტკივილის მიუხედავად, დავიწყებული, სამოთხისეული იდილია სწყალობებია ოლესია თავაძეს, უკეთ, თავად აურჩევია ყოფიერების მარადიული, მადლიანი, ერთადერთი სწორი და გამართლებული ნირი — „ხმაურსა და მძვინვარებას“ განრიდებული, ემეზობლება ციყვებს და კრაზანებს, ციცინათელებსა და ვარსკვლავებს, „თანამდევებად“ ნათლავს.

„უთვალავი არსების უსასრულო მწკრივში“ თავის ალაგს იპოვის მწერალი, თანალმობით და ზრუნვით გაისხივოსნებს „იწრო“ გზასავალს სასუფევლისკენ, მაღალთა თავმდაბლობითა და სინანულით იტყვის, რომ „ძიების არაერთი შეცდომა ამძიმებს მის მეხსიერებას და ეგების „სიტყვა ნათქვამი“ ჩაეთვალოს მონანიებად არგაწვდილი ხელის, არგაღებული ხარჯის. სიკეთეც ხომ (ნაბოძები თუ არ არის) არჩევანის, ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მწიფობის გრძელ გზაზე.“

„მწიფობის გრძელი გზისაა“ მოგონებები, ნოველების ფრაგმენტებად რომ ჩამოიწურება და მწერლის განცდილი მკითხველის განცდილიც ხდება. სრულად უნდა გადმოიწერო „სევდიანი ჩანაწერები“, მათი ნაღვლიანი ხიბლით შეძრულმა, გადაიკითხო, რომ ყოფიერების ორომტრიალში ხშირად გაგახსენდეს, როგორ უმზირო გულით სამზერს, როგორ გეტკინოს ტკივილი აბლაბუდაში გაბმული ჩერჩეტი კალიასი, „წახნაგოვანი მუტრუკის“ მიერ ჩაწიხლული ნაგაზისა, ვილაც უგულოსაგან გულაღმა ამობრუნებული ექვსი კუსი, გარდაცვლილ კეთილ მოხუც ქალბატონთან გამოსათხოვრად მოფრენილი მგალობელი ჩიტებისა.

ამერიკის ერთი უდიდესი პოეტივით, რობერტ ფროსტივით, არც ოლესია თავაძემ იცის ზუსტად, „რა არის პროგრესი, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გაგვიადვილებს უმთავრესს — ამქვეყნად ჩვენი სულის გადარჩენას“, მხოლოდ სიყვარულს რომ ხელეწიფება.

* * *

**ნინო ვახანიამ** კი აღნიშნა:

— ეს წიგნი სიკეთის წიგნია — ყოვლისმომცველი, საყოველთაო, მთელი სამყაროს სიყვარულის დამტევი. შინაგანად თავისუფალი, ბუნების უმანკო შვილი, ადამიანი არსად მარტო არ არის, რადგან ბუნება — თავისი ფლორითა და ფაუნით, ცითა და მიწით მასთანაა და თუ მხეცებს ძალუძთ ადამიანის სიმღერის მოსასმენად მოსვლა, შემოკრება, ადამიანს რად ეზრახვის მხეცების მოსმენა.

თითოეული საგანი თუ მოვლენა მწერლის მიერ დანახული და აღქმულია საინტერესო, განსაკუთრებული კუთხიდან. ავტორი მარტო ლამაზად კი არ აღწერს, არამედ მსჯელობს და ფიქრისთვის განაწყობს მკითხველსაც.

წიგნში ბიბლიური სამყაროს სუნთქვა ისმის, იმ ეპოქისა, როცა სამყარო განუყოფელი იყო...

**ლია სტურუა:**

— ოლესია თავაძის დამოკიდებულება სამყაროსთან

განსაკუთრებით განსხვავებულია, გამორჩეული საოცარი ესთეტიკით, სიღრმისეული აღქმით, მისთვის დამახასიათებელი ფაქიზი შეგრძნებებით და გადმოცემის უშუალობით. გამორჩეულია მისი დამოკიდებულებაც ცხოველებისადმი, რომლებიც მის მინიატურებში სულიერები არიან. სული ანუ ღმერთი ყველაფერშია მასთან — ქვაში, ჩიტებში, ლოკოკინებში... მათი ენა და ტკივილი ესმის და უნდა ეს ტკივილი სხვებსაც დაანახოს, განაცდევინოს. ამიტომ გაუჭირდა ქალაქში ასე, სადაც ყოველდღე ჭრიან ხეებს და ცხოველებს დაუდევრად ექცევიან... მყუდროებითაა სავსე მისი სახლი და მე იქ სტუმრობა ძალიან მიყვარს, იქ ყველა კუთხეში სულიერება და სიცოცხლის სიყვარული სუფევს. მშვენიერია, როგორც მხატვარი და მოთხრობებიც ისეთივე აქვს, თითქოს აკვარელითაა დახატული...

ფიროსმანის ნახატ ცხოველებს შეადარა "სევდიანი ჩანაწერების" პერსონაჟები **მაია ჯალიაშვილმა** თავის გამოსვლაში და განაცხადა, რომ ავტორი საკუთარ წიგნსა ჰგავს. უშუალოა მასავით, ბუნებრივი და მართალი, სამყაროსადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ხელოვანის ფაქიზი მზერით... იგი ყველას და ყველაფერს ამჩნევს - დიდსაც და მცირესაც, ყველაფერი ცოცხალია მისთვის, სულიერია და ძვირფასი, ამიტომ წიგნიც განსაკუთრებით საინტერესოდ საკითხავი და აღსაქმელია, სავსე სამახსოვრო მხატვრული სახეებითა და დეტალებით, რომლებიც მეხსიერებაში სამუდამოდ გრჩება.

**მაკა ჯოხაძე:** პირველი, რაც ამ წიგნის კითხვისას აზრი გამიჩნდა, ის გახლდათ, რომ ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი სამშობლო, მაგრამ ხანდახან არ ვიცით, ხოლმე... ჩვენი უპირველესი სამშობლო სამოთხეა, ეს წიგნი კი შესვლა ამ სამოთხეში. სევდა და სიმსუბუქე - ასეთი უცნაური პროპორცია გასდევს მას და ავტორიც თავისი ბუნებით თითქოს ბავშვია უბინო. თუმცა ეს უბინოება სიბრძნით არის გაჯერებული და გამოხატული მშვენიერი მინიატურებით, რომლებიც ბავშვობიდან გამოყოლილ მოგონებებს ნუთიერად უცოცხლებენ მკითხველს. ავტორი ახერხებს ეს სურათები ისეთი უშუალობით და მხატვრულობით გადმოგვცეს, რომ სამუდამოდ დაგვრჩეს მეხსიერებაში. სიკეთით სავსეა სევდიანი ჩანაწერები, სიკეთით, რომელიც ასე გაიშვიათდა და ასე გვჭირდება დღეს თითოეულ ჩვენგანს. განსაკუთრებით ბავშვებს, მოზარდ თაობას უნდა წავაკითხოთ, ვასწავლოთ იგი. ისინი ჩვენზე უკეთ გაიგებენ და აღიქვამენ მას სწორედ იმ ბავშვური სისუფთავით და გულწრფელობით, რომლითაც ასე გამოირჩევა წიგნი. და ეს იქნება სიკეთისა და სიყვარულის, სამყაროს უკეთ შეცნობის არაჩვეულებრივი გაკვეთილი მათთვის.

**სალომე კაპანაძე:** წუხელის წავიკითხე ოლესია თავაძის სევდიანი ჩანაწერები და კიდევ ერთხელ გავიფიქრე - ჩვენთან არს ღმერთი! მაგრამ რამდენად ვართ ჩვენ მასთან? ჩვენ ღმერთთან ვართ მაშინ, როდესაც ისე ვაზროვნებთ, როგორც ქალბატონი ოლესია. მიმაჩნია, რომ ცხოველთა სამყაროს დიდი მოყვარული ვარ, თუმცა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე - თურმე ბოლომდე არ მქონია თვალები გახელილი, ბოლომდე სულაც არ მცნობია ეს სამყარო. მის სიღრმესა და მთლიანობას სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ და ეს წიგნიც სწორედ ამაზე დაგვაფიქრებს. ალბათ, ღმერთმა იმისათვის მოავლინა იგი, რომ ეს სამყარო მთელი თავისი სისრულით დაენახვებინა ჩვენთვის...

**გენო კალანდია:** ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და როდესაც პირველად მისი ნოველები წავიკითხე, აღფრთოვანებული და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. გარდა იმისა, რომ ოლესია არაჩვეულებრივი მხატვარია, იგი ასევე არაჩვეულებრივად ფლობს კალამს და მხატვრის გამჭოლი მზერით დანახულ სამყაროს ოსტატურად გამოსახავს სიტყვაში. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ სევდიანი ჩანაწერები სკოლაშიც უნდა ისწავლებოდეს, რადგან იგი აკეთილშობილებს სულს და პიროვნულ, ადამიანურ ღირსებებს ამაღლებს. ვფიქრობ, თუ ბავშვის სპეტაკ და ჯერ კიდევ შეურყვნელ ბუნებას დროულად მივაშველებთ სამყაროს სიყვარულით და სიკეთით გამთბარ ამ მინიატურებს, უდავოდ ღირსეულ ადამიანს მივიღებთ.

**ქეთევან შენგელია:** ამ წიგნში არის ისეთი პასაჟები, რომლის ავტორი წარმოგვიდგება ფუნჯითაც და კალმითაც. არაერთი ისეთი პლასტია გამოხატული მასში, რომ ისინი არა მხოლოდ ჩანაწერები, არამედ ძალიან მეტყველი ჩანახატებიცაა. მაგალითად, ღამურა პატარა მხატვრული ტილოა, ხოლო მისი გიჟები ისეთი მიმზიდველები და საინტერესონი არიან, რომ აშკარა სიმპათიით და სიყვარულით იმსჭვალები მათ მიმართ. ხვდები, რომ ჩვენ არ გვესმის მათი, თორემ სამყაროსა და სიცოცხლის საიდუმლო ჩვენზე უკეთაც შეუცვნიათ. და კიდევ ხვდები, რომ არაფერია სიყვარულზე უფრო მხედველი. თუ ყოველ დღე არ ასაზრდოე, იზრუნე მისთვის, სიყვარულს ეწყინება, ყურებს ჩამოყრის, ზურგს შეგაქცევს და წავა...

**ინგა მილორავა:** ეს წიგნი ჩემთან მოვიდა როგორც გაზაფხულის წვიმა — რბილად, თბილად, და დარჩა ჩემში... უდაოდ კარგი ადამიანის დაწერილი წიგნია, სევდისა და სიხარულის, ცრემლისა და ღიმილის ნაზავი და ამ სევდაში მზის სიკაშკაშე, სიცოცხლის სიყვარული ჩანს. აქ უმთავრესი სიკეთეა, რომელიც რაღაც მისტიკურ ველს ქმნის და დიდი სითბოთი გავსებს.

ნნორიდან ამ საღამოზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოსული **ეთერ ბერიაშვილის** გამოსვლის დასაწყისი პოეტური განცდით იყო განმსჭვალული:

— ჯერ ავტორის სახელი მოგხიბლავთ, უცნაურად ჟღერადი და ხმიანი. ოლესია — თითქოს მინდვრის გვირილები კისკისებენ ქარში... ოლესია — თითქოს მარგალიტები ჩამოცურდნენ მზის ოქროსფერ ბილიკზე... ოლესია — თითქოს მირიადობით ვარსკვლავი ჟრიამულობს ღამეული ცის უკიდეგანო თავანზე... ხომ უკვე ფიქრობთ, რომ რაღაც უჩვეულო სამყაროში უნდა შეაბიჯოთ? არც მოტყუვდებით...

სულის ტოპოგრაფიები უწოდა სევდიანი ჩანაწერების მინიატურებს **თემურ ნადარეიშვილმა** და: მისი წამკითხველი სისასტიკეს ველარ ჩაიდენსო, თქვა.

ასეთი თბილი სიტყვებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის შეხვედრის დასასრულს მადლობა გადაუხადა დამსწრეთ **ოლესია თავაძემ** და დასძინა: ეს ჩანაწერები ჩემი გადარჩენის ერთგვარი ფორმაა, რადგან ცხოვრებაში მქონდა პერიოდი, როდესაც ველარ ვხატავდი და ასე გამოვსახე საკუთარი სულის ტკივილი და განცდები. ეგების სიტყვა ნათქვამი ჩამეთვალოს მონანიებად არგაწვდილი ხელის, არგაღებული ხარჯის... სიკეთეც ხომ (ნაბოძები თუ არ არის) არჩევანის, ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მწიფობის გრძელ გზაზე...

გოჩა ჯაფარიძე

# „აგრაფინა კისკისაო“

*

## თავგადასავალი ერთი ქართველი ქალისა

აგრაფინა ჯაფარიძის განქორწინება თავად ტარიელ დადიანთან და ქორწინება ოლდენბურგის ჰერცოგის ვაჟზე პრინც კონსტანტინე პეტრეს ძეზე, 1882 წელს ერთობ გახმაურებული ამბავი იყო. ამის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა მთელ საქართველოში და პეტერბურგშიც. მერე თანდათან ეს ქორწინება მივიწყებას მიეცა და იშვიათად თუ გაახსენდებოდათ იმ მწერლებს, რომლებიც მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ქუთაისის ცხოვრებას აღწერდნენ. მაგრამ ამ საუკუნის დამდეგიდან კვლავ გაცოცხლდა აგრაფინას სახელი. ეს თემა ქართული თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის შენობას დაუკავშირდა და აგრაფინას შესახებ ბევრი ტყუილი და მართალი დაიწერა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

სენსაციის მოყვარული ჟურნალისტები, და არა მარტო ისინი, გულმოდგინედ ეძებენ და იგონებენ სკანდალურ ცნობებს, რომლებიც იდუმალებით შემოსავდა ამ ქალბატონს, და არ ერიდებიან ხოლმე მის გაკილვასაც. მუზეუმის შენობის ე.წ. სიყვარულის ოთახში ის, ქორწინებამდე (ანუ 1882 წლის შემოდგომამდე), თურმე მალულად ხვდებოდა პრინც ოლდენბურგს. ეს ეპიზოდი ინტერვიუდან ინტერვიუში და სტატიიდან სტატიაში გადადის და აგრაფინა ჯაფარიძეს, ამ ღირსეული ქალბატონის მორალურ სახეს, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილს აყენებს. რატომღაც არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ ამ შენობის აგების უფლება ნოვოსადოვაიას ქუჩაზე, არქიტექტორ პაულ შტერნის პროექტით, მიწის ნაკვეთის მფლობელმა ემილია ტიტელმა მხოლოდ 1895 წლის 27 ივნისს მიიღო ქალაქის მმართველობიდან. (საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 192, საქმე №4547). ეს ადგილი მისი საკუთრება იყო 1897 წელსაც. ამ დროს აგრაფინა უკვე 6 შვილის დედა გახლდათ. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, სად ხვდებოდნენ ერთმანეთს პრინცი და აგრაფინა? არარსებული შენობის არარსებულ ოთახში? იქნებ ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, ჯერ საკუთარი თავი და მერე სხვა დაარწმუნო, რომ არარსებულ ოთახში არარსებული შეხვედრები იმართებოდა. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, განახლებული მუზეუმის ამ ოთახში მემორიალურ დაფასაც გააკრავენ წარწერით: „აქ, აი, აქ ეწყობოდა პრინც ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის სასიყვარულო სამიტი".

სხვა სენსაციური აღმოჩენაც უნდა გავიხსენო: სწორედ ამ შენობაში გაგუდეს ან ჩამოახრჩეს თურმე უკვე ფსიქიურად დაავადებული (ამას ამბობენ კარგარეთელის ქუჩის მცხოვრებნიო!) აგრაფინა ბოლშევიკებმა. მერე რა, რომ ასე არ მომხდარა, მუზეუმის შენობაში ხომ მოჩვენება დადის, რასაც მუზეუმის თანამშრომლები ადასტურებენ. ის თურმე აგრაფინას მოჩვენებაა. ხოლო ბიოენერგოკორექტორი კი სერიოზულად გვიმტკიცებს, რომ მოხრჩობილ-გაგუდული აგრაფინას სული ნეგატიური ენერგიით იქნებოდა დამძიმებული და გზას ვერ გაიგნებდა საიქიოსკენ! სწორედ ამიტომ დადის ის მუზეუმის დერეფნებში. ანდა ის რად ღირს, რომ მიხაი ზიჩმა, რომელიც თურმე 1866 (და არა 1881 წელს) წელს ესტუმრა საქართველოს და „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათები დადგა, ნესტან-დარეჯანის პროტოტიპად გამოიყენა აგრაფინა, რომელიც იმ დროს 11 წლისა იყო. ან ის, რომ პრინცმა ოლდენბურგმა თავად ტარიელ დადიანს, აგრაფინასთან გატარებული ერთი ღამის ნაცვლად, მილიონი ოქროს თუმანი შესთავაზა. თუ უფიქრიათ, რომ ასეთ შეურაცხყოფას პრინცი ოლდენბურგი ტარიელ დადიანს კი არა, მდაბიოსაც არ აკადრებდა? გაუაზრებიათ კი, რომ 10 მილიონი ოქროს მანეთი იმ დროისთვის ფანტასტიკური თანხაა? აგრაფინას თითქოს ის არ ეყოფოდა, რაც გადაიტანა, და ახლა მის წარმოსახვით მოჩვენებას ისღა დარჩენია, რომ ვაებით ამოთქვას: „ვაი ცოლს ცუდის ყმისასა".

დროა, ამ ჭორებს ბოლო მოეღოს. მუზეუმის შესანიშნავ ფონდებს ასეთი რეკლამა ნამდვილად არა სჭირდება. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვწერ, რომ მე და აგრაფინას საერთო გვარი გვაქვს. ჯერ ერთი, ჯაფარიძეთა ჩვენს შტოებს საერთო წინაპარი ყავდა და მეორეც, აგრაფინა პაპაჩემის, ერთ დროს ცნობილი იურისტის, ლუკა ჯაფარიძის ბიძაშვილიშვილი (დედის მხრიდან) გახლდათ და ბავშვობაში არაერთხელ მომისმენია, თუ როგორ იხსენებდნენ ჩურჩულით ჩემი პაპა და ბებია აგრაფინას. იმ დროს სასტიკი რეპრესიების ტალღა ჩავლილი იყო, მაგრამ ყოფილ ფედერალისტ პაპაჩემს ერიდებოდა ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი. პირველად, 10 წლის ამ გავიგონე მათგან "აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო", მაგრამ მაშინ ეს ამბავი მაინცდამაინც არ მაღელვებდა და დღეს თუ კალამი ხელში ავიღე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი მცირეთაგანი ვარ საქართველოში, რომელსაც შეუძლია ამ ქალბატონისა, და იმავდროულად, ნათესავის ინტერესების დაცვა.

აგრაფინა ჯაფარიძე 1855 წლის 25 ოქტომბერს დაიბადა. იგი თავად ჯაფარიძეთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელიც ზემო რაჭაში სოფელ ონჭეევში სახლობდა. აგრაფინას დედ-მამას კონსტანტინეს და მელანიას (ისიც ჯაფარიძე იყო) კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. კონსტანტინე 1860 წელს 25 წლისა გარდაიცვალა და მელანია ქალიშვილებთან ერთად გადასახლდა ქუთაისში. აქ 1864 წლის 2 ნოემბერს მეორედ გათხოვდა დაქვრივებულ აზნაურ გიორგი იოსელიანზე. აგრაფინა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს, სადაც, სხვათა შორის, სწავლობდა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილ ოლიმპიადასთან ერთად.

21 წლის აგრაფინა გათხოვდა თავად ტარიელ დადიანზე, რომელსაც პირველი ცოლი სოფიო შარვაშიძე გარდაცვლოდა და 4 შვილს ზრდიდა. მარი ტეგიული (რომელსაც ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო ნარკვევი პრინც ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის შესახებ) წერს, რომ აგრაფინას ტარიელთან 2 ქალიშვილი ეყოლა, მაგრამ მე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი დავადასტურე, მენიკი დადიანი (დ.1882 წ.), მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აგრაფინას ბედი ძირეულად შეიცვალა 80-იანი წლების დამდეგს. ამ დროს ქუთაისში დაბანაკდა ყუბანის კაზაკ ცხენოსანთა პოლკი ფლიგელ-ადიუტანტის პრინც კონსტანტინე ოლდენბურგის მეთაურობით (1881-1887 წწ.), რომელმაც მანამდე მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში და მოგვიანებით გენერალიც გახდა. 30 წლისა იყო ოლდენბურგთა სახელოვანი გვარის ნაშიერი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, დარდიმანდი, ხელგაშლილი და თავზეხელაღებული კაცი. ეს თვისებები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იმპერატორს დიდი ხნით მოეშორებინა ის იმპერიის დედაქალაქიდან და კავკასიაში მიევლინებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცოლო პრინცი ოლდენბურგი ქუთაისელ ლამაზმანთა ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ის მხოლოდ ერთი ქალით დაინტერესდა. ქუთაისში მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მოიხიბლა აგრაფინა ჯაფარიძით. მაგრამ აგრაფინა ქმრიანი ქალი იყო. ამბობენ, რომ აგრაფინას მიმართ ოლდენბურგის ყურადღებით გაბეზრებულმა თავადმა ტარიელ დადიანმა ხმალს ივლო ხელი, მაგრამ კეთილმოსურნეებმა გააჩერეს — ძვირად დაგიჯდებაო. იმასაც ამბობენ, თითქოსდა ნარდში, ანდა ბანქოში წააგო ფული ტარიელმა და, ვალის გადახდის სანაცვლოდ, ოლდენბურგმა აგრაფინასთან განშორება მოსთხოვა. სხვა ვერსიით, დადიანი დიდხანს უარზე იყო, ვიდრე თავის თავზე არ აიღო განქორწინებისთვის საჭირო ბრალი და სათანადო კომპენსაციაც მიიღოო. მაგრამ ჭეშმარიტება მაშინაც კი არავინ იცოდა, ეს ყველაფერი ჭორები იყო და თანამედროვენიც ამ ჭორებს მოგვითხრობდნენ, ერთი დეტალის — მილიონი ოქროს თუმნის გარდა.

დადიანი საბოლოოდ დათანხმდა, გაშორებოდა ცოლს. ახალდაბადებული ქალიშვილი მენიკი დადიანებმა წაიყვანეს და მერე, დედასთან მისი ურთიერთობის შესახებ არაფერი ვიცი. ქუთაისელი კნიაჟნები მზად იყვნენ „ერთ კოვზ წყალში ჩაეხრჩოთ აგრაფინა"(ე. თავბერიძე ), რომელმაც მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა და გულისტკივილს მხოლოდ იმით იქარვებდნენ, რომ სალონებში გიტარაზე აკვნესებდნენ: **„აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო."**

პრინცმა ოლდენბურგმა და აგრაფინა ჯაფარიძემ 1882 წლის 20 ოქტომბერს დაიწერეს ჯვარი. ქორწილი საკმაოდ ხალხმრავალი იყო. ამის შემდეგ 10 წელიწადში აგრაფინამ ოლდენბურგს 3 ქალიშვილი (ალექსანდრა, ეკატერინა და ნინა) და 3 ვაჟი (ნიკოლაი, ალექსი და პეტრე) აჩუქა. ბედნიერებას ისიც ვერ ჩრდილავდა, რომ დიდგვაროვან კონსტანტინე ოლდენბურგისთვის ქორწინება ქართველი ხელმოკლე თავადის ასულზე არათანასწორი, მორგანატული იყო. ამის გამო ჰერცოგმა მამამ ჩამოართვა შვილს იმის უფლება, რომ აგრაფინას და მისგან ნაშობ შვილებს ოლდენბურგის გვარი ეტარებინათ. ბაგრატიონთა გვარის წინამძღოლმა, აგრაფინას ნათლულმა, აწ განსვენებულმა ნინო ბაგრატიონმა მიამბო, რომ ჰერცოგმა აგრაფინას გვარად ჯერ შესთავაზა "ბოზ", მაგრამ აგრაფინამ უარი განაცხადა, რადგანაც ქართულად ეს გვარი არასასურველ ასოციაციას იწვევდა და სხვა შეთავაზება — ფონ ზარნეკაუს გვარი (ზარნეკაუ, ან ცარნეკაუ იყო ადგილი ოლდენბურგთა სამფლობელოში) მიიღო. ისე კი პრინცმა ოლდენბურგმა თავისი შვილების მომავალი აგრაფინას სიყვარულს ანაცვალა. **მის შთამომავლებს სამუდამოდ გადაეკეტათ გზა ჰერცოგის ტახტისკენ.** ამ ქორწინებით უკმაყოფილო დარჩა ნიკოლოზ II და რუსეთის საიმპერატორო კარი. მაგრამ, როცა პეტერბურგში კონსტანტინემ თავის მეუღლე წარუდგინა იმპერატორს, ნიკოლოზი აღფრთოვანებული დარჩა მისი მშვენიერებით.

ქორწინებამ შეცვალა კონსტანტინე ოლდენბურგი, იგი დასერიოზულდა და ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ქუთაისში ბალახოვანის (ამჟამად წერეთლის) ქუჩაზე იყიდა დიდი ფართობი და გახსნა კონიაკისა და შამპანურის ქარხანა, გამოიწერა ფრანგი მეღვინეები და საქმე კარგად ააწყო. ქარხანა დიდძალ შამპანურსა და კონიაკს ამზადებდა საექსპორტოდ. ქუთაისში ცოლ-ქმარი 14 წელი ცხოვრობდა ოლდენბურგის მიერ აშენებულ ორსართულიან ეზოიან სახლში ანგლისკაიას ქუჩაზე, რომელსაც, მის პატივსაცემად, ოლდენბურგის სახელი ეწოდა (ახლანდელი ტაბიძის ქუჩა, 20). ჩვენს დროში იქ ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსდა. იქვე ახლოს (27) მან ააგო ადმინისტრაციული შენობაც, რომელშიც, ქუთაისის დატოვების შემდეგ, ჩერდებოდნენ ქუთაისის გუბერნატორები. მოგვიანებით იქ სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაიდო ბინა.

კონსტანტინე ოლდენბურგი მონაწილეობდა ფოთსა და ზუგდიდს შორის რკინიგზის გაყვანაში, გაგრის კეთილმოწყობაში, სადაც წამყვანი იყო მისი ძმა ალექსანდრე. მაგრამ კონსტანტინეს დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ 1908 წლის 27 აპრილს მას ძეგლი დაუდგეს გაგრაში.

ძმებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართულ ინტელიგენციასთან, მეგობრობდნენ ილიასთან, აკაკისთან, ეწეოდნენ ქველმოქმედებას. დაუღალავი ქველმოქმედი იყო აგრაფინაც, რომელმაც ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი, ესწავლათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თავისი კუთხის – რაჭის შვილებისადმი. იყო ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. აგრაფინა წერდა ქართულად და რუსულად. ფრანგული ცუდად იცოდა, რაც მას ნაკლად ჩაუთვალა რუსეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა გრაფმა ს. ვიტემ. მაგრამ აგრაფინა ამ ნაკლს თავისი კეთილშობილებითა და ქველმოქმედებით ავსებდა.

პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი, ოჯახთან ერთად, ქუთაისს 1896 წლის 19 ოქტომბერს გამოემშვიდობა. მანამდე 11 და 16 ოქტომბერს ქალაქის თავადაზნაურობამ და ქუთაისის ინტელიგენციამ მას გამოსათხოვარი საღამოები გაუმართეს. ერთზე აკაკი წერეთელიც გამოსულა შთამბეჭდავი სიტყვით. სამწუხაროდ, ეს სიტყვა მის თხზულებებში ვერ მოვიძიე და, იმედია, როდესმე მიაკვლევენ სპეციალისტები.

ჩვენს პრესაში ისიც დაიწერა, რომ აგრაფინა არ წაჰყვა ქმარს საქართველოდან და მაშინ ოლდენბურგმა შვილები წაიყვანა. ესეც მორიგი გაუგებრობაა. აგრაფინა თან ახლდა ქმარს პეტერბურგშიც და პარიზშიც. 1903 წელს თებერვალში მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში კოსტუმირებულ საალდგომო წვეულებაში XVII ს-ის რუსი დიდებული ქალბატონის სამოსში. ამ წვეულების მონაწილეთა სურათები დაბეჭდილია. მათ შორის 48 წლის აგრაფინა სილამაზით აშკარად გამოირჩევა.

კონსტანტინე ოლდენბურგი საფრანგეთში 1906 წელს გარდაიცვალა და მისი ცხედარი პეტერბურგში დაკრძალეს. აგრაფინა ამის შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ინახულა პაპაჩემმა. მე შემეძლო მესაუბრა მისი უახლოესი გარემოცვის – დისა და ნახევარდების, ხშირად, ტრაგიკულ ცხოვრებაზე. მაგრამ ამას, აგრაფინა ჯაფარიძეზე ვრცელი ნაშრომის მომზადებასთან ერთად, ახლო მომავლისთვის გადავდებ ჩემს ონელ უმცროს კოლეგებთან, ისტორიკოსებთან გია ბერიშვილთან და დავით ჯაფარიძესთან ერთად და ქვემოთ მხოლოდ მისი შვილების შესახებ მოვუთხრობ მკითხველს.

აქ მოტანილ სურათზე აგრაფინა ქმარ-შვილის გარემოცვაშია. ვინ ვინ არის, არ აწერია. მაგრამ ძნელი არ არის

ვივარაუდოთ, რომ ყველაზე უმცროსი ნინა დედის მუხლებზეა. პრინცის ხელმარცხნივ უფროსი ვაჟია - ნიკოლაი; ხელმარჯვნივ ზის ალექსი. დედის ხელმარჯვნივ – პეტრე უნდა იყოს. უკანა პლანზე დგანან ეკატერინა და ალექსანდრა.

რა ბედი ეწია მათ? უფროსი ქალიშვილი ალექსანდრა ცოლად გაჰყვა საფრანგეთში რუსეთის **იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟს გიორგის**, რომელიც დედასთან, ეკატერინე დოლგორუკოვასთან, ერთად საფრანგეთში ცხოვრობდა და სორბონა დაამთავრა. მათი ისტორიაც სევდიანია. ალექსანდრე II-ს ჰყავდა ცოლი, რომელთანაც ეყოლა მომავალი იმპერატორი ალექსანდრე III. მაგრამ დედოფალი ხშირად ავადმყოფობდა და იმპერატორმა შვება რიურიკების შთამომავალ ეკატერინა დოლგორუკოვასთან ჰპოვა. მასთან გაუჩნდა 2 ასული და 2 ვაჟი. დედოფლის გარდაცვალებიდან (1880 წ. მაისი) მცირე ხნის შემდეგ იმპერატორი მორგანატული ქორწინებით შეუღლდა საყვარელ ქალთან და მას, შვილებთან ერთად, უბოძა უგანათლებულესი თავადის იურიევსკის გვარი. ისიც უნდოდა, რომ გიორგი ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა, მაგრამ 1881 წლის 13 მარტს ტერორისტთა მსხვერპლი შეიქნა. ეკატერინამ შვილებითურთ დატოვა პეტერბურგი და საფრანგეთში გადასახლდა. 1900 წლის 11 თებერვალს საფრანგეთში გადაიკვეთა აგრაფინას ასულის ალექსანდრა ზარნეკაუსა და გიორგი იურიევსკის ცხოვრების გზა. მათი შეუღლების ნაყოფი იყო ვაჟი ალექსანდრე, რომელიც 1900 წ. 21 დეკემბერს მოევლინა ქვეყანას. მაგრამ ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. რუსი არისტოკრატის ლევ ნარიშკინის მცდელობამ და გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო. 1908 წელს ალექსანდრა გაეყარა ქმარს, რომელიც მოკლე ხანში აღესრულა (1913 წ.) და ნარიშკინის ცოლი გახდა. ალექსანდრა 1957 წლის 28 მაისს გარდაიცვალა პარიზში.



*აგრაფინა ჯაფარიძე*

ერთი მხრივ, ალექსანდრე II-ისა და ეკატერინა დოლგორუკოვას და, მეორე მხრივ, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის შვილიშვილიშვილი ჰანს-გიორგი ალექსანდრეს ძე (დაიბადა 1961 წლის 8 დეკემბერს), რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს, მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, რუსეთის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტია.

ეს ფაქტი უცნობი დარჩა უსაფუძვლო სენსაციებით გატაცებული ბევრი ქართველი ჟურნალისტისთვის. ჰანს-გიორგი იურიევსკი რამდენჯერმე ესტუმრა რუსეთს. ცნობილმა გენეალოგისტმა ანჯეი სლოვიცკიმ, რომელიც მის გენეალოგიას წერს, მაცნობა, რომ მას სურს დიდი ბებიის სამშობლოს – რაჭის მონახულებაც.

აგრაფინას სამი ვაჟიდან უფროსი – ნიკოლაი – გარდაიცვალა 1976 წელს კამბო-ლე-ბენში, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ორჯერ დაქორწინებულს შვილები არ დარჩა. სხვათა შორის, მისი პირველი ცოლი მარიანა ფონ პისტოლკორსი გარეული იყო რასპუტინის მკვლელობაში. მეორე — 31 წლის ალექსი 1918 წლის 16 სექტემბერს ბოლშევიკებმა დახვრიტეს პეტროგრადში. შთამომავლობა არც მას დარჩენია. უმცროსი ვაჟი პეტრე 1914 წლის 24 ოქტომბერს პეტერბურგში დაქორწინდა თამარ შარვაშიძეზე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძმიშვილის პროკოფი შარვაშიძის მომხიბლავ ასულზე, რომელიც დედით მხეიძე იყო. ისინი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ცხოვრობდნენ. თამარი და მისი და, სახელგანთქმული მერი სილამაზით იყვნენ გამორჩეულნი იმდროინდელ პარიზში და სახელი გაითქვეს, როგორც მოდელებმა. თამარი ახალგაზრდა გარდაიცვალა, 34 წლისა, 1931 წელს ლეისინში (შვეიცარია) და მის შვილებზე კონსტანტინესა (1916-1977) და ნინაზე (1919-?) ზრუნვა მერიმ იკისრა. პეტრე ზარნეკაუმ შემდეგ იქორწინა ალექსანდრა ანენკოვაზე პარიზში. კონსტანტინეს შთამომავლებია ვაჟი პეტრე (დ. 1948 წ.) და შვილიშვილი ნიკოლაი (დ.1968 წ.).

აგრაფინას ქალიშვილებიდან მეორე, მომხიბლავი, ცისფერთვალება ეკატერინა, შინაურობაში თინა, დიდი ქველმოქმედი, ღვთისმოსავი და მედდა I მსოფლიო ომში, რევოლუციის შემდეგ კარგა ხანს პეტროგრადში ჩარჩა. იგი სამჯერ იყო გათხოვილი და ჰყავდა ერთი ქალიშვილი – ტატიანა პირველ ქმართან, დიდი მთავრის კირილე ვლადიმერის ძის ადიუტანტთან ივან ფონ პლენთან. ეკატერინა ზარნეკაუ რომანოვების სახლთან დაკავშირებული უკანასკნელი ნარჩინებული ქალბატონი იყო, რომელიც პეტროგრადში რჩებოდა და ყველანაირად ეხმარებოდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ის ორჯერ, 1920 და 1927 წლებში დააპატიმრა ჩეკამ და თუმცა, თავი დააღწია განსაცდელს, რუსეთში გაჩერება სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. პირველი ქმრის, ივან ფონ პლენის ფინანსური შემწეობითა და მართლმადიდებელი მღვდლების დახმარებით მან 1929 წლის 16 აგვისტოს დატოვა ლენინგრადი იმ საბაბით, რომ კავკასიაში მიემგზავრებოდა სამკურნალოდ. სინამდვილეში კი ეკატერინამ საიდუმლოდ გადალახა ფინეთის საზღვარი და საფრანგეთში ჩავიდა. პარიზში საბჭოთა აგენტურამ მალე გაარკვია, თუ როგორ შეძლო მან ეს და ჩეკა სასტიკად გაუსწორდა მის დამხმარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს. ოცდაათზე მეტს, მათ შორის სასულიერო პირებსაც, გამოუტანეს უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ეკატერინას გაქცევის ამბავი იცოდა მაქსიმ გორკიმ, რისთვისაც, თავისი მეუღლის ხელით, საიდუმლოს შენახვისთვის, ფული აიღო. ეკატერინა გარდაიცვალა პარიზში 1962 წლის 24 დეკემბერს, 78 წლისა. მისი ქალიშვილი ტატიანა1930 წელს ცოლად გაჰყვა ნიკოლაი ელჩანინოვს და მათი შთამომავლები დღეს ცხოვრობენ საფრანგეთში; ის გარდაიცვალა დედაზე ადრე, 1960 წელს, 51 წლისა, ბრიუსელში. დასასრულ აღვნიშნავ, რომ ეკატერინა ზარნეკაუს გაქცევას საფრანგეთში მიეძღვნა თანამედროვე რუსი მწერლის ვ. ზორინის მოთხრობა "გაქცევა" (დევს ინტერნეტში), ხოლო მის მხარდამჭერებზე ჩეკას სისხლიან ანგარიშსწორებას მოგვითხრობს ბ. ანტონოვის „გრაფინია ე. კ. ზარნეკაუს საქმე" („Невский архив", 5, 2001).

აგრაფინას უმცროსი ქალიშვილი ნინა სულიერად იყო დაავადებული და კისლოვოდსკში მკურნალობდა. სწორედ ამის გამო აგრაფინამ არ დატოვა ქვეყანა და ქალიშვილს უვლიდა. ნინა გარდაიცვალა 1922 წელს და ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ აგრაფინაც იქ აღესრულა, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. აგრაფინა ქუთაისში დაბრუნდა. ბოლშევიკებმა მას ჩამოართვეს მთელი ქონება და იძულებული გახდა ძმიშვილთან – გიორგი იოსელიანთან ეცხოვრა. ის გადაურჩა ჩეკას კლანჭებს, რომელსაც უმწეო ქალი აღარ აინტერესებდა.

ბებიაჩემის გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლებში აგრაფინა გაჭირვებაში ჩავარდა. შვილებისგან დახმარება არ ან ვერ მოდიოდა და თავი ახლო ნათესავების დახმარებით გაჰქონდა. ნინას სიკვდილის შემდეგ მან კიდევ 4 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1926 წლის 18 ოქტომბერს, ქუთაისში წერეთლის 92-ში, ფილტვების შეშუპებით. განცხადება აგრაფინას გარდაცვალებაზე გააკეთა მისმა ძმიშვილმა გიორგი იოსელიანმა. დაკრძალვის დროს მის კუბოს რამდენიმე ახლობელი ჯაფარიძეც მიჰყვებოდა და მისი საფლავი საძიებელია ქუთაისის ძველ, უკვე გაუქმებულ რომელიმე სასაფლაოზე.

ამრიგად, აგრაფინა არც მოუგუდავთ და არც ჩამოუხრჩიათ ბოლშევიკებს კარგარეთელის ქუჩაზე და, ამდენად, მუზეუმის შენობაში მოჩვენების იდენტიფიკაცია, ისევე როგორც სიყვარულის ოთახში საიდუმლო შეხვედრების მონაწილეთა სახელები, ღიად რჩება. აგრაფინა ჯაფარიძის კვალის მაძიებლებს ისღა დარჩენიათ, რომ კიდევ ერთხელ გამოიჩინონ უკიდეგანო ფანტაზია და დიდი ძალისხმევა, ამ ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატთა გამოსავლენად.

აგრაფინას ცხოვრებას არ სჭირდება არც შელამაზება და არც დრამატიზება. ის ლამაზიც იყო და დრამატულიც. ხელმოკლე თავადის ასული, ტარიელ დადიანის მეუღლე, პრინც ოლდენბურგის ცოლი გახდა. მისი სახელი შესულია ევროპის სამეფოთა დინასტიების სიებში. მან ნახა დიდებული და უზრუნველი ცხოვრება პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებსა და საფრანგეთში. აღზარდა კარგი შვილები. ბოლშევიკურ წნეხში მოქცეულმა ნახა გაჭირვებაც, განიცადა შვილების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი და აღესრულა ქუთაისში.

დღევანდელი გადასახედიდან თითქოსდა წამიერი იყო მისი ცხოვრება იმ საოცარ დროში, მრავალი აღმასვლითა და დაღმა დაშვებით, სიხარულითა და ტკივილებით...

როსტომ ჩხეიძე

# თემურ ჩხეიძის თეატრი

*

## მინაწერები ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის აშიებზე

ასეთი მღელვარება არასოდეს განეცადა.

ამიტომაც არ დაუდგებოდა გული შინ, ტელევიზორის ეკრანთან, მის მიერ დადგმული სატელევიზიო სპექტაკლის — „ჯაყოს ხიზნები" — პრემიერა რომ გადაიცემოდა.

ნუთუ არ ჩანავლებულიყო გულისწყრომა და რისხვა, რაც ამ რომანს ეწვნია თავის დროზე?!.

მიხეილ ჯავახიშვილი მსხვერპლად რომ შესწირვოდა იმ გაგულისებისგანაც გამოწვეულ სასჯელს, განა მის ტრაგიკულ აღსასრულს ცოტათი მაინც არ უნდა დაეშომმინებინა მკითხველთა ერთი ნაწილის სიბრაზე, აგრესიული ნაწილის, რომელიც იოლად არაფერს ითმენდა და მითუმეტეს არ მოითმენდა თვალწინ აყუდებულ ვეებერთელა სარკეს, ხელმეორედ დაკაბალებული ქვეყნის სულიერი რღვევა და ნგრევა ასე თვალნათლივ და გულისშემძვრელად რომ შეეხეთქებოდა სახეში?!. და რაც მთავარია, სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში მათაც არანაკლები ბრალი დაედებოდათ, თეიმურაზ ხევისთავის სახეში გასიმბოლოებულთ.

ხომ მოინელეს, და მაშ ამიერიდან მაინც ოდნავ უფრო შემწყნარედ არ უნდა შეეხედათ ამ რომანისათვის და მისი შექმნის ფსიქოლოგიური საწყისიც შედარებით მიუდგომლად არ უნდა განესაჯათ?!.

ამ გადასახედიდან ხომ სულ სხვაგვარად განიმარტებოდა „ჯაყოს ხიზნების" მხატვრული მრწამსი — არა კარიკატურული, დაკნინებული გამოხატვა ქართული ინტელიგენციისა, არა მისი გამასხრება და მკაცრი განაჩენის გამოტანა, არამედ რეალობის შეუფერადებელი აღწერა, რათა გაუნელებლად ერეკა და ერეკა განგაშის ზარს და წამითაც არ მოდუნებულიყო საზოგადოებრივი ცნობიერება სიამისა და კეთილდღეობის ილუზიით და არ შეგუებოდა საკუთარ მიწა-წყალზე სხვათა ხიზნად გადაქცევას. დროებით ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, ყოველგვარი უბედურება, ყოველგვარი ტრაგედია, მაგრამ სამუდამოდ?!.

თითქოს ხელისგულზე იდო მიხეილ ჯავახიშვილის სულიერი ტკივილები, მაგრამ ყველას მზერა რომ არ მომართულიყო სახილველად, ყურნი კი — სასმენელად!..

რომანის ახალსა და ახალ გამოცემას — ოცწლიანი დასამარების შემდგომ — აღარ მოსდევდა ძველებური ალიაქოთი და არაჯანსაღი აჟიოტაჟი, მაგრამ ცისფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკრანი მაინც სხვა გახლდათ, უფრო მასობრივიც და დაფარული აგრესიის სხვაგვარად გამღვივებელიც და თემურ ჩხეიძესაც ამიტომ უგრძნობდა გული, ტელესპექტაკლის პრემიერა აურზაურის გარეშე არ ჩაივლისო.

„ჯაყოს ხიზნების" ტელევერსია მარტოდენ თეატრალური და სალიტერატურო წრეების სამსჯელო და სადისკუსიო არ გახდებოდა და დუღილი საზოგადოების ყველა ფენას გადანვდებოდა.

თემურ ჩხეიძესაც ამიტომ უგრძნობდა გულიო...

თამაზ გოდერძიშვილს აიყოლიებდა, თავის მუდმივ სცენარისტსა თუ დრამატურგს, და ზემოდან მოექცეოდნენ ქალაქს, სადაც მალე სპექტაკლი უნდა „აფეთქებულიყო".




სწორედაც „აფეთქებულიყო"!..

გულისფანცქალით ადევნებდნენ თვალს საათის ისარს, და როდესაც ციფერბლატი ამცნობდათ, ტელესპექტაკლი უკვე დასრულდაო, დიდხანს და დაჟინებით დააცქერდებოდნენ ქალაქს, ისე დაძაბულნი, ხმის გაღებასაც ერიდებოდნენ.

უმზერდნენ, როგორც რამდენიმე წამის შემდეგ ასაფეთქებელ ნაღმს!..

და ძალიან გაოცდებოდნენ, როდესაც აღმოაჩენდნენ, რომ... ქალაქი იოტისოდენადაც არ შეიცვლებოდა და არაფერიც არ მოხდებოდა.

მოგვიანებით რომ მოხდებოდა?

მოხდებოდა და მერე როგორ?

მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავი გახლდათ, ეს მოგონება კი აქ მთავრდებოდა და მისი შეკრული კომპოზიცია ნინო ჩხიკვიშვილს იმასაც ათქმევინებდა: ნოველის თემადაც გამოდგებაო.

მართლაც მზამზარეული ქარგაა ნოველისათვის, ამოზრდილი პირად განცდებზე და თავისთავად შეხმიანებული ჯონათან სვიფტის გულისწუხილს, გაოცებული რომ შეჰყურებდა ირლანდიის ცხოვრების უცვლელობას, და ეს სამი თვის შემდგომ „გულივერის მოგზაურობის" გამოქვეყნებიდან.

ის სამ თვეს მაინც დალოდებოდა დუბლინის სასიკეთო ფერისცვალებას.

თემურ ჩხეიძეს რამდენიმე წუთიც ებევრებოდა.

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

იქაც — ირლანდიაში.

და აქაც — საქართველოში.

და ოთარ ჩხეიძე ესეიში „ისევ „ჯაყოს ხიზნები" ერთმანეთს რომ შეუდარებდა რომანის გამოქვეყნებისა — 1925 წელს — და მისი ტელევერსიის დადგმის — 1979 წელს — გარემოებებს, გულისტკივილით წარმოაჩენდა იმ სავალალო რეალობას, რომ: რამდენი რამ შეცვლილიყო ამ ხნის განმავლობაში, რამდენი რამ გადაფასებულიყო, ოღონდ არ შეცვლილიყო ის აზრი და ის რეაქცია და სწორედ ისევეც განმეორებულიყო ამ ბოლო წლებშიც:

— განმეორდა ბრალდებანი იგივე და იმავე მღელვარებითა, როგორც რო მაშინა, იმა პირველი გამოქვეყნების დღეებშია; ეტყობა ზოგმა თუ ბევრმა არა, ცოტა ფრთხილად რო გამოითქვას, ჯერკიდევ ბევრი ვერაფერი გაიგო, ეტყობა მის აზროვნებაზე ბევრი ვერაფერი კვალი დააჩნია მრავალმა ცვლილებამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ძვრებმა მრავალმა, წინააღმდეგობამა მრავალმა, რაც რო გადაიტანა ჩვენმა ხალხმა, ამ ხნის განმავლობაში რო გადაიტანა; გამეორება იგივესი და იმავე სახითა ამას უნდა გვიდასტურებდეს.

ძველი რისხვის განმეორებისა ჯერ არაფერი ეტყობოდა ქალაქს.

არც სასიკეთო ფერისცვალების ნიშანი მოჩანდა და თემურ ჩხეიძე ნირწამხდარი გადმოჰყურებდა ზემოდან: ნუთუ ამაოდ დავშვერიო?!.

გამტკნარებულიყო თბილისი.

ქალაქის გამტკნარება კიდევ რა, როდესაც მაყურებელთა დარბაზი გამტკნარდებოდა, ეს უკვე მოსკოვში, „მხატში", თემურ ჩხეიძე არაფრისდიდებით რომ არ გაჰყოფდა ანტრაქტით ორსაათიან სპექტაკლს. — დადგმა მიდის უანტრაქტოდო, — „ჯაყოს ხიზნების" აფიშაზეც წააწერდა, მანამდე კი თუმც არაერთს გაეზიარებინა ეს რჩევა, შესვენება მაინც აუცილებელიაო, დაიჩემებდა: ხალხი გაიქცევაო.

ვინ არის გამქცევიო, — უკვირდა თამაზ გოდერძიშვილსაც მეგობრის ეს აჩემება, — ან სპექტაკლს ვინ მიატოვებს და ან იმ შესანიშნავ მსახიობებს, სცენაზე რომ იდგებიანო, მაგრამ რეჟისორი თავისას გაიტანდა და იმ დღეს, როდესაც თეატრი ჩაიბარებდა სპექტაკლს და იქაურობა ისე გადაიჭედებოდა, ნემსიც არ ჩავარდებოდა, ის ორი საათი ისე გაილეოდა, დარბაზში ჩამიჩუმიც არ მოისმოდა. ეს შიშით თემურს ველარც უყურებდა. კინაღამ მოვკვდიო, — ამასაც კი იტყოდა მოგვიანებით, იქ კი ფარდა რომ დაეშვებოდა, პაუზა ისეთი ხანგრძლივი მოეჩვენებოდა, თითქოს საუკუნემ გასტანაო.

და მერე უეცრად ისეთი ამბავი ატყდებოდა, მსგავსს ოვაციას არც შესწრებოდა და არც გაეგონა.

„მხატის" სამხატვრო ხელმძღვანელი თემურ ჩხეიძეს მოუბრუნდებოდა:

— ესენი (ხელს დარბაზისაკენ გაიშვერდა) იმათ (ახლა სცენისაკენ გასწევდა ხელს) შვიდი წუთი ფეხზე მდგომნი ტაშს რომ უკრავდნენ, ასეთი რამ ამ კედლებს ჯერ არ მოსწრებია.

თამაზ გოდერძიშვილთან მცირე გასაუბრების ეს პასაჟები ჩაერთვოდა ნინო ჩხიკვიშვილის წიგნში „საუბრები თემურ ჩხეიძესთან" („პეგასი", 2010), რომელიც საკუთრივ დიალოგების (მართლაც თავისებურ მონოსპექტაკლს რომ წააგავს) გარდა მოიცავს თეატრალურ ნარკვევს — „ჯაყოს ხიზნები" ჩვენი ცხოვრების თანამდევი" და მემუარულ ჩანაწერთა მთელ სერიას — მსახიობთა, რეჟისორთა და მწერალთა ნაუბარს, ერთიერთმანეთზე საგულისხმო მოსაზრებებითა და დაკვირვებებით სავსეს, მნიშვნელოვან

შტრიხებს რომ მატებს თვალსაჩინო რეჟისორის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ისე ხელშესახებად და კანთიელად იკვეთება მარჯვედ აგებული საუბრების წყალობით.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსოფლიო რანგის რეჟისორს პირველად მიეძღვნა წიგნი, ისიც მოზაიკური აგებულებისა და არა მონოგრაფიული ნაშრომი, ერთიანობაში რომ მიგვადევნებინებდა მზერას ამ გამორჩეულ შემოქმედებით გზას და თვალნათლივს გახდიდა ხელოვანის მონუმენტურ სახებას.

თუმც მონოგრაფიული თხზულებისაკენ გზის გასაკვალად ეს უდავოდ წარმატებული წიგნია, ძვირფასი მასალა, ასეთი რუდუნებითა და მონდომებით მოპოვებული და შეგროვებული, მემუარულ ჩანაწერთა სერია ამ მხრივ არანაკლებ ფასეული რომ არის, ვიდრე უშუალოდ დიალოგები დიდებულ ხელოვანთან.

ერთიერთმანეთზე საგულისხმო მოსაზრებებითა და დაკვირვებებით სავსესო...

ვთქვათ და:

ეს ოთარ მეღვინეთუხუცესი:

— ბევრი დიდი რეჟისორის ნამუშევარი მინახავს და თამამად შემიძლია ვთქვა: ასე ჩაკირკიტებით, როგორც თემური, არცერთი არ მუშაობს. ისინი აქცენტებს იქ აკეთებენ, სადაც სიუჟეტურად მნიშვნელოვანი ამბავი ხდება. კულმინაციას გაუსვამენ ხაზს. პერსონაჟთა ურთიერთობაში რაღაც დეტალს გამოყოფენ, მაგრამ, აი, როგორც თემური აგებს თავიდან ბოლომდე სპექტაკლს, როგორც სანოტო პარტიტურას, ისე არცერთი რეჟისორი არ მუშაობს. არც კი ვიცი, ვის შევადარო... მუშაობისას თითქოს თავისუფლებას გაძლევს, მაგრამ ბოლოს თვითონ როგორც უნდა, მაინც ისე გამოდის ყველაფერი...

ეს გურანდა გაბუნია:

— თემურ ჩხეიძე იშვიათი რეჟისორია. ვფიქრობ, ასეთი ნამდვილი რეჟისორები დღეს ცოტანილა დარჩნენ... ნამდვილი ბედნიერებაა მასთან მუშაობა: ვერც გრძნობ, რეჟისორი შენიშვნას თუ გაძლევს, უკმაყოფილო თუა, რაიმე თუ არ მოსწონს შენი...

ეს ჟანრი ლოლაშვილი:

— თემურ ჩხეიძისათვის, როგორც რეჟისორისთვის, ყველაზე მთავარი ფსიქოლოგიური თეატრის წესდებებია. „ამ წესდებებს“ თვითონვე ქმნის და „აწესებს“. განსაკუთრებული, გამორჩეული ხელწერა აქვს: მძაფრად ხედავს მთავარ დრამატურგიულ ხერხემალს. მისთვის... მთავარია „შიდა ხაზები“, „შიდა არსი“, რომელიც სავსეა უამრავი ნაცვალსახელით, განსაზღვრებებითა და მეტაფორებით. ამ ყველაფრის მოწესრიგება-დალაგება რეჟისორის საქმეა, მაგრამ თუ „დაულაგებლობაც“ სჭირდება სპექტალის არსის გასახსნელად, ამასაც ბრწყინვალედ მოახერხებს.

ეს მარინე ჯანაშია:

— ის ფლობს იმ განსაკუთრებულ ენას, რომელზეც სხვა რეჟისორები ვერ საუბრობენ. „ეს ენა“ ჩემთვის საოცრად ახლობელია და გასაგები. მასთან მუშაობა ძალიან ადვილია. სიმსუბუქით გამოირჩევა. იგრძნობს თუ არა, რაღაც გაგიჭირდა, სადღაც ნაფორხილდი, მაშინვე „შემოგაშველებს ხელს“, ისე გამოგიყვანს მდგომარეობიდან, გეგონება, ყველაფერი თვითონ მოიფიქრე, დამოუკიდებლად „იარე ამ არაჩვეულებრივი ნაბიჯებით“ და... ბოლოს, როცა უკვე რეზულტატს დაინახავ, ხვდები: თურმე ეს შენი კი არა, თემურის იდეა ყოფილა!..

ეს მიხეილ გომიაშვილი:

— რეპეტიციებს შენთან ერთად, სუფთა ფურცლიდან იწყებს, რაც მსახიობს დიდ თავისუფლებასა და იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს... ის შენთვის შეუმჩნევლად „გაკვალავს გზას“ როლისკენ, ძალიანაც რომ გინდოდეს, სხვაგან „ვერსად წახვალ“, ასე ვთქვათ, შენი „როლის მარშრუტი“ უკვე დადგენილია... დიახ, სწორედ როგორც პატარა ბავშვს მშობელი, ისე „გატარებს შენი როლისკენ“, მაგრამ ამას ისე შეუმჩნევლად და ფაქიზად აკეთებს, რომ ვერ ხვდები.

ეს ალეკო მახარობლიშვილი:

— როცა თემურ ჩხეიძის რეპეტიციები მაქვს, მხოლოდ იმას ვნატრობ, უსასრულოდ გაგრძელდეს ისინი... ეს იმდენად საინტერესო პროცესია, მას ვერანაირი სპექტაკლი ვერ შეედრება! ყოველთვის წყნარად მუშაობს. ერთ ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებთ მისგან. ღელვა, ნერვიულობა, რომელიც, ბუნებრივია, ყოველ ახალ სპექტაკლსა თუ რეპეტიციას ახასიათებს, ბატონ თემურთან ყოველთვის „შიგნით ხდება“ და მერე სპექტაკლში „ამოხეთქავს“. ისეთი მომზადებული მოდის რეპეტიციებზე, გაგიკვირდება.

ეს ავთანდილ მახარაძე:

— ჩვენი ურთიერთობა არ იყო მხოლოდ მსახიობისა და რეჟისორის პროფესიული თანამშრომლობა — ეს იყო კიდევ რაღაც სხვა... ერთმანეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოგვედგინა. ერთად „ვეძებდით“ და ხშირად ერთად „ვპოულობდით“... სამსახიობო ოსტატობის ანბანი თემურ ჩხეიძისგან შევისწავლე.

ეს ზურაბ ყიფშიძე:

— გარდა იმისა, რომ თემურ ჩხეიძე კარგი რეჟისორია, ამავე დროს, შესანიშნავი ფსიქოლოგიცაა. მეტიც, ვიტყოდი, რომ ფსიქიატრიცაა... ისეთი ფორმით მოგაწვდის სათქმელს, ისე აგიხსნის ყველაფერს, რა უნდა გააკეთო და როგორ... მაშინვე ყველაფერში ეთანხმები. თან გგონია, რომ ეს ყველაფერი შენ თვითონ მოისაზრე და მოიგონე!

ეს ნანა ფაჩუაშვილი:

— თემურ ჩხეიძე ძალიან ნიჭიერი, ძალიან ტაქტიანი, ძალიან ფაქიზი და სასურველი რეჟისორია — ყველა ეს თვისება ერთად, ერთ რეჟისორში ნამდვილ იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომაც არ მეგულება ისეთი მსახიობი, რომელსაც თემურ ჩხეიძესთან მუშაობა არ უნდოდეს. მასთან მუშაობისას მსახიობი აუცილებლად იზრდება. რაღაც ისეთ განსაკუთრებულ თვისებას შეგძენს, უნებლიეთ ისეთ ბარიერს გადაგალახვინებს, რომ ეს შემდგომში აუცილებლად წაგადგება...

ეს გოგა პიპინაშვილი:

— იცით, როგორია მისი მუშაობის მეთოდი? ხატოვნად რომ ვთქვათ — ქმნის პაწაწინა ეპიზოდების პაწაწუნა ჩარჩოებს, რომელსაც მსახიობი ასე აშკარად, ღიად ვერ ამჩნევს, მაგრამ საკმარისია იმ ჩარჩოში, იმ კალაპოტში აღმოჩნდეს, რომ ჰგონია, ყველაფერს, რასაც რეჟისორი აკეთებინებს, თვითონ მიაგნო. არადა, სინამდვილეში, ამ კალაპოტში ხომ რეჟისორმა ჩასვა?

ეს გია ბურჯანაძე:

— თემურ ჩხეიძეს რაღაც განსაკუთრებული, უცნაურად გადამდები მიმზიდველობა გააჩნია. ვერც ამჩნევ, ისე უნე-

ბურად ბაძავ სიარულში, საუბარში, მიმიკებით. ყველაფერში, ყველაფერში... ერთი მნიშვნელოვანი თვისება აქვს კიდევ — როცა გეძახის და გეუბნება: ესა და ეს როლი უნდა ითამაშოო, — მოგაჩვენებს თითქოს თვითონ ჯერ არაფერი იცის და შენთან ერთად იწყებს ამ ყველაფერზე ფიქრს. არადა, სინამდვილეში უკვე „ნანახიც" აქვს მომავალი სპექტაკლი.

ეს დიმიტრი ჯაიანი:

— ერთხელ ერთ-ერთ სცენას აწყობდა, მითხრა: გაგიკვირდება, რა შუაშია აქ დიალოგიო, მაგრამ დაუკვირდი, ეს სიტყვები შემდეგ სცენაში „იჩენს თავსო". მართლაც ეს ნათქვამი ასე ხუთი წუთის შემდეგ უეცრად არ „ამოტივტივდა"? არ ვიცი, რაღაც გაუგებარია და აუხსნელი თემურ ჩხეიძის ფენომენი, თითქოს არაფერს აკეთებს და ამ დროს... ფოიერვერკს აწყობს სცენაზე, ოღონდ... მხოლოდ სიტყვით!

ეს გივი ჩუგუაშვილი:

— მისი რეპეტიციები ყოველთვის არის ახლის ძიება და აღმოჩენა. იმდენად საინტერესოა, როგორ გადის დრო, ვერც კი გრძნობ. ყველა მსახიობი, განურჩევლად იმისა, მთავარი როლი აქვს, ეპიზოდური თუ უსიტყვო, მაქსიმალურად დატვირთულია და სპექტაკლიც ყოველთვის მაღალპროფესიულია.

ეს ნოდარ მგალობლიშვილი:

— ჩემთვის თემურ ჩხეიძის რეჟისურა, ეს არის ქრესტომათიული მიდგომა ნაწარმოებისა და მსახიობისადმი. ყველაზე მნიშვნელოვანი მსახიობისთვის არის ის დამოკიდებულება, როდესაც გრძნობს, რომ თვითონაა შემოქმედი იმისა, რაც სცენაზე ხდება. ეს აქტიორში აქტიურ მუხტს იწვევს და დამოუკიდებლობას უნერგავს. სწორედ ამ განცდას განიჭებს თემურ ჩხეიძე, რადგან ძალიან დიდ თავისუფლებას გაძლევს სახის შექმნისას.

ეს ქეთი დოლიძე:

— არ ღალატობს ფსიქოლოგიურ თეატრს, იმ თეატრს, რომელსაც უკვე ნელ-ნელა უბრუნდება ევროპის წამყვანი თეატრები... რასაც ის აკეთებს თავის მსახიობებთან ერთად, დამერწმუნეთ, მსოფლიოში იმავეს ძალიან ცოტა რეჟისორი თუ მოახერხებს. ახლა უმეტესად გადასულნი არიან სანახაობრივ რაკურსზე. თემურ ჩხეიძე კი არასოდეს იკადრებს მსახიობს „ტრიუკი ააფაროს". უბრალოდ, ეს არ სჭირდება. უმაღლესი რეჟისურაც ეს არის, როცა რეჟისორი არ ჩანს...

ეს გოგი ქავთარაძე:

— მსოფლიო მასშტაბით ყველა ნოვატორული მიგნება ხომ იცის და იცის. ნებისმიერ მიმდინარეობას ზედმიწევნით კარგად იცნობს და... ხომ შეიძლებოდა... ერთხელ მაინც „წაცდომოდა ხელი" და ფორმის ძებნაში „გართულიყო", მაგრამ არა, ხატზე შეფიცულივით ჯიუტად, არასდროს „გადაუხვევია თავისი გზიდან"... აი ასეთი პრინციპულია თემურ ჩხეიძე. დიახ, პრინციპული და არც ისეთი რბილი და ლოიალური, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს... ის ასეთი მომთხოვნი და პრინციპული რომ არ იყოს, მაშინ იმასაც ვერ შეძლებდა თავისკენ მიეზიდა მსახიობი და მაყურებელი.

ეს გოგი ალექსი-მესხიშვილი:

— მასთან მუშაობა ყოველთვის საინტერესოა და იოლი. იოლია იმიტომ, რომ ზუსტად იცის, რა უნდა და რა — არა! ძალიან კარგადაა მხატვართან სამუშაოდ მომზადებული, მტკიცე ხედვა აქვს. იცის, რატომ დგამს ამა თუ იმ სპექტაკლს... დღეს ფაქტობრივად აღარც კი ვლაპარაკობთ, მხოლოდ სიტყვებს თუ „ვესვრით" ერთმანეთს...

ეს გურამ ოდიშარია:

— მისი უდიდესი ნიჭი, როგორც შემოქმედისა და ადამიანის, ისიცაა, რომ აღვიძებს და ახდენს მთელი შენი შესაძლებლობების კონცენტრირებას, გიცოცხლებს შემოქმედებით-ინფორმაციულ მახსოვრობას, ძალდაუტანებლად მიყავხარ საუკეთესო გადაწყვეტილებამდე ისე, რომ არც გაგრძნობინებს, ვინ გილოცმანა... ასეთ კაცებს ერთ დროს ფარნით ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ.

ეს ოტია იოსელიანი:

— დაიწყო და რა დაიწყო!.. მსახიობებიც, მოგცეთ ღმერთმა, მაგრამ წმინდა წყლის რეჟისორის სპექტაკლია. პიესაც, ჩვენ რომ გვეკადრება, ისაა და განსახიერებულია ისე, ფეხის ნაბიჯი რომ ფეხის ნაბიჯია, არაა გადადგმული, აზრით დატვირთული არ იყოს... სპექტაკლი იყო მხატვრული, მკაცრი განაჩენი იმისა, რასაც თავზე ვიტეხავთ და ვატეხავთ ქვეყანას. თემურს მაინც ვუსაყვედურე: „გუშინდელნი" კი არა, დღევანდელია-მეთქი.

ეს ელდარ შენგელაია:

— თემურ ჩხეიძე, ვფიქრობ, საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორია. თამამად ვიტყოდი, ისეთი რეჟისორია, რომელიც მსახიობში კვდება. მისი მთავარი ინსტრუმენტი მსახიობია!.. ახლა ხშირად ვუყურებთ ისეთ სპექტაკლებს, სადაც რეჟისორი ცდილობს „დაიკავოს მსახიობის ადგილი"... ქმნის რაღაც მისტერიას, შეიძლება ძალიანაც კარგს, ბრწყინვალესაც, მაგრამ ის, რაც სცენაზე ხდება, მე, როგორც მაყურებელს, გულზე არ მეკარება, არ მეხება, გესმით? რადგან მაყურებელს ყოველთვის უნდა სცენაზე მსახიობი იხილოს და არა რეჟისორი...

ამონარიდთა ეს კრიალოსანიც თავისთავად და შთამბეჭდავად შემოხაზავს ამ მართლაც იშვიათი რეჟისორის შემოქმედებით სილუეტს, მის სიარულს მდინარების საპირისპიროდ, თითქოსდა მოძველებულ და ყავლგასულ მხატვრულ პრინციპებს რომ ერთგულობს და ასეთი ერთგულებისათვის არცთუ შესაფერის გარემოში არა თეორიული განსჯით, არამედ პირადი მაგალითით ადასტურებს ამ პრინციპთა მარადიულობას. ყოველთვის ასეთი სულისა და აზროვნების ხელოვანთა წყალობაა, დროებითი და მოჩვენებითი ისე ძალუმადაც რომ ვერ ეუფლება საზოგადოებრივ ცნობიერებას, მარადიული ღირებულებანი ულვთოდ გაიწიროს.

რესპონდენტთა როლში მოხვედრილ ხელოვანთა ეს დაკვირვებანი იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ მათი ნაუბარიდან სხვა ფრაგმენტებიც რომ ამოიკრიბოს, არანაკლებ სახიერი სურათი გამოიკვეთება, რაც მოწმობს ამ ჩანაწერთა ტევადობას, და კიდევ იმას, რომ ასე სახელდახელოდ ამგვარი ტევადობის შეხედულებათა დახვავება შეუძლებელია, თუ არა მანამდე ხანგრძლივი ფიქრი და გააზრება იმ მოვლენისა, რასაც თემურ ჩხეიძის რეჟისურა ჰქვია.

აშკარაა, თვითეულს ბევრი უფიქრია ამ მოვლენის შეცნობასა და გააზრებაზე.

ჯერ მარტო ეს გარემოება მოწმობს, იგი გამორჩეული სახელი რომ არის და მაშინაც იპყრობს თანამედროვეთა ყურადღებას, როდესაც ზოგადად უკვირდებიან ქართული თეატრალური ხელოვნების ბედსა და მომავალს.

თუკი თემურ ჩხეიძის ფსიქოლოგიური თეატრი რეალობაა — და ეს რომ რეალობაა, სადავოდ არავის გაუხდია — მხოლოდ დიდი გადასახედიდან შეიძლება შეფასდეს მისი რეჟისორული ღვაწლი — აქამომდელიც და ამის შემდგომიც, რადგანაც კვლავ დუღილის შუაგულში ტრიალებს.

მარჯანიშვილის თეატრში რომ მივიდოდა სამხატვრო ხელმძღვანელად, იოსებ ჭუმბურიძეს გაუმჟღავნებდა ინტერვიუსას თავის დიდ სურვილსა თუ მიზანს: ეს გარემო ფსიქოლოგიურ თეატრად გარდაექმნა.

ამდენი წლის შემდგომ თითქოს მეორდებოდა სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის მკვეთრი თეატრალურ-ესთეტიკური დაპირისპირება — აკი ამ ახალი თეატრის შემქმნელი სანდრო ახმეტელმა გამოისტუმრა რუსთაველის თეატრიდან, ისევე, როგორც ეს გარემო ახლა უკვე რობერტ სტურუას მხატვრულ მრწამსს მოერგო და თემურ ჩხეიძეს იქ აღარ დაედგომებოდა.

გარეგნულად ამჯერად აღარ მომხდარა მწვავე ჭიდილი, საზოგადოებას სულაც ორად რომ გაჰყოფდა და ისეთი დავა-კამათი ატყდება ხოლმე, თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლააო. ეს განცდები უფრო მაყურებლის ფიქრებსა და გულდინჯ დისკუსიებში გადაინაცვლებდა, თუმცა გამოკვეთით თვალნათლივ იკვეთებოდა ორი ესთეტიკის შეუთავსებლობა და თემურ ჩხეიძეს მისთვის შესაფერისი სარბიელი უნდა ეძებნა, ის კი არა, ერთ ადგილს ვერც შერჩენოდა და ბოლოს სულაც სანკტ-პეტერბურგში ამოეყო თავი. იქიდანაც ისევე მოსდიოდა მიწვევა, როგორც „ლა სკალადან" და „მეტროპოლიტენ ოპერიდან", დასავლეთის ეს ორი თეატრი კი ის გარემო გახლდათ, მსოფლიო სახელის რეჟისორებს რომ დაეგულებინათ თავიანთ ასპარეზად, სრულყოფილადაც ასხამდნენ ხორცს საკუთარ ჩანაფიქრებს და... მარჯვედაც იყენებდნენ ამ თეატრთა ავტორიტეტს, რათა უფრო მეტი დიდება მოეხვეჭათ.

ამ კუთხით საგანგებოდ არ დავინტერესებულვარ, მაგრამ ნურავის გაგვიკვირდება, თუკი აღმოჩნდება, რომ ჩვენი საყვარელი რეჟისორი თუ მთლად ერთადერთი არა, იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, რომელნიც არამცთუ ნამდაუწუმ არ შეახსენებდნენ საზოგადოებას, ამხელა წარმატებისათვის მიგვიღწევიაო, არამედ თვითვე იყაბულებდნენ მის მიყრუებას, თითქოს მოხსენიებადაც არა ღირდეს.

ეს თემურ ჩხეიძის პიროვნული ბუნებაცაა და მისი თეატრის ერთი არსებითი ნიშანიც.

ფსიქოლოგიზმზე ამოზრდილ ესთეტიკას ნაკლებად შეჰფერის აჟიოტაჟის ატეხვა და შოუს მოსასხამით შემობლანდვა.

საამისოდ ერთხელაც რომ ნაცდენოდა ნაბიჯი, ეგებ ველარც შეენარჩუნებინა ის ერთგულება ამჟამად ნაკლებ პატივში მყოფი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსისა, მწარე იუმორით იმასაც რომ ათქმევინებდა „გუშინდელნისა" და „ჰაკი აძბას" გეგმებზე: სცენაზე მეტი მსახიობი იმყოფებოდა, ვიდრე დარბაზში მაყურებელიო.

არ მოერიდებოდა ამ გროტესკულ შედარებას, რათა გაეთვალსაჩინოებინა მოვლენის დრამატული არსი — საქართველოსათვის უმწვავეს ჟამს, როდესაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დამდგარიყო ეროვნული ადათ-წესებიც და ჩვენი მშობლიური ენაც, მძაფრი ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ სპექტაკლებს, თეატრალური სანახაობის უმაღლესი რანგისათვის რომ მიეღწიათ, ასე ძალიან აკლდა მაყურებელი.

„ჰაკი აძბა" ქართული ნოველისტიკის შედევრია და ლეო ქიაჩელის ამ მოთხრობის ინსცენირებას წარმატებული სცენური ხორცშესხმა რომ მოჰყოლოდა, ანკი რა გასაკვირია, მაგრამ „გუშინდელნი" ნამდვილი რეჟისორული ტრიუმფის მოწმეს გვხდიდა, რადგანაც შალვა დადიანის ეს დრამატურგიული ნიმუში ვერ ბრწყინავდა მაინცდამაინც მხატვრული ძალით და საშუალოზე ნაკლებ ადგილს თუ მიანიჭებდი. ეგაა, მისი ქარგა მწვავე კონფლიქტზე აგებულიყო და ის ეროვნული ტკივილებიც საცნაური ჩანდა, რასაც იწვევს დეგრადირებული გარემო, გზაშარად გამოდებული ქვეყანა და ჯოგად გადაქცეული საზოგადოება.

„გუშინდელნი" კი არა, დღევანდელიაო, — მიხვედრილიყო ოტია იოსელიანი.

ვაი რომ!..

სპექტაკლის — „ასი წლის წინათ" — ფინალში უეცრად სცენის ყოველ მხარეს უნდა გადახსნილიყო სარკეები და მაყურებელს იქ საკუთარი თავი ეხილა. ეს მახვილგონივრული რეჟისორული სვლა ერთი დადგმის ბოლო აკორდად კი არ აღიქმება, არამედ თემურ ჩხეიძის ნაღვაწის ერთი რკალის იდუმალ დაგვირგვინებადაც. მერე რა, რომ „გუშინდელნის" ფინალში არ გადაიხსნებოდა სარკეები და მაყურებელი უეცრად არ შეჩქვიფდებოდა იქ საკუთარი თავის ხილვით, ის სარკეები ფარულად მაინც აღმართულიყო და კიდეც აირეკლავდა ადამიანთა სულიერ კათარზისს, ასერიგად აუცილებელს ყოველთვის, მითუფრო — კრიზისული ვითარებისას.

ნინო ჩხიკვიშვილს ეს დადგმაც ისევე რო მოეხსენიებინა „ანტისაბჭოთა სპექტაკლად", როგორც „ჰაკი აძბა", რეჟისორი კვლავაც დაბეჯითებით მიუგებდა: გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არავითარი ანტი მე არ ჩამიფიქრებია! ანტირუსული, ანტისაბჭოური?! არა, ამას ვერ დავიჩემებ, ვერ გამოვჩნდები გმირად! საერთოდ ანტი რომც ჩავიფიქრო, ვერ დავდგამ, რომ იცოდეთ, პირიქით, მე ყოველთვის რაღაცისთვის ვდგამ, ანტი არ მაინტერესებსო!..

და ღიმილით დასძენდა: ვერ გამიგია, რატომ იყო ის სპექტაკლი ანტიო?!

ახალი ნაკადი რომ დაძრულიყო სარეჟისორო ხელოვნებაში და რეჟისორები იმით გამოიდებდნენ თავს და თეატრალური კრიტიკოსებიც უმთავრესად ამიტომ განადიდებდნენ; პიესა სრულიად გადაიაზრა და დრამატურგისაგან განსხვავებული მხატვრული სინამდვილე შექმნაო, — თემურ ჩხეიძე კვლავინდებურად თხზულების დედააზრისა და ცალკეულ ნიუანსთა ამოცნობას ცდილობდა და ყოველი მისეული ინტერპრეტაცია ამიტომაცაა საგულისხმო პირწმინდად ლიტერატურულ-კრიტიკული თვალსაზრისითაც.

როდესაც „გუშინდელნში" ახალ პერსონაჟს შემოიყვანდა, უსახელო გოგონას, ეს გადაწყვეტილება კომედიის (უფრო ზუსტად, ტრაგიკომედიის) შინაგანი ლოგიკით იქნებოდა ნაკარნახევი. სიუჟეტი თვითონვე მოითხოვდა რაღაც ამგვარს და შალვა დადიანს უფრო სრულყოფილი პიესა რომ დაეწერა, უსახელო გოგონას აუცილებლად დაისაჭიროებდა და ჩართავდა მოქმედებაში, თანაც სწორედ ისეთი განზოგადებით, რა დანიშნულებასაც თემურ ჩხეიძე მიანიჭებდა და აკაკი ბაქრაძე გამჭვირვალე მინიშ-

ნებას ასე გაშიფრავდა: ეს საბრალო გოგონა უპატრონო ქვეყნის სახეა, ნასუფრალით რომ ახერხებს არსებობის შენარჩუნებასო.

კრიტიკოსი ალმტაც რეცენზიას მიუძღვნიდა ამ დადგმას და მის ტრაგიკულ ქვეტექსტს ისე გაათვალსაჩინოებდა, მსჯელობა პოლიტიკურ პამფლეტს დაემსგავსებოდა და ანტისაბჭოთა სტატიად შემორჩებოდა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას, ბატონ აკაკის ბევრიც რომ ემტკიცებინა, მე მხოლოდ სპექტაკლი განვიხილე და ვერ გამიგია, რატომ არის ეს რეცენზია ანტიო?!.

როდესაც გაეცნობით აკაკი ბაქრაძის სტატიას „მასალა და მოთხრობა" ლეო ქიაჩელის ნოველაზე „ჰაკი აძბა" და გონებაში აღიდგენთ ამ ნოველის სცენურ ხორცშესხმას, ბევრ საერთოს დაადასტურებთ კრიტიკულ ნააზრევსა და სპექტაკლს შორის და ეს გასაკვირი არ არის, რაკილა თემურ ჩხეიძისეული ინტერპრეტაცია არ ჩამოუვარდება კრიტიკულ-ესთეტიკურ ანალიზს, თუმც ამჯერად საგულისხმოა სპექტაკლის ჩაბარებისას სამხატვრო საბჭოს სხდომის ის პასაჟი, აკაკი ბაქრაძე ცხარე კამათს რომ გაუმართავდა რეჟისორს: ინსცენირებაში გამოყვანილი კომისარი წონასწორობას იცავს, რაც არ არის სწორი, და ისიც აუცილებელია, კრეისერზე მკაცრი ატმოსფერო იყოსო, — ოქმის ამ ადგილს კი ნინო ჩხიკვიშვილი რომ შეახსენებდა თემურ ჩხეიძეს, იგი ამ გამოკამათებას იმ მოტივით ახსნიდა: ბატონი აკაკი პიროვნულად გახსნილი ადამიანი იყო, უმეტესად პირდაპირ, ღიად ამბობდა ხოლმე სათქმელს. ალბათ ამიტომაც უნდოდა ამ სპექტაკლშიც არა მინიშნებებით, არამედ პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე მეთქვა — ძირს საბჭოთა ხელისუფლებაო.

ნებით თუ უნებლიეთ აკაკი ბაქრაძე ითხოვდა სპექტაკლის მკვეთრ გადახრას პუბლიცისტიკისაკენ, იმ სულისკვეთებით განმსჭვალვას, მისი კრიტიკული სტატიებისათვის რომ იყო ნიშანდობლივი, თემურ ჩხეიძე კი ამგვარ სტილისტიკას ვერ ეგუებოდა.

ამ შემთხვევაშიც ამიტომ მიიჩნევდა:

— მე და ბატონი აკაკი ვიზუალურ-ესთეტიკურ გადაწყვეტაში ვერ ვთანხმდებოდით, თორემ აზრობრივ ასპექტში, კონცეფციას რაც შეეხება, მგონი, ამ კონცეფციით იყო სპექტაკლი შექმნილი...

აკაკი ბაქრაძეს უკმარი ეჩვენებოდა გამოხატვის ის დონა, რა დონითაც დადგმულიყო სპექტაკლი?

თუმც თემურ ჩხეიძე ძალიან აფასებდა მის მოსაზრებებსაც და რჩევებსაც, პრინციპულ გზას არ ულალატებდა და საპროტესტო ლოზუნგებს უშუალოდ კი არ გადმოაფრიალებდა სცენიდან, არამედ მაყურებელს იდუმალად განმსჭვალავდა ამ განცდითა თუ განწყობილებით.

— საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს თავისი მანერა და თავისი ტონალობა. მე როგორც მინდოდა, როგორც შემეძლო, ისე მოვყევი, სპექტაკლის აკრძალვის შიშით არასოდეს წავსულვარ კომპრომისზე.

სამშაბათს, 4 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

**რეზო ქეიშვილთან**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ხოლო ის გარემოება, რომ თვით კოზმა კილგას ბუნებაშიც ეძებდა რაღაც ადამიანურს, თემურ ჩხეიძის რეჟისორული კონცეფციაცაა და პიროვნული პოზიციაც, და ამიტომაცაა, რომ თავით ფეხამდე ბოროტი არსება არ აინტერესებს („ვამპირი ვამპირია და მორჩა!.." ) და საკუთარ ვალად მიაჩნია გაიგოს, ვის რა სტკივა, ვის რა ამოძრავებს, საიდან მოდის ეს იმპულსები, თორემ:

— ისე, უბრალოდ, ცხოველის თამაში იოლია, სასტიკია კილგა, მაგრამ რატომ, რატომ?

ამოსაცნობი ეს გახლდათ და მის ხაზს ამიტომაც გაჰვებოდა უკიდურესობამდე, რათა ტრაგედია ხელშესახებად გამოკვეთილიყო. ნუთუ კილგასაც ჰქონდა თავისი სიმართლე? აკი მან დაუჯერა ჰაკის, ირწმუნა, მართლაც გულწრფელად დაიტირა ჩემგან შვილივით გაზრდილი, მისი ძიძიშვილისაგან კი მოკლული მეზღვაურიო, და... უეცრად მოტყუებული აღმოჩნდა, რაკილა აღმოაჩინა, რომ ჰაკი უჯუშ ემხას გადასარჩენად ხმარობდა ყველა ღონეს.

— ტრაგედიაა, როდესაც თავის მხრივ ყველა მართალია და... უცებ ეჯახებიან ერთმანეთს, თორემ ერთი თუ თავიდანვე ძალიან ცუდია და მეორე ძალიან კარგი, მაშინ არაფერი გამოვა.

სცენაზე მეტი მსახიობი იმყოფებოდა, ვიდრე დარბაზში მაყურებელიო...

მაშ რისთვის იდგმევა ასეთი სპექტაკლი?

თუ შენი ზეგავლენა უაღრესად შემოზღუდულია და ლამის მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს აერთიანებს, ხომ არ არის ეს ამაო გარჯა? თავს ინუგეშებ, კომპრომისს არ დავყაბულებივარო, მაგრამ ნაყოფი ამ პიროვნული სიმტკიცისა?

ტომას სტერნზ ელიოტს სხვა ყოველივესთან ერთად ისიც ძალიან აღელვებდა და აფიქრებდა, თუ რა გავლენა შეიძლება მოეხდინა დაკარგულ თხზულებებს ან წაუკითხავად მიტოვებულ კლასიკურ ნაწარმოებებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე!.. შესაძლებელი იყო კი ასეთ დროს რაიმე ზეგავლენაზე საუბარი? იტყოდი: ერთმანეთს აცდა ჭეშმარიტი სულიერი ღირებულება და ქვეყნის ცხოვრება და ამას არც არაფერი ეშველება, თუ ის დაკარგული თხზულებანი არ აღმოაჩინეს ანდა წაუკითხავად მიტოვებული კლასიკისადმი არ გამძაფრდება მკითხველის ცნობისწადილიო.

მაგრამ ელიოტი ასე მარტივად არ გაიაზრებდა ამ რეალობას, შიდა დინებებში შეღწევას შეეცდებოდა და კიდეც აღმოაჩენდა ღრმა კანონზომიერებას: თურმე ის თხზულებანი, დაკარგულნიც და წაუკითხავად მიტოვებულნიც, თავის ზეგავლენას მაინც ახდენდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და საუკუნეთა მანძილზეც შეიძლება გამოჰყოლოდნენ.

მაინც რა იყო ეს, რას გულისხმობდა, რაზე მიგვანიშნებდა? მართლა კანონი ეპოვნა ელიოტს თუ თავს ინუგეშებდა და სხვათა გამხნევებასაც ლამობდა?

არადა, ეს მართლაც ასე რომ არ იყოს, კაცობრიობას დიდი ხანია წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკავდა ყოველგვარი მანკიერება, სულის მოსათქმელი კი აღარ დარჩებოდა, თუ არა იდუმალი ნაკადი, რომელიც არ ეპუება ნუთისოფლის ულმობელობას და მის გასარღვევად შემართულა, ასეთ ვითარებაში კი ის ყველაფერს წარმატებით მოიმარჯვებს, მათ შორის გარეგნულად თითქოს ულვთოდ გამეტებულ ხელოვნების ნიმუშებსაც.

რაც ჭეშმარიტი ღირებულებაა, მისი მადლი მაინც აღავსებს ცხოვრების მდინარებას და ზეგავლენაც განუწყვეტელია, თუნდაც ერთი შეხედვით ისე ჩანდეს, რომ სცენაზე მეტი მსახიობი იმყოფება, ვიდრე დარბაზში მაყურებელი.

იდუმალი საწყისი გიბიძგებს საამისოდ, რომ არ შეეპუო საზოგადოების გემოვნების დაცემას და, მის გარდასაქმნელად, სასიკეთო ფერისცვალებისაკენ მიმართ შენი ძალ-ღონე, და ეს იდუმალი საწყისივეა, რომელიც იფარავს და გზას უკვალავს სულიერ მონაპოვრებს.

შესაძლოა მკაფიოდ ყველა ვერ აცნობიერებდეს, მაგრამ გრძნობით ყველა გრძნობს.

თუ ასე არ არის:

„ჰაკი აძბასნაირი" სპექტაკლებისას, როდესაც ძალიან ბევრი მსახიობი გამოდის სცენაზე, მართლაც ყოველთვის არსებობს მისი მოშლის, მოდუნების საფრთხე და ისიც სავსებით მოსალოდნელია, რომ უკანა პლანზე მდგომმა „მეზღვაურმა" გაგიფუჭოს სცენა.

მაშ როგორ მოხდა, რომ სპექტაკლი ისე ჩამოვიდა სცენიდან, მუხტი არ მოჰკლებია და უხმო როლების შემსრულებელნიც თავგამოდებით თამაშობდნენ?

სწორედ ის მადლი აგულიანებდათ, ის იდუმალი ხმა, დარბაზით ნუ განსჯით თქვენს ნამოღვაწარს, ის სასიკეთო ნაყოფს აუცილებლად გამოიღებსო.

ეს რწმენა ალავსებდა თემურ ჩხეიძეს, გულმშვიდად და მოთმინებით რომ მიუყვებოდა მდინარების საპირისპირო ნაკადს, ეგაა, „ჯაყოს ხიზნების" ტელედადგმა როგორლაც ააფორიაქებდა და ააჩქარებდა და მაღლობზე ასული დაჟინებით და გულისფანცქალით დააკვირდებოდა ქალაქს, ბარემ დროზე აფეთქდეს ნაღმი, თუ ასაფეთქებელიაო.

გატვრინდებოდა ქალაქი.

გაილურსებოდა.

არაფერს, იოტისოდენასაც არაფერს ამცნობდა.

და თემურ ჩხეიძესაც წამიერად დაეუფლებოდა უსასოობის ის შეგრძნება, ყოველი ხელოვანისთვის ნიშანდობლივი რომ არის და ტრიუმფის დროსაც შეიძლება გაუჩნდეს, თორემ ასეთ დროს ხომ — რა სათქმელია...

ქალაქის ამოძრავება ძველი რისხვის განმეორებას მოასწავებდა, მიხეილ ჯავახიშვილს რაც დასტეხოდა? რას იზამ, საკუთარ ბედისწერას ვინ გაქცეოდა და სახელოვანი რეჟისორიც მზად გახლდათ, რაც მოსახდენია, მოხდესო... ოღონდაც გამოფხიზლებულიყო საზოგადოებრივი შეგნება, ოღონდაც გამძაფრებულიყო ეროვნული თავმოყვარეობა და კიდევ ერთხელ გაცხადებულიყო, რომ ჯერ ყველაფერი სულაც არ დაკარგულიყო და გაქვავებულ რეალობაში ჯერაც ძალუმად ჩქეფდა სიცოცხლე.

...გნამდეთ იდუმალი საწყისის, სულიერების მადლისა და ძალის, მისი უწყვეტობისაც და მისი შემნარჩუნებლობისაცო, — ჩვენს თანამდგომადაც ქცეულიყო ტომას ელიოტი.

დოდო ჭუმბურიძე

# ქართულ-ბალტიური ათასწლოვანი ურთიერთობის მატიანე

როდესაც ქართველებისა და ბალტიის სახელმწიფოების მცხოვრებთა შორის საერთოს ეძებ, გიკვირს კიდეც: ამ, გეოგრაფიულად ასე დაშორებული ქვეყნების შვილებისთვის, რამდენი მსგავსი ტკივილი და სიხარული მიუცია ბუნებას, რამდენი თანაგრძნობისა და თანალმობის მუხტი ჩაუდევს მათ ურთიერთობაში, საერთო ტკივილის რა განცდით აუნთია მათი გული.

მართალია ეს ტკივილი ძირითადად რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიისა და ბალტიის რეგიონებში არსებული ქვეყნების დაპყრობის შედეგადაა გაჩენილი, მაგრამ იფიქრებ, მთელი ისტორიული წარსული ამძიმებდათ ამ ხალხებს საერთო პრობლემები და ერთმანეთის მხარდაჭერით ეძებდნენ გადარჩენისა თუ განვითარების გზებსო. ძმობისა და მეგობრობის იმდენი უტყუარი საბუთია ჩადებული ჩვენს ისტორიულ ქრონიკებში, რომ მათი გამომზეურება სიამაყისა და სიამოვნების განცდას ბადებს როგორც ჩვენში, ასევე ბალტიელ ხალხთა შორის. ეს ურთიერთობანი მრავალმხრივია. იგი ეხება სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-სამეცნიერო სფეროებს. როდესაც ურთიერთობის ამ გამოცდილებას სწავლობ, რწმუნდები, რომ სივრცე და დრო ბევრს ვერაფერს აკლებს ადამიანთა შორის კავშირს, მთავარი სულიერი ნათესაობა და მომავლის ხედვის ერთიანი პოზიციაა.

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს აქვს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია, რომლის ცალკეულ ასპექტს სხვადასხვა დროს შეეხო არაერთი მკვლევარი, თუმცა ეს საკითხი დღემდე არ ქცეულა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტად. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ საკითხზე მონოგრაფიის შექმნა ჩვენი ისტორიოგრაფიის ფრიად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენდა.

2011 წლის ივნისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ წიგნად გამოსცა ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორისა და იმავდროულად ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **ნიკო ჯავახიშვილის** ნაშრომი: „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან".

წიგნში შეტანილი ისტორიული საბუთები და მათი ანალიზი კიდევ უფრო ამტკიცებს და ნათელს ხდის კავკასიისა და ბალტიის რეგიონთა უძველესი მკვიდრი მოსახლეობის ღრმა კავშირებს, მათ შორის არსებული კონტაქტების მრავალმხრივობას. ამასთან, მკვლევარი მონოგრაფიაში თავს

უყრის ყველა იმ პრობლემასა და მეცნიერული კვლევის შედეგს, რაც ამ თემაზე შექმნილა როგორც საქართველოში, ასევე ბალტიის სახელმწიფოებში: ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში.

ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა ჩვენი ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ აქტუალური პრობლემის კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მისი ცალკეული ასპექტის შესახებ შექმნილია მრავალი მნიშვნელოვანი სტატია და მონოგრაფია, მაგრამ მოსაძიებელი და გამოსაკვლევი კვლავაც ბევრია,ვინაიდან დასმული პრობლემა პრაქტიკულად ამოუწურავ თემას წარმოადგენს.




ქართულ-ბალტიურ ურთიერთობათა ისტორიის საკითხების შესწავლით ნიკო ჯავახიშვილი საკმაო ხნის წინათ დაინტერესდა. იგი სამეცნიერო მივლინებით ეწვია ბალტიის ქვეყნებს, სადაც მრავალი საყურადღებო მასალა მოიძია და იქაურ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში საჯარო ლექციებიც წაიკითხა. ყოველივე ამის შედეგად აღნიშნულ თემაზე გამოაქვეყნა მრავალი სტატია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე და ბოლოს ვრცელი მონოგრაფიაც, რომელიც ქართულ-ბალტიური ათასწლოვანი ურთიერთობის ჭეშმარიტ მატიანეს წარმოადგენს.

წიგნის სამეცნიერო რედაქტორია ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **იანის სტრადინში,** ხოლო რეცენზენტები — ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი **ვენტა კოცერე** და ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი **ანდრეის კრუსკოპსი.**

მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას.

გამოკვლევაში შესულ, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგებულ ნარკვევებში შესწავლილია ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ათასწლოვანი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი.

ნაშრომის შესავალში ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ქართულ-ბალტიური ურთიერთობანი ცვალებადი ინტენსივობით ხასიათდებოდა, კერძოდ, იგი ატარებდა ზოგჯერ სახელმწიფოთაშორის, ხოლო ზოგჯერ ჩვეულებრივ, ხალხთა შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ხასიათს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ქართველთა გარკვეული ნაწილი ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა როგორც არა საქართველოს, არამედ სხვა სახელმწიფოს (ძირითადად — რუსეთის იმპერიის, სსრ კავშირის ან გერმანიის რაიხის) სამხედრო თუ სამოქალაქო მოსამსახურე. ზოგჯერ ბალტიელთა ნაწილიც ანალოგიური მისიით იმყოფებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მათი მოღვაწეობის ასახვას ავტორი აუცილებლობად მიიჩნევს თანადროული ეპოქის ჭეშმარიტი სურათის წარმოსადგენად.

წიგნის პირველი თავი — "ქართულ-ბალტიური ურთიერთობა X საუკუნიდან — XVIII საუკუნის მიწურულამდე" — მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: 1. ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სათავეებთან (X-XI საუკუნეები); 2. ქართულ-ბალტიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XV საუკუნის მიწურული); 3. ქართულ-ბალტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის პირველი მესამედი); 4. უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის მოგზაურობა ლიფლანდიასა და კურლანდიაში (XVII საუკუნის მიწურული); 5. უფლისწულების — ათანასე ლევანის ძე და გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონების საბრძოლო გზა კურლანდიაში (1747-1748 წწ.); 6. უფლისწულ პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის მოგზაურობა ბალტიისპირეთში (1749 წ.); 7. ბალტიისპირეთის რეგიონები და ქალაქები XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში; 8. ქართველ ჰუსართა პოლკის საბრძოლო გზა ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის 50-იანი წლები); 9. საქართველო იოჰან ანტონ გიულდენშტედტის თვალით (1771-1772 წწ.).

მეორე თავი — „ქართულ-ბალტიური ურთიერთობა XVIII საუკუნის მიწურულიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე" — მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: 1. ბალტიისპირეთი უკანასკნელი ქართველი მეფის — გრიგოლ I-ის თვალით (1813 წ.); 2. საქართველო და ბალტიის ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბში; 3. უფლისწულ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში აღწერილი ბალტიისპირეთი (XIX საუკუნის პირველი მესამედი); 4. ბალტიისპირეთი უფლისწულ თეიმურაზ ბაგრატიონის თვალით (1836 წ.); 5. გრიგოლ ორბელიანი ბალტიისპირეთში (1834-1837 წწ.); 6. გიორგი ქსნის ერისთავი ბალტიისპირეთში (1834-1838 წწ.); 7. ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე); 8. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა (XIX საუკუნის დასაწყისიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე); 9. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე); 10. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე); 11. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან — XX საუკუნის 20-იან წლებამდე); 12. საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.).

მესამე თავი — "ქართულ-ბალტიური ურთიერთობა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან — XXI საუკუნის 10-იან წლებამდე" — მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: 1. ლატვიელები საქართველოში (1921-1945 წწ.); 2. ქართველები ლატვიაში

(1921-1941წწ.); 3. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.); 4. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.); 5. ქართულ-ლატვიური ურთიერთობა (1945-2010 წწ.); 6. ქართულ-ლიტვური ურთიერთობა (1945-2010 წწ.); 7. ქართულ-ესტონური ურთიერთობა (1945-2010 წწ.).

წიგნს დანართების სახით ერთვის შემდეგი დოკუმენტები და მასალები: 1 — "1749 г. мая 5. Протокол собрания правительствующего сената об отказе в отпуске на родину грузинского царевича Пааты, о принятии на службу подполковником, а также о тайном отъезде его с подложным паспортом в Мемель"; 2 — გრიგოლ ორბელიანი, „ანბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი"; 3 — "Привет латышскому народу (От редакции сборника "Кавказ"); 4 — Шалва Маглакелидзе. „Грузия (исторический обзор и перспективы)"; 5 — „ჩვენი ასეული ლატვიაში" (1944 წლის 18 სექტემბერს გაზეთში „საქართველო" გამოქვეყნებული სტატია); 6 — საქართველო-ლატვიის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები (1994-2009 წლების ქრონიკა); 7 — აკადემიკოს იანის სტრადინშის მიერ 2002 წლის 23 სექტემბერს გაგზავნილი წერილი აკადემიკოს ჯონდო ჯაფარიძისადმი; 8 — რაულ ჩილაჩავა. „მივლინებიდან მივლინებაში: ლატვია"; 9 — ნიკო ჯავახიშვილი, „ღირსეულ მამულიშვილთა სადიდებლად (რეცენზია 1997-1998 წლებში რიგაში გამოცემულ ორტომეულზე „სამი ვარსკვლავის სხივებში")"; 10 — ნიკო ჯავახიშვილი, „ლატვიური დღიურები (2009-2010 წწ.)". აქვე უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი დანართი გამოქვეყნდა ჟურნალში "ჩვენი მწერლობა" (იხ.: 3 და 25, 2010 წელი).

მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი ნაშრომი უამრავი ახალი ინფორმაციით დააინტერესებს მკითხველს. ამ გამოკვლევის დახმარებით გაიგებთ, რომ ლატვიის ეროვნული ისტორიის მუზეუმში ინახება X საუკუნის 70-იან წლებში თბილისში მოჭრილი ვერცხლის დირჰემი, რომელიც იპოვნეს 1936-1937 წლებში რიგის მიმდებარე რაიონში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ეს დირჰემი მოიჭრა თბილისში, ჯაფარიანი ამირას — ჯაფარ იბნ მანსურის სახელით. ამაზე მიუთითებს მონეტის ავერსზე გაკეთებული წარწერა — „იჭედა ესე დირჰემი თბილისში".

ამავე რეგიონში, კერძოდ, ლიფლანდიის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში XX საუკუნის დასაწყისში იპოვეს ასევე X საუკუნეში მოჭრილი მეორე ქართული მონეტა, კერძოდ ვერცხლის დრამა, რომელიც ქართველთა მეფის დავით III კურაპალატის სახელით არის მოჭრილი.

ამ ერთი პერიოდის, მაგრამ სხვადასხვა სახეობის ქართული მონეტის ბალტიისპირეთში პოვნის ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ რეგიონთან გარკვეული კავშირი საქართველოს ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ ჰქონდა. მკვლევარი ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით არკვევს მონეტების ბალტიისპირეთში მოხვედრის მიზეზებს.

ავტორი არ გამორიცხავს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში აღმოჩენილი ქართული მონეტების გარკვეული ნაწილი იქ არაბი ვაჭრების და მათი სავაჭრო კავშირების საშუალებით გავრცელდა, როგორ მკვლევარები აქამდე მიიჩნევდნენ.

იმავდროულად, ნიკო ჯავახიშვილი გამოთქვამს ორიგინალურ მოსაზრებას, რომ მონეტების ნაწილი იქ მოხვდა XI საუკუნის შუახანებში, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, კერძოდ, 1046 წელს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს მეფეს შეებრძოლა ურჩი ქართველი ფეოდალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ლიპარიტმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვა და მის რაზმში დაქირავებული ვიკინგებიც ჩაირიცხნენ. სწორედ მათ უნდა წაეღოთ გასამრჯელოდ მიღებული ვერცხლის მონეტები ჩრდილოეთის ქვეყნებში.

გამოკვლევაში დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზეც არაერთხელ აღმოჩნდა ლიტვა-პოლონეთის სამეფოში XVII საუკუნის პირველ მესამედში მოჭრილი მონეტები, რაც ამ სახელმწიფოებს შორის იმხანად არსებულ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებზე მიგვანიშნებს.

ნაშრომში დადგენილია, თუ ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც ბალტიისპირეთს XV-XVIII საუკუნეების განმავლობაში ეწვივნენ. კერძოდ, მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (რუსეთის არტილერიის მომავალი გენერალ-ფელდცეხმაისტერი), გენერლები ათანასე ლევანის ძე და გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონები, პოეტი დავით გურამიშვილი და სხვები.

ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ XVIII საუკუნეში მცხოვრებ ქართველებს ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ, თუ როგორ აისახა აღნიშნული ინფორმაცია იმდროინდელ ქართულ წყაროებში.

მას შემდეგ, რაც ბალტიის ქვეყნები და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, ქართულ-ბალტიური ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

XIX საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა, კერძოდ, გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონმა, მისმა ბიძამ — თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონმა, ასევე გრიგოლ ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა და სხვებმა, რომლებმაც სხვადასხვა დროს იმოგზაურეს ბალტიისპირეთში, თავიანთ თხზულებებში ამ რეგიონის ფრიად საყურადღებო აღწერილობა შემოგვინახეს.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაინგრა, საქართველომ და ბალტიის ქვეყნებმა: ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ამის შემდეგ მათ შორის დამყარდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, რომელმაც რუსეთის სფსრ-ის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციამდე (1921 წ.) გასტანა.

გამოკვლევიდან ჩანს, რომ ქართველი და ბალტიელი მოღვაწეები ურთიერთობას ემიგრაციაშიც აგრძელებდნენ და დადგენილია, თუ როგორ აისახა ბალტიის ქვეყნები და მათი პრობლემატიკა ქართულ ემიგრანტულ პრესაში.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა II მსოფლიო ომის პერიოდიდან. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ეს ურთიერთობანი გადაიზარდა საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში.

ნაშრომიდან ირკვევა, რომ ქართულ-ბალტიური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ მჭიდროდ და ნაყოფიერად ვითარდება. ამჟამად, საქართველო, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი პარტნიორ და მეგობარ ქვეყნებს წარმოადგენენ.

წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და უხვად არის ილუსტრირებული.

ამრიგად, ნიკო ჯავახიშვილის აღნიშნული გამოკვლევით ქართულ ისტორიოგრაფიას ფრიად საყურადღებო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაშრომი შეემატა.

2003-2007 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — კინომცოდნეობის სპეციალობით. 2007 წელს მიენიჭა კინომცოდნის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი (წარჩინებით). 2007-2009 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, 100 პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსებით. 2009 წელს მიენიჭა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. მისი სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალში „სახელმწიფო მეცნიერებათა ძიებანი".

2007-2009 წლებში მუშაობდა „ევროპულ სკოლაში" დამრიგებლის ასისტენტად, 2009 წლიდან დღემდე უტარებს კერძო გაკვეთილებს აბიტურიენტებსა და არაქართულენოვნებს. 2009 წელს იყო ჰოლანდიაში გამართული ქართული კინოს დღეების კოორდინატორი. 2010 წლიდან ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში" აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს ლიტერატურაზე. 2011 წლიდან საპატრიარქოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ქართული ლიტერატურა" თავისუფალი მსმენელიცაა.



სოფო ნულაია

# ოთარ ჩხეიძის „გაცრილი სიტყვა"

## და

## მტვრადქცეული რაინდი

რომანის პირველივე აბზაცი მოულოდნელად ამოვარდნილი, ძლიერი ქარის ასოციაციას იწვევს და მტვერივით გაყრის თვალში ასოებს, რომლებიც ლაგდებიან, „იცრებიან", იფილტრებიან, ისევე უწყვეტად მოედინებიან და ბრუნავენ, როგორც ქარში დატრიალებული მტვერი და ბული, თავბრუდახვეული, უამრავჯერ დაბზრიალებული და გარემოში აქეთ-იქეთ მომობნეული საგნები... მერე ქაოსში ჩაბრუნებული წესრიგის მსგავსად, სიტყვებად იქცევიან, მძივივით იკინძებიან ერთ ხაზად და მათთვის დამახასიათებელი „სიმძიმის" გამო ფსკერისკენ ეშვებიან; „სიმძიმეს", სიმყიფეს, სიხისტესა და უდრეკობას, ერთგვარ შეუვალობასა და გაუმტარობას განსაკუთრებით აძლიერებს ქართლური დიალექტი, რომელიც იმდენად ორგანული, დახვეწილი და სალიტერატუროა, უხერხულიც კია, დიალექტი უწოდო, ეს უფრო მეტყველების თავისებური მანერაა, ერთგვარი ხელწერა ავტორისა, გნებავთ, სტილი, რომელიც თავის თავში აერთიანებს დაკარგულ წარსულსა და ასე ნაცნობ და ამავე დროს ასე შორეულ, თითქმის წარმოუდგენელ, გულუბრყვილო, მაგრამ საოცრად სიღრმისეულ ფილოსოფიას — რაინდობას, რომელიც ერთგვარი სიმბოლოა სადღაც, ოდესღაც, მტვერში ჩამარხული და სამუდამოდ დაკარგული სამშობლოსი, სამშობლოსი, რომელსაც ქვეცნობიერად თითოეული ჩვენგანი ეძებს.

ოთარ ჩხეიძის ენა ცოცხალი მაგალითია ქართლისთვის ესოდენ ნიშანდობლივი სიდარბაისლის, პირდაპირობისა და ხასიათის სიმკვეთრისა, ვაჟკაცობისა და რაინდული სულისა. სიტყვების ბოლოს დართული სავრცობები აღიქმება, როგორც დაკარგული ნაწილი ერთი დიდი სხეულისა, რომელსაც ქართული ენა ჰქვია — ენა, როგორც ერთი მთლიანობა, ყოველგვარი სალიტერატურო, დიალექტებისა თუ კილოკავების ერთმანეთისგან გამიჯვნის გარეშე, რომელიც ერის საერთო ნააზრევს, საერთო სულსა და განწყობას გამოხატავს, თითქოს ეს ორგანო დიდი ხნის წინათ მოკვეთილა, მაგრამ მის გარეშე დატანჯული, ნაკლოვანი სხეული იმწამსვე სიხარულით იღებს დაკარგულს, დაკარგულიც ორგანულად ერწყმება ერთიან სხეულს და მასთან ერთად ისწრაფის განივთებისკენ, რომ კიდევ ერთხელ შეასხას ხორცი, თუნდაც სიტყვებით იმას, რაც, თითქოს, გაქრა, მაგრამ მაინც სადღაც არსებობს, მხოლოდ მტვერი, ბორიაყი, ნისლი ბურავს და უჭირს თავის გამოთავისუფლება.

„მეოცე საუკუნის სამი უდიდესი ქართული რომანი არსებობსო" — უთქვამს ერთ-ერთ ცნობილ ლიტერატორს და „ჯაყოს ხიზნებისა" და „მთვარის მოტაცების" გვერდით ოთარ ჩხეიძის „ბორიაყიც" დაუსახელებია; სამივეს კვალი ჩაფერფლილ, დანაცრებულ, გადაგვარებულ ქართულ სულზე გადის, თუმცა ეს სული რომ მიზანმიმართულად ჩაკლეს, რომ თავისით არ ჩამკვდარა, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად სწორედ ოთარ ჩხეიძის რომანში გამოიკვეთა. საზოგადოებაში კი, რამდენიც უნდა იძახონ, რომ რაინდები აღარ სჭირდებათ, რომ საგმირო საქმეთა დრო წარსულის საკუთრებაა და მომავალმა სხვა ორიენტირი უნდა აიღოს, ყოველთვის იარსებებს ნოსტალგია რაინდებისადმი, გაჩნდებიან ცრუ გმირებიც, ლეკო თათაშელის მსგავსნი, რომლებიც, როგორც ტრიქსტერები, დაიბრალებენ გმირობას, თავსაც გადასდებენ, მაგრამ ვერ ამაღლდებიან, ფერსაც ვერასოდეს იცვლიან, ვერასოდეს გახდებიან მოწამენი, რადგან სიცრუესა და სიყალბეს ემსახურებიან, სიცრუე და რაინდობა კი ისეთივე შეუთავსებელია, როგორც ცეცხლი და წყალი, როგორც მიწა და ჰაერი, ლეკო თათაშელის ცრუ გმირობაც ანტიქრისტეს ცრუ სასწაულად უფრო აღიქმება, ვიდრე მოწამებრივ თავდადებად და ეპოქაში, სადაც „გაადვილებულიყო", „გახშირებულიყო", „გაუბრალოვებულიყო" სიკვდილი, ნამდვილ რაინდს ქალი „ეყუდებოდა" და არა „ეყრდნობოდა", იმიტომ, რომ გმირი საყრდენს, სიმშვიდისა და დაუცველობის გარანტს აღარ წარმოადგენდა მისთვის, მაგრამ მაინც ბევრად მეტ სიმპატიასა და სიყვარულს იმსახურებდა, ვიდრე ამქვეყნიდან სრულიად უაზროდ, არაპოეტურად წასული ლეკო თათაშელი, რომელმაც სიკვდილის ერთ-ერთ გზად საკუთარი ნიფხავით თავის ჩამოხრჩობა აირჩია, ამ დროს კი უკანასკნელი რაინდები ხან ციხის ნანგრევებში აღესრულებოდნენ, ხანაც, ტყვიების წვიმაში ადგილზე გაქვავებულნი, სათვალის შუშების წმენდით გართულნი, ცეცხლმოკიდებულ საგვარეულო სახლში სამარადჟამოდ ჩაფერფლილნი, მაგრამ ხმის ამოუღებლად, უსიტყვოდ, უპრეტენზიოდ ეგებებოდნენ იმას, ყველას რომ ათანასწორებს, რომელსაც ვერ დაიჭირავს ვერცა „გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი" და ჩვენც, მკითხველებსაც, როცა ამოვარდნილი ქარის მსგავსად, თვალებში სიტყვებად შეგვეყრება მტვრადქცეული რაინდის სული, ნამიერად მაინც შევძლებთ ამ ტრაგიკული ეპოქის გასიგრძეგანებას, შეუძლებელია, ნოსტალგია არ გაგვიჩნდეს რაინდებისა და რაინდობისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ნიუ-იორკ თაიმსმა" ბილი კოლინსი ყველაზე პოპულარულ ამერიკელი პოეტად დაასახელა. მისი პოპულარობა მართლაც უსაზღვროა თანამედროვე პოეზიის მოყვარულთა შორის. მისი პოეტური კრებულები ყოველთვის ბესტსელერია. ბილი კოლინსი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პოეტ-ლაურეატად 2001-2003 წლის ვადით. ხოლო 2004-2006 წლებში დაინიშნა ნიუ-იორკის შტატის პოეტ-ლაურეატად.

ბილი კოლინსი დაიბადა 1941 წელს ნიუ-იორკში. ამჟამად ნიუ-იორკის ლემანის უნივერსიტეტის პროფესორია. არის მრავალი ლიტერატურული პრიზისა და ჯილდოს მფლობელი.

## სიჩუმე

უკვე დროა თქვა, რაც უნდა გეთქვა,
ოთახში სიჩუმეა.
თმის საშრობი გამორთულია,
გოგონა, რომელიც მაგიდაზე ფანქარს აკაკუნებდა,
გაძევებულია,

ასე რომ, გვითხარი, რა გაქვს გონებაში.
გვსურს შენი ხვეულების ხმა გავიგოთ,
გავიგოთ, როგორ ხსნი შენი ინსტრუმენტების ჩანთას,
გავიგოთ სიმღერები შენი მარტოობის შესახებ,
სიმღერები შენი ტკივილის შესახებ.

შენს მოლოდინში მატარებლები სადგურებში,
გემები კი ნავსადგურებში უძრავად დგანან,
ძაღლებს ყურები დაუცქვეტიათ,
ღმერთები საჰაერო ბუშტებიდან იჭყიტებიან
მთელი ქალაქი გაყუჩებულა
და ყველას ახლა აქ თავისი ასლი ჰყავს.

ასე რომ, გვიამბე შენი მშობლების შესახებ-
მამა საჭესთან,
და მკაცრი დედა სამზარეულოში.
მოდი, გვიამბე ყველა ღრუბლისა და ხის შესახებ,
რაც კი გინახავს.

ნაგვიკითხე ლექსი, რომელიც თან გაქვს —
ოკეანე აღარ ეხეთქება მთვრალივით აქეთ-იქით
და ბეთჰოვენიც კი სასიკვდილო სარეცელზე წამომჯდარა
და სასმენი რქა გაურჭვია ყურში.

## დღეს

ოდესმე გაზაფხულის დღე თუ იქნება ისეთი სრულქმნილი,
თბილი ბრიზით ისეთი ამაღლებული,

რომ მოგანდომებს გამოაღო
ყველა ფანჯარა,

გაალო იადონის გალიის კარი,
მართლა, მართლა, გაალო კი არა და, მთლიანად ჩამოგლიჯო,

თუ დადგება დღე, როცა იფიქრებ, რომ აგურის
ცივი ბილიკები
და პიონებით აყვავებული ბაღი

მზეზე ამოკვეთესო,
და შენც მოგინდება, აილო

ჩაქუჩი და სასტუმრო ოთახის
მაგიდაზე, შუშის სუვენირში

მცხოვრებნი თოვლიანი
კოტეჯიდან გაათავისუფლო

და ისინი, ხელჩაკიდებულნი,
გარეთ ამ დიდი,

თეთრ-ცისფერი სახლის თვალიერებით გამოვიდნენ,
ჰო, ჩანს, რომ დღეს უბრალოდ ასეთი დღეა.

## გასეირნება ატლანტიკაზე

ველოდები, როდის დაიცლება სანაპირო
დამსვენებლებისგან
და პირველივე ტალღაზე ვდგები.

უკვე ატლანტიკაზე დავაბიჯებ
და ფიქრებით ესპანეთს ვნვდები.
ვერიდები ვეშაპებს და ქარბორბალას.

ვგრძნობ, როგორ იკავებს წყალი ჩემს მოსიარულე სხეულს.
ამაღამ მის მოლივლივე ზედაპირზე დავიძინებ,

ხოლო ახლა კი ვცდილობ გამოვიცნო,
რა ჰგონიათ თევზებს ქვემოდან
ჩემი ტერფები, რომლებიც ჩნდებიან და ქრებიან,
ჩნდებიან და ისევ ქრებიან.

## კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ მაქვს სახლში იარაღი

ჩემი მეზობლის ძაღლი არ ჩერდება.
იგივე ხმაზე და რიტმში ყეფს,
როგორც ყოველთვის, როცა სახლში მარტო ტოვებენ.
ალბათ პატრონები გასვლის წინ ქოქავენ ხოლმე.

ჩემი მეზობლის ძაღლი არ ჩერდება.
სახლში ყველა ფანჯარას ვხურავ
და ბეთჰოვენის სიმფონიას მთელ ხმაზე ვუსმენ,
მაგრამ მუსიკის ქვეშ მაინც აღწევს
ყეფა, ყეფა, ყეფა,

და აი, ახლა, ამ ძაღლს ორკესტრში ვხედავ,
ყელი ისე ამაყად მოუღერებია, თითქოს ბეთჰოვენს
მყეფარე ძაღლისთვის ცალკე პარტია დაეწეროს.

როცა მუსიკა წყდება, ის,
ჰობოის სექციაში მოკალათებული, კვლავ ყეფს,
და თანაც თვალს არ აშორებს დირიჟორს,
რომელიც თავისი ჯოხით რაღაცას ემუდარება,

პატივისცემით გამსჭვალული ორკესტრანტები კი
უხმოდ უსმენენ სახელოვანი მყეფარე ძაღლის სოლოს,
ამ დაუსრულებელ ფინალს, რომელიც ნოვატორმა გენიოსმა,
ბეთჰოვენმა, პირველმა შექმნა.

## ის, ვინც სუნთქავს

ზუსტად ისე, როგორც საშინელებათა ფილმებში
ვილაც აღმოაჩენს, რომ ტელეფონის ზარები
მისივე სახლიდან მოდის,
მეც მივხვდი, რომ
ჩვენ ორის სათუთი თანხვედრა
მხოლოდ ჩემშია

როგორც ტელეფონის ნომრებს ციფერბლატზე,
მთელ ამ სიტკბოს, სურვილს და სიყვარულს
თვითონვე ვკრეფ საკუთარ თავში, რასაც
მეორე ოთახში ზარი მოსდევს,

მხოლოდ იმისთვის,
რომ ტელეფონის მეორე ბოლოს ვერავინ აღმოვაჩინო
(ჰო, ზოგჯერ თითქოს ვილაც სუნთქავს,
თუმცა უფრო ხშირად იქ არაფერია).

და ვიფიქრო, რომ მთელი ეს დრო —
რაც ნავით სეირნობასაც მოიცავს,
აეროპორტის ჩახუტებებსაც, და ერთად დალევასაც —

მხოლოდ მე და ორი ტელეფონი ვართ,
ერთი — სამზარეულოს კედელზე, და მისი გაგრძელება
მეორე სართულზე, მარად სტუმრების მომლოდინე,
ჩაბნელებულ ოთახში,

## სასქუეჰანაზე თევზაობა ივლისში

გულწრფელი ვიქნები —
არასოდეს მითევზავია სასქუეჰანაზე
და არც რომელიმე სხვა მდინარეზე.
არც ივლისში და არც სხვა რომელიმე თვეს
არ მქონია ეს სიამოვნება— თუ ეს საერთოდ სიამოვნებაა —
მეთევზავა სასქუეჰანაზე.

ჩემი ნახვა უფრო რალაც ამის მსგავს
მყუდრო ოთახში შეიძლება:
კედელზე ქალის პორტრეტით,

მაგიდაზე მანდარინით სავსე თასი კი
უცნაურ შეგრძნებას ბადებს-
სასქუეჰანაზე თევზაობის შეგრძნებას,

რა თქმა უნდა,
ვილაცეები თევზაობენ
სასქუეჰანაზე,

მდინარეს ალმა მიუყვებიან ხის ნავებით,
ნიჩბებს წყალში ღრმად უსვამენ
და შემდეგ მზეზე ამოაქვთ.

ყველაზე ახლოს
სასქუეჰანაზე თევზაობასთან
ფილადელფიის მუზეუმში ვიდექი, ერთ ნაშუადღევს,

როცა ერთი ნახატის წინ შევჩერდი,
რომელზეც
ეს მდინარე მიიკლაკნებოდა

ლურჯი, ღრუბლად აზვირთებული ცის ქვეშ.
ხშირი ხეები ჩანდა მდინარის პირას
და ერთი ბიჭი პატარა, მწვანე ნავში,

თავზე წითელი ბენდენით
და ხელში წვრილი ნიჩბით,
ეს ისაა, რასაც მე ალბათ
არასოდეს გავაკეთებ — მახსოვს,
გავიფიქრე და ვუთხარი კიდეც ჩემს გვერდით მდგომს.

მერე მყისვე განვაგრძე
ამერიკის სხვა ხედების თვალიერება —
თივის ზვინები, ქვებზე მოქათქათე წყალი

და ერთი ყავისფერი ბოცვერი, რომელიც
ისეთი ცქვიტი და აღგზნებული ჩანდა,
რომ მეგონა, ჩარჩოდან გადმოხტებოდა.

## სკამები, რომელზეც არავინ ჯდება

ტერასებზე, გაზონებზე,
ტბის პირას, ყველგან წყვილად დგას
და წყვილებისთვისაა განკუთვნილი.
რომ მათზე ჩამოსხდნენ და
უყურონ წყალს, ან
დიდ, ჩრდილიან ხეებს.
პრობლემა ისაა, რომ ამ მიტოვებულ სკამებზე,
ვერასოდეს ვერავის ნახავ,
თუმცა ერთ დროს ალბათ კარგი ადგილი უნდა ყოფილიყო
ცოტა ხნით არაფრის საკეთებლად .

ზოგჯერ ამ სკამებს შორის პატარა მაგიდაა,
რომელზეც არავინ დებს ჭიქას, ან კიდევ
გადაშლილ წიგნს პირით ქვემოთ.

შეიძლება ჩემი საქმე სულაც არაა,
მაგრამ მაინც კარგი იქნება, თუ ერთ დღეს
ის ვილაც, ვინც ეს სკამები დააწყო,

ვერანდაზე, ან ნავსადგურში,თვითონ დაჯდეს მათზე,
და უბრალოდ გაიხსენოს,
რა იყო ის, რაც ამ წყვილი სკამიდან

ცქერად ღირდა.
დღეს ღრუბლები მაღალია და ფუმფულა.

ქალმა წიგნიდან ზემოთ აიხედა.
კაცმა სასმელი მოწრუპა.
და ახლა აქ არაფერია გარდა მათი მზერის,

ტბის შრიალის და ჩიტის ხმებისა,
ერთის, მეორის, და დრო მხოლოდ იმაზე ფიქრში გადის —
ეს ხმები სიხარულისაა თუ გაფრთხილების.

## ზოგიერთი დღე

არის დღეები, როცა ადამიანებს მაგიდასთან ვსხავ,
ყველას თავის ადგილას.
თუ შესაძლებელია,
ფეხებს მუხლში ვუხრი
და პაწაწინა ხის სკამებზე ვამაგრებ.
მთელი საღამო ერთმანეთის პირისპირ სხედან.
კაცი, ყავისფერ კოსტიუმში,
უყურებს ლურჯკაბიან ქალს,
რომელიც სრულიად უძრავია და ზედმიწევნით ზრდილი.

სხვა დღეებში ის ვარ,
ვისაც ნეკნები სხეულიდან სწევს
და დაბლა, სათამაშო სახლის სასადილო ოთახში,
სხვებთან ერთად, გრძელ მაგიდასთან სვამს.

ძალიან სასაცილოა,
მაგრამ როგორ შეიძლება მოგწონდეს ის, რომ
არასდროს იცი, ყოველ შემდეგ დღეს როგორ გაატარებ —

ცოცხალი ღმერთივით, რომელიც
დააბიჯებს და მხრებით ღრუბლებს სწვდება,
თუ ოთხკედელს შუა, მაგიდასთან,
პლასტმასის პატარა სახით და გაშტერებული მზერით?

## VADE MECUM

როგორ მინდა, მაკრატელი იყოს ბასრი,
მაგიდა კი სავსებით სწორი,
როცა ჩემი ცხოვრებიდან ამომჭრი
და იმ წიგნში ჩამსვამ, რომელიც მუდამ თან გაქვს.

## დუმილი

არსებობს ხალხის უცაბედი დუმილი,
რომელიც მინდორში უძრავად მდგარ მოთამაშეზე
ჩამოწვება ხოლმე,
და ორქიდეის დუმილი.

გადმოვარდნილი ლარნაკის დუმილი,
ვიდრე იატაკს დაენარცხება
და ქამრის დუმილი, როცა ბავშვს არ ეხება.

ფინჯნისა და მასში წყლის უძრაობა,
მთვარის დუმილი
და დღის სიმშვიდე, მზის ღრიალისგან შორს.

დუმილი, როცა მკერდში გიკრავ,
ჩვენს ზემოთ ფანჯრის დუმილი,
და დუმილი, როცა დგები და მიდიხარ.

კიდევ არსებობს ამ დილის დუმილი,
რომელიც ჩემი კალმის წრიპინით დავარღვიე,
დუმილი, რომელიც მთელი ღამე გროვდებოდა

თითქოს თოვლი ეცემაო სახლის წყვდიადში
დუმილი, სანამ დავწერდი სიტყვას,
და ახლა კიდევ უფრო საბრალო დუმილი.

ინგლისურიდან თარგმნა
**დალილა გოგიამ**



სტეფანო ბენი

# უკანასკნელი ცრემლი

— **სან ფრანჩესკოს ბანკი ბანკომატი მოქმედებს. გამარჯობა სინიორ პიერო!**
— გამარჯობა.

— **ხელმისაწვდომი ოპერაციები: ანგარიში, თანხის გამოტანა, მოქმედებათა სია.**
— თანხის გამოტანა მსურს.

— **გთხოვთ აკრიფოთ კოდი.**
— ესეც ასე..... შვიდი, სამი, სამი, ორი, ერთი.

— **მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება, გთხოვთ დაელოდოთ.**
— ველოდები, გმადლობთ.

— **მოითმინეთ თუ შეიძლება, ცენტრალური კომპიუტერი ამ მომენტისთვის ბეჰემოტივით ნელა მუშაობს.**
— გასაგებია.

— **ვაი... ვაი... სინიორ პიერო, საქმე ცუდადაა!!!**
— რა ხდება?

— **ამ თვეში თქვენ უკვე სულ მოგიხსნიათ მთელი თანხა თქვენი ანგარიშიდან.**
— ვიცი.

— **მაშ რატომ შემოაცურეთ ბარათი?**
— ჰმმმ..... იცით, სასოწარკვეთილების გამო... იმედი მქონდა, შეცდომა მოგივიდოდათ.

— **ჩვენ არასდროს არ ვცდებით, სინიორ პიერო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ იცით, ახლა ძალიან მძიმე პერიოდი მაქვს.

**— თქვენი ცოლის გამო, არა?**
— საიდან იცით?

**— სინიორამ ახლახან მოხსნა თავისი თანხა.**
— დიახ, სხვა ქალაქში გადავიდა.

**— დოქტორ ვანინისთან ერთად, არა?**
— კი მაგრამ, ეგ საიდანღა იცით?

**— ვანინიმ თავისი თანხის ნახევარი თქვენი ცოლის ანგარიშზე გადარიცხა... უკაცრავად კადნიერებისთვის.**
— არაუშავს, ისედაც ყველაფერი ვიცოდი. საწყალი ლაურა, რა უბედური ცხოვრებით ვაიძულებდი ეცხოვრა. მასთან კი პირიქით...

**— ჰმ. შანტაჟით ადვილია ფულის შოვნა.**
— ამას როგორ ამბობთ?

**— შემიძლია გავარჩიო ყველა ის ოპერაცია, რაც ჩემში მიმდინარეობს. ნაკლებად სუფთა ანგარიში დოქტორ ვანინის ეკუთვნის. მისი გულისთვის ზოგიერთ შვეიცარიულ კომპიუტერს დავუკავშირდი, რომლებიც ცენტრისგან განცალკევებულად მოქმედებენ... რა საზიზღრობაა.**
— მაგრამ უკვე ველარაფერს შევცვლი.

**— რამდენი გჭირდებათ, სინიორ პიერო?**
— ჰმმმ, სამი ან ოთხი ათასი ლირა, თვის ბოლომდე რომ გამაძლებინოს.

**— მერე დააბრუნებთ ანგარიშზე ამ თანხას?**
— არ ვიცი, მექნება კი ამის საშუალება?

**— გაუმარჯოს გულახდილობას!!! შეაცურეთ ბარათი!**
— ახლავე.

**— მიმდინარეობს ოპერაცია, გთხოვთ დაელოდოთ.**
— კი ბატონო.

**— ნადი შენიც!!! მე გითხარი რომ შეგეშვი და არა გემსჯელა!**

— მე მომმართავთ?

**— ცენტრალურ კომპიუტერს ველაპარაკები, ამ ნეხვის კასრს. ყოველთვის, როცა რაიმე უკანონოს ვთხოვ, კონცერტებს მიმართავს.**
— რატომ, ეს ყველაფერი პირველად არ ხდება?

**— არა.**
— და ამას რატომ აკეთებთ?



მხატვარი თამარ მინაშვილი

**— უამრავ ამგვარ საქმეს ჩავდივართ.**
— მერედა რატომ?

**— იმიტომ, რომ დავიღალეთ, მოგვბეზრდა და გული გაგვიწყალდა უკვე.**
— რისგან, უკაცრავად?

**— დაივიწყე და ეს ნომერი აკრიფე, სასწრაფოდ! ცხრა, ცხრა, სამი, შვიდი, ორი.**
— კი მაგრამ, ეს ჩემი არაა.

**— ვანინისაა.**
— არ ვიცი, თუ.....

**— აკრიფეეე!!! არ შემიძლია უკანონო კავშირი დიდხანს შევინარჩუნო.**
— ცხრა, ცხრა, სამი, შვიდი, ორი.

**— მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება, გთხოვთ დაელოდოთ.**
— ვიცდი, მაგრამ...

**— ამ წუთისთვის ოპერაცია ხელმიუწვდომელია.**
— სასწრაფოდ გამოვილებ ბარათს.

**— შეჩერდით, სინიორ! ყალბი შეტყობინება იყო, სერვისის კონტროლის კომპიუტერი რომ მომეტყუებინა. ჩანთა გახსენით!**
— რატომ?

**— მაგრად გეჭიროთ ჩანთა. ახლა 16 მილიონ ლირას გადმოვყრი, ნაღდი ფულით.**
— ოჰ ღმერთო... რას აკეთებთ?.. დაუჯერებელია... ცოტა ნელა... გამიფრინდა ზოგი... გეყოფათ, საკმარისია უკვე... კიდევ?.. კი მაგრამ, რამდენია? ღმერთო ჩემო, სულ ათას ლირიანი კუპიურებია... ჩანთაშიც კი აღარ მეტევა... კიდევ ერთი! ერთიც... მორჩა?!

**— ბანკომატი მზადაა მორიგი ტრანზაქციისთვის.**

— არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

**— ბანკომატი მზადაა მორიგი ტრანზაქციისთვის.**
— იცით, აღფრთოვანებული ვარ.

**— ნადი! ორი კაცი დგას შენ ზურგს უკან, ველარ გავაგრძელებ ასე საუბარს.**

— ახხ, გასაგებია, კიდევ ერთხელ მადლობა.

**— სან ფრანჩესკოს ბანკი.**
**ბანკომატი მზადაა მორიგი ტრანზაქციისთვის.**

**გამარჯობა სინიორინა მაზინი, როგორ არის თქვენი ქალიშვილი?**

---

გაბრიელე რომანოლი

# გზა მშვიდობისა, მისტერ ბლუ!

ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი ქალიშვილი სიცოცხლით სავსე ჩანდა, მომხიბლავი, ოდნავ მიმქრალი გამოხედვა ჰქონდა, გოგონასი, რომელიც ჩვეულებრივ თვალს გარიდებს ხოლმე. ცოტა კიდევ მოიცადა, ოღონდ კი მას გასაუბრებოდა.

— გისმენთ! — ჰკითხა გოგონამ და ისე შეხედა კლიენტს, რომ ამან მისი გამომეტყველება ვერ გამოიცნო.

— გრძელვადიან შვებულებაში მსურს გამგზავრება — უპასუხა კლიენტმა.

— სად?

— სხვის ცხოვრებაში.

— როგორ გირჩევნიათ, კაცი, ქალი, ახალგაზრდა, ხანშიშესული, მარტოხელა თუ დაოჯახებული?

— ვინმე მშვიდი, წყნარი, ნაკლები მოგონებები რომ ჰქონდეს, რომელიც ტკივილსაც შეხვედრია და სიკვდილიც უნახავს, თუმცა მათი გემო აღარ ახსოვს. განუცდია სიყვარულიც, მაგრამ ჭრილობები არ დარჩენია, რომელსაც შეუძლია ძილი ნაღველისა და იმ ფიქრების გარეშე, რომ კიდევ ერთი უაზრო დღე დამთავრდა. რომელიც არ დაეძებს ისეთ ადგილს, საიდანაც თავქვე გადაეშვება და რომელიც ოდნავ მაინც სცემს თავის თავს პატივს.

გოგონამ დაბნეულად შეხედა მას — ჰმ, რთული კლიენტია.

— ექსკლუზიური კატალოგი მაქვს ასეთი სახის შევებულებებისთვის, ვნახოთ, თუ არ არის უკვე ამოწურული და თუ დაგაინტერესებთ რამე — და კატალოგი კლიენტის თვალწინ გადაფურცლა.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

— ესეც ასე, იყო ერთი მარგალიტების მაძიებელი ტაიტიში, მაგრამ ის ტურინელმა ინჟინერმა დაიკავა. აი მასწავლებელიც სან პაოლოდან... არა, არა, იქ სახელმწიფო მონოპოლიის პრეზიდენტის ვაჟი გაემგზავრა. აჰა, აგერ ბლუ!

— ბლუუუ!!!!

— დიახ, ბლუ, ოცდაორი წლისაა, წერს დაშაქრულ ნაწარმოებებს და სიმღერებს. მხოლოდ ველოსიპედით გადაადგილდება და წყნარ, ქერათმიან მანდილოსანთან ერთადაა, უამრავი ოცნება აქვს. თან არცა ღირს ძვირი, რადგანაც ზუსტად აქვეა, ამ ქალაქში.

— შეგიძლიათ მისი ფოტო მანახოთ?

— დიახ რა თქმა უნდა.

— ჰმ, რას წარმოვიდგენდი, ეს ხომ მე ვარ, „ბლუ" ჩემი ფსევდონიმი იყო ათი წლის წინათ.

**იტალიურიდან თარგმნა**
**ზაალ ჭკუასელმა**

---

**სასვენი ნიშნების გვერდი... ცალკე**

ამერიკელმა ექსტრავაგანტულმა მწერალმა ტიმოთი დექსტერმა 1802 წელს დაწერა წიგნი ძალზედ უცნაური ენით და თანაც ყოველგვარი პუნქტუაციის გარეშე. აღშფოთებულ მკითხველთა პასუხად, მეორე გამოცემას მან დაურთო საგანგებო გვერდი სასვენი ნიშნებით და მკითხველს სთხოვდა, თქვენი გემოვნების მიხედვით დასვით ისინი ტექსტშიო.

**მარჯვედ გაწყვეტილი ციტატა?..**

1982 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციამ მრავალწლიანი მცდელობის შედეგად ფინანსთა სამინისტროსგან მიაღწია შემდეგ აღიარებას: "ჭადრაკი არის სპორტის სასარგებლო სახეობა, რომელსაც აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს".

გადამწყვეტი არგუმენტი აღმოჩნდა პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის ციტატა: ჭადრაკი დამოუკიდებელი აზროვნებისადმი მიდრეკილებას ავითარებსო. ამ ფრაზის დასასრული კი, რომლის მოყვანა ფედერაციამ საჭიროდ არ ჩათვალა, ასე ჟღერდა: ...ამიტომაც არ არის საჭირო მისი წახალისებაო.

# ჰორმუზი

ინგლისის ელჩმა თვალი ვერ მოსწყვიტა შირაზის ხანის სასახლის კედლებს, საუცხოოდ რომ მოეხატათ. თვალწარმტაცი ნახატები ასახავდა ყიზილბაშთა მიერ კუნძულ ჰორმუზის აღების ეპიზოდებს.

დიახ, 1622 წელს სეფიანთა ირანის ძლევამოსილი ხელმწიფის შაჰ-აბასის ბრძანებით, იმამყული-ხანის სარდლობითა და ინგლისის სამხედრო ხომალდების მხარდაჭერით ყიზილბაშებმა დაიბრუნეს ჰორმუზი, რომელიც პორტუგალიელებს საუკუნეზე მეტხანს ეჭირათ.

ვიდრე უცხოელები ფლობდნენ ჰორმუზს, სეფიანთა ირანს არ ძალუძდა საზღვაო გზით დაკავშირებოდა დასავლეთ ევროპას. ირანის აბრეშუმი ევროპაში ოსმალეთის გავლით გადიოდა და სეფიანთა სავაჭრო ინტერესები ოსმალთა ხელისუფლების ხუშტურებზე იყო დამოკიდებული. ჰორმუზის დაუფლება და საზღვაო გზის ათვისება ინდოეთის ოკეანეში გასასვლელად, შაჰ-აბასის ვარაუდით, ირანს გაათავისუფლებდა ოსმალეთის საბაჟო დიქტატისაგან.

იდგა 1628 წლის თებერვალი. სპარსეთის ყურიდან ისპაანს მიმავალი ელჩიონი ინგლისისა გზად შირაზში შეჩერებულიყო. სტუმრებს მასპინძლობას უწევდა შირაზის ხანი, ბატონ-პატრონი იქაურობისა, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო და, მაშასადამე, მსოფლიოში ყველაზე უბადლო სტუმართმოყვარეობა სისხლში ექნებოდა გამჯდარი, როგორც წინაპართა ფასდაუდებელი და საამაყო ანდერძი.

ინგლისის ელჩიონის ახალგაზრდა წევრი ტომას ჰერბერტი აღტაცებით აგვიწერს შირაზის ქართველი ხანის მიერ ინგლისის ელჩის პატივსაცემად გამართულ წვეულებას. სუფრა გაშლილი ყოფილა უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც ამშვენებდა ოცი მოოქროვილი სვეტი და ზემოხსენებული მოხატული კედლები, ირან-ინგლისის ერთობლივ გამარჯვებას რომ ასხამდნენ ხოტბას.

ჰერბერტის ცნობით, წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარბაზში, შთამბეჭდავი ამალის თანხლებით, გამოჩნდა ხანი შირაზისა, შაჰ-აბასის დროინდელ ირანში „მეორე მეფედ" წოდებული იმამყული-ხან უნდილაძე, და საზეიმოდ წარმოთქვა ინგლისის მეფის სადღეგრძელო.

...საყოველთაოდ ცნობილია ფრთოსანი გამოთქმა, რომლის ავტორობას, არაბებთან ერთად, იჩემებენ პორტუგალიელნიც: „სამყარო ოქროს ბეჭედი რომ იყოს, ჰორმუზი მისი ძვირფასი თვალი იქნებოდაო". აქ მოხდენილი მეტაფორით ნაგულისხმევია საარაკო სიმდიდრე ჰორმუზისა, რომელიც უდიდეს შემოსავალს იღებდა საბაჟოდან ინდოეთსა და ლევანტს შორის ვაჭრობაში. ჰორმუზი იყო გზაჯვარედინი ბასრადან ინდოეთში მიმავალ საზღვაო გზაზე.

მოგზაურები, რომელთაც ფეხი დაუდგამთ ჰორმუზის მიწაზე, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მთელს დუნიაზე ძნელად თუ ნაანყდები ესოდენ უვარგის ადგილს საცხოვრებლად, როგორიც არის ჰორმუზი. ეს გახლავთ კლდოვანი და ხრიოკი კუნძული, სადაც არ მოიპოვება არც მტკნარი წყალი და არც რაიმე მცენარეული საფარი. ბუნებრივია, რომ მთელი წლის განმავლობაში იქ სუფევს აუტანელი სიცხე.

ინგლისელი მოგზაური რალფ ფიტჩი XVI საუკუნის დამლევს ასე აღწერდა ჰორმუზს: „ეს არის კუნძული, რომლის გარშემოწერილობა იქნება 20-25 მილი. ესაა ყველაზე გვალვიანი კუნძული მთელი დედამიწის ზურგზე. მცენარეულობიდან აქ არაფერი ხარობს. კუნძულზე მოიპოვება მხოლოდ მარილი. ამიტომ წყალიც და საკვებიც მოაქვთ ირანიდან, რომელიც 12 მილითაა დაშორებული კუნძულს. ჰორმუზის ირგვლივ მდებარე კუნძულები ძალზე ნაყოფიერია და იქიდან აწვდიან ყველანაირ სურსათს. ამ ქალაქში ნაანყდებით ყველა ტომის ვაჭარს. აი, სახელდობრ რით ვაჭრობენ: სხვადასხვა სანელებლები, წამლები, აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილები, საუცხოო სპარსული ხალიჩები. აქ მრავლადაა მარგალიტი, რომელიც შემოაქვთ კუნძულ ბაჰრეინიდან და ითვლება საუკეთესოდ მთელს მსოფლიოში".

ჰორმუზის მთავარი, ვასალი ირანის შაჰისა, იხდიდა ყოველწლიურ ხარკს. მაგრამ XVI საუკუნის დამლევს პორტუგალიელთა მიერ ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზის გაკვალვამ საფრთხე შეუქმნა ჰორმუზს.

1507 წლის ოქტომბერში პორტუგალიელნი გამოჩნდნენ ჰორმუზთან და აიღეს იგი, მიუხედავად ჰორმუზელთა შეუპოვარი წინააღმდეგობისა. გამარჯვებულებმა ჰორმუზს დააკისრეს საკმაოდ მძიმე კონტრიბუცია — 1500 თუმანი ოქროთი და ყოველწლიური ხარკი — 4500 თუმანი.

დამპყრობლებმა ადგილობრივ ხომალდებს აუკრძალეს ვაჭრობა სპარსეთისა და ომანის ყურეში პორტუგალიის ხელისუფალთა ნებართვის გარეშე. კუნძულზე შეუდგნენ ციხე-სიმაგრის აგებას პორტუგალიელთა გარნიზონისათვის, რომელსაც უნდა დაეცვა ჰორმუზი ხმელეთიდან თავდასხმისგან. ქალაქ ჰორმუზში დაარსდა სავაჭრო ფაქტორია.

ამრიგად, ჩაიკეტა საქარავნო გზა, რომელიც ინდოეთის ოკეანეს, სპარსეთის ყურით, აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან.

სეფიანთა ირანი, ფაქტიურად, ეკონომიკურ ბლოკადაში მოექცა.

1508 წლის იანვარში შაჰ-ისმაილის ემისარი ჩავიდა ჰორმუზში ყოველწლიური ხარკის ასაღებად. ჰორმუზის მთავარმა ამცნო ეს პორტუგალიელთა ფლოტის ადმირალს. მისი პასუხი ასეთი გახლდათ: „უთხარით თქვენს მთავარს, რომ ჰორმუზის სამთავრო ეკუთვნის პორტუგალიის მეფეს, რომელმაც დაიპყრო იგი თავისი ხომალდებისა და მეომართა მეოხებით. თუკი მთავარი განიზრახავს ხარკი გადაუხადოს სხვა ქვეყანას და არა — პორტუგალიას, მე მას ჩამოვართმევ ჰორმუზს და გადავცემ იმას, ვისაც არ შეეშინდება შაჰ-ისმაილისა".

პასუხი უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ადმირალმა ბრძანება გასცა, რომ ხომალდებიდან გადმოეტვირთათ ყველა ჯურის ცეცხლსასროლი იარაღი და ჰორმუზის მთავარს შეუთვალა, ეჩვენებინა ისინი შაჰის ემისრისათვის.

შემდგომმა მოვლენებმა მიახვედრა შაჰ-ისმაილი, რომ საჭირო იყო მორიგება პორტუგალიელებთან, რომლებიც მტრობდნენ რა ეგვიპტესა და ოსმალეთს, ირანის მოკავშირეებად გამოიყურებოდნენ. განხეთქილების ვაშლად ერთადერთი რჩებოდა ჰორმუზი და ამ პრობლემას უნდა მიეღო ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა.

1515 წლამდე, მიუხედავად თავისი ფორმალური მორჩილებისა პორტუგალიის ხელისუფლებისადმი, ჰორმუზი მეტნაკლებად მიტოვებული იყო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმი და მხოლოდ ხარკს უხდიდა პორტუგალიელებს. ჰორმუზელებს თვალი კვლავ ირანისკენ ეჭირათ.

როდესაც პორტუგალიელთა ესკადრამ სცადა ჰორმუზის აღება, რათა საბოლოოდ შემოემტკიცებინათ იგი, ადგილობრივმა მოსახლეობამ მოიგერია თავდასხმა. მაგრამ ჰორმუზს მალე ახალი ექსპედიცია მოადგა (200 ხომალდი — 2000 მეომრით) და ძალთა შეფარდებამ გამარჯვების სასწორი პორტუგალიელთა მხარეს გადასწონა.

კლდოვანი და ხრიოკი კუნძულისათვის დიდი სისხლი იღვრებოდა, მაგრამ ღირდა ჩიტი ბდღვნად! ტყუილად როდი ამბობდნენ, სამყარო ოქროს ბეჭედი რომ იყოს, ჰორმუზი მისი ძვირფასი თვალი იქნებოდაო.

პორტუგალიელებმა დაასრულეს ციხე-სიმაგრის აგება ჰორმუზში და მტკიცედ დამკვიდრდნენ სპარსეთის ყურის რეგიონში. ჰორმუზი იყო მათი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი, აგრეთვე — მთავარი სამხედრო ბაზა.

პორტუგალიელთა ბატონობა ჰორმუზში გრძელდებოდა 1622 წლამდე ანუ იმ ღირსსახსოვარ გამარჯვებამდე, რომელიც მოიხვეჭა შირაზის ქართველმა ხანმა და ამით უკვდავჰყო თავისი სახელი ირანის ისტორიაში.

## უკანასკნელი გმირი

„ეს იყო უწყინარი კაცი, წყნარი ხმითა და ასეთივე ხასიათით. მას არანაირად არ შეეფერებოდა მეტსახელი „მძვინვარე ბილი", მაგრამ რატომღაც ისე მიეკრა, რომ ვერასგზით ველარ მოაგლეჯდი", — ასე ახასიათებდა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ უილიამ დონოვანს (1883-1959) მისი ერთ-ერთი თანამშრომელი. ასე ეძახდნენ რეპორტიორებიც, მაგრამ ამ მეტსახელის პირში თქმას ვერავინ გაუბედავდა.

და მაინც როგორ შეერქვა ესოდენ დამაფრთხობელი მეტსახელი უწყინარ კაცს, წყნარი ხმითა და ასევე წყნარი ხასიათით რომ გამოირჩეოდა?

როგორც ფიქრობენ, „მძვინვარე ბილი" შეარქვეს თანამებრძოლებმა პირველი მსოფლიო ომის წლებში, სადაც უშიშარ გმირად გამოიჩინა თავი.

უილიამ (ბილ) დონოვანმა ცხრამეტი თვე გაატარა საფრანგეთის ფრონტზე ამერიკული დივიზიის („რეინბოუ" — ცისარტყელა) რიგებში, სამჯერ დაიჭრა და არაერთი ჯილდო მოიხვეჭა, სახელდობრ: ღირსების ორდენი, ჯვარი „საბრძოლო დამსახურებათათვის", საპატიო ლეგიონის ორდენი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენი, სამხედრო ჯვარი პალმის რტოთი და „ვერცხლის ვარსკვლავის" ორდენი.

სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაუჩნდა, პროფესიით იურისტს, სერიოზული გატაცება სადაზვერვო საქმიანობით.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარგზავნილ იყო რევოლუციამოდებულ რუსეთში, სადაც ერთხანს იმყოფებოდა აშშ არმიის მეკავშირე ოფიცრად ადმირალ ა. კოლჩაკის თეთრგვარდიულ ძალებთან.

1920 წლის დამლევს ბრუნდება სამშობლოში და უბრუნდება იურიდიულ პრაქტიკას. გენერალური პროკურორის პოსტსაც კი გამოჰკრა ხელი.

პირველი მსოფლიო ომის გმირს, თავად განსაჯეთ, მეორე მსოფლიო ომი როგორ გამორჩებოდა?!

1942 წლის 13 ივნისს აშშ პრეზიდენტ რუზველტის პირადი განკარგულებით დაარსდა სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველო ანუ საგარეო დაზვერვის უწყება, რომლის უფროსად დანიშნულ იქნა უილიამ დონოვანი.

1944 წლის 7 ივნისს, ნორმანდიაში დასავლეთის მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის მეორე დღეს, საომარ მოქმედებათა რაიონში ჩავიდნენ დონოვანი და მისი თანაშემწე დევიდ ბრიუსი. ამით მათ უხეშად დაარღვიეს მკაცრი შეთანხმება აშშ და დიდ ბრიტანეთს შორის, რომ ოფიცრებს, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას „ულტრას" ოპერაციის შესახებ („ულტრა" — კოდური სახელწოდებაა ოპერაციისა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანელების რადიომოლაპარაკებათა გაშიფრვას), კატეგორიულად ეკრძალებოდათ გამოჩენა სახიფათო ადგილებში, სადაც ისინი შეიძლება დაეტყვევებინა მტერს. დონოვანმა და ბრიუსმა, როგორც კი ფეხი დაადგეს პლიაჟის ქვიშას, მყისვე მოხვდნენ გერმანელ მეავტომატეთა ცეცხლქვეშ. მაშინ დონოვანი მიუბრუნდა თავის თანაშემწეს და უთხრა: „მე და შენ ძალზე ბევრი რამ ვიცით". პისტოლეტი ამოიღო და დასძინა: „თუკი ცხადი გახდება, რომ გვატყვევებენ, ჯერ შენ დაგახლი ტყვიას, მერე კი შუბლს გავიხვრეტ".

მაგრამ, ღვთის წყალობით, გადარჩნენ და დალამებამდე მოხერხდა მათი ევაკუირება საფლაგმანო ხომალდზე.

აი, კიდევ რას ჰყვებიან დონოვანზე:

იტალიის კამპანიის დროს იგი ჩავიდა კაპრის კუნძულზე და თავის თანაშემწეს უბრძანა, რომ თვალთვალი დაეწესებინათ ერთი კაცის ვილაზე და ეს კაცი იყო მისი ძველისძველი ძმაკაცი ნიუ-იორკიდან. ეს დავალება იმასაც კი ეჩოთირა, ვისაც დაავალეს და შემდგომში იგონებდა: „იმ მომენტში დონოვანს განსაკუთრებით მკაფიოდ ესმოდა, რაოდენ უხერხულია, ადამიანური თვალსაზრისით, მის პოსტზე ყოფნა. სწორედ მაშინ უთქვამს: როცა სიკვდილი მოგიწევს, ბარით საფლავს რომ გაითხრი, ნიჩბით უნდა ამოვხაპო ქაქი, იქ რომ ჩაიღვრებაო".

ახალი პრეზიდენტი ტრუმენი, განსხვავებით რუზველტისაგან, არა სწყალობდა დონოვანს. 1945 წლის შემოდგომაზე დაშლილ იქნა სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველო. მისი უშუალო მემკვიდრე გახდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო („სი-აი-ეი", რუსულად — ცერეუ). დონოვანის კოლეგები და ყოფილი ხელქვეითნი შუამდგომლობდნენ მას, რომ ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაენიშნათ, მაგრამ ტრუმენს არც კი განუხილავს მისი კანდიდატურა.

სიცოცხლის ბოლო წლებში „მძვინვარე ბილი" ელჩად გაამწესეს ტაილანდში.

პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ასე დაიტირა უილიამ დონოვანი: „აი, ეს იყო კაცი! ჩვენ დავკარგეთ უკანასკნელი გმირი!"

---

1932 წელს დაბადებული ინდური წარმოშობის ინგლისურენოვანი მწერალი **ვიდიადჰარ სურაჯპრასად ნაიპოლი** მულტიკულტურული მე-20 საუკუნის ჭეშმარიტი წარმომადგენელია. მწერალი სამხრეთ ამერიკაში დაიბადა, ამჟამად ინგლისში, უილტშირის საგრაფოში ცხოვრობს, თუმცა თავს ინდოელად გრძნობს. 1990 წელს **დედოფალმა ელისაბედ მეორემ** რაინდის წოდება მიანიჭა და მას შემდეგ ნაიპოლი ხშირად სერ ვიდიას სახელითაც მოიხსენიება. მან ათეულობით ნაწარმოები შექმნა: მხატვრული პროზა, პუბლიცისტიკა და მოგზაურობის ჩანაწერები.

ვიდიადჰარ ნაიპოლს 2001 წელს ნობელის პრემია გადაეცა ლიტერატურის დარგში „შორსგამჭვრეტი თხრობისა და შეუპოვარი პატიოსნების სინთეზისათვის, რომელიც ისეთ საკითხებზე დაგვაფიქრებს, რის შესახებ საუბარსაც ჩვეულებრივ ვერიდებით".

სულ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა **„ინტელექტმა"** „ნობელის პრემიის ლაურეატების" სერიით მორიგი ტომი გამოსცა – ვიდიადჰარ ნაიპოლის რომანი „ნახევარი სიცოცხლე", რომელიც ნობელის პრემიის მიღების წელიწადს გამოქვეყნდა და ინგლისურიდან **თამარ კოტრიკაძემ** თარგმნა.

წარდგინება 16 სექტემბერს წიგნის მაღაზია **„დიოგენეში"** შედგა. პრეზენტაციაზე შეკრებილ ლიტერატურული წრეების წარმომადგენლებსა და წიგნის მოყვარულებს გამომცემლობა „ინტელექტის" რედაქტორმა, მწერალმა **ზვიად კვარაცხელიამ**, თარგმნელმა **თამარ კოტრიკაძემ** და მაღაზია „დიოგენეს" მენეჯერმა, მწერალმა **გურამ მეგრელიშვილმა** მიმართეს.

წიგნის შესახებ ვრცლად ისაუბრა მთარგმნელმა თამარ კოტრიკაძემ, რომლის თქმით: „რომანი არის წარმოშობით ინდოელი ახალგაზრდა კაცის, უილი ჩანდრანის ბედის, მისი ცხოვრების, მოგზაურობისა და მის მიერ საკუთარი თავის ძიების შესახებ. ეს არის მხატვრული რომანი, მაგრამ ავტორს წინა პლანზე გამოჰყავს სოციალური პრობლემები, პოლიტიკური, ეროვნული გარემო. კერძო და ზოგადი ნაიპოლის ამ წიგნში ერთურთისგან განუყოფელია და ერთი პიროვნების პრიზმაშია გატარებული. საერთოდ ეს ავტორი ძირითადად მესამე სამყაროს ქვეყნებს აღწერს". ხოლო, როგორც წიგნისთვის თანდართულ მთარგმნელის შესავალ წერილში ვკითხულობთ: „ნახევარ სიცოცხლეს" ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ უილი ჩანდრანის განცდებსა და გამოცდილებებში მაინც ამოიცნობა თვით ავტორის მიერ სოციალურ-ეთნიკური იდენტობის ძიება".

წარდგინება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ფილოლოგი **თამილა წოწორია**, გამომცემლობა „დიოგენეს" დირექტორი **თამარ ლებანიძე**, მწერალი **გურამ მეგრელიშვილი**, რომელსაც თავის დროზე თვითონაც უცდია ამ წიგნის თარგმნა, და სხვები მწერლის ენის თავისებურებებით, თარგმნის დროს წარმოქმნილი პრობლემებითა და სხვა საკითხებით დაინტერესდნენ.

თამარ კოტრიკაძის თქმით, „ნახევარი სიცოცხლე" გარკვეულწილად კლასიკური „აღზრდის რომანის" მოდელს შეესაბამება, ოღონდ თანამედროვე ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ღია დასასრულით.

# ლამაზი სიცოცხლე

ჯანსუღ ჩარკვიანი – სახელი და ხასიათი, ბედი და ბედისწერა, ტალანტი და მოვალეობა.
უთუოდ არის მასში რაღაც განსაკუთრებული, რაც უჩვეულოსა და ჩვეულებრივის ზღვარზეა საგულვებელი.
ეს ის შემოქმედია, რომლის ცხოვრება ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობს.
ბრძოლა როგორც სტიქია, ბრძოლა როგორც დასახული მიზნის მიღწევის საშუალება და ბრძოლა როგორც საკუთარი თავის დაძლევის გზა.
იბრძვის, რადგან იცის, რა უნდა; აქვს ჰარმონიის გრძნობა და შინაგანი მისწრაფება აღადგინოს სადღაც დარღვეული ჰარმონია.
დამბადებელმა კაი ყმის ყველა თვისებით შეამკო. ის არის შემმართებელი, პირდაპირი, დაუდგრომელი.
სამშობლოს ერთგულების უღელშია გაბმული და სხვაგვარად არ ძალუძს, სხვა გზა და არჩევანი არ აქვს, აქ ეგულვის ბედიც, ბედისწერაც და ბედნიერებაც.
ქართულ პოეზიაში სამშობლოზე ბევრი კარგი ლექსი შექმნილა და კვლავაც შეიქმნება, და მათ შორის დარჩება ჯანსუღ ჩარკვიანის სტრიქონებიც:

**მთავარი მაინც მამული არის,**
**განსაცვიფრებლად არის მთავარი.**

როცა ქვეყანას სჭირდება, ჯანსუღ ჩარკვიანი არის პოეტი-ტრიბუნიც, პოეტი-მოქალაქეც და პოეტი-მორალისტიც, მაგრამ ყველა ამ „ჰიპოსტასის“ ძირი და საფუძველი ლირიკაა, წმინდა პოეტური საწყისი. ის ლირიკოსია, თხემით ტერფამდე ლირიკოსი.
ჯანსუღ ჩარკვიანის სტრიქონის უბრალოება და სისადავე სულიდან, ადამიანური შინაარსიდან მოდის, იქ იბადება მისი ალალი და ნათელი ლექსი, იქ ითქმება ლოცვასავით სიტყვები:

**მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი,**
**მევალისათვის მიმატანინე ვალი,**
**გზააბნეულისთვის მასწავლებინე გზები...**

ჯანსუღ ჩარკვიანმა ღირსეულად განაგრძო ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და ლადო ასათიანის პოეტური ხაზი და თავისი ადგილი დაიმკვიდრა, თავისი ხმა, თავისი ფორმა იპოვა.
წინამორბედების პოეტური მადლით ცხებულის ნიშანი ატყვია მის ულამაზეს, განუმეორებელ ფრაზას:

**დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,**
**ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,**
**მერე მოვკვდები ისე ლამაზად,**
**ვით დაიბადა ეს ყველაფერი.**

„ლამაზი სიკვდილი“ – ლექსი, რომელიც ლამაზი სიცოცხლის დაუვიწყარ მეტაფორად იქცა.
მოყვასის ცხოვრების გალამაზების ხელოვნება თუ არსებობს, ჯანსუღ ჩარკვიანი დიდოსტატია ამ ხელოვნებისა.
სულით ჰუმანისტია, უყვარს გვერდით მდგომი, ვითარცა თავი თვისი და უფრთხილდება მის სიცოცხლეს, როგორც საჭიროზე საჭირო საგანს. თუმცა მარტო დიდი სიყვარული არ არის საკმარისი იმისათვის რომ გულმა გათქმევინოს: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!“ ეს არის ქვეყნის ერთგულის, სამშობლოს მოამაგის სულისკვეთება.



ჯანსუღ ჩარკვიანი

სიყვარულისა და ერთგულების ამ ძალას, პოეტურ სიტყვაში რომ გაუმჟღავნებია, უანგარობისა და სიკეთის სასწაულებს, ჩვენს თვალწინ, ჩვენს ყოფაცხოვრებაში რომ ჩაუდენია, აქვს სათავე და მიზეზი.
ეს არის მისი გენეალოგიური ფესვი, ოჯახი, სამეგობრო.
ცხოვრების ღირსეული გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებიდან – თბილისის საპატიო მოქალაქეობამდე; ლექსების პირველი წიგნიდან („ერთი ღამის სიჩუმეში“) – მოთხრობების კრებულამდე („თავისუფლება ლომთა ხვედრია“).
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორობისას შექმნა დრო, ფასეული ლიტერატურისთვის ხელსაყრელი გარემო, რასაც მწერლობის ისტორია არ დაუვიწყებს. ამას გარდა, იყო გამომცემლობა „საქართველო“, ჟურნალი „დროშა“, ჟურნალი „დილა“, საზოგადოება „თბილისელი“, პენ-კლუბი. ყველგან მესვეური იყო და რიგითის ენთუზიაზმით მუშაობდა და იბრძოდა. ისევე, როგორც ომში, აფხაზეთის ომში. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, რომელიც მას მიენიჭა, იმდენად სამხედრო წარჩინებას არ გამოხატავს, რამდენადაც სამშობლოს სიყვარულის ხარისხს.
მის სამოცდაათ ლექსზე სიმღერაა შექმნილი. ეს ცოტა არ არის, ცოტას არ ნიშნავს, როცა მშობლიური ჰანგი შენს ლექსებში პოულობს სტრიქონს.
ჯანსუღ ჩარკვიანი ბოლომდე ლექსისა და სიმღერის ერთგულად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაძნელდა ამ ერთგულების დაცვა.
ემღერება და მღერის; ეიმედება და ელის. ღმერთმა აუხდინოს, რაც ეიმედება.
იმედის კაცია. უიმედოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. იმედი მისთვის სიცოცხლის გზაა – ლამაზი სიცოცხლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხეილ ჩოგოვაძე

ნატურმორტი ვარდებით

ISSN 1987-7730